

# გრამატიკა

თვიური ქურნალი

წალიტოდი პეტერე

182

№ VIII

აგვისტო, 1899

ტყილისი

საქართველოს მეცნიერებების მისამართის მიერ გამოცემა.

1899

## გ მ ნ ა ს რ ს ი

I—ნავარდობა.—XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XX, XXI, XXII და XXIII.—მოთხრობა მედანისა. (დასასრული მეორე ნაწილისა)	83• 1
II—ზარსულიდან.—სკოლაში.—ნაწილი მეორე.—I, II, III და IV.—მოთხრობა ს. გვარდიანიშვილისა . . .	50
III—ძარაზანი.—ნაწილი მეორე.—I და II.—რომანი იტა- ლიის ცხოვრებიდან ე. გოინისას, თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაფრძელება) . . . . .	86
IV—I * * . —II პოეტი.—ლექსი, გ. რუხაძისა. . . . .	119
V—დამონებული.—XXXI, XXXII და XXXIII.—რო- მანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. გაზოგისა, თარგ- მანი (დასასრული პირველი ნაწილისა). . . . .	121
VI—ინსტიტუტი სასამართლო დაცვისა და მისი ორგანიზაცია.—III და IV. —გრ. გგელესიანისა (დასასრული). . . . .	1
VII—თ. აკაკი ჭარეთელი და გუთაიის ბანკი.—ქადა აბაშიძისა. . . . .	31
VIII—გაცხადებანი.	

ଅ ମ ବ ଦ କ ପ

ତଥା ଉଚ୍ଚାରଣ କୁରଣ୍ତାଳୀ

ପ୍ରକାଶନ ମେଲାମାଳା

No VIII

୧୯୯୦ ଜାନୁଆରୀ, ୧୮୯୯



ପ୍ରକାଶନ

ମେଲାମାଳା ପ୍ରକାଶନ ମେଲାମାଳା ପ୍ରକାଶନ ମେଲାମାଳା

1899



Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Сентабря 1899 г.

## მ ი ნ ე ს ი

	83•
I—ნავარდობა.—XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XX, XXI, XXII და XXIII.—მოთხრობა მედანისა. (დასასრული მეორე ნაწილისა)	1
II—შარსულიდან.—სპოლაზი.—ნაწილი მეორე.—I, II, III და IV.—მოთხრობა ს. მგადაბლიშვილისა . . .	50
III—ძრაზანა.—ნაწილი მეორე.—I და II.—რომანი იტა- ლიის ცხოვრებიდან ე. გაინიჩისა, თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (ვაგრძელება) . . . . .	86
IV—I * *. —II პოეტი.—ლექსი, გ. რუსამისა. . . .	119
V—დამოვლებული.— XXXI, XXXII და XXXIII.—რო- მანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. გაზეუდვისა, თარგ- მანი (დასასრული პირველი ნაწილისა). . . . .	121
VI—ინსტიტუტი სასამართლო დაცვისა და მისი ორგანიზაცია.—III და IV. — გრ. გგმდესანისა (დასასრული). . . . .	1
VII—თ. აკაკი ჭირეთელი და ქუთაისის ბანკი.—ქართ აბაშეაშვილი. . . . .	31
VIII—გაცვეადებანი.	

# ნაზარდობა

(მოთხოვბა)

ნაფილი გეორგი

**XV \*)**

ანდერძის შესრულება

ყაზარა კარგად დაუფიქრდა მამის დარიგებას და გადასწყვეტა შეასრულოს ყოველიც, როგორც ანდერძი მამისა. გადუხადა თუ არა მამას წესი და რიგი, გავიდა ქალაქიდან ერთ სოფელში და გამართა მეწვრილმნის დუქანი. დუქანში ყოველიფერი ჰქონდა, თუმცა შიგ შემსვლელს პირველად იგი ცარიელი ევონებოდა. ყაზარამ ნალბანდობაც დაიწყო; კოტრობის ღრმა შამაშ შეასწავლა ეს ხელობა. ვაჭრობაცა და ნალბანდობაც იმავე წესით დაიწყო სოფელში, როგორც იმისმა განსვენებულმა მამამ: ცხენებსაც ჭირნახულზე სკედავდა და სავაჭროშიაც ჭირნახულს იღებდა.

ვაჭრობის გასაძლიერებლად ერთი კაი საშუალება მოიგონა ყაზარამ. სოფლის დედაკაცები ხშირად შესჩიოდნენ: „სავაჭრო ბევრი რამ გვინდა, მაგრამ კაცები ნებას არ გვაძლევენ ან პური ან ქერი გამოვიტანოთ სახლიდან, ან ნისიად ვივაჭროთ“. ყაზარას დუქანი წყლის ახლო ჰქონდა. მისი ჩაგო-

\*) იხ. „მოამბე“ № VII.



ნებით, როცა დედაკაცები წყალზე მოდიოდნენ, კოკებში ჰქონდნენ ჰურიდნენ. ხოლმე პური იქნებოდა, თუ ქერი, ან სხვა რამ, და მოჰკონდათ მასთან, ისიც სავაჭროს აძლევდათ. ვერა მამაკაცი ვერ მოდიოდა სრულებით ფიქრზე, თუ რად შედიოდნენ სოფლის დედაკაცები ყაზარის ღუქანში კოკებით. მხოლოდ ის გარემოება კი ბევრს აკვირვებდა, რომ წყლის ახლო და ნავში ბლომად ეყარა მარცვლები პურისა, ქერისა, ფეტვისა და ლობისი. ყაზარი იმ ფასად იღებდა დედაკაცებისაგან კოკებით მოტანილს ჭირნახულს, როგორც უნდოდა, და მეთედსაც არ აძლევდა იმისას, რასაც ცხადად მოტანილში მისცემდა. დედაკაცებსაც ენა უმოკლდებოდათ, რადგანაც სულადის უკან წალება შეუძლებელი იყო; ვერც ჩარჩობდნენ იმის შიშით, რომ არ გაეცა ყაზარის.

ყაზარამ ზურგი მაღვე გაიმაგრა სოფლის შემწეობით და უფრო კი თავისი მოხერხებით. ვალებში გაყიდული სახლი დაიბრუნა ისევ და გადაკეთა უფრო კარგად. დები კაი მზითვით გაისტუმრა; სამივე „წარჩინებულ ვაჭრებს“ მიათხოვა. სოფლიდანვე გაიკეთა თავისთვინაც ერთი სასარგებლო საქმე. სავაჭროში და სანალბანდოში ყაზარა ქერს უფრო სიამოვნებით იღებდა და მომეტებულსაც, ვიდრე პურს ან სხვა ჭირნახულს, რადგანაც ერთს მახლობლად მყოფ ცხენოსან პოლკში ყოველთვის კაი ფასად აბარებდა. ყაზარაც გულს-მოდგინედ ცდილობდა ყოველთვის ვაღაზე და კაი ლირსების ქერი ჩეგბარებინა, რათა პირნათლად გამოსულიყო პოლკის უფროსების წინაშე. აშ გვარი მოქცევით დიდი ნდობა დაიმსახურა ყაზარამ. ამისთვის ბევრი შრომა აღარ ღასჭირდათ შუამავლებს — ყაზარა გახდა პოლკის მიკიტანი. მაგრამ მარტო მიკიტნობას როდი დასჯერდა; მან ხელთ იგდო მთელი პოლკის ცხენების საკვებავის იჯარადრობა, ყაზარამ ისე დააყენა საქმე, რომ რაც ხაზინიდან პოლკის შესანახად ფულები გამოდიოდა, უკლებლივ მის ჯიბეში ჩადიოდა. პოლკს თავის „მრევლს“ ეძახოდა; ხშირადაც იკვეხოდა: „პოლკი ჩემი ყმა არისო“. ნავუბარში ჩადგა ისევ წყალი, როგორც განსუენებული ყარამინი მოელოდა,

თუმცა იგი ვერ მოესწრო ამის ნახეას,—და ჩადგა წყალი ტუბები რომ გუბე ველარც კი იტევდა.

ყოველი პოლკში მოსამსახურე პირი ყაზარასაგან დაეაღიანებული იყო; ნისია ხომ ყველას ემართა და ფულადაც ბევრს უმართავდა ხელს. იხდილნენ ყოველთვის ვალს, მაგრამ ვალი ისევ ვალადა რჩებოდა, შემსუბუქება ორცკი ეტყობოდა. სამძიმოდ ვალის გადახდა ნამეტნავად იმ პირთ გადაექცათ, ვინც ეცალნენ ყაზარას მიკიტნად შეყვანას პოლკში. სიკეთის გადასახდელად იმათ პირველად არაფერს ართმევდათ დანახარჯში. თუ შეაძლევდნენ, ასე ეუბნებოდათ: „რას ეშურებით, იყოს თქვენზე, სად დაიკარგება? მერე გავსწორდეთო“. როცა გაუბევრდათ ვალი, მაშინ ძრიელ სამძიმოდ ეჩვენათ გადახდა და ერთი მათგანი იძულებული შეიქმნა, დაეთმო ვალში ტფილისში ერთ საუკეთესო ქუჩაზე მშევნიერი სახლი, რომელიც ყაზარამ თავის გემოვნებაზე გადაკეთა და უფრო გაამშვენა.

თითქმის ამავე დროს, ერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ყაზარამ მოიპოვა ტფილისის მეორე, უფრო წარჩინებულ ქუჩაზე უფრო საუკეთესო სახლი.

ერთ თავადიშვილს მამულების სასყიდლად დასჭირდა ორასი თუმანი. თავადმა მიჰმართა ყაზარას, როგორც ფულიან კაცს. „ფულს კი გიშოვნი, —უთხრა ყაზარამ, —მაგრამ მე ახირებული ხასიერის კაცი ვარ. მე თუ კაცმა პირობა დამიღო და თავის დროზე არ შემისრულა, ბოლმით გავსქდები. მე სარგებელს არ გიკითხავ, რაც შენმა სეინიდისმა გასჭრას, ის მომეცი, მხოლოდ თავის დროზე კი ჩამაბარე. გასესხებ ორას თუმანს, თუ ათასი თუმნის „ნეუსტოიკას“ დამიწერ. ხომ არც შენ მიაღწევინებ საქმეს იქამდის, რომ „ნეუსტოიკის“ გადახდა მოგინდეს, არც მე გამოვეკიდები, მხოლოდ ამისთანა ჯარიმის პირობა შენი იასაული იქნება; ყოველთვის მოგავონებს, რომ ვალს გადახდა უნდა. ჰამ შენც მაღლობელი დამრჩები შემდეგში, ჰამ შეც ვადაზე მივიღებ ჩემს ფულებს და გუნება არ გამიფუჭდება“.

თავადი დიდი სიამოვნებით დაჭყაბულდა, მისცა ორასი თუმნის ვექსილი—სარგებელი სვინიდისზე მიიგდო თავნის გა-

დახდის დროსათვის—და ათასი თუმნის ჯარიმის ქაღალდზე, თუ ვადაზე ვერ ვადაიხდიდა ვალს. მაგრამ არ დასცალდა თავადს გულის წადილის შესრულება: მომდომებული მამულები ვერ იყიდა, რადგანაც აეად ვახდა და ნასესხები ფული საეჭიმოში და შემდეგ მის ქელებში დაიხარჯა. მემკვიდრეებმა ჯეროვანი ყურადღება არ შიაქციეს ყაზარას ვალს, თუმცა იცოდნენ, რომ მათ მამას მიცემული ჰქონდა ათასი თუმნის ჯარიმის ქაღალი. მით უფრო არა სწუხდნენ რომ, დარწმუნებულნი იყვნენ, ყაზარა არ იკადრებდა ჯარიმის გადახდეენებას. ხოლო ყაზარამ თავის წესსა და კანონზე გაიარა. უჩივლა სასამართლოში გარდაცვალებულის თავადის მემკვიდრეებს და დაკისრა გარდასახდელად ათას-ორასი თუმანი. ყაზარამ წრე მოავლო თავადის მემკვიდრეებს; ძალას ატანდა, რომ მოეთხარათ, სადაც იქნებოდა, და ჩაებარებინათ მისთვის კუთვნილი ფული, მაგრამ სად იშოვნიდნენ ისინი ათას-ორას თუმანს ისე დეზად. იძულებულნი ვახდნენ თავადის მემკვიდრენი, მიეკათ ყაზარასათვის ათას-ხუთასი თუმნის ვექსილი—ამდენი შედგა სარგებლით და სასამართლოში მოსული ხარჯით—და ორი ათასი თუმნის ჯარიმის ქაღალდი, თუ ვინიცობა იყო, ვერ ჩაბარებდნენ თავის დროზე ათას-ხუთას თუმანს.

ახლა კი დაფაცურდნენ მემკვიდრეები. დარწმუნდნენ, რომ ყაზარასთან საქმის დაჭერა ხუმრობა აღარ იყო და წინა დღითვე შეუდგნენ თავდარიგს ფულის შოვნისას, რომ ვადაზე ჩაებარებინათ მისთვის. ზოგი მამული ვაყიდეს, ზოგიც სხვა რიგად იშოვნეს და დამზადეს ვადაზე ჩასაბარებლად ათას-ხუთასი თუმანი. ხოლო როცა შესრულდა ვადა და მიუტანეს ყაზარას ფული, იგი საღლაც ჩაიყლაპა; გამოჩნდა ერთი კვირის შემდეგ. რაკი ვადაზე ვერ ჩაიბარა ყაზარმ ფული, პირობა დარღვეული იყო და იმანაც მიმართა კანონს. მემკვიდრეები ვერ მოიქცნენ კანონიერად: მოწმები არ დაისწრეს, როცა ყაზარასთან მოვიღნენ ფულის ჩასაბარებლად, არც სასამართლოში წარადგინეს ფული, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ თურმე კანონის ძალით; კანონშა ამ ნაირი უკანონობისა და უვიცობისათვის მათ

ათას-ხუთასი თუმანი ვექსილით და ორი ათასი თუმანიც ჯარიმა — სულ სამი ათას-ხუთასი თუმანი დაკისრა და, როცა სასამართლოში წასულ ხარჯსაც ზედ მივიღნენ, ხომ უფრო მეტი შედგა. ამ ფულში ყაზარამ დაინარჩუნა ტფილისში ის სახლი, რომელიც ზემოდ არის დასახელებული და რომელიც ოთხი ათას თუმანზე მეტად ლირდა. მაგრამ ყაზარამ თავისი მოხერხებით ამ სახლთან ერთად ბევრი სხვა მამულებიც ჩა-მოართვა ხსენებულ ვალში თავადის მეტყვიდრეებს. „რა, აქამ-დის თუ ეგენი მუქთად, ყმების შრომით იძნდნენ ქონებას, ახლა ჩვენ შევიძინოთ ჩვენისავე ოფლით მოგებული ფული-თო“ — უპასუხებდა ყაზარა, ვინც ჰკითხავდა ამ საქმის ამბავს.

ყაზარა ბობოლად გარდაიქცა. მთელს გუბერნიაში მდი-დარი კაცის სახელი გაითქვა. როცა შასთან ფულზე ჩამოვარ-დებოდა ლაპარაკი, ათასი და ათი-ათასი თუმანი რა ფულგაო, ამბობდა ხოლმე იგი. აქედან მის თაყვანის-მცსმელთ ის დასკვნა გამოჰყვანდათ, რომ იგი მილიონებს ატრიალებდა.

ყაზარა ისევ ჰტიქრობდა და კიდეც ამტკიცებდა: „ჩინე-ბიცა და სწავლა-ცოდნაც კაცისთვის ფულების საშოვნელად და საცხოვრებლად არის საჭიროვო. მაშასადამე, ვისაც ფული უშოვნია და თავისი მოხერხებით სარჩო-საბადებელი შეუ-ძენია, ის კაცი ჩინების პატრონზედაც და ნასწავლ კაცზე-დაც მაღლა სდგას პატივითა და დიდებითა“ -ო. კიდეც თხოუ-ლობდა ყველასაგან პატივისცემას. ძრიელ სწყინდა ყაზარას, ვინც მარტო სახელს დაუძახებდა და მამის სახელს არ მოუ-მატებდა; ან თუ ნალბანდიშვილად მოიხსენიებდა ვინმე, რო-გორც შეუცვალა ხალხმა გვარი, და არა არარატიანად. ვინც უნდა და რაც უნდა კაის საქმისათვის მოსულიყო მასთან და არ მიემართნა მისთვის „ყაზარ ყარამანიჩ“ -ობით, ხმასაც არ გასცემდა, ხოლო გაჯავრებით შეუტევდა: „მე შენთან სალა-პარაკოდ არა მცალიან“ -ო!

## xvi

## მამა ოჯახისა

გაათხოვა თუ არა დები ყაზარამ, თვითონაც ცოლის შერთვა აღარ დაახანა. მაშინ წელი კარგადა ჰქონდა გამაგრებული და ვინ დაარიდებდა იმას ქალს. კაი ოჯახისა და კაი ქალი შეირთო ცოლად. მალე ეყოლა ერთმანერთზე სამი ვაჟი და ერთი ქალი. ცოლ-შვილს ძრიელ კარგად აცხოვრებდა; ჩამდენიც ემატებოდა სიმდიდრე, იმდენად აუმჯობესებდა ცოლ-შვილის ცხოვრებას. აცხევდა და ჰქონდა ვისაც როგორა ჰსურდა; აცხევდა და ასმევდა კარგს. ჰქონდა საკუთარი ეკიპაჟები: კარეტა და ეტლი—ერთი ფერი ცხენებით—და როცა ჰსურდათ, სეირნობდნენ. მანამ ყაზარა ვაჟებს სასწავლებელში მისცემდა, მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა იქ, სადაც ჰსურდათ: როცა უნდოდათ ტფილისში იყენენ, როცა მოსურებდნენ, სანინღანში ცხოვრობდნენ. ხოლო, როცა შვილები მიაბარა სასწავლებელში, მაშინ კი ზამთრობით ყოველთვის ტფილისში აცხოვრებდა ცოლ-შვილს, ზაფხულობით კი, სადაც უნდოდათ.

ბევრ კარგ ზნე-ჩვეულებასთან ყაზარას ნაკლულევანებაც ბევრი ჰქონდა. უპირველესი ნაკლულევანება მისი ის იყო, რომ ძრიელ უყვარდა ახალგაზდა პატარძლებზე ნავარდობა. ეს ზნე დასჩემდა მაშინ, როცა სოფელში მეწვრილმნის დუქანი ჰქონდა და ისე გაუჯდა ძეალ-რბილში, რომ ცოლ-შვილიანობის დროსაც ვეღარ ითმენდა და სიკვდილის დღემდისაც არ უღალატნია ამ ზნე-ჩვეულებისათვის. ყოველ სოფელში, სადაც კი მოუხდებოდა ყოფნა აღებ-მიცემობის გულისათვის, უთუოდ შეთვალიერებული ჰყეანდა პატარძლები. გასაკვირველი ის იყო, რომ ყაზარა ძლიერ იდვილად ისრულებდა წადილს, რითაც ზიზღზე მოჰყვანდა სხვანი,— ამ ხელობის მიმდევარნი. ასეთი გამარ-

ჯვება თავის სასახელოდ მიაჩნდა. რაც შეეხება ყაზარას ცოლს, იგი სირცხვილით იწვებოდა, როცა ესმოდა ქმარზე ცუდი ხმები, თუმცა კი შიშით ხმას ვერ იღებდა მის წინაშე. პირიქით, თვითონ ყაზარა ასწრობდა სართს და იჭვიანობდა თავის ცოლზე სრულიად უსაფუძვლოდ. ცოლის გულში მარტო ქმრის სიყვარულსა ჰქონდა ბინა და ყოველი ფიქრი ამ გრძნობის წინააღმდეგი დიდ ცოდვად მიაჩნდა. მაგრამ საკმარისი იყო, იგი ღიმილით დალაპარაკებოდა ვაჟკაცს, ვინც უნდა ყოფილიყო, რომ ყაზარას გულ-მუცელი დახანჯლოდა. მაშინაც კი ვერ დაიშვიდა გული და არ მიანება თავი იჭვიანობას, როცა ცოლი თავისს კალაპოტში ჩააყენა: ესე იგი არ შეეძლო ყოფნა ისეთს საზოგადოებაში, სადაც თვითონ არ იქნებოდა; არ უნდა ელაპარაკნა ვაჟ-კაცთან, და თუ დაელაპარაკებოდა ვისმე აუცილებელ საჭიროების გამო, მაშინ ქმრისათვის უნდა ეყურებინა წარბებში. „მე სხვაზე გამიცინია და ჩემზე სხვას არ გავაცინებო“,—ამზობდა ყაზარა...

ვაჟიშვილები ძლიერ კარგად დაზარდა ყაზარამ. სამივე უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნა, როცა ტფილისში შეასრულეს სწავლა. მინამ დაასრულებდნენ უმაღლესს სწავლას, ყაზარამ სამსავე შვილს მოუწიადა ტფილისში ცალკ-ცალკე სახლ-კარი და სწავლის დამთავრების შემდეგ დააბინავა. შვილებმაც არ გაუცრუეს მამას ამაგი: ერთი ექიმი გამოვიდა, მეორე—ინფინერი, მესამე—ადვოკატი.

ბევრი მეგობართაგანი აყვედრიდა ყაზარას, რომ არც ერთი შვილი არ მიაყოლა თავისს ხელობას—ეაჭრობას. ამისთანა საყვედურის პასუხად ეუბნებოდა: „ოქენ კი ნუ გონიათ, რომ ვაჭრობა ადვილი საქმე იყოს. კაცს ვაჭრობის ნიჭი და უნარიც უნდა ჰქონდეს, თორემ ყველაფერი ტყუილია. პეტრუზაცა ვაჭრობს, მაგრამ რა გამოვიდა იმის ვაჭრობიდან! მე ჯერ გირვანქის სახელი არ ვიცოდი, როცა იმას საწვრილმანო დაჰქონდა და ხურჯინიც ვერ გამოიცვალა აქამდის. რაც მე თავი შემისწავლია, იმას ერთსა და იმავე ხურჯინში უგდია სა-



წერილმანო. თუ ვაჭრობის ნიჭი ექმნებათ ჩემს შვილებს უწყებელი ვლა ვერას დაუშლით.

ქალების სწავლა არცა სწამდა ყაზარას და არც თავისს სატინიკას ასწავლა რამე, გარდა შინაურული კითხვა-წერისა. სამაგიეროდ ამისა, ძრიელ ნებივრადა ზრდიდა მას ვაჟიშვილებთან შედარებით. მაშინ, როდესაც ვაჟებს ენატრებოდათ შუბლ-გახსნილი და წარბებ-შეუჭმუხნაეთ მამის სახის დანახვა, სატინიკა მისს ალერსშა იყო გართული. იგი მომეტებულად შეეკვეთა მამას და ორი-სამი დღე ერთმანეთზე რომ მოჰშორებოდა მას, ძრიელ ნაღვლობდა. რაც უნდა გაჯაერებული ყოფილიყო ყაზარა, თუნდაც დიდი ზარალის გამო, მაინც გაულიმებდა სატინიკას და მოუალერსებდა. დედა და ძმები ყოველთვის სარგებლობდნენ სატინიკას მამასთან მეგობრულ განწყობილებით და ხშირად მიუჩენდნენ ხოლმე გასართობად, როცა იგი რაზედმე გაჯავრებული იყო, და აშუამავლებდნენ მასთან, როცა რაიმე საოხოვარი ჰქონდათ. მაგრამ არც სატინიკას შერჩა ბოლომდის მამის ნებივრობა.

## xvii

### შ ე ს გ ე დ რ ა

გეგენას უფროსი ვაჟი ლევანი სამაზრო სასწავლებელში სწავლობდა. როცა დაატყო მამამ, რომ ქართული წერა-კითხისწავლა და რუსულსაც ცოტაოდნად მიჰხედა, გამოიყვანა სასწავლებლიდან და მიიყვანა ყაზარასთან, რათა შეესწავლა ვაჭრობის წეს-რიგი და რუსული ლაპარაკი, რადგანაც შემთხვევა ექნებოდა ეტრიალნა პოლკში მოსამსახურე რუსობაში.

ყაზარ ყარამანიჩი „დიდი მეგობარი“ იყო გეგენასი. იმათი მეგობრობა დაკავშირებული იყო ვაჭრობით. რაც კი საკლავი სჭირდებოდა ყაზარას პოლკისათვის, სულ გეგენასაგან ყიდულობდა. ამისთვის სიამოვნებით მიიღო თავისთან გეგენას

შეილი ლევანა, რომელმაც მეტის-მეტი სიმარდით, სიმკვიდრებით და გამჭრიახობით მაღლ შეაყვარა თავი ყაზარას.

როცა მამა მოუკლეს, ლევანამ გადასწყვიტა გასულიყო ყაზარადგან, რაც რამ სისხლიანი საქონელი ჰყვანდა, გაეყიდნა და ერთი კარგი მაღაზია გაელო ქ. სანინღანში. ყაზარ ყარაბანიჩა გაიგო მისი ამ გვარი გარდაშვეტილება და ასე დაუწყო ლაპარაკი: აბა, ჩემო შვილო, ევ რა გიფიქრია! ჯერ რა ვაჭრობის უნარი გაქვს შენ! ჯერ ტუჩებზე რძე არ შეგშრობია და შენ იმისთანა ძნელი საქმეს, როგორიც ვაჭრობა არის, როგორ გაუძლვები? შენ რომ ეხლა კაცმა ვაჭრობა ჩიგიდოს ხელში, იმას ეგვანება, რომ უსუსურ ბალდს გაღვიებული ნაკვერჩხალი მისცეს ხელში სათამაშოდ. იყავ, შვილო, ჯერ ჩემთან, ისწავლე, დახელოვანდი კარგა ვაჭრობაში და მერე, საითაც ღმერთი გზას მოგცემს, იქით წადი. მე ჯერ ნებას ვერ მოგცემ ჩემიდან გასვლისას. უცხო ხომ არა ხარ, ჩემი გულითადი მეგობრის შვილი ხარ. მე და ცხონებული გვევნა „დიდი მეგობრები“ ვიყავით. შენი თავი მე მამანდო და თავისი სულიც ხელში ჩამაბარა, კარგად გამიწვრთნე შვილიო. სირცეცილი არ იქნება ჩემთვის, რომ ჯერ ვაჭრობისა არაფერი გავიგია და გამოუცდელსა და გაუწვრთნელს თავი დაგანებო! ვინ რას იტყვის? მერე, როგორც შენ გიფიქრია, შენთავად რომ ვაჭრობა დაიწყო, ერთს წელიწადს დაგელუპება მთელი ის ქონება, რომელიც მამაშენს შეუძენია ოფლით რამდენიმე წლის განმავლობაში და შენთვის დაუტოვებია. ადვილი არ არის სარჩის შოვნა. მამაშენმა რომ იშოვნა, ის სხვა ბიჭი იყო. თუ ეგრე ადვილი იყოს სარჩის შოვნა, როგორც შენა გვინია, ყველა მდიდარი იქნებოდა. არც საჭიროა შენთვის მეტის შოვნა და მოპოვება; რაც მამაშენმა დაგიტოვა, ისიც გეყოფა, თუ ჭეული ისწავლი და ისე მოუვლი; ჯერ კი საიმისოდ არა ხარ მომზადებული. რაც უნდა გეწყინოს და დამემდურო, მე შენ არ გაგიშვებ ჩემის ხელიდან, ვიდრე არ გამაიცდები კარგად—რა უთხრა მაშინ ან მეგობრობას, ან საიჭიოს რა პასუხი გავსცე

მამაშენს? არა, შეილო, იყავ ჩემთან; მე ვიცი, როცა გეექნება უნარი, შენთავად ივაჭრო. აქამდის თუ დახლს გარედა მყავლი, ეხლა ნოქრის თანაშემწედ დაგაყენებ, რომ უფრო ჩქარა მიხვდე ვაჭრობის წესს. ამის შემდეგ ჯამაგირსაც დაგინიშნავ. უშენოდ დედაშენი და შენი ბებიაც კარგად მოუვლიან შენს სარჩო-საბადებელს, შენ კიდევ ჩემგან ჯამაგირი იღე და მოუმატე შენს ქონებას. ჯერ ნოქრის თანაშემწე იქნები, მერე, ღმერთი მოწყალეა, თუ კარგად წაიყვან საქმეს, უფროს ნოქრობას ჩაგაბარებ. ასე ივარჯიშებ, გაიწერთნები და როცა დავხედავ, რომ საქმის რიგიანად წაყვანა შენთავად შეგეძლება, მაშინ მე თვითონ აღარ დაგაყენებ და გაგისტუმრებ შენს გზახე”.

შეტი გზა არა ჰქონდა ლევანას, დარჩა ისევ ყაზარ ყარა-მანიჩთან. დახლში ლევანამ თავისუფლად და შეუცდენელად დაიწყო ვაჭრობა. ყაზარ ყარამანიჩი კარგადა ხედავდა და დარწმუნებულიც იყო, რომ უფროსი ნოქრის თანამდებობის შესრულება აღვილად და უმჯობესად ლევანას უფრო შეეძლო, ვიდრე სხეები ასრულებდნენ; ხშირად კიდეც ჰპირდებოდა, მაგრამ დაპირებას არ ასრულებდა. დაითხოვდა ერთს, სხვას, ისევ სომეხს ვისმეს ჩააყენებდა იმის ბადლად. „მართალია, ჩემი მეგობრის შეილიაო,— ამბობდა ყაზარა ლევანას შესახებ,— მაგრამ ისევ სომეხს რომ ერგოს, უმჯობესიაო“. მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეუშალა მიკერძებითი წყობილება. იმ უფროსში ნოქარმა, რომელიც ლევანას წინ იყო, ისე ოსტატურად ჩაიჯიბა ორასი თუმანი, რომ ყაზარ ყარამანიჩის თან უკვირდა მისი ოსტატობა, თანაც ბოლმაზედაც სქდებოდა, რადგანაც ვერც ჩაჯიბულ ფულებსა ჰკიდებდა ხელს და არცარა სხვა რამ გააჩნდა ჩამჯიბველს, რითაც შეიძლებოდა ენაზღაურებინა თავისი. ამ გარემოებამ ძრიელ შეაფიქრიანა იგი. „არა, წვითა და დაგვით ფულები მამიგია,— ამბობდა იგი,— და რა სიტუტუცე მომდის ეხლა, რომ ჩემი უჭირუობით ვლუპავ! ორასი თუმნით ოთხი ათასი თუმნის ადგილ-მამული დავიმკვიდრე, ეხლა კი ორასი თუმანი მეღლუბება ჩემი უჭირუობით! ის როგორ ვერ მოეიფიქრე, რომ ცარიელ-ტარიელი, არაფრის მქონე კაცი, რომელიც

ჩავაყენე დახლში და მთელი ჩემი ვაჭრობის საქმე ხელში შე-  
ვეცი, ასე მიზამდა!... ეჭ, მახლას, ეტყობა, კვეიინი კაციც შეს-  
ცდება ხოლმე ხანდისხან! მართლაც-და, ძალიან უჭიუო და  
ტუტუცი უნდა ყოფილიყო ის ვიღაცა ოხერი ნოქარი იყო,  
რომ ასე არ მოქცეულიყო. მეც რომ ვყოფილიყავი იმის ად-  
გილას, მეც ასე მოვიქცევოდი. ეხლა ველარავინ მიზამს მაგის-  
თანა ოინებს“. აი სწორედ ამ გარემოებამ აკისრებინა ყაზა-  
რას დაენიშნა ლევანა უფროს ნოქრად და ჩაებარებინა მის-  
თეის ზოგიერთი სავაჭრო საქმეები. „ლევანას ყოველთვის ვუპო-  
ვნი ქონების, და სრულიად ავინაზღაურებ ჩემსას, თუ იმანაც  
გაბედა რამე“—ო,—ამბობდა ხოლმე თავისთვის ყაზარ ყარამა-  
ნიჩი.

თივე-ქერის სყიდვაში და ჩაბარებაში; საკლავისა, სასმე-  
ლებისა და სხვა სანოვაგეთა სყიდვა-გაყიდვაში უმთავრესი ღვაწ-  
ლი ლევანის მიუძღვოდა. ყაზარ ყარამანის ბევრი შრომა არა  
სჭირდებოდა, რადგანაც ლევანი მისს მარჯვენად გარდაიქცა.  
აი როგორ აქებდა ლევანის თავის მეგობრებთან: „ეგ ძუძუ  
დალოცვილის შვილი, სწორედ ოქროა, ოქრო! ხელ-ფეხიდან  
ცეცხლი გასდის, როცა საქმეზე დგას; სასიამოვნო საყურებე-  
ლია, როცა ისა ვაჭრობს; სომეხი რომ იყოს, თავის დღეში  
არ მოვიშორებდი,—უთუოდ დავისიძეებდი, ისე მომწონს. ეგ  
მამას ბევრით გადააჭარბებს და თავის დროზე დიდ ფულსაც  
იშოვნის. კაცს ჰუნარი მაღლე შეეტყობა. მამასთან შედარებით,  
ეგ თუნდა ათი ზომით მეტია“.

კხოვრების ნიჭისა და უნარის გარდა გეგენამ გადასცა  
თავისს შეიღს თვალ-ტანადობა და ვაჟ-კაცური სიკეკლუცე.

ლევანი 23 წლისა იყო, როცა მას პირველიდ გაუმშვილი  
გული სიყვარულმა, და თვითონაც გახდა სიყვარულის საგანი.  
მისი სურათი, დახლოებით, ასეთი იყო. იგი იყო შუატანი-  
სა, მაგრამ ტანის ნაზი მოყვანილობა უფრო მაღალ ტანისად  
აჩენდა. ტანის მოყვანილობის ბრალი იყო ისა, რომ, რა ნა-  
ირი ტანისამოსიც უნდა ჩაეცა, ძრიელ უხდებოდა. ხშირად



კი უფრო ეცვა: ეეროპიულად გამოჭრილი შალვარი, მოკლე ახალუხი ვერცხლის ქამრით და ზემოდან საზაფხულო პალტო.— ამ ნაიჩად ჩატა თითქმის მოდად შემოვიდა მოვაჭრეებში.— ქუდს—კორტუზს—თუ მაღაზიიდან სადმე წავიდოდა, მაშინ იხურავდა; სხვა დროს უქუდოდ დალიოდა, რადგანაც შავი ხუჭუჭი თმა ისე ჰქონდა დაყენებული, რომ ქუდა, თუ სილაზათეს არ უკარგავდა, არაფერს უმატებდა. თეთრ-წითელ პირის სახეს უმკობდნენ და უმშვენებდნენ: მოკლედ დაყენებული, შავი ხუჭუჭი წვერი, კოკობი შავი ულვაშები, ზომიერი ცხვირი, ყოველთვის მოცინარი, მსხვილი შავი თვალები, ასეთივე წარბები, დაბალი და განიერი შუბლი, თეთრი, მძივებივით მოსსმული კბილები და წმინდა ვარდის-ფერი ტუჩები. მისი სილამაზის გულ-გრილად ცქერა მაღალი წოდების ქალებსაც კი ეძნელებოდათ.

სრულ სილამაზის ჰასაქში იყო ლევანი 23 წლისა, როცა  
ყაზარ ყარამანიჩი თავისი ცოლ-შვილით მოვიდა იმ პოლკის  
საბანაკოში, საღაც მიკიტნად და მოიჯარადრედ იყო. აქ გაა-  
ტარა მთელი ზაფხული თავისი ცოლ-შვილით. ერთხელ, რო-  
ცა ლევანი მოვიდა ყაზარ ყარამანიჩთან საქმის გამო, იმანა და  
სატინიკამ ინახულეს ერთმანეთი.

სატინიკას წინადვე ჰქონდა შესმენილი ლევანას მომხიბ-ლავი სილამაზე. ერთხელ თავისი ყურით ისიც გაიგონა, რო-გორ აქებდა ყაზარ ყარამანიჩი ლევანას თავის მევობრებთან. ყური მოჰკრა იმ სიტყვებსაც — „სომები რომ იყოს, უთუოდ დავისიძევებდიო“. ამისთვის დიდი ხნიდან ჰქონდა მას აღძრუ-ლი სურვილი ლევანას ნახვისა. გაიგო თუ არა მისი მოსვლა, მაშინვე გავარდა მამის ოთახში; ვითომ-და საქმე რამ ჰქონდა და ხან რას მიატანა ხელი, ხან რას. კარებში ფეხის გადადგმის უმალვე სატინიკამა და ლევანამ ერთმანეთს შექმედეს და თვა-ლი თვალში გაიყარეს. პირველმა სატინიკამა ჩაღუნა თავი და დაიწყო ფუსფუსი, ვითომ-და ეძებდა რასმე. ამ ფუსფუსში ქვეშ-ქვეშ გაქხედავდა ხოლმე ლევანას. ამ გვარი მოქმედება სატი-ნიკისა ყმაწვილური ცნობის მოყვარეობის შედეგი იყო და სრუ-

ლიად არ მიეგვანებოდა ჰასაკში მოსული ქალის სურვილს საქ-  
მროს გასინჯვისას, თუმცა კი ამის შემდეგ მას ცოტა სხვა ნა-  
ირად აუტოკიდა გული. რაღაცას, მისთვის გაუგებარსა და  
მიუწოდებელს ითხოვდა მისგან გული; ამასთანავე უნდოდა,  
რომ ლევანი ყოველთვის იმასთან ყოფილიყო. უფრო გარკვე-  
ვით და ცხოვლად აღეძრნენ გრძნობანი ლევანას სატინიკას  
პირველსავე ნახვით: ამ დღის შემდეგ მათი შეხვედრა და ერთ-  
მანეთის ნახვა სასურველი და სანატრელი გახდა მათვეის. თი-  
თქოს ბედსაც ებრალებოდა იგინი და ყაზარ ყარამანის უჩენდა  
ისეთ საქმეებს, რის გამოც ხშირად იბარებდა ლევანას თავის-  
თან სახლში. სატინიკაც არასოდეს არ გაუშვებდა ამისთან  
შემთხვევას ისე, რომ არ ესარგებლა მითი. გაიგებდა თუ არა  
ლევანას მოსვლას, გავარდებოდა მამის ოთახში, დაიწყებდა  
თავისებურად ტყუილ-უბრალო ფუსფუსს და უცქეროდა ქვეშ-  
ქვეშ ლევანას. ხანდისხან ისე დააშტრერდებოდა ხოლმე, რომ  
თითქოს თვალით უნდა შექმოსო. ყაზარ ყარამანის შენიშ-  
ნავდა ხოლმე თავისი ქალის ცულლუტობას, მაგრამ ჯეროვან  
ყურადღებას არ აქცევდა მისს ამგვარ მოქმედებას, რადგანაც  
იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო — ისევ მოკლე კაბას ატარებდა.  
ამისთვის იმან შეისმინა ქალის თხოვნა და მეორე ზაფხულშიაც  
აქვე მოიყვანა თავისი ცოლ-შვილი ტფილისიდან.

თუმცა ყაზარ ყარამანის ვაჭრობა და აღებ-მიცემობა სან-  
ინდანის მაზრაში ჰქონდა და აღარც შვილები ჰყენდა გამო-  
საზრდელი, მაგრამ რაკი თვითონაც და მისი ცო-შვილიც მი-  
ეწვივნენ ტფილისში ცხოვრებას, ზამთარს აქ ატარებდნენ, ზა-  
ფხულობით კი სააგარაკოდ გაპყვანდა.

### xxiii

#### მოშლა ჭეთილ-განწყობილებისა

მეორე ზაფხულს გულის ფარცქალით ინახულეს ლევანა-  
მა და სატინიკამ ერთმანეთი ისევ იმ გარემოებათა და საშუა-



ლეგბათა დახმარებით, როგორც წინა ზაფხულს. ცვლილება მათში უფრო სატინიკას ეტყობოდა. იგი ცვლილება მდგომარეობდა მასში, რომ მოკლე კაბის მავივრად გრძელი კაბა ჩაეცვა, სახეზედაც ფიქრისა და ოცნებათა ბეჭედი აჯდა. არც ახლანდელ ცულლუტობას ედო წინანდებური, ბავშვური ფერი.

ლევანის ნახევის შემდეგ გულის მოთხოვნილება და ჩიჩინი თან-და-თან უცხოველდებოდა, ერკვეოდა სატინიკას და ბოლოს გარდაიქცა იმ გრძნობად, რომელსაც სიყვარული ჰქვიან. სიყვარულის გრძნობამ სრულიად დაპფარა ყოველი სხვა გრძნობანი და ბუნებითი მიღრეკილებანი მისი. წინანდებურიდ აღარ ცელქობდა, აღარც მხიარულებდა, აღარცა სჭამდა და აღარცა სვამდა. იმას აპურებდა და წყურვილს უკლავდა ლევანაზე ფიქრი და ნატვრა მისი ნახვისა. ცვლილება სატინიკაში არ დარჩა შეუმჩნეველი დედმამისაგან, მხოლოდ მის მიზეზად ჩასთვალეს ავადმყოფობა. მოიწვიეს ექიმი, რომელმაც, მის ძმასთან, — ექიმთან ერთად გასინჯა სატინიკა, ძარღვების სისუსტე დასწამა და გამოუწერა რკინის აბები. აბებმა ვერაფერი უშეველა სატინიკას, მხოლოდ ის კი ყველამ შენიშნა, რომ ამ უკანასკნელ დროს მამა უფრო შეიყვარა: სულ ყელზე ეხვეოდა და ეალერსებოდა.

ყაზარ ყარამანიჩის სიტყვებმა: „სომეხი რომ იყოს ლევანა, დავისიძეებდიო“, სხვა-და-სხვა ზეღმოქმედება და გავლენა იქონია სატინიკასა და ლევანის ფიქრთა მსვლელობაზე მათის მომავალის შესახებ. სატინიკას ეს სიტყვები არ იშინებდნენ, — პირიქით, ანუგეშებდნენ და იმედს უცხოველებდნენ ლევანას შერთვაზე. იგი ასე ფიქრობდა: მამაჩემი მარტო იმითი სწუნობს ლევანის, რომ სომეხი არ არის, სჩანს, სხვა-ფრივ ლირის ყოფილია მამიჩემის სიძობისა, — მე ხომ მიყვარს და მიყვარს. სომეხში და ქართველში რა ისეთი დიდი გარჩევა და დამაბრკოლებელი მიზეზი უნდა იყოს, რომ მამიჩემის ჩემდამო სიყვარულს გადააქარბოს და ჩემი სურვილი არ შეასრულოს მამაჩემმათ, მაშასადამეო, დასკვნიდა ხოლმე იგი,

ადრე იქნება, თუ გვიან ლევანა ჩემიაო. ასე იყო დარწმუნებული სატინიკა და როგორც ეს ჩტენა, აგრეთვე გაუმაძლა-რი სურვილი ლევანასთან ყოფნისა და ცქერისა, ბედნიერად აგრძნობინებლენ თავს. მართალია, ხანდისხან გაუვლიდა ხოლმე მას გულში ეჭვი, მაგრამ მაშინაც ასე ანუგეშებდა თავს: მე ხომ აღარ ვიცოცხლებ, თუ ლევანა ჩემი არ გახდება — მეც არ ვიცი რად მიყვარს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ უიმისოდ ჩემი სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჩაითვლება და არც ვიცოცხლებ თავს. ეს როგორ დაიჯერო, რომ მამაჩემი გასწირავს ჩემს სიცოცხლეს და ლევანას შერთვაზე უარის თქმას გამიბე-დავს.

ყაზარას სიტყვებმა ლევანას ყურამდისაც მიაღწია, ამის-თვის იგი უიმედოდ სთვლიდა თავისს სიყვარულს და ცდილობ-და არ ეფიქრა სატინიკაზედ. ამისდა მიუხედავად ლევანასაც ძრიელ გულში ჩაუვარდა იგი პირველსავე ნახვის შემდეგ და მისი სახე ყოველთვის თვალწინ ედგა. თუნდაც რომ სრული-ად არ ეფიქრა ლევანას სატინიკაზე, მაინც სახე მისი დაუპა-ტიჟებლივ ყოველთვის თვალწინ ეხატებოდა.

ლევანასა და სატინიკას ჯერ პირის-პირ ერთმანეთისათვის ხმა არ გაეცათ, მაგრამ ნახვის დროს თვალებით კი ბევრს ეუბ-ნებოდნენ ერთმანეთს; ბოლოს ჩუმი მიწერ-მოწერაც გამარ-თეს.

თუ რა ნებიერი და გათამამებული იყო სატინიკა მამას-თან, სჩანს იმ საუბრიდან, რომელიც გამართა მასთან ერთ სა-ლამოს, როცა მთელი სახლობა ყაზარ ყარამანიჩისა დაბრუნდა სააგარაკო ადგილიდან ტფილისში საზამთროდ. აი თვით საუ-ბარი:

— მამა-ჯან, ქართველები სხვა რჯულისანი (სარწმუნო-ებისა) არიან?

— მაშ არ იცოდი აქამდის!

— განა იმათ კი არა სწამთ ლმერთი და პირჯეარს არ იწერენ?

— როგორ არა, სწამთ, მაგრამ ისე მტკიცედ არა, როგორც ჩვენ — სომხებს. სატინიკას ყურებს ბევრჯერ ჰქონდათ გაგონილი მამის ამ გვარი სიტყვები: „ის რა კაცი უნდა იყოს, ვისაც ღმერთი არა სწამს და პირჯვარს არ იშერსო!“ ყაზარ ყარამინიჩი ყოველ ეჭვს გარეშე მტკიცე მორწმუნედ სთვლიდა თავის თავს. ქალის თვალშიაც ისე იხატებოდა იკი და მისი ფიქრით საქმროს სარწმუნოებას დიდი გავლენა ექნებოდა მის გათხოვებაში.

— მაშ არ შეიძლება, რომ სომეხმა ქართველი შეირთოს? — ჰქონთხა ისევ სატინიკაშ.

ყაზარას როგორლაც ეუპირულა ეს კითხვა ქალისა. წარბები შეიჭმუხნა და, ცოტა არ იყოს, მრისხანე კილოთი ჰქონთხა:

— რა იყო რომ?

— ისე გკიოხე, მე მინდა ვიცოდე, შეიძლება, თუ არა?

— შაძლებით კი შაიძლება, მაგრამ იშვიათად კი მისთხოვდება სომეხი ქალი ქართველს; არც სომეხი გაპედავს ქართველი ქალის შერთვას.

— თუკი ღმერთი სწამთ ქართველებს და პირჯვარს იშერენ, მაშ რაღათ უნდა დაერიდნენ სომხები?

— საქმე ის ხომ არ არის მარტო, რომ ღმერთი სწამთ! — უთხრა მამამ შეტევით.

— მაშ, პირჯვარს რომ არ იშერენ ჩვენებურად?

— არც პირჯვარს იშერენ ჩვენებურად, და გარდა ამისა ქართველს ცხოვრების შენ და ყადრი არა აქვს; ქართველის ხელში ჩივარდნილი სომეხი, ქალი იქნება თუ კაცი, უთოვოდ უბედური იქნება — აი რაშია საქმე.

— რა ვქნა, მე გამიკონია, რომ ბევრს ქართველსა ჰყავს სომხის ქალებიო?

— ჰკვათა მყოფელი სომეხი-ქალი ქართველს არ ჩაუვარდება ხელში. თუ სულელები მისთხოვდებიან ხოლმე ქართველებს, ამაზე ყოველი ჰკვიანი სომეხი უმაღლის ქართველებს,

რომ სულელებს თავიდან გვაშორებენ. ამა ეხლა მამიშვილის შეილი მისახოვდება ქართველს? ან გულში კი გაივლებს?!

მამის უკანასკნელმა სიტყვებმა სატინიკას რამდენსამე წუთს სუნთქვა შეპარებული იყო. ბოლოს მოიკრიფა ძალი და ღონე და უფრო გაბედულად მიშმართა მას:

— იქნება მარტო ზოგიერთი ქართველი იყოს იმისთანა, რომელსაც არა ჰქონდეს შაო და ყადრი ცხოვრებისა? რამდენი იქნება და არის კიდეც ისეთი ქართველი, რომელიც სომებს არაფრით ჩამოუვარდება? რამდენჯერ გამიგონია შენგან ჩვენი ლევანის ქება, ისიც ხომ ქართველია?!

ყაზარას ჭირის ოფლმა დასხა „ჩეენი ლევანა“-ს ხსენებაზე. იგი ლაპარაკის დასაწყისშივე მიჰხვდა სატინიკას განზრისას. ლაპარაკის აკრძალვით ამ საგანზე მას არ უნდოდა გაეწილებინა თვისი ნებიერად გაზრდილი და საყვარელი ქალი; უნდოდა ლაპარაკში როგორმე მოეჭრა მისთვის კბილი: დაერწმუნებინა, რომ მისი განზრახვა ბავშური ოცნება იყო და ამ გვარად გაეჩუმებინა, მაგრამ ეკრ მოახერხა ეს.

— ჩემი „პრიკაზჩიკი“ ლევანი, მართალია, მიქია წინად, მაგრამ ეხლა იმაშიაც ბევრი რამ შეენიშნე ცუდი: ქართველური ჭკვის სისუსტე და სისუმბუქე ისე არავის ეტყობა, როგორც იმას.

— მამა-ჯან, მაგას ნუ ამბობ ლევანაზე, მე ლევანა მიყვარს! — და ამ სიტყვებთან ერთად მოექნა ყელზე, როგორც წინადაც ბევრჯერ შვრებოდა იმას.

ქალისადმი ზიზლით აღსაესემ ყაზარ ყარამანიჩმა ინსტიქტურად ხელები გაიქნია ისე ღონივრად, რომ სატინიკას იატაკზედ ტყაპანი მოსხერა.

ყაზარა ჯერ შეკრთა და შეეშინდა თავისი მოქმედებისა, ცოტაოლნად გახეტდა კიდეც, აღარ იცოდა რა ექმნა. როცა მოვიდა გონს და დაინახა, რა მოჰხდა მის გარშემო, შეწუხდა, მცა ქალს, წამოაყენა იატაკიდან, მიიკრა გულზე და დაუწყო



ალერსი და კოცნა, თუმცა არც ერთსა და არც მეორეჯს სამართლების შემდეგ, ისევ ცივი მოალერსებით დაუწყო:

— აბა, სატინიკუ-ჯან, ეგ რა გიფიქრია! რა კევაში მოსახელელია მამი-შენის შვილისაგან ის, რაც შენ პირიდან დასთკვი? ვინ შენ და ვინ ქართველი ლე...ვანა! მე შენ განა ტუტუცი ქართველისათვის გამიზღიბარი? მე შენ ისეთი ქმარი უნდა შაგრთო, რომ ოქროსა და თვალ-მარგალიტში ჩაგსეას და აბა კეეგნას ბიჭს ვინ რა მიაქვავა! იქნება შენ იმისი ორი სკინტლიანი დუქანი და ერთი ბეჭო ქოხი დიდი რამ განძი გგონია?

— მამა-ჯან, მე არც იმისი, და არც სხეის ოქრო თვალ-მარგალიტი არ მინდა. მე მამშონს ლევანა, მიყვარს სულითა და გულითა, როგორც შენ მიყვარხარ; მინდა, რომ ისიც ჩემი იყოს, როგორც შენ ჩემი ხარ. ყოველ ამას ისე ამბობდა სატინიკა, რომ გულს თან ატანდა, — ქვითინით სულს ძლივს იბრუნებდა.

ყაზარამ იმის მეტი ველარაფერი იხერხა, რომ სთხოვა: ოღონდ დამშვიდდიო და ვინც შენი ნება იქნება, იმას მიგათხოვებო. ამ სიტყვების შემდეგ მამას კიდევ ყელზე მოეხვია და დაუწყო გულ-უხვი კოცნა. მხოლოდ მისს აღელვებას სრულიად ბოლო მოუღო ძილმა, რომელსაც მიყცა, რა წამსაც მამას მოჰშორდა და დედის ოთახში გავიდა.

მეორე დღეს სატინიკა თავისებურად მხიარულად შევიდა მამასთან, ხოლო მამამ ჩვეულებრივი მომლიშარი სახისა, რომ ლითაც ეჩვენებოდა ხოლმე ყოველთვის მარტოდ-მარტო სატინიკას, და ალერსიანი სიტყვების მავიკრად, შებლ შეკრულმა და წირბებ-შეკმუხვნილმა, მიახალა პირში:

— არა, ის რა სისულელე ჩაიდინე გუშინ!.. განა იმის-თვის გაგზარდე ემაგრე სათუთად, იმისთვის გარჩევდი ცოლ-შიაცა და სხვა შვილებშიაც, რომ შენ უმადურობითა და შეურაცხყოფით გადაგეხადნა ჩემთვის! შეურაცხყოფაზე მეტია, — სიკვდილია ჩემთვის ის, რაც შენ გულში გაგივლია. ვინ მე,

ვინ გეგენას ბიჭი! რა იმისი ტოლი და ბადალი ვარ მე, რომ  
იმას ქალი მიესცე! ჩემ მოჯამავირეს ქალი მიესცე და ისიც  
ქართველს?! ვინ რას მეტყვის? პირში არ ჩამაფუროთხებენ?  
არა, რატომ ცოტათი მაინც არ დაჰტიქრდი, რას მეუბნე-  
ბოდი! ჰო, კარგი, გულში გაიელე მაგისთანა სულელური ფიქ-  
რი, პირად როგორ გაჰქდედე ჩემთან მაგისი თქმა! შენ იცი, რომ  
ბიაბრობა და უპატიურება მამაყენე მაგითი? — შენ მაგითი ჩემს  
მშობლიურს სიყვარულს წიხლი ჰყარი! თუ შენ უჭიკუო ხარ  
და ჯერ არაფერი გეშმის, ყაზარ ყარამანიჩი უჭიკუო არ  
არის! საცა აქამდის მოუყვანია საქმე, ამას იქითაც ჭირას არ  
წააგებს!

სატინიკა მამის დაპირებით დაიმედებული და გამხნევებული იყო და სრულიად მოულოდნელი და თავ-ზარ დამცემი სიტყვები კი ესმოდა ეხლა მისი პირიდან. იგი, თითქოს გაქვა-ვდა ერთ ადგილას, უძრავად იდგა და ისმენდა გულის აშუო-თებით მამის სასტიკ განაჩენს. ბევრი იმაგრა თავი, მავრამ გუ-ლის აჩქარებულმა ძეგრამ იმდენი სისხლი მიაწოდა მისს თავს, რომ მთლად გააბრუა იგი; ველარ შეიმაგრა თავი, დაეცა ია-ტაჟზე და წაუვიდა გული. სახელის შეუბლალაობის სურვილმა ყაზარაში მამობრიულ გრძნობას გადააჭარბა. თითქოს აქ არა-ფერი ამბავი არ მომხდარა, ყაზარამ დაუქახა თავისს ცოლს, მიუთითა სატინიკაზე და უთხრა: „შენს ქალს მიპარეთ“. ცო-ლი სახტად და გაოცებული დარჩა ამ სანახაობით. დედამ, რო-გორც იყო, მოსამსახურების დახმარებით მოაბრუნა გულ-წა-სული სატინიკა და გაიყვანა თავისს ოთახში. მავრამ ამის შე-მდეგ ერთი კვირა ლოგინში იწვა. ამ დროს განმავლობაში ერთხელაც არ შესულა მასთან მამა სანახავად. სატინიკა ამ გარემოებამ ნათლად დაარწმუნა, რომ მამასა და მას შორის ყოველივე კეთილი განწყობილება და ტკბილი მამა-შეიღური დამოკიდებულება მოისპო.

**xix****სამი ბურჯი ერთგნებისა**

ადგა თუ არა სატინიკა ლოგინილან, მაშინვე ძმებისაკენ გაემგზავრა, რათა განეზრახებინა მათთვის თაეისი მწუხარება და ცოტაოდენი შვება მიეღო.

ყაზარ ყარამანიჩის ვაჟიშვილებმა ამავი არ გაუცრუეს. სამიერ სამაგალითოდ შეისრულეს სწავლა უშალლებელში. ერთი ექიმი გამოვიდა, მეორე—ინჟინერი, მესამე—ადგომატი. მანამ ისინი სწავლობდნენ, ყაზარა უმზადებდა ყველა მათგანს ცალკ-ცალკე სახლებს თავისი მოწყობილობით. ათავებდნენ თუ არა სწავლას, მამის სურვილისამებრ ირთავდნენ ცოლად მისგანვე არჩეულ ქალებს და ეძლეოდნენ ნეტარ ცხოვრებას; თანაც თავიანთი მეცადინეობით უმატებდნენ და ადიდებდნენ მამისაგან გადაცემულ ქონებას. მხოლოდ ის კი უნდა ითქვას მათ სასახელოდ, რომ ბეერჯერ უანგარო და უსასყიდლო იყო იმათი მოქმედება მოყვასის დასახმარებლად. ბევრს დაჩაგრულს და საწყალ სომებს გაუწიეს პატრიოტიზმა და გაუშრეს თვალზე ცრემლი.

საზოგადოდ სამიერ ვაჟიშვილი ყაზარასი პატრიოტული გრძნობით იყენენ გამსჭვალულნი და ყოველთვის მზად იყენენ თავი ვაეწირათ თვისი მოძმისა და ეროვნების გულისათვის. პირველად ამ სამთა ძმათ ალძრეს ლაპარაკი თვის მოძმეთა შორის შემდეგ საგნებზე: შეამცირონ რიცხვი, ანუ სრულიად გააძეონ სამოქალაქო მმართველობილან ქართველები; გააძეონ ტფილისილან ქართველი რაჭელი მუშა ხალხი და მათ მაგიერად გადმორეკონ განჯა-ერევან-ყარაბაღიდან სომხები; შეძლებისადა გვარად გაპხალონ მოვალედ ყოველი სომები საქართველოში მცხოვრებელი, რომ ქართული ენის მაგივრად სალაპა-

რაკო ენად სომხური ენა იხმარონ, გაავრცელონ მდაბიო ხალხში  
ში ის აზრი, რომ სრულიად სომხეთის კათალიკოზის სასულიე-  
რო უფლებასთან ერთად უმაღლესი ხელმწიფის უფლებაცა  
აქვს სომხობისათვის და უნდა სთვლილენ არა მარტო კათა-  
ლიკოზად, არამედ თვის ხელშიფედაც. ხოლო თვით კათალი-  
კოზს დაახლოვებული და პატივცემული კაცების პირით სთხო-  
ვონ, რომ ხშირად იმოგზაუროს სომხეთში, რათა იქონიოს  
ხალხზე გამამხნევებელი გავლენა ეროვნების აღორძინებისათვის.  
ესეც არ იკმარეს, ისინი გახდნენ თანაზიარნი იმ საიდუმლო  
საქმისა და ზრუნვისა ეროვნების წარმატებისათვის, რომელიც  
იყო დაწყებული ვაჟარშაპატის მონასტრის კედლებზე. ამ  
სამთა ძმათ ძრიელ ჩქარა მოიპოვეს აგენტები, რომელთაც  
აძლევდნენ ყალბ ფულებს და ჰეზავნილენ სხვა-და-სხვა კუ-  
თხეში გასასაღებლად. უნდა ევაჭრათ სოფლის ნაწარმოები და  
პირუტყვი საქონელი. გასაღებულ ყალბ ფულში აღებული  
ნამდვილი ფულიდან ნახევარი უნდა ეგზავნათ ექიმიანიში, ნა-  
ხევარი თავის სასარგებლოდ აეღოთ. მხოლოდ ამ ფულებითაც  
უჰქველად უნდა აეშენებინათ ქ. ტფალისში სახლები და მოე-  
პოვებინათ შამულები. ძრიელ ხერხიანად და ოსტატურად იქ-  
ცყოდნენ ძმანი არარატიანები. დაუცხრომელი და ხერხიანი  
მოქმედებისათვის ამ ეროვნულ საქმეში მათ დაიმსახურეს წო-  
დება: „სამი ბურჯი ეროვნებისა“. ხმა ისე იყო, რომ ვითომი  
თვით უწმ. კათალიკოსმა დალოცა და უწოდა ასე ყაზარას  
შვილებს. ეკვი არ არის, რომ აქამდისაც უვნებლად დარჩებო-  
და ეს ეროვნული საქმე, მარტო ამ „სამ ბურჯზე“ რომ ყო-  
ფილიყო დამყარებული და ხარბ ბერებს სხვებიც არ ჩაეზიარე-  
ბინათ თავიანთ საიდუმლოში.

რა ყოფაში ჩავარდა ემიაძინის ხაზინა, რასაკვირველია, ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა, ხოლო ის კი არავისთვის არის საიდუმლო, რომ ტფილისში სახლები სოკოსავით გამრავლდნენ მას აქეთ, რაც ეროვნული საქმე გაწყდა იქ, სადაც წვრილი გამოდგა. „სამმა ბურჯმაც“, რომლებზედაც გჭვიც კი ვერ



მიიტანეს, წამოჭიმეს მშევნიერი სასახლეები ტფილისის უცხოურებელი თესლი ქუჩეზედ.

თუ რა უსამაღლვრო პატრიოტული გრძნობით იყვნენ შებოჭვილი ძმანი არარატიანები, იქიდან სჩანს, რომ ისტორიულ ფაქტებსაც კი ამასინჯებლნენ. ახალ თაობაში, რომელსაც არა ჰქონდა სამშობლო ისტორია შესწავლილი და არც ხელი და ღირსი ჰქონდა ამისთვის, აერცელებლნენ იმ აზრს, რომ ქალაქი ტფილისი ძეველად სომხეთის სატახტო ქალაქი იყო. ამასვე ეუბნებოდნენ უცხოელ სახელმწიფოდან მოსულ პირთ, რომელთაც არც სომხეთისა და საქართველოს ისტორია იცოდნენ, და არც მის შესასწავლად მოსულიყვნენ. იმათვე უსახელებლნენ სომხებად ყოველ ლამაზი სახის კაცია და ქალს, თუნდაც ქართველები ყოფილიყვნენ იგინი, ხოლო ქართველებად—ყოველს უსახის, დიდ ცხვირასა და უშნოს, თუნდაც სომეხი ყოფილიყო. მამის ტანისამასზე,—ყოველთვის ქართულ კაბას და ყოშებიან ახალუხს იცვამდა ყაზარა, —ეუბნებოდნენ ყველას, რომ სომხური ნაციონალური ტანისამოსი არისო.

როცა ძმებს სათითაოდ განუზიარა სატინიკა თავისი ტან-ჯვა ლევანას სიყვარულით გამოწვეული და მამისაგან გაქელვა და შეურაცხყოფა მმ სიყვარულისა, ძმებმა შვების მაგივრად მის გყლში აღზნებულ კოცონს ნავთი დაასხეს. ყველა ძმების პასუხი რომ შევაფარდოთ და შევაერთოთ, დაახლოვებით ასეთი იყო: სატინიკ-ჯვან, შენ სულობით არა ჰგევხარ ჩენი დედ-მამის შვილებს. რა კევაში მოსახელელი იყო მაგისთანა შემ-ცდარი და შეუფერებელი აზრი. მამა-ჩენის შენთვის მისაცემად სამი ათასი თუმანი ნალდი აქვს ვაღადებული, მზითევსა და ნივთეულობას გარდა. ჩენ ცალკე ვამზადებთ შენთვის ამო-დენა ნივთეულობას და რაგინდარებს,—ასე რომ ხუთი ათასი თუმნის ქრთამ-შზითვეი შეგიღგება; აბა რას გეტვის შენი კევა და ფიქრი, რომ ამოდენა ქონება სომხიდან ქართველის ხელში გადავიდეს. განა სომხებში საქმროებს ვერ ამოგირჩევთ. ქართველებზე ხომ არ ჩამოწყვეტილა სალამი, რომ ვიღაცა ქართველი და ისიც მამიშენის მოჯამაგირე ამოგირჩევია საქმ-

როდ. რა მოსასვლელი იყო მაგისთანა ფიქრი მამიჩვენის შეუძლებელის თავში. იმდენი არ ვესმოდა, რომ მამას განაწყენებდი მაგითი? ჩვენ ვაუები ვიყავით, განათლება მივიღეთ, მამაჩვენზე ბევრიც ვესმის და ვიცით კიდევაც, მაგრამ ჩვენც არ წავედით იმისი სურვილის წინააღმდეგ; ან რა წავაგეთ, პირ-იქით, ბევრიც მოვიგეთ იმითი, რომ ცოლებად შევირთეთ ისინი, ვინც მამაჩვენმა დაგვისახელი. შენი ქრთამ-მზითვით შეგვიძლიან ერთი ღარიბი და შეუძლებელი სომეხი ფეხზე წამოვაყენოთ და შეძლებისა და ქონების პატრონად გაეხადოთ; და თუ მქონიარე სომეხს მიემატება, ხომ უფრო წინ წასწევს ჩევნსავე სისხლხორცს. შენ კი გაგიფიქრია ქართველის ხელში ჩააგდო მაგოდენა სიმდიდრე. აბა სადაური ჭკვა გიჭრის მაგას. ეგ სომხური ჭკუა არ არის. მამაჩვენს ჯერ ჭკუა არაფერში წაუგია და არც შენ საქმროს ამორჩვაში წააგებს; იქნება კიდეც ჭკვანდეს ამორჩეული. თუ არა და ჩვენ ვინ დაგვერიდება. რამდენი კაი აღვოკატია, ექიმი, ინჟინერი, ანუ განთქმული მოვაჭრე სომეხი, რომელნიც სიხარულით დაგვიმოყვრდებიან. ქართველებს ისიც ხელიდან ეცლებათ და უნდა კიდეც გამოვაცალოთ, რაცა აქვთ. შენ პირიქით ცდილობ სომხის ქონება იმათ ქონებას მიუმატო. შენ შენი გულის ძერას კი ნუ ასდევ; შენი ანგარიში გასწიე, თუ რა ბოლო ექნება შენ დაწყობილ საქმეს. შენ გული ჭკვას დაუმორჩილე, თუ გინდა, რომ ყოველიფერი რიგიანად და შენს სასარგებლოდ მოეწყოს. ასეთი ნუგეში სცეს ძმებმა სატინიკას.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სატინიკა დაბრუნდა ძმებიდან სახლში, სადაც მას მოელოდა უფრო თავზარ დამცემი მამის რისხვა. იგი ჩვეულებისამებრ მარტოდ და მამის დაუკითხავად წავიდა ძმებთან, როცა დაბრუნდა შინ და ყაზარამ გაიგო ესა, შეუვარდა და დაუწყო ყვირილი: „სად ეგდე და სად ეთრივე აქამდის! ვის ჭვეშ, ან ვის ზედ იყავი? მიცნობ შენ, მე ვინა ვარ? თუ ერ მიცანი აქამდის, ახლა გამიცან! კარგად გაიგე, რომ ამას იქით ვეღარ მოვართვი ის თავისუფლება, რაც აქამდის გქონდა! რაც ბალი სჭამე აქამდის, ისიც გეცო-



ფა! ამას იქნეთ უჩემოდ ფეხის გადადგმა აღარსად გაბჭელი მოტაც  
აღარც იფიქრო იმაზე, რაც ჩემი სასიამოენო არ იქნება! მო-  
უჯერ დედაშენს მუხლის ძირის და აღარ მოშორდე მას!"

სატინიკამ უცვლელად აღასრულა მამის ბრძანება. მიუჯდა  
დედას მუხლის ძირს და აღარა შორდებოდა მას. მომეტებულ  
ნაწილად გულხელ დაკრებილი იჯდა და შეჰყურებდა დედას. თუმც კი ყველა შენიშნავდა, რომ თვალები დედისკენ ჰქონდა  
მიპყრობილი, ხოლო სხვაგან კი იყურებოდა. ხან მუხლებზე  
დაყრდნობილ ხელებზე დააბჯენდა შუბლს, დაპუჭავდა თვა-  
ლებს და წაეიდოდა დაუსრულებელ ფიქრებში. წარმოიდგენდა  
მრავალ-გვარად დაჩაგრულს ადამიანს, მიუამხანავებდა მას თა-  
ვის-თავს სრულიად უმიზეზოდ, გარეგნულის მხრით, დაიწყებ-  
და გულ-ამოსკვნით ტირილს. დედას, რომლის მდგომარეობას  
მამის ხელში უწინ ყურადღებას არ აქცევდა, ეხლა ჰბრალობდა  
და უფრო დაუახლოვდა. ჭამა-სმაზე სრულიად არა ჰყიქრობ-  
და ოვითონ, თუ დედა არ მოაკონებდა და ხეეწნა-მუდარებით  
არ შეაჭმევდა რასმე. თუ არავინ დაელაპარაკებოდა, ოვითონ  
ხმას არავის გასცემდა და მისი ლაპარაკიც კითხვებზე მიმარ-  
თული პასუხებიდან შესდგებოდა. ხშირმა ტირილმა და საზო-  
გადოდ ცხოვრების შეცვლამ შესცეალა ოვით სატინიკაც, რაც  
აღიბეჭდა მისს სახეზე და მოძრაობაზე. მისს სახეს დაედო  
შკრთალი, მოღრუბლული და მჭმუნვარებით მოცული ფერი.  
გახდა გულ-ჩათხრობილი და მეტის-მეტად მერქნობიარე.

სატინიკას არც ჰკითხა ყაზარამ: ჰსურდა, თუ არა მისგან  
ამორჩეული საქმრო. მაინც იგი უარის უაქმელად დაემორჩი-  
ლა თავისს ბედს. ამ ხანებში წლოვანება სატინიკასი ძლივს  
მიაღწევდა ოც წლამდის, მაგრამ მასი სუსტი და ნაზი იგებუ-  
ლება ტანისა, სიმკრთალე პირის სახისა, ყოველთვის დაფიქ-  
რიანებული და გარინდებული თვალები ისე იყიქრებინებდნენ  
ხალხს, რომ თითქოს იგი ჯერ არ იყო ჰასაკში მოსული და  
გათხოვება მისთვის რაღაცა თამაშობა იყო. ყველას ევონა,  
რომ ამისთანა ძალ-დატანებითი ქორწინებას კეთილი შედევი  
არ ექნებოდა, ცოლს არ ეყვარებოდა ქმარი, მაგრამ სულ სხვა

ნაირად წაეიდა საქმე. დანიშნულობის დროსვე შეიყვარა ნატინიკამ აღალო სულით და გულით. მხოლოდ ეს სიყვარული ბევრად განირჩეოდა იმ სიყვარულიდან, რომელიც ოდესალიც მიმართული იყო ლევანისადმი. მისს სიყვარულს აღალოსადმი უფრო მფარველობითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე მეგობრული; სინამდვილით რომ ითქვას. იგი შეეკვეთა აღალოს ისევე, როგორც წინად მამასა ჰყვანდა შეკვეთილი. ეს გარემოება მგონია იმით უნდა აიხსნას, რომ სატინიკას გული, მამასონ განხეთქილების შემდეგ, ვეღარავის ვერ მიენდო და შეეთვისა,— დარჩა მარტოდ. ახლა კი მიეკედლა აღალოს გულს, რადგანაც ეს უკანასკნელი ძრიელ შეეცადა და არა საშუალებას არა ჰქონავდა, ოღონდ კი მოეგო გული თავისი დანიშნულისა და არ გამხდარიყო იმათ გულისად, რომელნიც უწინასწარმეტყველებდნენ არა სანატრელს, უბედურ ბოლოს ცოლქმრობისას.

ქრთამად მიცემულ საში ათას თუმანს გარდა ყაზარამ სატინიკას ისეთი მზითევი გაატანა, რომლისთანაც არამცოთუ ჰქონდა ვისმე, გაგონითაც არავის გაეგონა. ფასად ათასი თუმანი ჰქონდა დადებული მზითევს, რადგანაც თვეოთ ყაზარას ამ ფასში ჰქონდა დარჩენილი გირაოში, ნამდვილი ფასი კი ბევრად გადააჭარბებდა ითას თუმანს. მარტო ქალის სამკაული იყო ფას-დაუდებელი. ნივთეულობას ის გარემოებაც უმატებდა ლირსებას, რომ სულ წარჩინებულ პირთაგან იყო გამოწერილი მოსკოვიდან ანუ საზღვარ-გარეთიდან. არც ქმრის ოჯახში დაჭხვდა სატინიკას ნაკლები ნივთეულობანი იმავე გზით მოპოვებული, რა გზითაც ყაზარამ მოიპოვა. ერთი სიტყვით, ფარჩა-ოქრო-ვერცხლ-თვალ-მარგალიტში ჩაჯდა სატინიკა, როგორც მამა უქადაღდა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება სინამდვილით ითქვას, რომ მას ახარებდა ეს აუარებელი სიმდიდრე, ან კმაყოფილი იყო იგი თავის ბედისა.— მამასთან განხეთქილების შემდეგ მისს პირი-სახეზე არავის უნახავს ისეთი ღიმილი, რომელიც ყოფილიყოს ამოსული სიხარულისა და ბედნიერების სხივით გაშუქებული და გამთბარი გულიდან.

## \*\*

## განსაკუთრებითი ნიჭი ფულის მოგებაში

წარმატებითი მატყლის ვაჭრობისათვის, რომელსაც აღა-  
 ლო შეუდგა ქორწინების შემდეგ, სრულიად საკმარისი იყო  
 „დაუღალავი შრომით“ მოგებული ფულები. ხოლო როცა ამ  
 თანხას მიემატა ცოლის ქრთამიც, თქმა აღარ უნდა, რომ იგი  
 ვაჭრობის საგანსაც გაადიდებდა და ვაჭრობის მოედანსაც გაა-  
 ფართოებდა; სწორედ ასეც მოიქცა. აღალომ ბრჭყალები ჩაჰ-  
 კიდა ეხლა იმ ადგილებსაც, სადაც არა ჰქონდა განზრახული  
 ევაჭრა უწინდელი თავისი თანხით. მოქმედება დაიწყო სამშობ-  
 ლო მაზრიდან და თან-და-თან გასწია განზე, ბოლოს გაეჩვია  
 თუ შებშიაც. მატყლს აღალო ნაპარსობით ჰყიდულობდა თველით,  
 თვითონ კი წონითა ჰყიდდა. ვაჭრობის დაწყებისათანავე ისე  
 ასწია მატყლის ყასი, რომ წვრილმანი მოვაჭრენი ვეღარ შეს-  
 წვდნენ, ჩამოეცალნენ და მთელი ვაჭრობა მატყლისა იმან ჩა-  
 იგდო ხელში; შემდეგ, როგორც უნდოდა, ისე ათამაშებდა  
 მატყლის პატრონებსაც და მაზანდასაც. ცხვრის პატრონებს  
 ფულს წინადევ ურიგებდათ და იკვეთავდა მატყლს, ასე რომ  
 არავის შეეძლო სხვაზე გაეყიდნა. აღალოს ფულებით, რო-  
 გორც ამბობდნენ, ქვეყანა იყო მორწყული. მატყლს იგი პირ-  
 და-პირ მარსელში ჰგავნიდა.

აღალო მარტო მატყლით ვაჭრობას და მისს დიდ მოგებას  
 როდი სჯერდებოდა; იმას ყოველ მხარეს თვალი ეჭირა, სად რა  
 აღმოჩნდებოდა ისეთი, რომლის შეძენით, ანუ შიყოლით სარგებ-  
 ლობას ჰნახავდა, თუნდაც იგი სარგებლობი დიდი არაფერი ყო-  
 ფილიყო. ყოველ ამასთან ერთი გასაკეირველი და არა ჩვეუ-  
 ლებრივი, არა ადამიანური, თუ ასე ითქმის, თვისება ჰქონდა  
 აღალოს. კატას კი ჰქონია, ამბობენ, ისეთი რაღაც ნაირი ძა-

ლა და თვისება, რომლითაც გველს, დაინახავს თუ არა, შეიძლოს რაობას უმონავებს და აშეშებს. აღალოს განსაკუთრებული, არა ადამიანური თვისებაც, თითქმის მიეგვანებოდა გველზე მომქმედ კატის თვისებას, მხოლოდ განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ შეამიან გველების მაგივრობას აღალოს ასეთი თვისების გამოსაჩენად უშემაკო და ავყია გლეხები ასრულებდნენ. იმდენი თმა არ მოეპოვებოდა აღალოს თავზე, რამდენიც ჩაუდენია ამ გვარი საქციელი:

საწყალს სოფლელს გლეხს შიმშილითა და სიტიტელით ცოლშვილი უწივის. მის ბედობაზე არაფერი მოიპოვება ორი-ოდე აბაზის მეტი. მიდის და ამასაც ტყის პატრონს აძლევს საბაჟოში. უდებს ურემს შეშას, უდებს კარგ შეშას და მძიმედ, რომ ეგება მომეტებული ფასი აიღოს; იმას კი აღარა ფიქრობს, ჩაუტანს ამ საპალნეს უდელი დაჯანდაგებული ხარი მახლობელ ქალაქში, თუ არა. „ჩავიტან ქალაქში,—ფიქრობს იგი,—სამ მანეთს როგორ არ მომცემენ, რა დაემართებათ, ასე კარგად უძევს! ცამეტი აბაზი ჩემი საწყალი ცოლშვილისათვის კაი კაკა არის“. გამოუდგება დილით ადრე გზას. ფერსო გაცემითი თვალი ურმისა თოვლით დაფარულ და გაყინულ გზაზე მოცურავს ბრუნვის მაგივრად, რის გამო ხარებს ნამდვილზე უფრო ემძიმებათ საპალნე, ხოლო პატრონი კი უტყაპუნებს სახ-რეს სიგამხდრისაგან მაღლა ამომსხდარ გვერდებში. სადღაა შეცოდება ხარებისა. თვითონ კი გრძნობს ხუთ-ექვსგან კარებ-შებმული ნიფხვიდან გრიალით შენადენ ქარს. იმ ტკბილი ფიქრისა და იმედის გამო, რომ სამ მანათს ჩაიდებს ჯიბეში და დროებით მაინც გამოიყვანს ცოლშვილს გაჭირვებიდან, დი-ლიდან მოკიდებული მოაჭრიალებს ქალაქისკენ ურემს. საღა-მოთი მოდის ქალაქში. ურემს ბაკში აყენებს. ხარებს კი ბო-სელში მიერეკება მაშინვე, რომ სიცივემ არ დაუდურალოს. მეორე დღეს დილა ადრიანად მებაკეს უტოვებს გირაოდ თა-ვის დაგლეჯილ ყაბალის ხარების შესანახში, ქალაქის ყარა-ულს სასაპონეს—საბაჟოში; მიაქვს გულის ფანცქალით ურემი ქალაქის მოედანზე. დაუფასა მუშტარს სამ მანეთად და ათ შა-



ურად. შეაძლივა ერთმა ორი მანეთი, მეორემ თერთმეტები პაზაზი, მესამემ გაუხადა თორმეტი აბაზი, მეოთხე ცამეტ აბაზზე-დაც ავიდა; შეშის პატრონს სიხარულით გული უფანცქალებს, რადგანაც ფასი თან და თან მატულობს და ძლიერ შორსაც აღარ არის განზრახული სამი მანეთიდან. გაჩნდება ამ დროს საიდანლაც აღალო.

— როგორ ეს შეშა, ბიჭო? — პატრონი შეშისა შეკრთება, ხმას არ იღებს. — უთხარ ფასი რაღ! რას გაჩუმებულხარ?

— ცამეტი აბაზი მაძლიეს, მაგრამ არ მივეცი.

— რას ამბობ, იქ ცამეტი ღერიც არ უძევს და ცამეტ აბაზს ვინ თხერი მოგცემს? ცხრა აბაზი გინდა? ესეც კი ბეჭ-რია, მაგრამ რა ვიყო, საწყალი კაცი ხარ. — პატრონი ხმას არ იღებს. — ჴა, რას გაჩუმებულხარ? — ეკითხება იღალო და თვითონვე გააბრუნებს ურემს თავის სახლისაკენ. პატრონი შეშისა ეტყვის:

— ცოდო ვარ, აღავ, ცამეტ აბაზად შენ მიირთვი.

— კარგი, ბევრს ნუ ყბედობ, გამორეკე ჩქარა, სალაპარაკოდ არა მცალიან! ერთ აბაზსაც გაჩუქებ, რაღვანაც საწყალი კაცი ხარ.

გლეხიც, თითქოს რაღაცა მანქანების ძალით, ემორჩილება და უარის უთქმელად მიაქვს იღალოსთან შეშა ორ მანეთაღ.

ანუ: მთელი გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა ერთი ფურის პატრონი თვითონაც იკლებს და ცოლშვილსაც იკლებს რძე-მაწონს, რომ მოაგროვოს რამდენიმე გირვანქა ერბო, გაყიდოს და მისი ნაფასურით საქმე მოიმჯობინოს. შეაგროვებს ასე ხუთმეტ გირვანქამდის ხალასად გადამდნარ ერბოს და ქილით წამოილებს ბაზარში გასახყიდად. შეაძლევს ერთი სამსა და ათ შაურს, მეორე ოთხ მანეთამდის აეა, მესამე აბაზს უმატებს, მაგრამ ერბოს პატრონი ხუთ მანათს ფეხს არ უცვლის. გაუხდიან ოთხსა და ათ შაურს, როცა გაჩნდება საიდანლაც აღალო.

— როგორ, ძმობილო, ეს ერბო?

— ოთხსა და ოთ შეურს მაძლევენ, მაგრამ ხუთ მანათ  
ნაკლებ არ ვაძლევ.

— წამოიღე ჩემთან, რაც მოგცე მე, უნ ყაბული გქონდეს.—პატრონი გაჰყენება უარის უთქმელად.

აღალო შეატანინებს შინ ერბოს, ასწონავს, იანგარიშებს გირვანქას ხუთ შაურობაზე, სამ მანეთსა და ხუთმეტ შაურს ჩაუყრის ერბოს ქილაში და აძლევს გლეხს.

— აღავ, ცოდო ვარ, ის მაინც მომეცი, რაც სხვებში ჩაძლიერდა.—ეუბნები გლეხი.

— ჯერ მე ძე-ხორციელ კაცს არ მოუტყუებინარ,— ეუბნება ალალო, — და შენისთანა წუწყისაგან უნდა მოვტყუედ! მაშინ რაღად მინდა თავი ცოცხალი? მე მოტყუება მეთაკილება შენისთანა კაცისაგან, თორემ ფულები კი არა მშურს, როცა შენ არ იცი ფასი შენი საქონლისა, ჩემისთანა კაცა თუ მოგცემს ლირებულ ფასსა, თორემ სხვა ვინ გაპედავს?

ამ სიტყვებთან მიუკეტავდა კარებს და ერბოს პატრონსაც  
შეტი რაღა დარჩენოდა, რომ არ გასდევომოდა თავის გზას.

ყველა გრძნობდა თავისზე აღალოს უჩვეულებრივ თვისების გავლენას და ცდილობდა, თუ რამ გასასყიდი ჰქონდა, ევლო ბაზარში ისე, რომ აღალოს არ შეხვედროდა, მაგრამ გზას ვერავინ უქცევდა. სოფლელნი ემორჩილებოდნენ აღალოს თვისების ზედ-მოქმედებას მაშინაც კი, როდესაც თვალითაც არა ჰქედავდნენ მას. როცა ვინმე შეაძლევდათ გასასყიდ რამეში ღირებულ ფასზე ნაკლებს, ამბობდნენ: მაგ ფასად ბარემ აღალოს მივუტანოთ; თუ გაუყიდეთ მეტად, ხომ რა კარგი, თუ არა და, წავულებთ აღალოს, იმისი უპრიანიაო. იგივე თვისება შველოდა აღალოს მატყლის ყიდვა-გაყიდვაში და სხვა გვარ ვაჭრობა-მოქმედებაშიაც. ფულების გასესხებაშიაც კი შველოდა იგი თვისება, თუნდა თვითონ არ ეთხოვნა, მაინც იმის ყოველოვის მეტ სარგებელს აძლევდნენ, ვიდრე სხვას.

## XXI

## სხალი დჩრგი გაჭრობისა

მატყულით ვიქრობაში აღალო დიდ მოგებას ჰქედავდა, მაგრამ, რადგანაც შორსა და სხვა-და-სხვა აღვილებში სჭირდებოდა სიარული, ცალკე მოპეზრდა, ცალკე ეშინოდა, არავის გამოეფაშვნა; ამასთანავე მეტოქებიც გამოუჩნდნენ; გული აიცრუა. საქმეს ვეღარ ეკიდებოდა ერთგულად. მხოლოდ კოტესეულ ზვრების კეთებას შეუდგა ერთგულად და მართლადაც საგანგებოდ აკეთებდა. კეთებისა დაგვარად მოსავალმაც იმატა ერთი-ათად, ვიდრე კოტეს ხელში. ბარაქიანი და მოუკლენარი შემოსავალი ჰქონდა აღალოს ოთხი თვალი მაღაზიდან, რომელნიც იმან დაინარჩუნა ტფილისში საჯარო ვაჭრობით. არა მცირედი შემოსავალი სანინღანის დუქნებიდანაც შემოდიოდა, მაგრამ ყოველი ესენი ვერ აკმაყოფილებდა მის მაღას ფულის მოპოვებისას და გამდიდრებისას. ფული ჰქონდა და ვერ კი ასარგებლებდა, მატყულით ვაჭრობისათვის რომ თავი დაენებებინა, აი რა აწუხებდა მას. გასესხება ფულისა „პატარა სარგებლით“ იმას სრულებით ჰყვაში არ მოსდიოდა, იგი ეძებდა ახალ საქმეს, ახალ წყაროს მომეტებულის შემოსავლისას. იგი წყაროც მისეან შორს არ იყო. ბედი სწყალობდა ყოველთვის აღალოს და იმავე ბედმა, რამდენისამე წლის წინად, წამოშობა ერთი სრულიად ახალი დარგი ვაჭრობა-მრეწველობისა, რომელსაც იმან მაგრად ჩასჭიდა ხელი.

მას შემდეგ, რაც აღალო და თავადი კოტე მორბედაძე განშორდნენ ერთმანეთს, უკანასკნელს ერთი ტრაპიზონელი ბერძენი ჩაუვარდა ხელში მოჯამაგირედ. ამ ბერძენმა თავისი მოსაზრებით გამოიკვლია და აღმოაჩინა, რომ კოტეს მამულების ნიადაგიც და ჰავაც ძრიელ ხელის შემწყობნი იყვნენ

თამბაქოს მოსაყვანად. ეს მოახსენა თავის ბატონს. ბატონშა ეჭვის თვალით შეჰედა ბერძნის გამოკვლევას და რჩევას თამბაქოს მოყვანაზე და მხოლოდ დაცინვით გათავდა ამ ხელად საჭმე. მაგრამ ბერძნი მოსვერებას არ აძლევდა ბატონს და, რომ მოეშორებინა თავიდან, მოუხვენევინა სამიოდე დღის მიწა და მისცა ნება თამბაქოს გაკეთებისა. ბერძნი ცდილობდა პირნათლად გამოსულიყო ბატონთან და თავისი აზრიც განეხორციელებინა, ამისთვის თავისი მხრით არაფერსა ჰქოვავდა, თითქმის წელებზე ფეხს იდგამდა და ბატონსაც მაგრე რიგად არ აწუხებდა. თამბაქო მოვიდა საუცხოვო. დაკრიფა, გაახმო და დაადასტავა. მართალია, ბატონი აძლევდა ამ შემთხვევაში შემწეობას, მაგრამ დარწმუნებული კი არ იყო იგი, რომ რაიმე სარგებლობა გამოვიდოდა აქიდან. გაიყიდა თამბაქო კაი ფასში. და კარგი ლირსებისაც აღმოჩნდა, როგორც მეფაბრიკეებმა შეამოწმეს. ამის შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში ზედიზედ სთესავდნენ თამბაქოს საცდელად და ყოველ წლივ მატულობდა, როგორც გამოსავალი, აგრეთვე მისი დირსებაცა და ფასშიაც ყოველთვის იწევდა.

— ჰო, კუვიანი კაცი ჰყოფილხარ,—უთხრა ამის შემდეგ კოტემ ბერძნს,—მე კი სულელადა გთვლიდი. რაკი მაგრეა საქმე, ჩემო ვიორგი, და მაგისთანა გასაეალი აქვს თამბაქოს და კიდეც გვარობს ჩემს მამულში, მოგიხნავ დიდ ხოდაბუნებს, ჩადექ შიგ და აკეთე; მოიყვანე, შენც ირგე და მეც მასარებლე.

— ბევრს ნუ მოვეჭიდებით, ბატონო, თორემ დიდი კეთება დასჭირდება,—მიუგო ვიორგიმ.

— დიდი კეთება დასჭირდება და დიდი შემოსავალიც ექნება,—უთხრა ბატონმა, ჩიბუნის წევით, მომავალი შემოსავლით ნასიამოვნებმა.

— ვერ შავძლებთ, ბატონო, ჯერ-ჯერობით ბევრის გაკეთებას, დიდი მუშაობა დასჭირდება: შითილი უნდა დაითესოს, გადირგოს თავის დროზე; ორჯერ-სამჯერ გათოხვნა მოუნდე-



ბა; დაკრეფა, თორებზედ ასხმა, გახმობა, დადასტავება, ცალებად შეკვრა,—ცოტა მუშაობა კი არ მოუნდება ყველა ამას. მუშა ბევრი მოუნდება, ბევრ მუშას ფულიც ბლომად დასკირდება. გარდა ამისა სხვა ჩარდახების გაკეთებაც დაგვჭირდება; იმდენ ფულს, რომ გვეყოს ყველა ამაებისთვის, ვერსად ვიშოვნით. სჯობია იმდენი ვაკეთოთ, რამდენსაც მოვერევითო.

კოტე პირველს ხანებში უჯერებდა ბერძენს: სოესავდნენ იმდენს, რამდენსაც მოერეოდნენ, თუმცა ყოველ წელს უმატებდნენ ცოტ-ცოტაობით. მართალია, ვალი ედებოდათ ხოლმე ცოტაოდნენი, მაგრამ თამბაქოს გაყიდვის უმაღლ იშორებდანენ. ხოლო, როცა სხვამაც ბევრმა მიჰბაძა მათ, გააკეთეს თამბაქოს პლანტაციები და წარმოება მისი უფრო განიერ ფარგალში ჩაიყენეს, ვიდრე ამათ, მაშინ კი ვეღარ მოითმინა კოტემ, რომ არ წამოეძხნა: —ვა დედი-ჩემის ღმერთს! საქმე პირველად მე დავიწყე, მე შემოვიღე პირველად თამბაქოს კეთება და ქხლა მე სხვას უნდა ჩამოვრჩე უკან? აქ კი ვეღარაფერი გააწყო გიორგი ბერძენმა. მასს რჩევას დღის სავალზე აღარ იყენებდა კოტე. მოუხნა ორი დიდი ხოდაბუნი, რომელნიც უნდა გაეცსო გიორგის თამბაქოთი. შითილი გადაირგო, ერთი ჩარდახიც ააშენა კოტემ, მაგრამ მეორე ჩარდახის აშენება ვეღარ შესძლო და თამბაქოს შემდეგი შემუშავებაც ძრიელ გაუძნელდა უფულობის გამო; მუშაობა და ხარჯი კი უფრო მემდევისათვის იყო საჭირო. გათოხენა, დაკრეფა, გახმობა, დადასტავება—ყველა ამას ბევრი ხელი უნდოდა, მუშის ფული კი არსად იყო. ეხლაც ისე ცოტა ფული არ ეყოფოდა საქმეს, როგორც წინად, რომ აღვილად ეშვენა კოტეს. სცადა კი კოტემ ორგან-სამგან ვალის აღება, მაგრამ, რაღგანაც მესამე ზვარიც გაყიდა და ვალიც იმოდენი ემართა, რომ მეოთხე ზეარი და მთელი მისი სხვა მამულებიც პირს ვერ მოსწოდნენ დნენ მისს ვალებს, აღარც მას და ორც „საიდანლაც გადმოვარდნილ“ ბერძენს, რომელიც ამხანაგდ გაიხადა კოტემ, არავინ ანდო ფული. მათ დაწყებულ საქმეს ბოლო ეღებოდა, — დაღუპამდის ბევრი აღარაფერი უკლდა, რომ ისევ ძველ კო-

ტეს მეგობარსა და ნათლიას—ალალოს—არ გაემართნა შათ-  
თვის ხელი.

კოტე მორბედაძე და გიორგი ბერძენი თვისი მდგომარე-  
ობით ემგზავსებოდნენ იმ თავეს, რომელიც გამოსულა თავის  
ბინიდან დაუკაცურებულ სახლში, პურის ნამცეცებს ჰქონებს  
და აცმაცუნებს ხარბად და სრულიად ვერ შეუმჩნევია და წარ-  
მოუდგენია, რომ იქავ ჰყარაულიაბს მას გაუმაძლარი და მსუ-  
ნავი კატა, რომელიც ერთი სკუპით ბრჭყალებში იგდებს და,  
დაიმედებული მითი, რომ ვეღარსად წაუვა, ჰსიამოვნებს თა-  
ვისი მსხვერპლის შორიდან ცქერით.

სწორედ ამ თავეს წარმოადგენდნენ თავადი კოტე მორ-  
ბედაძე და გიორგი ბერძენი ალალოს წინაშე. ალალოს ძრიელ  
შორს უჭრიდა გამჭერეტელობა. რა საქმიდან რა სარგებლო-  
ბა გამოვიდოდა, ერთ წუთს მიშვედებოდა, მაგრამ ამასთანავე  
საშინელი ფრთხილი და თავდაჭერილი იყო. რაც უნდა დარწ-  
მუნებული ყოფილიყო საქმის სარგებლობაში, მაინც, თუ ათ-  
ჯერ არ ასწონ-დასწონავდა, ისე არ მოჰკიდებდა ხელს. ჯერ  
ისევ სირაჯობდა ის, როცა თამბაქოს საქმეს თვალ-ურს ადვა-  
ნებდა და თან-და-თან რწმუნდებოდა, რომ თავის დროზე თამ-  
ბაქო გადაიქცეოდა საუკეთესო ვაჭრობის დარგად მთელ მხა-  
რეში. მხოლოდ, როგორც ფრთხილმა კაცმა, ვერ გაბედა სი-  
რაჯობიდან პირდაპირ ამ საქმეს შესდევომდა. მას უნდოდა  
უფრო დაახლოვებით გაეცნო მისი წარმოება. ესეც მოახერ-  
ხა მაშინ, როცა მატყლითა ვაჭრობდა.

როცა კოტესა და ბერძენს ძრიელ გაუჭირდათ ფულის  
შონა, ალალო შორიდან უყურებდა და გულით სიამოვნებდა,  
რომ ადრე, თუ გვიან, უნდა მიემართნათ მისითვის, მაგრამ კოტე  
ფეხს აყენებდა უკან, ვერა ბედავდა ალალოსთან მისვლას და  
ფულის თხოვნას. ამას იმისთვის კი არა შერებოდა, რომ ალა-  
ლოსაგან შეურაცხყოფილი იყო, არა, იმედი არა ჰქონდა, რომ  
ასესხებდა. მხოლოდ ალალომ სხვათა დახმარებით ისე მოახერხა,  
რომ გააბედინა კოტეს მისგან ფულის სესხება.

აღალომ პირველში, ყასიდად, უარი უთხრა ფულის სესხებაზე. შემდეგ კი, როცა დაადებინა ისეთი პირობა, რომლის ძალითაც თამბაქოს ფასიდან, როცა გაიყიდებოდა, პირველად ამას უნდა აელო თავისი და თუ რამ დარჩებოდა, მხოლოდ იმითი დაქმაყოფილებულიყვნენ გამკეთებელნი, ასესხა—დაპირდათ ეძლივა ფული, რამდენიც დაჭირდებოდათ. ამ საშუალებით აღალო უფრო დაუახლოვდა საქმეს. გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს; გამოცდილის თვალით ზომიერი ყოველი-ფერს და პრაქტიკულის კვეთ სჯიდა საქმეს. ხოლო, როცა მთლად შეიმუშავეს და გასასყიდად მოამზადეს ამხანაგებმა თამბაქო, აღალომ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ თამბაქოში ამოლებული ფული მის ვალსაც ძლიერ გაისტუმრებდა და ამხანაგები კი ხელ-პირ ცარიელი დარჩებოდნენ, მაგრამ ძრიელ სახტად დარჩა, როცა თამბაქო გაიყიდა. ვალი ვალად გაისტუმრეს და მოგებაც რიგიანი დარჩათ ამხანაგებს, მიუხედავად იმიტა, რომ თავადმა კოტემ ყოველიფერი თამბაქოს კეთებას მოანდომა: დროც, საქონელიც, მოჯამაგირენიც და ველარ მიხვდა სხეუ მოსახლეს, პური, ქერი, შიგ ჩაეწვა და სულ ერთიანიდ დაედუბა, მაინც ყველა ეს ზარალი დაუფარა თამბაქოში აღებულმა ფულებმა. ბერძენი ხომ ქონების პატრონი გახდა. ამ გარემოებამ ჰეშმარიტად დაარწმუნა აღალო თამბაქოს სარგებლობაში და გადასწყვიტა, იგდოს ხელში ეს საქმე და ხელიდან აღარ გაუშვას.

### \*\*\*

### საღერღევის მეტი-მეტად აშლა

როცა თავისი ფული ჩაიბარა აღალომ, კოტეს უთხრა:—კნიაზო, როგორც ვხედავ, თქვენ თამბაქოს კეთება გიძნელდებათ; თქმაც აღარ უნდა, რომ ბევრი ზარალი გეძლევათ, რადგანაც ფული არა გაქვთ ხელში მაშინ, როცა თქვენთვის საჭიროა.

შოდი და ისევ გავახლოთ მეჯობრობა ნათელ-მირონობის პა-  
ტივის-ცემით. რომ დავინახავ ხოლმე ჩემ ნათლულს, გული  
სიამოვნებით მექსება, მოდი ამხანავობა შევადვინოთ: მამული  
შენი, ოსტატობა გიორგისა, ფულები ჩემი, თქვენ ზარალი  
აგცდებათ, რაც ეხლა მოგდით უფულობის გამო და მეც მა-  
სარგებლებთ. ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პარიო, რომ  
იტყვიან, აწორედ ისე იქნება. თუმცა მე ბრალი ვიქნები, რა-  
დგანაც, რაც ფული დასჭირდება, მე უნდა გაძლიოთ, მაგრამ  
არა უშავს-რა, უცხოზედ არ წავა ჩემი მეტი.

კოტეს ეძნელებოდა აღალოს ამხანაგობა, მაგრამ რადგა-  
ნაც მეტი გზა აღარსაით იყო, შეეკვრნენ ერთმანეთს პირობის  
ხელშეერილით. მოვალეობა კოტესი იყო მოხვენა თავისიც მა-  
მულებისა და ჩარდახების გაკეთება, ვიორგი ბერძნისა შითილის  
დათესვა და ხელშძლვანელობა თამბაქოს კეთებაში, დაქირავე-  
ბა თავის დროზე მუშებისა და შოვნა საამხანაგო საქმისათვის  
საჭირო ფულისა აღალოს მოვალეობა იყო. პირობის ძალით  
აღალოს თავისი ფული უნდა იერო უსარგებლოდ მაშინ, რო-  
ცა თამბაქო გაიყიდებოდა. რაც ძირს დარჩებოდა, ის იყო მო-  
გება და ეს მოგება უნდა განაწილებულიყო სამად.

აღალომ იმავე წესით დაიკვეთა მუშები თამბაქოს გასა-  
კეთებლად, კაცები სათოხნელად, დედაკაცები და გოგოები  
თამბაქოს საკრეფლად, თორებზე ასასხმელად და დასადასტა-  
ვებლად, რა წესითაც ივალიანებდა ზერების შესამუშავებლად:  
ე. ი. ურიგებდა ყველას, ვინც კი ისურვებდა, სამუშაოზე,—  
მომეტებეულად ბეჭინერ დღეებში, უფრო კი ყველიერში,—  
ყველს, ერბოს, ბრინჯას, გამხმარ ლოქოს თევზს და სხვა სა-  
ნოვაგეს: მარილს, საპონს, ქალამანს და სხვას, რაც კი საჭი-  
რო იყო გლეხი-კაცისათვის. ყელიერში რომ მიეცა ნახევარი  
ლიტრა ბრინჯი, თიბათვე-მკათათვეში, როდესაც კი შემოუკვე-  
თავდა, მამა-კაცს უნდა ეშველნა ერთი დღე თავისი ხარჯით,  
თუნდაც რომ მუშა დღეში მანათად ღირებულიყო იმ დროს.  
ხოლო ამოდენსავე ბრინჯში დედაკაცს უნდა ეშველნა ორი  
დღე და გოგოს—სამი დღე თავისინთვე ხარჯით. ამ ნაირის მო-



ხერხებით ძრიელ იაფად უჯდებოდა ვენახების შემუშავებში და ასევე იაფად დაისვა დიდ-ძალი ხალხის მუშაობა თამააქოში, თუმცა კი ამხანაგებს უანგარიშა ისე, როგორც ფასობდა მუშა თვით მუშაობის დროს.

ანგარიშის დროს კოტემ გაბედა და უთხრა: — ალექსეი მელიქიში, ისე გვიანგარიშე, როგორც შენ თეოთონ დაგვდომია მუშაო.

დიდად ეწყინა აღალოს ამისთანა კადნიერება ნათლი-მამისა და შეტევითა და გაჯავრებით უთხრა: — ვა, კნიაზო, თქვენ რა ხელი გაქვთ ჩემს შინაურულ საქმეში ჩამოერივნეთ! ეგ ჩემი შინაურული საქმეა! მე სხვანაირადაც დიდი მოგება მაქვს, ბარემ იმაშიაც წილი დაგიდოთ რაღა! აბა ეგ რა სათქმელია, როგორც მუშა დაივალიანე, ისე გვიანგარიშეო! ეგ ჩემი საკუთარი ყაირათობის საქმეა. ეგება მუქთადა მშველიან. ვა, მე ვარ და მუქთადა მშველიან, ვის რა საქმე აქვს! თქვენ იმდენი ფული არ გაგიყიდოდათ, რამდენსაც ეხლა მე ვანგარიშობ, მე რომ ამხანაგად არ ვიყო თქვენთან? ეხლა ამ ფულის სარგებელიც იანგარიშეთ, უსარგებლოდ ხომ არაეინ მოგცემდათ! მე კი იმ სიკეთეს გიშერებით, რომ ფულის სარგებელს არ ვანგარიშობ. პირიქით, მე ვარ ზარალში და დიდი გულითაც მე უნდა ვიყო. რაც მე მუშების დაკვეთაში ფულები დავაბანდე აქამდის, რომ გადამებრუნ-გადმომებრუნებინა, ერთი-ათად ვაქცევდი. თუ მკითხავთ, მე აქ ზარალის მეტს ვერაფერსა ვხედავ. აი მერმისა ვნახავ, როგორ იაფად დაგიჯდებათ. მე კი ღმერთმა დამიფაროს ამ საქმეში-და გავერიო. არა, დაიცა, კნიაზო, თუ ღმერთი გწამს, შენ რომ ჩარდახები მუქთად გაგეკეთებინებინა, მე რა ნება მქონდა მეთქვა, თუ ანგარიშში ნუ ჩავაგდებთ-მეთქი! ან კიდევ, გიორგისათვის რომ სხვას ვისმე მუქთად მიეცა შითილი, რა ნება გვქონდა ანგარიშში არ ჩაგვეგდო მისთვის! — ამის შემდეგ ხმა აღარავის ამოულია. როგორც უნდოდა და სარფა იყო აღალოსათვის, მოგება ისე გაინაწილეს, მაგრამ, როგორც შეუვარებული ქალი სხვისად გამხდარს თავის სატრფოს, პირველად შეხვედრილს, გააყოლებს

წოლმე თვალს გამოთხოვების დროს, სწორედ აღალომაც ისტე  
გააყოლა თვალი ათ-ათ თუმნიანებს, რომელნიც ჯიბე-უბეში  
ჩაილაგეს კნიაზმა კოტემ და გიორგიმ.

მართალია, აღალომ მოვების გაყოფის დროს უარი გა-  
მოაცხადა ამხანაგობაზე შემდევისათვის, მაგრამ ეს უარის გა-  
გამოცხადება მხოლოდ პირით და ამხანაგების დასამუნაობებლად  
იყო ნათქვამი და არა გულით. გულით აღალოს ძლიერ სურ-  
და ამხანაგობა და იმედიცა ჰქონდა, რომ იმას იქით არსად  
წავიდოდნენ კოტე და გიორგი ბერძენი. არამც თუ ამხანაგო-  
ბას იყო იგი მოწადინებული, — იგი ფიქრობდა და გამოელოდა  
ამ საქმიდან უფრო მომეტებულს: იმას უნდოდა მთელი საქმის  
წარმოება თვითონ ჩაეგდო ხელში.

როგორც მოელოდა აღალო, ხვეწნა-მუდარებით მიიწვიეს  
იგი კოტება და გიორგიმ მომავალი წლისთვის ამხანაგად. აღა-  
ლომ გული ბუდეს დაიდო, მხოლოდ ერთი გარემოება აფიქ-  
რიანებდა იმას ძლიერ. მთელ იმ სოფელში, სადაც საამხანაგო  
პლანტაცია ჰქონდათ და სხვა მახლობელ სოფლებშიაც თამ-  
ბაქოს მოყვანა და გაკეთება რაღაცა გადამდებ სწნად გადაიქცა:  
ცრუმა და მავნემ თამბაქოს მოჰკიდა ხელი. ბევრს მოსამკალი  
ყანა და ქერი შიგ ჩაეწვა და მომკილი დაუჯეჯილდა და  
დაულპა, რადგანაც თამბაქოს აღარ შორდებოდნენ: ყვე-  
ლა გატაცებული იყო იმ ტკბილი ფიქრითა და იმედით, რომ  
ფუთს თამბაქოში ხუთმეტ-თექვსმეტ მანეთს ამოიღებდა მა-  
შინ, როდესაც ერთი დღის ყანა ანუ ქერი ვერ მისცემდა ამო-  
დენა შემოსავალს. აღალო ჯერ იმაზე შიშობდა, რომ მუშა  
თან-და-თან ძვირდებოდა, მაგრამ თავისი მოხერხებით ისევ ისე  
იაფად და ბლომად დაივალიანა მუშები. ეხლა იმაზე დაიწყო  
შიშობა, რომ სიმრავლე დააფოლებდა თამბაქოს. უკანასკნელი  
შიში გაუმართლდა. მეფაბრიკეებმა ცოტა ყელმოტებილიდ და-  
იქირეს თამბაქოს პატრონები და დასწიეს ფასი. ამ წელში  
თერთმეტ-თორმეტ მანეთში გაიყიდა ფუთი. ასეთი ფასი სხვი-  
სათვის ბევრიც იყო, ხოლო აღალო არა სჯერდებოდა და უნ-  
დოდა როგორმე საქმე გაეკარგებინა. მესამე წელსაც ისევ სა-

ამხანაგოდ გააკეთეს თამბაქო. ნიშნები იყო ისეთი, რომ ამ წელსაც უფრო უნდა დაფოლებულიყო თამბაქო, მაგრამ ახლა ეს გარემოება არამც თუ იფიქრიანებდა, პირიქით ახარებდა, და კიდეც გადასწყვიტა ამ გარემოებისათვის ხელი შეეწყო. იგი ჰქონდა: „მარტო მე ვაკეთებდე ჩემთვის საკუთრად თამბაქოს, მაშინ,— ჰო, არაფერი სასიამოვნო ამბავი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ ცრუმა და მავნემ თამბაქოს მიზყო ხელი და თუ მისმა ფასმა ძლიერ არ დაიწია, რა სარფა იქნება ჩემთვის. მე ფიქრადა მაქეს, რომ მთელი მოსავალი თამბაქოებისა ხელში ჩავიგდო და მარტო მე ვიგაჭრო და რა ხელს მომცემს, თუ მაღალ ფასებში ვიყიდი, რა უნდა მოვიკო? ან ვინ მამყიდის მე, როცა სხვა მუშტარი ეყოლებათ? უნდა ვეცადო და ხელი შევუწყო, რაც შეიძლება, რომ უფრო დაფოლდეს თამბაქოები და ყელმოტეხილად დავიჭირო ყველანი და ნახევარფასად ხელში ჩავიგდო ყველას მოსავალი“.

ამხანაგებთან რჩევა-მოლაპარაკების შემდეგ აღალო ტფილისში წავიდა თამბაქოს წინადვე გასასყიდად, თუ მას ჭიუაში მოუვიდოდა ფასი, თუმცა კი ჯერ თამბაქოს კრეფა არც კი დაეწყოთ. მობრუნდა ალალო ტფილისიდან და ახარა ამხანაგებს, რომ ცამეტ მანეთად გაყიდა ფუთი თამბაქო და ბეიც მოიტანა.

მორჩნენ თამბაქოს კეთებას უწინდებულ კვალობაზე: ესე იგი ფუთი თამბაქოს მოყვანა და გაკეთება დაუჯდათ არა უმეტეს ორი მანეთისა. უნდა შეეკრათ ეხლა ცალებად, ჩეეტანათ ტფილისში და მიეწონათ მყიდველისათვის. იქ ერთი ხერხი მოიგონა აღალომ, რომელზედაც დაიყოლია ამხანაგები ბევრი რჩევა-დარიგების შემდეგ. იმისი რჩევით ცალების შეკვრის დროს თამბაქოში აქა-იქა დაატანეს ქვები თითო ფუთი, ნახევარ ფუთიანები, ათ გირვანქიანები, როგორც ჭიუაში მოუვიდოდათ. როცა ჩაიტანეს ცალები ტფილისში და უწონავდნენ მეფებრიკეს, ეს უკანასკნელი თავს იქნევდა და ამბობდა: „რა ვქნა, ცალები თვალთათვის პატარებია და ბევრს კი იწონავენო“.

— რა გიყეირს, პარუმ ვაჰან? კარგად არის დაღასტავებული თამბაქო და ცალებიც მაგრად შეკრულია და იმისთვის ჩანან პატარებად, — ეუბნებოდა აღალო და თანაც ეშმაკურად შეჭედავდა ხოლმე ხან მეფებრიკეს, ხან ამხანაგებს. თვადი კოტეკი დაიწყებდა ხოლმე ნერწყვის ყლაპეას და ტოკვას ამ სიტყვების გავონებაზე. — კოტეც და გიორგიც თამბაქოს მიწონვაში დაესწრენ.

თამბაქო ნახევარზე მეტი მიწონილი იყო, როცა ქარხნის პატრონმა წამოიძახა:

— „არა, ძმავ, მე როგორლაც მეუპირულება, ერთი ბეწვა ცალებია და ამდენს კი იწონენ! მოიტათ, ბიჭო, აქ ეგ ცალი, უთხრა მუშებს, უნდა გავხსნა და ვნახო. არა მგონია, რომ აქ ეშმაკობა არა იყოს-რა“.

კოტეს, რომელიც სკამზე იჯდა იმ ადგილას, სადაც უნდა გაეხსნათ ცალი, ამ სიტყვების გაგონებაზე თვალთ დაუბნელდა, ხმა ჩაუწყდა და სკამზე, თითქოს უსულო სხეული არისო, ისე იდო გაშეშებული. გიორგი, როგორც ფრთა-გაშლილი კრუხი იფარავს წიწილებს, როცა ძერა დაეცემა ხოლმე წასალებად, ისე მიერდა ცალს, გადაეფაფრა ზედ დაჩქარებით, თითქმის უსუნთქებლივ იძახდა: „რად უნდა გახსნა, შიგ არაფერია დატანებული!“ აღალო კი გულგრილიც გაიძახოდა: „ვა, პარუმ ვაჰან, არ გეჯერება, რომ გეუბნები, მაგრად არის შეკრული-მეთქი?“

— ვა, კაცო, ცეცხლი! ქხლა ხო ჩემი საქონელია, ნება არა მაქვს, რომ ჩემი საქონელი გავსინჯო?

ამ სიტყვებზე აღალომ ჩააელო გიორგის ხელი, მოაშორა ცალს და უთხრა:

— მეეცა, გასინჯონ და დარწმუნდნენ, რომ შიგ კაი საღი თამბაქოს მეტი არაფერია.

მერე გაიყვანა განზე და ასე მიმართა:

— ვაიძე, შენ ჩემო თაეო, სულ ერთიანად დავიღუპენით, ერთი სიტყვით, ცეცხლზე წყალი გვესხმება! თქვე ოჯახ-აშენებულებო, ცოტა პატარა ქვებს ჩაწყობდით, რომ ძრიელ არ

შესტყობოდა, რა იყო მაგისთანა სიხარბე! მაგრამ ეხლა ყველას თავი უნდა დავანებოთ და საქმეს სხვანაირად ვუშველოთ; ეგება როგორმე გავასწოროთ საქმე. ამისათვის აი რა მოვიფიქრე: მოდი მე ისე გამოვჩნდები, რომ ვითომც არაფერი ვიცოდი და მე თქვენ დაგიწყობთ ყასილად საყვედურსა და ჩხუბს! თუ ვუშველით საქმეს, ასე, თორემ სხვაფრივ არაფერი მოხერხდება. თუ გავაგებინეთ, რომ მეც ვიცოდი ესა, სულ ერთიანად დაგვეკარგება თამბაქოცა და ფულიც. ჯანი გავარდეს, ნახევარი მაანც გამოვიტანოთ, თუ მთელ ფასს ვერ მივიღებთ.

ამასობაში გახსნეს ცალი და ამოალაგეს ქვები.

— ეს არის თქვენი პირი და პატიოსნება? — მიმართა მექარხნემ ამხანაგებს.

გახსნევინა მეორე ცალი და იქიდანაც გადმოალაგეს ლოდები.

— ილექსეი მელიქიჩ, თამბაქო მომყიდე თუ ალაზნის ლოდები?! — შეეკითხა მექარხნე აღალოს.

— ეს რა არის, კნიაზო? — მიუბრუნდა ახლა კოტეს და უჩვენა ლოდები.

კოტე, რომელსაც თავის სიცოცხლეში პირველად გამოსვლოდა ძლიერი ოფლი, იჯდა ისე ისე გაუნძრევლად სკამზე, ხოლო მექარხნე მისჩერებოდა და არ ეშვებოდა — განა ეს თქვენი საკადრისი საქმეაო?

— რა ვქნა, მეც ვიცი, რომ არ არის საკადრისი საქმე, მაგრამ რა გაეწყობა ეხლა? შამარცხეინეს და თავზე ლაფი დამასხეს! ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი და მაგისი მომგონიც. — ადგა სკამიდან და უნდოდა წასელა, მაგრამ მექარხნე გადაუდგა წინ და უთხრა:

— მოითმინე, კნიაზო, სად მიხვალ, რომ მიხვალ? რას აპირობ ეხლა? შენ ადვილი კი ნუ გგონია ამისთანა შეტყუების ჩადენა!

— აბა რა გითხრა, ჩემთ ძმაო, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი, მე სიტყვა აღარ მეთქმის, თუნდა აქ მოსაჭრელი კი-

სერი, აქ მომკრია,—უჩვენებს თითოთ,—მაგრამ თავის მოკვეთა-ზედაც ძნელია ეს შერცხვენა და სხვა ყველაფერზედაც.—და ისევ მოემზადა წასასვლელად. გაიხმო იგი აღალომ და უთხრა:

— კნიაზო, მართლა და ასე ხომ არ იქნება, როგორმე უნდა მოეაგვაროთ საქმე!

— ოჰ, ღმერთმა გკითხოს, ალექსეი მელიქიჩ, როგორც მე შენ თავი მომჭერი! ეგე, ძმავ, საქმეში შენ ჩაფურთხე და შენვე გაასწორე, მე არაფერი არ ვიცი! არც თამბაქო-ლა მინდა თქვენი და არც სხვა რამე!

— ვა, კნიაზო, მე როგორ ჩავაფურთხე საქმეში, ერთი მითხარი, მამა-შენი ნუ წაგიშყდება? მე მინდოდა ჩემი თავიც მესარგებლებინა და სხვაც მესარგებლებინა! — მიაძახა კოტეს, რომელიც გაჩქარებულის ნაბიჯით შორდებოდა ქარხანას.

— ალექსეი მელიქიჩ, მე სხვასთან არავისთან საქმე არა მაქვს, მე შენ მომყიდე თამბაქო, პასუხიც შენ უნდა გამცე! მე არც კნიაზს ვიცნობ და არც სხვა ვისმე!

— გიორგი, რა მიყავით ესა,—მიუბრუნდა აღალო ბერძენს,—რაზე შემარცხვინეთ ამ პატიოსან კაცთან? ან მე რად გამიფუჭეთ, ან თქვენ თავს რად გაუფუჭეთ სახელი? რაზე გამომიყვანეთ ამ პატიოსან კაცთან პირშავი? ღმერთი არა გქონდათ? თქვენ ღმერთს მაინც როგორ არ შეხედეთ, როცა ასეთი საქმე გაიფიქრეთ?

გაიხმო აღალომ განზე ეხლა მექარხნე. რამდენისამე ხნის ჩუმად ლაპარაკის შემდეგ გამობრუნდა იგი ქარხნისაკენ ხელების ქნევით და როცა ბერძენს მოუახლოვდა, დაიძახა:

— არა, ძმავ, მე თქვენი არაფერი მინდა! მე ჩემი ბეი დამიბრუნეთ და თქვენი თამბაქო, სადაც გენებოთ, იქ წაიღეთ და გაყიდეთ.

— ნუ გეიზამ მაგისთან საქმეს, პარუშ ვაჰან,—უთხრა ყელის გადაგდებით უკან მოყოლილმა აღალომ. ნაკლებ ფასში

აიღე, ოღონდ უკან კი ნუ წაგვაღებინებ. ის გვირჩევნია ყელები დაგვჭრა, ვიდრე უკან წაგვაღებინო. ნუ დაგვაყენებ დალუპვის გზაზე, პარუმ ვაჰან!

— არა, ძმავ, თავი დამანებეთ, მე არა ვარ ჩვეული თქვენისთან ხალხთან საქმის დაჭერას. წაიღეთ, თავიდან მამაშორეთ თქვენი თამბაქო!

აღალომ გიორგი გაიყენა განზე და უთხრა:

— თუ უკან წავიღეთ თამბაქო და მავასვე არ მოვაწვიეთ როგორმე თავზე, ორ მანეთსაც აღარავინ მოგვცემს ფუთში და სულ ერთიანად დაეიღუპებით. ფასი დავუკელ, თუმანზე ჩამოვედი, მაგრამ არა შერება, ცივ უარზედა დგას. მხოლოდ მე კი ვამცნევ კოჭებში, რომ აიღებს ისევ თვითონ, თუ ფასი დავუკელი კიდევ, მაგრამ კნიაზი ცალკე გაიქცა და უშენოდაც ვერ გაებედე, თუმანზე ნაკლები მეთხოვნა ფუთში. შენი არ ვიცი, როგორა ჰავიქრობ, ჩემის აზრით კი, უმჯობესი იქნება ამასვე მივცეთ ნახევარ უასად, ვიდრე აქედან დავძრათ და წავილოთ სადმე. თუ აქედან დავძარით, იმასაც ვეღარ ამოვალებთ, რაც დაგვიხარჯავს.

ბევრი ხეეწისა და მოლაპარაკების შემდეგ გათავდა საქმე. ვაჰანამ ისევ თეითონ აიღო თამბაქო ფუთი შვიდ მანეთად. საქმის ასე დაბოლოვებით ძლიერ გახარებული და კმაყოფილი იყო აღალო და გიორგისაც არწმუნებდა, რომ მათვების სახარგებლოდ და სასურველად გათავდა საქმე და ამას აწერდა თავის მეცადინეობას.

აღალოსა და მისი ამხანაგების „შტუკა“, როგორც მონათლეს მათი მოქმედება, გაეარდა და გაითქვა მოელ ქალაქში, რის შემდეგაც ყველა შეშინდა და აღარავინ მიეკარა სხვათა თამბაქებს; ამ წელს ყველას გასასყიდი დარჩათ თამბაქები. ვისაც რამე ჰქონდა დახარჯული თამბაქოს გაკეთებაში, სულ ვალად დაედოთ. თამბაქოები დიდხანს არ იყიდებოდა. ზოგი ისე ზიზღზე მოდიოდა, რომ აპირობდა წაეკიდებინა ცეცხლი და დაეწვა. მაგრამ აქ აღალო გამოუჩნდა ყველას მხსნე-

ლად. ამან შეისყიდა მთელი თამბაქოები, თუმცა კი ძლიერ ნაკლებ ფასად და ურჩევდა ყველას, არ დაენებებინა თავი თამბაქოს კეთებისათვის, რადგანაც, როგორც იგი არწმუნებდათ, თამბაქო კიდევ აიწევდა ფასში. დახმარებასა და ფულის სესხებას თვითონ დაპირდა ყველას. კოტემ თამბაქოს კეთებას სრულიად მიანება თავი. აღალომ კი კოტეს მამულები იჯარით აიღო, გიორგი ბერძენი მიიყვანა თავისთან ჯამაგირით და გააგრძელა ისევ თამბაქოს კეთება. შემდევში იჯარით აღებული მამულები თვითონ დაინარჩუმა იმავე წესით, როგორც ზვრები.

აღალოს რჩევასა და მაგალითს ბევრი სხვაც მიჰყეა. ამი-  
სთანა ხალხს აღალო აძლევდა შემწეობას ფულით, თუ საქმით  
და თვითონვე უსაღებდათ თაშბაქოს.

აი ამ გვარად ჩაიგდო აღალომ ხელში მთელი წარმოება  
თამბაქოსი და სხვას სუნიც აღარ მიადინა. შემდეგ სიმამრთან  
ერთად შეადგინა ამხანაგობა. ამხანაგებმა გადასწყვიტეს უთუ-  
ოდ მოეპოვებინათ საკუთრებათ ყველგან ის მამულები, რო-  
მელნიც თამბაქოს მოსაყვანად იყვნენ გამოსაღებნი; თვითონ  
შეესყიდნათ ხოლმე თამბაქოები იმათიდანაც, ეინც გააკეთებ-  
და და სხვა ვაჭირი არავინ გაეჭაჭანებიათ; თამბაქოები ეგზავ-  
ნათ პირდაპირ მოსკოვში ან სხვაგან საღმე. ასე დააწყეს პლა-  
ნი, მაგრამ აქ ცოტა ბედმა უმუხოლა ამხანაგობას. იგი ამხა-  
ნაგობა დაარღვია ყაზარ ყარამანიჩის მოულოდნელმა სიკედილ-  
მა, თუმცა მარტოდ-მარტო აღალომაც ისე წაიყვანა საქმე, რო-  
გორც დაწყებული იყო.

三

## სიკედილი ქაზარ უარჩმინიჩისა

კიდევ სიკვდილით, — იტყვის მობეჭრებული მკითხველი. მოსახლეზე გელი კია სულ სიკვდილზე ლაპარაკი, მაგრამ რა გაეწყობა, როცა სოფელი ასე მქნელია.



ყაზარ ყარამანის ძლიერ უყვარდა „სხვა-და-სხვა ჰისლი“, ასე ეძახდა იგი სიძვას, ანუ მდაბიურად, ბოზობას. ყაზარა სოფელშივე გაიგეშა ამ საქმეში — იმ დაოიდან, როცა წელი გაიმავრა; მას აქედ მტკიცედ აღვა ამ საქციელს და რაც დრო გადიოდა, მით უფრო წარმატებაში შედიოდა მისი მოქმედება ამ ასპარეზზე. მისთვის სულ ერთი იყო, ცოლი ჰყვანდა თან, საღაც თვითონ იყო, თუ არა, „სხვა ხილი“ უთუოდ უნდა ეგება. ვინც კი თვალში მოუვიდოდა, ქმრიანი იქნებოდა თუ უქმრო, იმისთვის სულ ერთი იყო, უეჭელლად იშოვნიდა. ასე ჰქონდა დაეარდნილი ხმა, რომ ვითომც მაღალი წოდების ქალებშიაც არავინ გადაურჩა. ყოველი ამგვარი მოქმედება მისი არა რჩებოდათ გაუგებარი ცოლსა და შვილებს და ძლიერ ეთაკილებოდათ მისი ქცევა, თუმცა სათქმელად ვერავინ უბედავდა ვერაფერს. მხოლოდ მისი მეუღლე კი, გაიგონებდა თუ არა ქმრისაგან ჩადენილ უწესოებას, წამოიძახებდა ხოლმე: „უი, სახელი გაუწყდეს იმას, რომ შვილი-შვილების პატრიონია და თავისი სიახ-ხორცე კი ვერ მოიშალაო!... ავ-ხორცობა ყაზარისი იქამდის მიღიოდა, რომ თუნდაც სრულიად უცხო სოფელში მისულიყო რაიმე საქმისათვის და ერთი ლამის მეტი არ დარჩენილიყო, არ წამოვიდოდა ისე, თუ იქაური „ხილის“ გემო არ გაეღო. მისვლისათანავე, საღაც უნდა ყოფილიყო, ყაზარა უპირველეს ყოვლისა „ხილის“ თადარიგს შეუდგებოდა და იმის შესახებ რომ დაიმშვიდებდა გულს, მაშინ შეუდგებოდა იმ საქმეს, რისთვისაც იყო მოსული.

საკირველ გემოვნებას იჩენდა პატარძლების ამორჩევაში და რომელიც კი ძლიერ მიიზიდავდა, თუმცა კი დაპყრობით ვერა პატარძალი ვერ იპყრობდა მისს გულს სამუდამოდ, კარგა ხანს არა შორდებოდა და ბევრჯერ, თუნდა საქმე არა ჰქონდა იმ სოფელში, საღაც შეგულებული ჰყვანდა რომელიმე პატარძალი, უსაქმოდ მიღიოდა.

კაცმა კი სიმართლე უნდა სოქვას, რომ ამ საქმისათვის არა ზოგადა ყაზარა ფულს. იქნება სასმელ-საჭმელში დახარჯული ფული დანანებოდა და „სხვა-და-სხვა ხილში“ დახარჯული ფუ-

ლი კი არც ენანებოდა და პირიქით გულ-უხვადაც ჰქარჯავ-  
ლა!...

ყველაზე დიდ ხანს შერჩა ყაზარა ერთ ტანაღსა და ქე-  
რა-თმინას პატარძალს, რომლისაგანაც თხოულობდა დამოუკი-  
დებელს მორჩილებას და თითქმის ნებას არ აძლევდა ქმრისა-  
თვის ცოლობა გაეწია, არამც თუ სხვა ვინმე იმის გარდა ჩაე-  
დო გულში. პატარძალიც ყოველთვის აძლევდა ფიცს ერთგუ-  
ლებაზე და კიდევაც იყო ერთგული, მაგრამ ყაზარას მაინც  
გული ეჭვით ჰქონდა სავსე.

პატარბალი ცხოვრობდა იმ სოფელში, სადაც წინაპირებულად ვაჭრობა დაიწყო ყაზარამ. აქ ვაჭრობის დროსვე მოიპოვა კაი მოზღილი ვენახი, ააშენა კაბწია სახლი, სადაც სიამოვნებით ატარებდა ზაფხულს და ნამეტნავად შემოდგომას მისი ცოლშვილი. ყველაზე ხშირად ყაზარას შეიღებში სატინიკას მოუხდებოდა ხოლმე სოფელში, მშობლებთან ერთად ცხოვრება, რომელმაც ბევრი სასიამოენო და ტკბილი შთაბეჭდილებანი დასტოავა მისს გულში. სატინიკას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მაშინ, როცა ყაზარას ოჯახობა გაემგზავრებოდა ხოლმე სოფელში. ხშირადაც მოჰყვანდა მთელი თავისი ოჯახობა მაშინაც კი, როცა ბობოლად გარდაიქცა და მისს ოჯახს წევრებად მოემატნენ რძლები, შეილის-შვილები და სიძე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატარძალი შეითვალიერა, ოჯახობა აღარ გაატარა ამ სოფელში, - რათა არ დაეშალათ მისთვის ეს განზრახვა — ჰერცოგინიდა სხეაგან, სხვა-და-სხვა სააგარაკო ადგილებში.

მართალია, ყაზარი გამდიღრდა, მაგრამ ის დუქანი კი, რომ-  
ლითაც თვითონ დაიწყო წინა-პირეელად ვაჭრობა სოფელში,  
არ დაჰკეტა—იგი დაინარჩუნა იმ განზრავით, რომ მარტო  
სულაძე—პურზე და უფრო ქერზე ევაჭრა. პატარძლის გარ-  
და დუქნის საქმეც იზიდავდა მას სოფლისკენ და ამისთვის  
ძლიერ ხშირი სტუმარი იყო სოფლისა.

ამ სოფელში გაზაფხულობით, როდესაც ზამთრისაგან გა-  
ყინული სისხლი აღამიანისა თბება, მოდის დუღლში და აღელ-



ვებს კაცის ვნებათა, გაძლიერებული დღეობა იკუთხა. მოდიოდა ბაზე მრავალი ხალხი მოდიოდა ყოველი კუთხიდან და ყაზარაც არ იკლდებოდა ამ დღეობას უფრო მას შემდეგ, რაც ქრისტიანი შეიმჩნია. იმ წელიწადს, რომელიც განვებაშ უფლისამ აღმეჭდა ყაზარას სიცოცხლის დასასრულად, დღეობაზე მიიწვია იგი ამავე სოფელში მოსახლე და მოვაჭრე მეგობარმა. რასაკვირველია, დაუპატიჟებლადაც დაესწრებოდა ყაზარა დღეობაზე, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ერთი საუკეთესო დროების გამტარებელი იყო და ვისთანაც დღეობაშა, ანუ სხვა დროს, ის სადილად დაესწრებოდა, ყოველნი წარჩინებულნი პირნი: „ჩინოვნიკობა“, თავად-აზნაურობა და სხვანი იქით გაიწევდნენ ხოლმე. როცა ყაზარა უამბობდა კამპანიას თავის „ნავარდობას“ პატარძლებზე, ყველას მუცელი ხელში უნდა სჭეროდა და ვინ იქნებოდა სულელი მოსკოდენოდა ამისთანა სიმხიარულეს. ამისათვის ყველგან სანატრელი და სანუკარი სტუმარი იყო ყაზარა. ვისაც უნდოდა რჩეული ხალხის და ნამეტნავად „ჩინოვნიკობის“ მოპატიჟება სადილად, უთუოდ რამდენისამე ხნის წინად ყაზარა უნდა დეკატიენათ. და ვის ესაჭიროვებოდა დაახლოებება და პატივისცემა ჩინოვნიკებისა, თუ არ იმისთანა კაცს, როგორიც იყო მოვაჭრე მეგობარი ყაზარასი. მოახლოედებოდა თუ არა დღესასწაული, მეგობარი ორი-სამი კვირის წინ ეპატიჟებოდა მას. დაპატიჟა ეხლაც.

საკვირველი ყველასათვის ის იყო, რომ ხშირად დადიოდა აქეთ-იქით ყაზარა თითქმის უსაქმურად, მაგრამ არასოდეს საქმე არ გაჰქიცებია. მისი ვაჭრობა—აღებ-მიცემობა ყოველთვის წესზე და რიგზე მიდიოდა.

ყაზარ ყარამანიჩი სადილზე თავისს მეგობართან ძლიერ გამხიარულდა. ბევრი აცინა ჩინოვნიკობა და სხვა შთამომავლობითი წარჩინებულნი სტუმარნი, რომელნიც ბლომად შეკრებილიყვნენ გულუხე მასპინძელთან. ყაზარას თვითონ უკირდა თვისი გადაცილებული გულხელობა ამ დღეს და ამბობდა, რომ კარგა ხანია ასე მხიარულად არა ვყოფილვარო.



ჯერ სადილი არ გათავებულიყო, ის იყო ღვინის ჯდებოდა თავის კალაპოტში, როცა ყაზარა უეცრად, თოთქოს რაღაცა მოაგონდათ, წამოვარდა სუფრიდან, წამოიძახა: „კამ-პანიავ, ეხლავე, გიახლებით თაიგულითაო“ და გამოვარდა გა-რედ. გამოსვლის უმალვე, იგი გაექანა დაჩემებული პატარძლი-საკენ, რომელიც შორს არა ცხოვრობდა იმ სახლიდან, სადაც მეჯლიში იყო. შევიდა თუ არა სახლში, შუბლ შეკრულმა ჰყითხა პატარძლას: „ეს ვინ არისო“ და მიუთითა ერთ-ერთ მძინარეზე. პატარძლიანთ სტუმრებს გაეთავებინათ სადილი და წასულ-წამოსულიყვნენ, მხოლოდ პატარძლის ქმარს არ გაეშ-ეა სახლში თავისი მეჯვარე—ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული იმერელი, რომელიც მომავალ ნათლი-მამასთან ერთად წამო-წოლილყო გაშლილ ნაბატზე და ეძინა ტკბილად. ამაზე ჰყი-თხა ყაზარამ „ვინ არისო“, რის პასუხადაც მიიღო: „ჩემი ნათ-ლია გახლავხო“. „ნათლია ვინ მამა.....ო“, რომ აქ ეძინო-სო, ან რა მოუნათლავს შენთვისაო“ — შეილები არ ეძლეოდა — და ჩასცა და ჩისცა, პასუხის შემდეგ, მძინარე კაცი წიხლები. იმერელი წამოვარდა ფეხზე, მოიფშვნიტა თვალები და როცა ყაზარამ პანღურიც ამოჰკრა და მიაძახა: „ვინ მამა.....ხარ, აქ რას უგდიხარ, გასწი, დაიკარგე აქედან, შე ასეთ-ისეთოვთ“, იძრია ხანჯალი და შიგ პირის სახეში სთხლიშა. ყაზარა ყვი-რილით გარედ გამოვარდა; იმერელიც გამოჰყვა უკან და უშენ-და ხანჯალს, სადაც კი მოჰკვდებოდა; მანამ ყაზარა დედამიწა ზე არ დაეცა, იმერელმა თავი არ დაანება. მეჯლიშის ხალხმა ყაზარას ცოცხალს ევლარ მოუსწრო.

ღვთის წყალობა მოგეცათ, პოლიციის ბოქაულმა, რო-მელიც მეჯლისში ერია, მკვლელი გველივით გააჭრელა მათრა-ხის ცემით. თავისი მათრახი რომ დააწყვიტა, ჩატრის მათრახით ინაცვლა. „იმდენი წვეთი სისხლი უნდა წამოვადინო ამ მამა....ს ცხვირ-პირადან, რამდენი სტაქანიც მე ცხონებულის სახლში ღვთინო დამილევიათ და მეტიც აღარ ედგებოთ“. არც მეჯლი-შის სხვა წევრებმა დააყარეს მკვლელს კეთილი. თუმცა ისი-ნი არა სცემდნენ, ბოქაულის სურვილისა-მებრ, რომ არ დაე-



შალნათ მისთვის,—ზოგიერთი კი ვერ ითმენდა და წიხლუსტყინვა  
ჩაახლიდა ხოლმე ხელ-ფეხს შეკრულს და დედამიწაზე დაგდე-  
ბულ მკვლელს, მაგრამ ყოველმა მათგანმა თავის წმინდა მოვა-  
ლეობად ჩასთგალა სათითაოდ მისულიყო მკვლელთან და შიგ  
პირში მიეფურთხებინა, შეეჩვენებინა, შეეგინებინა იმისთანა  
„პატიოსანი“, „ხემშიფის სადარი“ კაცის მოკვლისთვის. მკვლე-  
ლი კი ხმა-ამოულებლივ იტანდა ცემა-ტყეპასაც და გინება-  
შეჩვენებასაც.

როცა გასინჯეს ყაზარ ყარამანიჩის გვამი, ოცდა ცხრა-  
მეტი წრილობა აღმოაჩნდა.

ეს გარემოება ელდათ ეცა ყაზარას სახლობას. სიკვდილი ხომ სიკვდილი იყო, მაგრამ სიკვდილზე უარესად შესაჭრები მისი ოჯახობისათვის მოკვლის მიზეზი იყო. ამ შემთხვევაში ყველაზე ბასრი ისარი სიმწუხარისა ყაზარას ცოლსა ჰქონდა ნაკრავი. ქმრის დაკარგვის სიმწუხარეზე უძლიერესი მისთვის სიჩრცვილი და თაკილობა იყო იმ გარემოებით სიკვდილისა, როგორითაც ყაზარა მოკვდა და ამისათვის იგი სწუხდა და კიდეც სცხევნოდა. შვილები უფრო მამის ადრეულ სიკვდილზე სწუხდნენ, თუმცა სიკვდილის გარემოებაც, ცოტა არ იყოს, ეთაკილებოდათ. სამაგიეროდ, მთელი მაზრა ნამდვილის გულ-შემატკიცრობით სწუხდა და მგლოვობდა ყაზარას სიკვდილს და დასაფლავებაც არ ნახულა და უჩვეულებრივი ჰქონდა. მთელი მაზრის წარჩინებულნი ჩინოსანი და უჩინონი, მოე-კრენი და სოფლებას წარმომდგენელნი და მრავალნი, განგებ ტფილისიდან მოსულნი, დაესწრენენ მის დასაფლავებას და სცეს პატივი, რითაც შეეძლოთ. აუარებელი სიტყვა წარმოითქვა ყაზარას ღირსებისა და კაცობის დასაფასებლად, გვირგვინებს ხომ ახედვა არა ჰქონდათ. შინაარსი სიტყვებისა თითქმის ერთი და იგივე იყო: ქება-დიდება გარდაცელილის ჰქონისა და გამჭრიახობისა მაზე, რომ მან არა რაისაგან დაბმბადა აუარებელი ქონება და დაუტოვა მამულს და სამშობლოს კარგად მომზადებულნი მოღვაწენი—შვილები. ეს მისი ნიჭი გენიოსობის სახელით მონათლეს ორატორებმა.

აი სადამდის მიაღწევინა ყაზარას თვისმა გამჭრიახობამ, კეუა-გონებამ და გამოცდილება-მოხერხებამ, მთელი გუბერნიის საუკეთესო წარმომადგენელთ გულში, ხალხოსნობის გაურჩევ-ლად აიგო ძეგლი ხსოვნისა. ხოლო სამშობლოს თვისას დაუ-ტოვა სამი ვაჟი, რომელთაგანაც, თუ ხსნას არა, დიდ ღვაწლს მაინც მოელის სამშობლო მათვან...

მედანია

(დასასრული მეორე ნაწილისა)



# წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

ს ა ღ ლ ა ზ ი

(შაქრო გეგელაშვილის ნამბობი)

ნაფილი მიორი

ე\*)

ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,  
ნაწევვ ბიღებსაც ვეთხოვებოდი;  
დაორნებული შწარედ ვსტარიდი,  
შაგრამშ შე არვის ვებრალებოდი.

გ. ჭალადიდელი

გამთათხოვება და გამგზავრება

„ათას რვაას სამოცი წელი, — ასე იწყება შაქრო გეგელა-  
შვილის რვეული, რომელიც მან გადმომცა დასასტამპავად და  
რომელიც შეიცავს მისს თავ-გადასავალს სკოლაში ყოფნის  
დროს, — ისეთის ასოებით ამოიჭრა ჩემის გულის ფიცარზე, რომ  
თავის დღეში არ დამავიწყდება, სიკედილის შემდევ შავი მი-  
წაც კი ვერ ამოხჭამს იმ წელიწადს. ეხლაც კი, როცა მომა-  
გონდება ეს დაუკიწყარი დრო ჩემს ცხოვრებაში, ტანში ერუ-  
ან ტელი დამივლის თავიდან ფეხებამდე, გამაცახცახებს, გუნებას  
შემიშლის და ერთ წამს ჩემი თავი შევირდად წარმომილება,  
ათას რვაას სამოცი წელი ჩემს წინ მოჩვენებასავით წამოიყუ-  
ყება და თითქმის ბრძანების კილოთი ხელს მიშვერს: „დრო  
მოგივიდა სასწავლებელში წასვლისა, ტყუილად ნუ გეზარება,

\*) იხ. „მოამბე“ № III—99 წ.

უნდა წახვიდე“! როცა ამ წარმოდგენიდან გავინთავისუფლებ ხოლმე თავს, გულიდან რაღაც დარღი მომეშვება და განახლებულად ვგრძნობ ხოლმე თავსა.

დიალ, საშინელი წელიწადი იყო ჩემს ცხოვრებაში იგი წელიწადი: იგი იყო დასაბამი ჩემის ცამეტ-თოთხმეტის წლის მოწამებრივის ცხოვრებისა სკოლაში. ეხლა შორიდან რომ ვუცქერი და გავითვალისწინებ ხოლმე სკოლაში უქმად გატარებულს ცხოვრებას, ჯოჯოხეთად წარმომიდგება, საღაც ტარტაროზები სცემენ, ჰგვემენ მათ მსხვერპლად გარდაქცეულს აღამიანებს, აღუღებულს კუპრში თავდაყირა ჰყრიან და ერთს წამს მოსვენებას არ აძლევენ მათ. მაგრამ აღამიანი ისეთი გამძლე და ამტანი ქმნილებაა, რომ ჯოჯოხეთსაც კი ეჩვევა, აინუნში იღარ მოსდის ტანჯვა-წამებანი, თითქო დანაკლისად რაცხს, თუ მუდამ არ იტანჯება, და როცა ჯოჯოხეთიდან გამოდის და ელირსება უფრო ტკბილ ცხოვრებას, გავლილი დრო აგონდება, აწუხებს და აშინებს მისი წარმოდგენა, მაგრამ — დაწყევლის ღმერომა აღამიანის გული — ამ მოგონებაში თეისის განვლილის მწარე ცხოვრებისა მაინც რაღაც სიტკბოებას ჰპოვებს. აი მაგალითად, მე ხომ ზემორე მოგახსენეთ, რომ ცამეტ-თოთხმეტ წელიწადში ჯოჯოხეთში ვიყავი-მეთქი, თუმცა ამ ჯოჯოხეთის მოგონება ჩაშინებს, სულს მიწუხებს ხოლმე, მაგრამ ამასთან თითქო რაღაც სიტკბო-სიამოვნებასაც ვკრძნობ.

ერთს მშვენიერს დილას, მარიობის მეორე დღეს, მე, ახლად გამოლევიძებულს, რომელსაც ჯერ საბნიდან თავის ამოყოფა მემძიმებოდა, შემომესმა ჩემი მშობლების ბაასი:

— მარიამ, ეხლა რას აპირობი? ამ ბავშვს მომზადება უნდა სკოლაში წასაყენად, აგერ ცხრა წლისა გახდა, აღარ ეგვიანება, სწორედ ასლი დრო აქვს, — დაიწყო მამა-ჩემმა ისილორემ.

— მე რას დაგაბრკოლებ; საცვლები დავუკერე, ერთი ახალუხი უნდა კიდევ, წალებს ქალაქში ვუყიდი... ეხლა დამრჩენია გასაკეთებლად პურის ხორბალი. ბევრი თავში ცემა უნდა

ეხლა ამას: უნდა გავარეცხინო, მერე დავარკვევინო, უზრუნავებელი და ჩემმა.

— ორი კვირა-ღა დარჩენილა წასვლამდის, დროიანად გააკეთებინე... მერე წისქვილი გააჭირვებს საქმეს; ამ ოხერ სოფელში ე ფრონე სულ აძოშრა, წისქვილები აღარ ბრუნავენ, წყალი სულ სარწყავებშია დაფანტული.

— წისქვილი რა შესაწუხებელია; მაიამ მითხრა, ლიახვებზე სულ წყალგარდებია წისქვილებიო\*). ერთ დღეს გავგზანოთ ურმით და მეორე დღეს კარს მოგვადგება დაფქული ხორბალი.

— მე ხეალ უნდა წავიდე ქალაქში და ბარემ სახლის პატრიონი ვუშოვნო. ერთ რუსის ოჯახს მიქებენ, იქ მინდა დავაყენო.

— ვუჰიმე, გენაცვალე! ჩემ შაქროს რუსის ოჯახში როგორ დავაყენებ! იმათი სალაფავი საჭმლის ატანა მაგას ჯერ სად შეუძლიან, რუსული კომბოსტოიანი წვენის სუნი ჯერაც ცხვირიდან არ გამომყრია. აღარ გახსოვს, ოთხი წელიწადი ვუყურეთ იმათ ამბებსა. არა, გენაცვალე, ჩემ დასთან უნდა დავაყენო, მერე, როცა ბავშვი გაეჩვევა, მიიხედ-მოიხედავს, კუჭი მოუმაგრდება, მაშინ საცა გინდა, იქ დააყენე... არა, გენაცვალეთ, რა თქვა ისიდორემ? სხეას რომ ეთქვა, გავამტყუნებდი; ბავშვი მუნჯივით უნდა ეგდოს მთელი დღე, რა უნდა გააგონონ ერთმანერთს ენის უცოდინარობით.

— მე იმიტომ ვთქვი, რომ იმ რუსის ოჯახში სხვებიც სდგანან; ისინი გაჩვეულები არიან და ჩევნ შაქროს არა გაუჭირდებოდა-რა... არა, მე შენის აზრის წინააღმდეგი არა ვარ. მართლა ამ ერთს წელიწადს ემჯობინება შენ დასთან დავაყენოთ.

\* ) წყალგარდა წისქვილი იმას ჰქვიან, როცა წყალი გადაგდებულია გადასაშევებზე და ღარებზე არ მოდის ბორბლების ასაბრუნებლად, რადგანაც საფქვავი არ არის.

დაასკვნეს ჩემი სკოლაში წაყვანა. მე უველაფერი მეშვეობა  
და ლოგინში; ჩემდა უნდებურად გამაზმორა, რაც ძალი და ლო-  
ნე მქონდა გავიჭიმე და წამოვჯექ ლოგინზე თვალების ფშვნე-  
ტით. მხე იმ დილას თითქო სხვანაირად ანათებდა, დაჲკარგვი-  
ყო მის სხივებს ძალა, წითელ-ყვითელი ფერი დასცემდა მათ,  
სითბოს მაგიერ მამცივნებლნენ იგინი; ძარღვებში სისხლი გა-  
მეყინა, სახე ამიბუსუსდა და ამიეკლდა; იმ უამად ვგრძნობდი  
იმას, რასაც სიკვდილით დასასჯელი ჰგრძნობს ხოლმე უკანას-  
კნელს წამებში.

— ადექი, ბიჭო-შვილო, ამდენი ძილი შეიძლება! უნდა მიეჩვიო, შვილო, აღრე ადგომას, აი დღეს — თუ ხვალ სკოლაში უნდა მიებაროთ.

დედის სიტყვები ცხელ ტყვიასაცით მომხვდა გულში და გულ-გვამი დამიშუშხა; სულითა და ხორცით მოვეშვი, ლაფა-ნივით გაფხდი და ლოგინზე ჩავკიდე თავი.

— ადექი, გენაცვალის დედი-შენის ორთავ თვალები,  
ადექი!..

— მე იქ არას წავილ, ვუთხარი დედას ბურტყუნით.

— სადა, შეილო?

— საღა და შეკოლაში.

— უი დამიდგეს თვალები, ნუღარვე! ეს რომ მამა-შენმა  
გაიგოს, მეტიც ალარ გინდა: დაგარტყამს რასმეს და სულ  
გაგაფთხობინებს. რა გიშეის, შეილო, აი, პეტრე მღვდლიანთ  
სტეფანეც აკი არის სკოლაში; შენც იმასთან იქნები.

— აბა ეხლა ი ტეფანესა ჰყითხე, მერე!

— რა უნდა ვკითხო?

— მე იქ ვეღარ დავდგებიო, თუ წამიცვანებენ, გამოვიპარებიო, როზვის ცემით ტყავი ალარ შემრჩიო.

— კაი ცხენი, შეილო, მათრასს არ დაიკრავს: კარგად  
ისწავლე და აღარავინ გაგროზგავს... იყი მამაშენიც იგიწევს  
ხოლმე ყურებმა, რა ვუყოთ-რა. მაშ როგორ ისწავლი, თუ  
არ გაგიჯავრდებიან... შენ კაი ბიჭი ხარ!... მე ისეთ ახალისეს



„ეგიყვარავ სასკოლოდ, ისეთ ახალუხსა, რომ სულ გიძებდეს;  
„აქ მოდით და მნახეთო“.

დედის დაპირებამ ცოტა გული გამომიტრიალა, დარღვევა გადამეყარა და ჩემმა პაშია გულმა გამოიდარა.

— ଲେଖା, ହାଲେହିସାବ ମର୍ଯ୍ୟାନିଦିତ?

— გერე როგორ წალებს!

— როგორებსა, დედა, ჰა? მივესაყვარლე და ძუძუებში ჩავჭრავ თავი.

— როგორებსა და ჩაღილულსა. აი ცხონებულ პაპა-შენს  
რომ ეცეა ხოლმე: გვერდზე ექნება შესაკრავი ღილები, წინ  
ჰვითონტი და კოხტა ქუსლები... ისე მოგროვა, დედა-შვილობამ,  
ისე, რომ შენისთანა მორთული იმ ჯელგა შევირდებში არავინ  
იყოს.

— რამდენი ხანია კიდევ წასვლამდის, დედა!

— აი ამ ორი კვირის შემდეგ გაგამზავრებთ; მეც თან  
წამოგყები, მამაშენი ხომ წამოვა და წამოვა, დეილასთან და-  
გაყენებთ... ეკი გიყვარს შენ დეილა!...

— მინამ წავალ, სულ-სულ ვენახებში ვიქნები, საცა კარას ვნახავ, სულ გავაჩანავებ, დამიცალეთ... ივლექი გაჯავრებული, სიჩქაროდ დავიწყე ახალობის ჩატა. დედა-ჩემმა ხმა არ გამცა.

ორი კეირის განმავლობაში, მინამ სკოლაში წამიყვანდნენ, მართლა დედ-მამამ სრული ნება მომცეს სიამოვნებისა: დილით, ავღვებოდი თუ არა, ჩემი ტოლი ბიჭებით, გავწევდი ჭალაზე, სადაც მთელი სოფლის ვენახები იყო აქთ-აქით მდინარის და ჭალის პირას ჩამწკრივებულნი; აქვე იყო სასიმინდე ახოები, კაკლის ჭალაკები და ათასი სასიამოენო ბუნების სანახობანი. სერის ერთს უდაბურს ჭალაში, პატარა ველზე, იდგა უზარ-მეზარი კაკლის (ნიგვზის) ხე, რომლის გვერდზე ამოჩეხ-ჩუხებდა პირდაპირ დედამიწიდან მშეენიერი ცივი წყარო. სამხრეთის მხრივ ამ ხეს საზღვრავდა ვენახი; ვენახე ჩამოდიოდა დადი საწისქვილე რუ, მდინარე ფრონიდან გამოყვანილი,

რომელიც თევზით იყო სავსე; გარშემო ერტყა სიმინდის ახო-  
ები; ეს ისეთი დრო იყო, როცა სიმინდი საჭმელად შემოსულია  
ხოლმე; კაკალიც ნაჭში დახეთქილიყო და დაკროლვაზე მოყრი-  
ლიყო; ყურძენს თვალი აგრძაგერ შესვლოდა. აქ, ამ დიდი ნი-  
გვზის ქვეშ, გავიკეთეთ ბავშვებმა დღისით ბინა; მოგვქონდა თან  
საგძლედ პური, ვწვდით ცეცხლთან სიმინდებს, ვკუჭავდით  
კაკალსა და შევექცეოდით. სულ ათი-თორმეტი სოფლის ბი-  
ჭები ვიყავით ერთად თავმოყრილნი. ჩეენში მიხა შრატაძე ცოტა  
უფროსი იყო და ისა გებელადობდა; ხან აქეთ გაგერეკდა ხოლმე  
და ხან იქით.

— ბიჭებო,—დაიწყო მიხამ:—დღეს დილას შემოვიარე ქო-  
თუაანთ ცაცას ვენახში; პანტასთან ერთი უბანი ბუდეშური  
სდგმია, სულ ჩხვილ-თითაა, ისეა დამკრახული, რომ სულ ბუ-  
ზები ახვევია.

— ეიბე! რა ადრეული ყოფილა და!

— რაღა ადრეა, მერე! ფერისცვალებას ყოველთვის ა უ-  
რთხებინებს ხოლმე ი ცაცა ყურძენს,—გვითხრა მიხამ და ყკე-  
ლას კბილები აგვიკაწკაწდა ცაცას ყურძნისათვის.

— აბა, ბიჭებო, მე და შაქრო ელიკოს სიმინდში გადა-  
ვალოთ და კაი ლამაზ-ლამაზ ტაროებს გადმოვიტანთ; თქვენ, ზუ-  
რა და შაქრო, გადადით ცაცას ვენახში და საცა ვთქვი, იქ  
დაკრიფეთ ყურძენი; ხომ დაიხსომეთ, პანტასთან, საწისქვილე  
რუს ახლო.

— იი, კაცო, რას ამბობ? ცაცას შიშით ეშმაკაც ვერ  
გაუველია იმის ვენახში და ჩეენ სად შეგვიძლიან... ნწარა  
ძმავ, ეხლავე შიშის ურუანტელი დამასხა,—სთქვა თავის ქნევით  
ზურამ;—მე ისევ სხეა შემომიკვეთეთ რამე. იი კაკალს დავკუ-  
ჭავ, სიმინდებს მოვიტან, ჩეენებიანთ ვენახიდან მწიფე მოსე-  
მსხალს მოვიტან.

— აგა-გაგ-აა! ნძა, ნძა! აზგამო, აზგამო, შე სამკლე!—გა-  
ისმა ვენახიდან მეხივით შემზარავი ხმა; ვენახს უვლიდა და თან  
გაჰკიოდა დიდის ხმით ძალლების შესაშინებლად.



— ჩუ! ცაცაა, ცაცა!... ნპი! რა კაუგივით იძახის; რას ამ-  
ბობ კაცო, მაგას ეშმაკიც ვერ გადაეპარება ვენახში, — დაიწ-  
ყო ზურამ; — ზიარების მაღლმა, მამა-ჩემმა სთქვა, რომა ცაცა კუ-  
დიანიაო; ცოცხივით კუდი აქვსო, კუდიანობა ღამეს გადაჯდე-  
ბა ზედაო და იალბუზზე კატებს ასწრობს ხოლმეო.

ჩვენ, ყველა ბავშვებს, შიშისაგან ბალანი თავზე ყალს  
შეგვიდგა, სულ დაგვავიწყდა ყურძენიცა და ჩვენი თავებიც;  
გვეგონა, აი ეხლა გადმოხტება თავის კუდზე გადამჯდარი ცა-  
ცა და იალბუზზე თავს ამოგვაყოფინებსო. მარტო მიხს არ  
ეჯერებოდა ეს ამბავი, თუმცა სახეზე იმას შიშის ზარი ემჩნე-  
ოდა, მაგრამ გულს არ იტეხდა.

— კუდიანი კი არა და ის არ გინდა, — სთქვა მიხამ ნუგე-  
შინისცემით; — მაშ, რატომ მე არ დამიხვდა ვენახში.

— ტყუი, მიხა, არ ყოფილხარ, თორემ ვერ გამოეპარებო-  
დი შენ იმ ცაცასა, ვერა!

— ე მზეი თვალის მაღლმა და ე მზე ნუ ჩამივა შავად,  
რომა ვიყავი...

— ნწარა! ზურა მართალს ამბობს, კუდიანობა საღა-  
მოსა, ჩვენი მასურა ვენახში წავიდა, ატამზე ასულიყო და სა-  
ცერენი გაეხედნა... რაც ქვეყანაზე კუდიანები ყოფილან, თურ-  
მე კატებზე გადამსხდარიყენენ და მიაქროლებდნენ იალბუზი-  
საკენაო; ცხადად დავინახეო, რომა ქოთუანთ ცაცას კუდი ამო-  
ედო ლაჯებში, გადამჯდარიყო ზედ და ნიავ-ქარსავით მიჰქრო-  
ლავდა, ერთს გუთნის გაშლაზე ჩამოენარჩუნებინა უკან ყველა  
კუდიანებიო.

— ეჩა, და რაღა მაგი ვენახის გვერდზე დავდივართ... წა-  
ვიდეთ, აქედან, მე კარგი იდგილი ვიცი, — სთქვა მეორემ. — აი  
კვირიკაძიანთ ბერუას კაკლებ ქვეშ წავიდეთ. ისეთი ნაადრევი  
კაკლებია იმისი, რო ეხლა სულ იკროლება.

— ჰაი თქვე ძალლის დაყრილებო, თქვენა! რას აკეთებთ  
მა კაკლის ქვეშ? — შემოსძახა ვენახიდან ცაცამ და ბავშვებს სულ  
ძაგძავი დააწყებინა. — ვიღაც ყოფილა დღეს ნამიანზე ჩემ ჩვილ

თოთებთან და მოუფუტტკნია იქაობა. ოუ მომესწრო, დედის ხსენს გარშევინებდი მე იმასა.—ცაცას ღობის ჯუჯრუტანებთან მოედო პირის სახე და მაგრა, კაჟივით, გამოიძახოდა.

ცაცა კარგა ხნიერი დედაკაცი იყო იმ ქამად, რომელ-საც ეს ამბავი შეეხება; საშინელი მახინჯი სანახაობა ჰქონდა; ერთი მისი დანახვა კაცს შეზირავდა; დაბალი ტანისა, მარჯვენა თეძოზე ძალზე კოჭლი, ურმის თვალივით გადაჰქონდა თეძო სიარულის დროს; იყო შავი კუნაპეტივით, გამხმარი ახალციხური აპუხტივით; მარჯვენა ყბა მოქცეული ჰქონდა და ერთი სათხილე კბილი ღორის ეშვევით გამოშვერილი ჰქონდა გარედ, რომელსაც ტუჩი გადმოეკეცნა და ცაცას, ისედაც საშიშარს და საზიზლარს სახეს, ერთი-ორად ასაშიშროებდა. ცაცა ბაი-ყუშვივით გამოიყურებოდა ღობიდან და ბაეშვებს თვალს არ აშორებდა, თითქო უნდა მათი შექმაო. ყველანი მიიყუჯნენ კაკლის ძირას, მარტო მიხა გაუმკლავდა ცაცას. თუმცა ამასაც გულში შიში ჩაეჭრა, ფეხები უკან რჩებოდა, ყელზე ნერწყეი ადგებოდა, მაგრამ მაინც გაბედა, გადმოდგა წინ და შესჭყივ-ლა უფრო შიშით, ეიდრე შამაცობით:

— ე მანდ ბუსავით ნუ გამოიბლეირები, თორემ ისეთ ლოდსა გკრავ, რო ეგ ლოჯები სულ ერთიანად მიგალეწო, შე კუდიანო, შენა!

— აი წმინდა ელიას ვთხოვ, რომ ამოგთაქოს და ძირიან-ფესვიანად ამოგაგდოს შენ შენს საგვარეულოში, შე მართლა კუდიანის ბარტყო, შენა! — ერთი ხელში ჩამაგდებინა შენი თავი, რომ ლაყი კვერცხივით დაგანარცხო და გომფაშოსავით გაგვიყლიტო.

— ყურებზე ხახეი არ დამაჭრა, შე ჩოლახო, შენა! — მიხას ცოტა სითამამე მოემატა, დაავლო ქვას ხელი და გაუწუნა ცაცასა; რომ თავი არ მოეცილებინა ღობისათვის, მართლა კბილებს ჩაამტვრევდა; დატრიალდა სიბრაზისაგან გაალმასებული ცაცა ვენახში და რაც კი მოხვდა, ესროლა და თან უშვერის ლექსით აგინა და სწყევლა. მიხას ბაძით წაქეზებულებმა ჩვენც ბუჩქებიდან გამოვყავით თავები და წავძახეთ ცაცასა:



— ჩოლაბო! ინ ჩოლაბო, ჩოლაბო!

— დაიცადეთ, თქვე ეშმაკის დაყრილებო, თქვე პირქვე დასამარხავებო, თქვენა! თუ ცოცხალი ვარ, შეგხვდებით და სულ ყურებისაგან გაგცლით, დამიცადეთ!...

—ნწარა! მე კი ლმერთმა დამისნას, — გვითხრა ზურამ, — იმის  
ვენახში გადასცლიდანა და ოქვენ, რაც გინდათ, ჰქენით; ქვესკ-  
ნელში ჩავძერები, უკუნა ბნელაში აი ჩვენ სახაფლაოზე მარ-  
ტოვა ჩავალ და ამოვალ და მანდ კი ვერ წამოვალ. კაცი,  
რას ამბობ, ეიი!! ძალლები რო დაინახავენ, სულ კუდ ამოძუ-  
ებულები მოძურწავენ ხოლმე სახლისაკენ. ჩვენი თოლა ძალ-  
ლი მგელს ზედ შევარდება ხოლმე, ჩემს ძმას ღიამით-ხარში  
დაუდის, ნადირი გუთნეულის, ახლო ვერ გაიჭაჭანებს ი თო-  
ლიას შიშითა. იმას კი, ი ცაცას, დაინახავს თუ არა, მოჰყევება  
ყმუილსა, როგორც ძუნგელა მგელი და ისეთას დაიქურავებს  
ხოლმე სახლისაკენ, თითქო მგლის ხრო მოსდევს უკანაო.

— ჰეი და! ბა, ბა, ბა... არა, წყეული ადამიანია, ვერც  
მე წამოვალ, გვითხრა მოქსომ.

ცაცა სანახავობით თუმცა საშიში იყო, მაგრამ მხნე დე-  
და-კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი სოფელში. გაზაფხულ-  
დებოდა თუ არა, ის ვენახში დაბინავდებოდა და მინამ გაი-  
ფოლებოდა ხეხილი და ვენახი, იწვა საწნახლის ქვეშ, აღარც

დღე და აღარც ღამე არ შორდებოდა ვენახსა, რომელიც საფულიდამ თითქმის ერთის ვერსის მანძილზე იყო დაშორებული. ძეგი მხოლოდ დაუბარავდნენ ვენახს, სადაც დასაბაზი იყო, დანარჩენს სამუშაოს თვითონ აკეთებდა; ისე ჰქონდა დაწმენდილი, დასუფთავებული ვენახი, რომ უკეთესს ადამიანის ხარბი თვალი ვერ წარმოიდგენდა, დროზე ფურჩქვნილა ვაზი, დროზე ახვევდა, რწყავდა, ჰილავდა და სწმენდდა. ვაზები მისი სახლობა იყო, მისი შეილები და თვით დედა. როცა ვენახში ვაზზე ნაყოფი დარსრიმდებოდა, ბოსტანში კიტრი გაჩნდებოდა, მაშინ ცაცა იცვლიდა აღგილსა და საწნახლიდან გადავიდოდა ქოხში, რომელიც ორჩოფებებზე იყო შემდგარი ვენახსა და ბოსტანს შეუა. ქოხში ეკიდა თოფი, რომლის ხმარება საოცრად კარგად იცოდა ცაცამ, ასე, რომ ნიშანში არ დააცდენდა; მისი შიშით ვერც ძალლი და ეერც კაჭკაჭ-ყვავი ვერ გაიწაწანებდა ვენახში, გაუშვებდა თოფსა და მაშინვე ძირს ტყაპანს გააყრევინებდა; ბაყაყი, ჭია-ლუები, გველი, ხვლიკი გამწყვარი იყო ვენახში; მთელი დღე მისი ფეხი არ ჩადგებოდა, ისე უვლიდა გარს ვენახს; ქოხთან ეწყო რამდენიმე ხელ-კეტები, იქვე ეგროვა ღორლი, წვრილ-წვრილი ქვები, აგროვილი და გამოტანილი ვენახიდან. როცა ძალლი, ან ბავშვი შემოეპარებოდა ვენახში, თუ თოფს ვერ მოასწრებდა ხელსა, ან კეტსა, მაშინ ქვას ქსროდა, და ისე შეჩვეული ჰქონდა სროლაში ხელი, რომ მოურტყმელს არ გაუშვებდა. ჩვენ, ბავშვებმა, ესენი არ ვიცოდით; გავვაბრიყვა მიხამა და ის იყო; გავვეყით მე და ორი სხვა. დანარჩენებს უნდა სიმინდი შეეწვათ, კაკალი დეეკუჭათ; ჩვენ ცაცას ვენახიდან კიტრს და ყურძენს მოვიტანდით, მასურა მსხალს მოიტანდა და გვინდოდა ერთი დიდი არიფანა გაგვემართნა კაკლის ქვეშ, რომ სოფელი გაგვეკვირვებინა.

—ნეტა ეხლა საით იქნება ი ჩოლახა ცაცაი, —სთქვა მიხამ; — ისე უნდა შეეპაროთ, რომ ფაჩუნიც კი ვერ გაიგოს, თორემ ვაი ჩვენს დღეს. დამაცათ, მე ერთ რამეს მოვიგონებ... დასწვდა მიხა ქვასა და ისროლა ცაცას ქოხისაკენ; ქვამ ჩახანი მო-



იღვა ქოხზე. ყური წავუგდეთ ბავშვებმა, ხმა არ გამოგვცა ცაცამ; კიდევ ისროლა მიხამ, კვალად სიჩუმე იყო. თურმე ნუ იტყვით, ცაცას გაუგია ჩვენი ქვის სროლა, მაგრამ განგებ პასუხი არ მოგვცა; ჩვენი გადატყუება ნდომოდა.

— ბიჭებო, მომყევით,— გვითხრა ბელადმა მიხამ,— წისქვილის ღარიდან უნდა ავეპარნეთ, თორემ ის ისეთი კულიანი ვინმეა, რომ სხვაფრივ ვერ ავეპარებით.

— ბიჭო-და, წისქვილის ღარიდან როგორ იქნება, წყალგარდა ხომ არ არის, მერე! ნწა-რა! მე უფრო კარგი ადგილი ვიცი შესაპარავად,— სთქვა მასურამ,— ერთს ადგილას ღობეს ხანი აქვს...

— სადა, ბიჭო? — მივცვინდითჩვენ ყველანი.

— სადა და, აი ნარუვალი რომ გამოდის ცაცას ვენახიდან, სწორედ იქა, დავშვეთ და იმ ნარუვალში გავძვრეთ.

— არიქა წავიდეთ, მე მამყევით, ბიჭებო,— სთქვა მიხამ და გავყევით ძუნძულით.

მაგრამ ცაცას ვინ მოატყუებდა! იმ მართლა და კულიანს მაშინვე გაეფიქრნა, რომ ბავშვები არ მომასვენებენ, უსათუოდ შემომეპარებიან და თუ შემოპარვაა, ამ ნარუალიდან შემოვლენო. ნარუალთან ატეხილი ჭინჭარი იდგა და იქვე ჯახველის სქელი დაბურული ბარდი: ამ ბარდზე ცაცას ვაზის ნაფურჩქნი ტოტები, ამოთოხნილი ბოსტნის ბალახი, ძირიანად დაგლეჯილი ჭინჭრები დაეყარა ზედა და ისეთი საფარი გაეკეიდინა, რომ ადამიანის თვალი შიგ ვერას გაარჩევდა. ჩვენ ყველანი ნარუალში არხეინად გავძვერით; გავიმართენით წელში, მოვიყელუყელავეთ, გავიხედ-გამოვიხედეთ ჭურდი ოსებივით, გული დაგვიმშვიდდა, ლელვა მოგვეშვა და გულზე მოგვეფონა; ხუმრობასაც მიყვავით ხელი; ერთმანერთს თავში გუტყაბუნებდით. ვხტოდით, ვიცინოდით, ვქელავდით იქაობას და ის კირა ვიცოდით, თუ „იუდა ემს ეძიებდა“.

— მე კიტრებს დავუელი, შენ შაქრო, ჩეილ-თითა ვაზები როა აი მსხლისაკენ, ისინი დაკრიფე, მასურა, შენ ცერცეი

მოკრიფე, იქნება სიმინდიც შეგხვდეს. აბა, მარტად იყავით, გი-  
კებო! ჩამი-ჩუმი არსად არის, იქნება ცაცა წყაროზე იყოს გა-  
სული წყლის დასალევად, ან მოსარანად... დაიცა, დაიცა, — სოჭვა  
ჩვენმა ბელადმა მიხამ, — ბიქებო, ცოტა შედექით, ერთი ქოხი-  
საკენ კიდევ გავისვრი ქვასა. ისროლა. ქოხმა ჩახანი მოიღო  
ქვისაგან, ადამიანის ხმა არ ისმის. აბა, ყველამ თაეთავის და-  
ნიშნულ ადგილისაკენ გავწიოთ. აქ ერთმანეთს ნულა დავუწ-  
ყებთ ძებნას, ყველანი ნარუვალთან შევიყარნეთ და ერთად  
გავძვრეთ, თორემ ამ სიმაღლე ლობეს რა გაუვა.

წავიდ-წამოვედით ვენახში, დავიტვირთეთ ჯიბე-უბეები.  
ყველაზე გვიან მიხა მოვიდა; გზა-გზა-კიტრსა სოჭვლებულა, მე-  
ორე ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა და ძალლივითა სვლე-  
პლა.

— ისე გამოვიყეყე ამ ყურძნითა და კიტრით, რომ ხეალა-  
მდისაც არა მინდა-რა... წავიდეს ახლა და დაიკვეხოს ი ჩოლა-  
ხმა ცაცამა... აბა, ბიქებო, გავძვრეთ... უწინ მიხა დაიკუზა გა-  
საძრომად, მაგრამ უბიდან კიტრები გამოუცვინდა და დასწვდა  
ასაკრებად.

— ჰაი, თქვე ძალლის დაყრილებო, თქვენა! — დაგვჭივლა  
თავზე მეხივით ცაცამ, სწვდა მიხას ფეხებში და ნარუვალიდან  
თრევით გამოიყანა და ოითო ასკილის ეკლიანი წკეპლები  
ყველას გადმოვვირა. მე თვალთ დამიბნელდა, თმა ყალბზე  
შემიდგა. ალარ მახსოვს, როგორ და ვინ დაგვიხსნა ცაცას ხე-  
ლიდან.

საღამოზე გულიდან გადამეყარა ის შიშის ზარი, რომელიც  
ცაცამ თავს დაგვცა; მე არხეინად დავუხვდი მინდერიდან სოფ-  
ლად მომავალს ნახირს, გამოვარჩიე ჩვენი ძროხები, კუდზე ვკი-  
დებდი ხელს ხან ერთს, ხან მეორეს, გატუკნულს ჯიქნებზე  
ხელს უსვამდი, ტკიპებს ვაცლიდი და ევალერსებოდი.

— ყმაწვილო, აქ ამობძანდი. — დამიძახა ბალკონიდან მა-  
მა-ჩემმა.

— ჰა! „აქ მობძანდი“! როდის დაუძახნია ჩემთვის ასე მამა-  
ჩემს-მეთქი, გავითიქრე ჩემს გულში და რაღაც ჩამწყდა გულ-

თანა. აველ ბალკონზე და ოთახისაკენ გავწიე. მაგრამ მწვდა მამა-ჩერი ყურში, ისეთის ძალით გამწია ყური, რომ არ მივ-ყოლიყავ, ძირიანად ამაღლლებდა. კარგად რომ ამისრისა და ამიწია ყურები, მოვრთე ლრიალი.

— რას მემართლები, რა ვქნა? ძროხები მოვრეკე, სხვა რა!...

— ნწ-არა! სთქვი, რაც ჩაიდინე დღესა, თორემ ძირია-ნად აგადლლებ ამ ძალის ყურებსა.

მე ჩავილულლულე წყეული ცაცას სახელი, მამა-ჩემმა ხე-ლი მოუშვა. მხოლოდ ახლა მიეხდი, რომ ცაცამ ასკილის წკეპ-ლით დაშოლტვა არ გვაკმარა.

## \*\*

## გ ჭ ა შ ი

•

გათენდა დილა ზარ-დამცემი... ჩემთვის იმ დღეს დღე არ დღეობდა და მზე არ მზეობდა: თითქო ამ დიადს წნათობს ქვეყ-ნიერებისას ამ დღეს სინათლე მოჰკლებოდა, მუქი მისი ბრწყინ-ვალე კი არ იყო კვლავინდებურალ, არამედ ყვითელ-წითელი, გაცრიაკებული. მე ზმორება დაშაწყებინა ლოგინში, რამდენ-ჯერაც თავი ამოვყავ ლოგინიდან, იმდენჯერ ყოველივე მესხვა-ფერა, ფრინველთა ჭიკჭიკიც კი რაღაც გადარიახებულ ხმად მეჩვენა. თითქო დასაკლავად მივყვანდი ვისმეს, ისეთს გაჭირ-ვებაში ვიყავ. თავიდან ბოლომდე ურუანტელი გამირჩოდა ტანში და ჭირის ოფლს მასხამდა ღვართქაფად. მეტი ლონე აღარ იყო, უნდა ივმდგარიყავ. გადვიხედე მოაჯირიდინ და ორი ურემი გამოწყობილი იდგა ჩვენ კარ-წინ და კოხტად შეკეთებული კონკილებზე. ჩვენი კაკოლა ბიჭი ურბენდა გარშემო ურმებს, ულლებს ტაბიკებს ასხამდა და აპეურებს აბამდა. ერთს ურემზე ფარდავის საცალოები იყო დალაგებული, მეორე ურემ-ში, რომელსაც ჩარდახი ჰქონდა გადაფარებული, ხურჯინებს

ალაგებლნენ, უკან, ურმის ბოლოზე, მაფრაშა იყო გადებული.

— აბა, უველაფერი მზად არის? — იკითხა მამა-ჩემია. — მარიამ, — უთხრა დედა-ჩემს, — ამ ბავშვის აბგა, წიგნები, ბატის ფრთები არ დაგავიწყდეს.

— უი დამიდგა თეალები და ნულარავე! არიქა, კაკოლავ! შენცა, შვილო, გენაცვალოს დედის შენის ძუძუები!... არიქათ, ბატის ფრთები სულ დამატიწყდა, მიირბინ-მოირბინეთ უბანში, დააგლიჯეთ ბატებს ფრთები, იქნება ერთი ორასიოდე მოაგროვოთ და მერე კიდევ გამოგიგზავნი, შვილო.

— აბა, ადამიანო, როგორ არ გავჯავრდე! რას აკეთებდით ამდენს ხანს, გზაში ვდევართ და ფრთებს ახლა გაიძახით! — მორთო მამა-ჩემმა ყვირილი და თან ეწყობოდა სამგზავროდ.

— შენც რა დაგემართა, კაცო! სულ ასე იცი მაინცა, როცა გზად მიღიხარ, სულ ვაი-ვაგლახისაა შენი წასვლა... ერთს წუთაში მოაგროვებენ მაგ ფრთებსაცა. მაინც ამაღამ რუისს იქით ხომ ვერ წავალთ, მამიდაშვილიანთსა უნდა გავიაროთ, თუ არა, თვის დღეში თვალით აღარ დაგინახავენ.

ბატის ფთებიც მოვიტანეთ, შევკარით კონა-კონად; აგერ კაკოლამ მამი-ჩემის ცხენი შეკაზმა; პატარა ბიჭმა ხარ-კამეჩი მორევა; მე სულ გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო; ვატყობლი, პირ-ში ნერწყვი მიშრებოდი, თეალებწინ წითელ-ყვითელი რგოლები და ათასი რაღაც უცნაური მოჩვენებანი მიმირბოდნენ; მშეენიერი საუზმე გაშალეს; დედა-ჩემს ქათმის და ინდაურის ჭუკების ღვიძლები ნაკვერჩხლებზე შეეწვევინებინა, იცოდა, რომ მიყვარდა, მაგრამ ძალი არ მქონდა ყბის მოქნევისა, ყოველივე ნაღველასავით მეჩენა. მე გულს არ ვიტებდი: ხან მოაჯირზე გადავჯდებოდი, ხან მავიდას მივაწყდებოდი და ვითომ ჩემს ჭკუაში რაღასაც დავეძებდი, ხან კოჭს გავკრავდი და კიდევაც სიმღერის ნიშნად ვზუზუნებდი, მაგრამ ყველა ეს ნაძალადევი იყო.

— დიაკვანო, აბა შაქრო წაიყვანე ელიაზე, იქიდან კუბოსა-მღვთისმშობელში ჩაიყვანე, ზედა-ჯვარზე კი გზად გავივ-

ლით. წადი, შვილო, პირჯვარი დაიწერე, რომ ღმერთმა სწავლაში კი გულის-ყური მოგცეს.

ელიის ეკკლესია, როგორც მყითხველმა უკეთ იცის, მაღლობზე დგას და გადასცერია მთელ ხეობას. სიხარულით მივირბინე, დავიწერე პირჯვარი და პირს ცმაცური დაფუწყე; თავიდან გამომიდიდა, რა უნდა მეთხოვნა ხატისათვის, როცა დავინახე მაღლიდან ვენახები, სავსე შეთვალებულის ყურძნით და სხვა-და-სხვა ხილითა. გადავიწერე თუ არა პირჯვარი, გამოვარდი ეკკლესიიდან და როგორც დაფთხალი კურდღელი, ისე დავეშვი გვერდაზე, სისწრაფით ჩაეირბინე ჩვენს ვენახში, მივაშურე ბუდეშურებისაკენ. მივუჯექ მწიფე მტევნებს და ძალლიუთ შევსვლიპე. აქ გამეხსნა ენა-გონება, ყოველ ვაზს, ყოველ ხეს გამოვესალმე, მაგრამ ცრემლები ველარ დავიმაგრე და ფშრუჟუნი მოვროთ. დიაკვანი კომეტაც — მეტი სახელი იყო მისი, ნათლობის სახელად გიორგი ერქვა \*), — ჩამოჩანჩალდა ვენახში, დამიყვავა და კუბოსა-მღვიმის მშობელთან წამიყვანა. აქაც დავიწერე პირჯვარი და წელ-მოწყვეტილი ამოვედი სახლში.

— კომეტა, ე რა გიმეტიჩარავნია შენებურად, რა ნიშნები დაგისვამს იმ საცალოებზე, — უთხრა მამა-ჩემმა.

— ე ჯვარი რო დავასვი, ყველაზე დიდი საცალო ეგ არის — ეს ზმოტტიტელს უნდა მივართეთ, მეორე, ვარსკვლავიანი, ისფეხტურსა; თუმცა იმერელია, იმას სიმინდის ფქვილი ერჩივნა, მაგრამ ცოლი ქართველი ქალი ჰყავს; ე მესამე, გაბერილი ტომარა, შაქროს უჩმიტელსა. დაბალი ტომარაა, მაგრამ სხვებზე ნაკლებ არ ჩაიდა... არ იქნება, მამაო ისიდორე, მე შენი დაბადება მახსოვს, თუ ი ოჯახ დაქცეულებს პირში ამითი ბურთი არ დავუცევით, ე შენ შაქროუს ერთს კვირაზე სახლში მოგაყენებენ, ან როჩეს ქვეშ სულს ამოართმევენ. აი რამდენი ველაპარაკე ბლუ მღვდელსა, კაცო, პატივისცემა უნდა-მეთქი, თორემ ი შენ ერეკლეს ზურგზე გუდა-ნაბადს აპკიდე-

\*) ეს კომეტა ბევრში შესანიშნავი იყო, ამაზე ცალკე სურათი მექნება.

ბენ და კარზე ისე მოგაყენებენ-მეთქი, მაგრამ ვის დაგიჯერა. უკრეს პანლური და გამოუგდეს. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ხომ მოგეხსენებათ. ეხლა ძლევნს ხომ ვერ მიართმევ, ცხელა, დღევანდელი დაკლული ხვალ აღარ ვარგა.

— კარგი, ჩემი კომეტავ, მამისოდენი კაცი ხარ, დაგიჯერებ. აბა ნულარ ვიგვიანებთ, შევუდგეთ გზასა, თორემ დაგვიცხება.

ეხლაც მახსოვს ეს სიტყვები, ყურში მიბზუის, მახსოვს, რომ თვალთ სრულიად დამიბნელდა, როცა გადაჩარდახებულს ურემში ჩავჯეტი და დედა-ჩემს ამოვუჯექი მუხლის ძირას. აჭრი-ალდნენ ჩვენი ურმები; წინ ჩარდახიანი ურემი გავიმძლვარეთ, უკან ბარგისა; მამა-ჩემი და მისი მედავითნე კომეტა, მასთან განუშორებელი ჭირში და ლხინში, ცხენებით მოვდევდნენ. სოფელს გავცდით და გავედით თუ არა ზედა-ჯვრის მოედან-ზე, გალმომსვეს და წმ. გიორგი ზედა-ჯვრის ეკკლესიაზე პირ-ჯვარი დამაწერინეს. გავცდით სოფელს, მის არე-მარეს; გულმა კვნესა დამიწყო; რალაც ჩამწყდა გულთან, თავი ვეღარ შევი-მაგრე და დედის მოკეცილ მუხლზე მივეშვი.

— როგორ მოვივიდა, რომ ვახტანგი არ წამოვიყვანეთ თანა; ლაშის ლელეში გამოულეველნი არიან აეაზაკები; თუ თვალნათლივ არ გავიარეთ, არ შეიძლება, რომ არავინ არ დაგვიხვდეს. რჯულ-ძალლმა ოსებმა ძაან დაიწყეს თარეშობა; აქნამდის ლეკები არ გვასვენებდნენ, იმათ ბოლო მოელოთ და ახლა ამათ დაიწყეს ამ მთიდან დენა ბარადა და ლამის აგეიკ-ლონ, —სთქვა კომეტამ.

— ვახტანგი წინ არის წასული, წუხელ წამოვიდა თავის ბიჭით შიოთი, საქმე ჰქონდა აქეთკენ; სწორედ ლაშის თავში დაგვიხდება, —დაუროთ მამა-ჩემმა.

მე სმენად გადვიქეც, წამოვყავ დედის კალთიდან თავი და ჩარდახიდან დავიწყე აქეთ-იქით ცქერა. დედა-ჩემი ცალკე მოჰყვა წუწუნსა და რაც კი რამ წმინდანები და სალოცავები მოაგონდა, ლოცვით სულ ჩამოატყავა.



— ეგ მკვდარ ძალლი ოსები ვაჟკაცად არ ვარგანან; ჩა-  
გიჯდება, ბატონო, ჩირგვში და გესვრის თოფსა. ჰაი დედასა,  
რა ბიჭები იყვნენ არსენა, ნუკრაძე, გიგოლა, ფიდუა და! ნამ-  
დეილი ბიჭები თუ გინდა, აი ესენი იყვნენ... გულ და გულ  
დაგიხვდებოდნენ და გოხოვდნენ ფულსა, ან სხვა რამეს; არ  
გქონდა, გაგიშვებდნენ; ოსი კი თუ დაგიხვდა, დედიშობილად  
გაგხდის, დანდობა და შეწყალება არა აქვს, დაიწყო კომე-  
კამა.

— არსენასთანა მაინც არავინა ყოფილა, ი ღვთივ განათ-  
ლებული ისა! — დაურთო მამა ისაღორემა.

— მე ისე მახსოვს, აი როგორც შენა გხედავ; მე შიო  
მღვიმეში ვწავლობდი... ქალაქიდან გიახლებოდი და ერთი  
ცხენი დატვირთული მომყვანდა რაგინდარათი: ნესვი, სა-  
ზამთრო, კი ლაზათიანი დოშები, ხიზილალა... ალმასის წყალზე  
ჩეროში დავისვენე... ენახოთ, თავს წამოდგა ერთი ახოვანი ვაჟ-  
კაცი, შავგვრემანი, ნაბდის ქუდით, რომელიც გვერდზე ჰქონ-  
და მოვდებული, ახალუხი შარეალში ჰქონდა ჩატანილი და  
ჩოხის კალთები ჩაქებში ამოტარებული; ხელში თოფი ეჭირა,  
ქამარში იქით-აქეთ ყარაბინები ჰქონდა ჩატანილი და გვე-  
რდზე მეტივურად ჰქონდა ხანჯალი ჩამოკიდებული. თან ვი-  
ლაც შეიარაღებული ბიჭიც ახლდა. ახლა რა ვიცი, თუ არსე-  
ნა. ცახცახი დამაწყებინა... შეეატყვე კი რომ ქართველი იყო,  
მაგრამ უცნაურმა სანახაობამ მისმა შემაკრთო და შემაცახ-  
ცახა.

— ვინა ხარ, ბიჭო? — მითხრა მკვახედ, მაგრამ სასიამოვნო  
წკრიალა ხმით და თან ზედ ლიმი დაატანა.

— შიო მღვიმის შეგირდი გახლავარ, მედავითნობას ვწა-  
ლობ; წინამძღვარმა ქალაქში გამგზავნა და რაღაც-რაღაცეები  
მაყიდვინა...

— ეე, სტყუი, კომეჭა, სტყუი! შენ ბევრი ტყუილები იცი,  
უთხრა ისიდორემ.

— თქვენი მადლი არ გამიწყრეს, — ეფიცებოდა კომეჭა, —  
თქვენი, რომ უტყუარია.

— მერე ასკილის წკეპლით არა გცემა? ურიებს ჟაურაჟე შულ იმითი სცემს, საცა შეხვდება.

— ასკილის წკეპლით ცაცამ იცის ცემა! იჭ, ი დინ-ძალლი, რაც ჩვენ იმან იმ დღეს გვირტყა, — ჩაერია ლიპარაკში შაქროც და ლარდებიდან გამოერკვა.

— წკეპლით კი არა და!... სახეზე სიცხისაგან ალმული ასდიოდა, თოფი ბიჭს მისცა, ჩაჯდა და ხარბად შეისხა თავ-პირზე წყალი, გულში ცივი ხელი ამოისვა, მაძლრად დალია ცივი ალმასის წყალი და ბიჭს უთხრა: მოიტა, ცოტა შეენაყრ-დეთ და ეს სადიაკვნოც დავიპატიუოთ... ხომ დაგვეწვევი, ძმო-ბილო!... შენი სახელი?

— გიორგი.

— წმინდა გიორგი შეგეწიოს, კაი სახელი გრქმევია... მეც არსენა მქეიან... ანსენას ხსენებაზე მე თავბრუ დამესხა, ვეღა-რა დავინახე რა, მეგონა თავი კისერზე აღარ მაბია-მეთქი, მოვ-ტრიალდი და ჩემ ჭკუაში გაქცევა დავპირე. იმ კურთხეულის შვილმი შემატყო, მაჯა დამიჭირა, დამიყევა და მითხრა: ნუ გეშინიან, მე კაცის მკვლელი არა ვარ. თვითონ ჩემი მოკვლა უნდათ, თორემ მე არავის მკვლელი არა ვარ; ჩემს მდევ-რებს თავი მოვარიდე, ტყე-ტყე დავიარები და კეთილი ხალ-ხი ხელს მიმართავს სასმელ-საჭმლითა. თუ იმისთანა მდი-დარი ვაჭარი შემხვდება ხოლმე, ცოტაოდენ სახარჯოს ვართ-მევ... მეც ამოვაცოცე ჩემი ხურჯინიდან ერთი ნესვი და სა-ზამთრა, ხიზილალი და ძან დავნაყრდით... წამოსვლისას, აი მზი თვალის მადლმა, ხუთ გროშიანი მამცა და მითხრა: ძმობას, ამისი სანთელი დაანთე მონასტერშიო...

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ წაადგნენ ლაშის ლელეს და მის დუქანს. თუმცა აქ დუქანიც იყო, მაგრამ მინამდის დუქან-თან მიერდოდა კაცი, ისეთი ცუდი გასავალი იყო, რომ კაცს სული შეუწუხდებოდა არა მარტო შიშისაგან, დაბურულის და გაუვალის ტყისაგან; თვით მედუქნეებიც კი ხელს უმართავდ-ნენ ავაზაკებსა და ინახავდნენ. შიგ ტყის პირთან დაგვიხვდა ვახტანგი შიოთი და არხეინად გავიარეთ საშიში გზა.

კარგა გადიხარა მზე, როცა ავედით რუისის მთაზე და მისი მწვერვალიდან გადავხედეთ დაბლა სკრის ხეობას და იმ ქალაქს, სადაც შაქრო დასაკლავ ცხვარივით მოჰყავდათ, როგორც აბრაამს თვისი შვილი ისაკი. ქალაქის დანახვამ წინ წამოუყენა როზეპი, მშობლების მოშორება და გული ისევ ნაღველით აევსო.

## III

## სასწავლებელი

ჩვენი სასწავლებელი უნდა ძველად კაზარმა ყოფილიყოს: გძელი, დაბალი შენობა კაზარმასავით, შემოზღუდული მაღალის ქვითკირის გალავნითა; სახლი ერთ სართულიანი იყო; ცალი მხარე ჰქონდა დიდი ქუჩისაკენ; აღმოსავლეთით ეკრა გალავანი და ყოველ მხრივ ქუჩები ჩაუდიოდა. პირველი და მეორე კლასები ჩრდილოეთის მხრივ იყო; შუა ნაწილში სახლისა იდგნენ სასწავლებლის უფროსები, ზედამხედველი და მისი თანაშემწე, ინსპექტორად წოდებული; სამხრეთის მხრივ იყო მესამე და მეოთხე კლასები. თითო კლასში ძველის წესით ოროლი წელიწადი ისხდნენ; დილით პირველ საათამდე სწავლობდნენ; სადილს უკან კი ისევ იკრიბებოდნენ და სწავლა გრძელდებოდა საღამომდის; თითო გაკვეთილზე თითქმის ორ საათამდე ისხდნენ. ფანჯრები სასწავლებელს ქუჩის პირად ჰქონდა, ასე რომ ადეილად შეიძლებოდა გადასვლ-გადმოსვლა; ჩრდილოეთის მხრივ ვიწრო და მუდამ ტალახიანი ქუჩა ჰქონდა და ამიტომ სასწავლებლის ფანჯრები ამ მხრიდან სულ ტალახში იყო ამოტურტლული, გაშავებული და ოთახებში ძალზე ბნელოდა. ეზოში იდგა განმარტოებით მუხის ბოძი, სახრჩობელასავით ატუზული, რომელზედაც ჩამოკინწიალებული იყო ზარი, რომელიც დღეში ათასჯერ შიშის ზარსა სცემდა ბავშვებსა. პირველს და მეორე კლასებს ერთი შესასვლელი კარი ჰქონდათ, ასე

რომ პირველი კლასის ოთახიდან მეორეში უნდა გასულიყავით. ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდა ღრიალი; ერთს კლასში რომ წამოაქცევდნენ ბავშვს გასარიზგად და განჩენდოდა ორონ-ტრიალი, მეორე კლასიდან გამორბოდნენ ბავშვები და სიამოვნებით, ღიელიუთ უცქეროდნენ ცემა-ტყე-ჰასა.

სასწავლებლის ბანს თუმცა კრამიტი ეხურა, მაგრამ დროულისაგან ისე დაფუცუნებულიყო, როგორც ფუტურო ხე, წვიმას ველარ იმაგრებდა და ისე წვიმდა ოთახებში, როგორც გარედ. ეზო სასწავლებლისა სავსე იყო ფრინველითა, გოჭებით და ხბოებით. ესენი ეკუთხნოდნენ სასწავლებლის უფროსთ; ერთი სახელარიც ჰყავდათ, რომელსაც წყალს აზიდვინებდნენ; ისე გაეშმაკებული იყო ეს სახელარი, რომ დაიწყებდნენ თუ არა რომელიმე კლასში გალობას, ესეც მორთავდა თავისებურ გალობა-ყროყინს და ყურთა სმენა აღარსად იყო. ეცემოდა გასაჩუმებლად „მოკლე თედო“, სასწავლებლის მოსახლეობა, მაგრამ დიდ-ყურა ყალხზე შესდგებოდა, კბილებს დაკრეჭავდა, ზემო ტუჩს აითხლეკდა და ისეთს სამაის ჩამოუვლიდა ყროყინით, რომ „მოკლე თედო“ იძულებული გახდებოდა ხოლმე თავი დაენებებინა თავ-გასული მხეცისათვის, რათა ეყროყინა იქნამდის, ვიდრე გულს მოიფხან-მოიჯერებდა. ეს სასწავლებლის წვრილ-ფეხობა ხშირად გახდებოდა ხოლმე მიზეზი უსიამოვნებისა სასწავლებლის უფროსთა შორის. ერთხელ ინსპექტორის გოჭები შესულიყვნენ ზედამხედველის სათონეში, ეკრათ დრუნჩები მშვენიერის, გამტკიცულის ფქვილისაგან მოზელილის ცომისათვის და ვარცლი ყირაზე შაეყენებინათ.

— გენაცვალეთ, ამისთანა გაგონილა რამე? ველარა დაგუყენებია-რა ამათის გოჭებისაგან. არა, რა ნება აქვთ, რომ აქ გოჭებს ინახავენ? ჩვენ კიდევ ჰო! უფროსები ვართ და ეგენი ვინა ყრიან? ვიღაც მოთრეული იმერელი ამას უნდა მიბედავდეს მე ტახტის აზნაურის ცოლსა და „სმოტრიტლის“

ცოლს... \*) ვუჰი, დადეგით თვალებო, რა ცომი წიმინდინეს, მერე ვარიანული ფქვილისა იყო.

— აკი საქაშნული და შინდურიცა გაქვს! აი ოხრად დაგირჩეს! — უპასუხებდა ხოლმე ინსპექტორის ცოლი. — საწყალი მღვდლები გაბეგრილი ჰყავთ და საცალოს საცალოზე აზიდვინებენ.

— შენ კი ცხეირს იქით მიგაქვს აი, შენმა თვალების ვარდნამა, შენ კი არ მოგდის აი ძღვენი ძღვენზედა.

— იმ, სადა მაქვს, ქა, შენი თავი ამ ავადმყოფს ადამიანს, ან კი რა შენი ტოლი ვარ, რომ გეპასუხები! — და შეჰყობდა ხოლმე თავს ოთახში ინსპექტორის ცოლი, რომელიც ერთობ გამხდარი იყო, მუდამ ჯანი უკვნესოდა და ლოგინს ლესაედა; ამასთან თავადიშვილის ქალიც იყო და ის უფრო აანჩხლებდა, რომ ვიღაც აზნაურის ცოლი ამისთანაებს უბედავდა. ეს სცენები ხდებოდა უფრო სადილთ უკან. როდესაც სასწავლებლები იგვიანებდნენ, ან საღმე ქელებში მოჰყვებოდნენ, დაავიწყდებოდათ სასწავლებელიცა და სწავლიც, მაშინ გამოიშლებოდნენ შევირდები ეზოში და შესკეროდნენ უფროსთა ცოლების კინკლაობას. მაგრამ ამ კინკლაობაში საცედელური ხდებოდა ხოლმე ქმრისაგან ინსპექტორის ცოლს, რადგანაც ინსპექტორი ზედამხედველის ცოლს ინდაურივით ეფხაკურებოდა.

აღმოსავლეთის მხრივ სასწავლებელს სამზარეულოები ჰქონდა მიწურის ბანით და ზედ ფიჩის დიდი ზეინები ეწყო. შეგირდების დღეობა მაშინ იყო, როდესაც შეშასა და ფიჩების იყიდდნენ სასწავლებლის უფრისები; მთელი ოთხი კლასის.

\*) უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, არც შეგირდებმა და არც ხალხმა არ იკოდა ქართულად სასწავლებელში საჭირო ტერმინების ხმარება და ამიტომ სულ ასე ხმარობდნენ: სმოტრიტელი, ინსპექტორი, უჩიტელი, უჩენიკი და სხვანი. მასწავლებელი რომ გეოჭვათ, პირს დააღებდა ყველა, ეს რა უცნაური სიტყვა მოუგონიათ.

შეგირდები გამოცვივდებოდნენ კლასებიდან, თუნდაც მასშავ-  
ლებელნი ყოფილიყვნენ კლასებში და ეზიდებოდნენ შეშა-ფიჩეს,  
აწყობდნენ თავ-თავის ალაგას და ამითი ვითომ აწონებდნენ  
თავებს; რომელიც დააშივებდა რამეს ამ მუშაობის დროს, ვაი  
მის დედას! პატონი ინსპექტორი, რომელიც სიმაღლით ერთი  
საჭენი იყო და სისქით ორმოციანის კასრის ოდენა, ისეთ ნაი-  
რად გაუწევდა თავის თათებით ყურს, რომ მეორე ყური შიშით  
ბანს მისცემდა ხოლმე.

კლასების სამკაულოს წარმოადგენდა გრძელი, უზარმაზარი  
ტლანქი პარტები შეგირდებისათვის, კლასის დაფა, რომელიც  
უფრო დუქნის გაუშალაშინებელს დარბაზს ჰევდა, ეინემ სა-  
წერს დაფასა, მასწავლებლის მაგიდა, კუთხეში შეკუნტული ხის  
ხატი რომელიმე წმინდანისა, რომელსაც წინ ბუჩქივით აყუდე-  
ბული ჰქონდა ბზის დაშხმარი და დაყეითლებული ტოტები და,  
უფრო ყველაზე საგულისხმიერო, გამოჩინებული ჰედაგოგიური  
საშუალება ბავშვების სულის აღსაზრდელად — გოლანდიურის  
ლუმელების ბანებზედ გადმოწყობილი მანეულის როზგები.  
კლასში მასწავლებელი ჟურნალში გაკვეთილს ჩასწერდა და მერე  
გასინჯავდა ეგრედ წოდებულს „ზამეჩანიეს“. აი რა იყო ეს  
„ზამეჩანიე“: ერთს თაბახიანს ქაღალდზე ეწერა სახელი და  
გვარი მოსწავლეებისა; მერე საგნების სახელები იყო თავთავის  
ხაზში ჩამოთვლილი; ყველა კლასში ორი ან სამი უფროსი შე-  
გირდი იყო არჩეული, რომელთაც „სტარშოი“ ერქვათ: ყველა  
ამ რუსულ სახელებს ხმარობდა და ქართულად რას ნიშნავდა,  
არც ერთმა შეგირდმა არ იკოდა. ჩვენც ვიხმაროთ ეს ტერმინე-  
ბი; ყველა „სტარშოის“ ჰქონდა ხელში „ზამეჩანიე“, იგი აწარ-  
მოებდა; ებარა ამ „სტარშოის“ რამდენიმე შეგირდი. მასწავ-  
ლებლის შემოსვლამდის „სტარშოი“ გაკვეთილებს გაუგონებდა  
და „ზამეჩანიეში“ ჩასწერდა; ვინც იკოდა გაკვეთილი, ჩასწერდა  
რუსულად ასე: „ვაა.“ (ვითომ ვნაეთქ, იცის); ვინც არა, და-  
უწერდა: „ოშ.“ (ვითომ—ოშინავთხა კარგად არ იცის, სცდე-  
ბაო). ვაი მის დღეს, ვისაც „ოში“ უჯდა „ზამეჩანიეში“! შე-

შოეიდოდა თუ არა მასწავლებელი, მაშინვე ზამეჩანიეს გადა-  
სინჯავდა.

— აბა „ოშიანებო“, — ასე ეძახდა თვით მასწავლებე-  
ლი, — გამობრძანდით პარტებიდან; დეფურნო, მოიტა როჩ-  
გები.

— ვიცით, ბატონო, უროკი, ლმერთმანი ვიცით; აბა, შე-  
ნი ჭირიმე, „ზნაებსაც“ ჰკითხეთ, თუ „ოშებმა“ არ ვაჯო-  
ბოთ. — მაგრამ სად იყო შეწყალება და შეწყნარება, წმმოაქ-  
ცევდნენ საწყალს „ოშიანებს“ და მათი ღრიალი მაღლა ცაში  
ლმერთს ესმოდა. ხშირად მთელი თვეები გავიდოდა, რომ „ოშე-  
ბის“ ცემა-ტყების უნდებოდნენ მასწავლებელნი და ვისაც კუ-  
დნის ნიშანი „ზნა“ ეჯდა, იმათ სულაც არა ჰკითხავდნენ. ამი-  
ტომაც იყო, რომ „სტარშოის“ მასწავლებელზე დიდი ხმა  
ჰქონდა შეგირდებში და ყველა ცდილობდა მისი გული მოეგო,  
ასე გასინჯეთ, შეგირდების მშობლებიც კი ცდილობდნენ მათის  
გულის მოგებასა. რაც კი რამ გაუჩნდებოდა შეგირდსა, კაი  
ლამაზი თეთრი პური, ნაზუქი, კარგი ხილი — სულ „სტარშოის-  
თან“ მიჰქონდათ. „სტარშოიც“ გაყადისჯორებული დადიოდა  
და ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

## 18

## ეპენტა და ქიშმიშა

სახელების გამოვონებაში შეგირდის გონების მახვილობას  
ხომ არა შეეღრება-რა, პირველის კლასის მასწავლებელს ეძახ-  
ღნენ ყეყეჩის და მეორისას — ქიშმიშას. რა სულიერები იყვნენ  
ეს ყეყეჩი და ქიშმიშა? როგორც ერთს, ისე მეორეს საშუალო  
სასწავლებელი გაეთავებინათ, რის ვაივაგლახით და თაეში ცე-  
მით მასწავლებლობა მიეღოთ; ყეყეჩის ეძლეოდა თვეში  
თორმეტი მანეთი და ქიშმიშას თექვსმეტი. ყეყეჩია მდიდარი  
ოჯახის შვილი იყო, მცხოვრები თვით იმ ქალაქისა, სადაც

შასწავლებლობდა; ტანით იყო ერთობ ტლანქი, გაუჩიორკვნევი; სახე მსხვილი, დაუირცვებული, ცხვირი კომბალის თავს მიუგავდა, შუბლი პტყელი, რომელიც ნაგვზე ნაგდებს ხარის შუბლის. ფიცარს უფრო წააგვდა, ვინემ ადამიანისას; თვალები ზღაპრულს ყარაბანს მიუკავდა, მაგრამ იგინი ერთობ უსიცოცხლონი იყვნენ; თავზე, რომელიც სახამთროსავით რგვალი იყო, გვერდებში გამოწეული, ხშირი და შავი, კუნაპეტივით, თმა ჰქონდა; თმა ისეთი მაგარი, მსხვილი იყო, როგორც ლორის ჯაგარი, ჩოთქად უფრო ხავარგისი იყო, მინამ თავის საფარად; ულვაშიც შავი, მსხვილი, განიერი, ფიჩის წვერებივით გამოშვერილი; ყეყეჩა ხშირად იწმაწნიდა ულვაშებს, მაგრამ წყეულები ერთ წამს რომ შეჩერდებოდნენ, მეორე წამს ზღაპბის ეკლიან ბალანიეთ აუშვებოდნენ და ყეყეჩა ხელმეორედ მიჰყოფდა მათ წმაწნა-გრეხესა; პირი მუდამ სუფთად ჰქონდა გაპარსული; მუდამ ფარჩის ახალუხს ხმარობდა, რომელზედაც შემორტყმული ჰქონდა მშეენიერი. ბუზმენტის განიერი ქამარი, ოქროს ბალთებათ შემკული; ახალუხზე მოკლე და შავი სერ-თუკი ეცვა ხოლმე; ძველებური განიერი შარვალი ქართულის წითელის სათავით — იყო სამკაული მისის უზარ-მაზარის ბარკლებისა. — აი ეს იყო მისი მუდამ სამკაული, მაგრამ კვირა-უქმე დღეობით კი ყეყეჩა თავს დაიმშვენებდა ხოლმე ენიანი კაბით, ქულაჯითა და ყელზე ქალიგაით, ქუდიც ჩატეხილი ეხურა ქართულად. სასწავლებელში სიარულის დროს კი მუდამ კაკარდიანი ქუდი ეხურა. ერთის შეხედვით კაი შედგმულს მხარ-ბეჭიანს კაცს წარმოადგენდა ჩვენი ყეყეჩა, მაგრამ ფუუყე იყო, როგორც ზამთრის შავი ბოლოკი, არაფრის შნო არა ჰქონდა; დაიზლაზნებოდა, როგორც ზანტი მოზვერი, თავი სძლევდა სიარულის დროს ტანსა, მუდამ წინ მიაქნევდა და კურტუმი კი მოგდებული ჰქონდა, კურტა დადგმულ რაჭველსავით; თითო მისი ბიჯი ალაბ-ნახევარი გამოდიოდა; მაგიერში ძალიან მძიმე კაცი იყო: მანამ ძლიერ მოთმინებიდან არ გამოიყანდნენ შეგირდები, ყურს არ გააპარტყუნებდა; მაგრამ როცა მოთმინებიდან გამოვიდოდა, ვაი მისი ბრალი, ვინც პირველი შეხვდებოდა მას

ხელში: რომ დაავლებდა ქოჩორში ხელს, აიყვანდა და შეაბრაწიალებდა ჰაერში, როგორც ბატყანს, და კვერცხივით დაანარცხებდა იატაკზე. ეს იცოდნენ ბავშვებმა და როცა შეატყობინენ ყეყერის გაცოფებას, თაგვებივით შეძრებოდნენ პარტებქვეშ, მაგრამ ერთ-ერთი კი მაინც ვერ წაუვიდოდა მის ტლანქს ხელსა.

სულ სხვა ნაირი სანახაობისა იყო მეორე კლასის მასწავლებლი ბატონი ქიშმიშა; მაღალი და წერწეტა ტანისა, წითელი, როგორც სინგური; ესეც თავს იპარსავდა; ხელები ჰქონდა გრძელი და ხმელი, როგორც ფიჩის კონა; მისი გარტყმული სილა ბავშვს მთელი დღე ანდა ლოყაზე დაღად; მუდამ რუსულად იყო გამოწყობილი; უილეტი ეცვა ახალუხივით შეკრული ყელამდე; სერთუკზე ლერბიანი ლილები ეკერა; მარდი სიარული იცოდა; იყო ერთობ ოხუნჯი და თუ გუნებაზე იყო, ბავშვებს სიცილით. ჰქოცავდა; ყველა ბავშვს მისგან საკუთარი სახელი ერქვა; ხუმრობის გუნებაზე უფრო სადილო უკან იყო ხოლმე; შეგირდები აღტაცებაში იყენენ, როცა ქიშმიშა დაიგვიანებდა სადილო უკან სკოლაში; იცოდნენ, რომ ქიშმიშა უსათუოდ ან ქელებშია საღმე მიწვეული, ან ისე სტუმრად, შეზარხოშდება, მხიარული მოვა, გაკვეთილებს აღარ ჰყითხავს და ხუმრობა-ლაზლანდარობაში და ბურნუოთის წევაში გაატარებს მთელს ორს საათსაო. ღვთის წინაშე, ქიშმიშა ბევრითა სჯობდა ყეყერის როგორც ბავშვების სწავლებაში, ისე მათთან მოპყრობაში; თუმცა არც ერთი არ აკლებდა ბავშვებს ცემატყებას, მაგრამ ქიშმიშა რომ სცემდა, თან ემასლაათებოდა, ეოხუნჯებოდა ბავშვსა და ისე გატყებდა და გაწკეპლავდა, რომ ბავშვი აგრე რიგად არ იჩევდა გულში. სადილო უკან ხშირად ყეყერი და ქიშმიშა მასლაათში ატარებდნენ დრო-ეამსა. როგორც ვიცით, პირველსა და მეორე კლასის ერთი შესავალი ჰქონდა, ესე იგი პირველი კლასი უნდა გაეარნა შეგირდსა და მასწავლებელს და ისე უნდა შესულიყო მეორე კლასში.

ყეყერი სადილო უკან მოსწავლე ბავშვებს ბატის ფრთის კალმებს უჭრიდა; ყეყერი ხომ ყოველისფერში მართლა გამოყე-

ყეჩებული იყო, მაგრამ კაცმა კაცს ღირსება არ უნდა წარათვას: ერთის თვალის დახამხამებაზე რამდენსამე კალამს გამოსჭრილა, მაშინ ჯერ რკინის კალამი არ იყო ხმარებაში. თითო ბავშვს ყოველივე კლასიდან მოუტანდნენ რამდენსამე ბატის ურთას; ყველა ბავშვი თავ-თავის ნიშანს ასვამდა, მიიტინდა ყეყეჩისთან მაგიდაზე და ისიც გამალებული აკეთებდა კალმებს. აი, აქ იყო ბავშვების დღეობა. მოჰყვებოდნენ ეშმაკობას, მაღალის ხმით წიგნის კითხვასა, ერთმანერთში ჩხუბსა, ერთი ბავშვი გამოძვრებოდა თაგვივით პარტიდან და მეორეს აუძვრებოდა სხვა პარტაში, აქ გაჩნდებოდა ეაი-უშველებელი და ერთმანერთის თავში ტყაცუნი. „სტარშოები“ იდგნენ პარტის წინ და ასწავლიდნენ ჩაბარებულს ბავშვებსა. ამ ბაბილონის ენათა შერევნის დროს ყეყეჩია იჯდა, ჩატკირებიტებდა ფრთებს და ფეხებზე ეკიდა ბავშვები; როცა ისე შეუბანებდნენ ბავშვები, რომ ყურთა სმენა ალარ იყო, მხოლოდ მაშინ გამოერკვეოდა ყეყეჩია, შეუტევდა ბავშვებს, დანას ალესდა მაგიდას ნაპირზე და კვლავ შეუდგებოდა კალმების ჭრას. კიდევ კვალად ყვირილი, ედავი-ედუვი.

— ტიშე, თქვე ძალლის შვილებო! — ასე მიმართავდა ხოლმე ბავშვებსა და ოდნავ აიღებდა მაგიდიდან თავს. — რომელია, რომ ასე ჰყვირის; როზგი ხომ არ უნდა მაგ ძალლის შვილს, მაგასა. სტალშოი, — ყეყეჩია რ-ს ვერ ამბობდა და სულ ფ-ს ხმარობდა, — შენ, ეი, სტალშოი-მეთქი! ნუ გიქობენ, „ლაზგოვორი“ აკითხე, „ჩეი ტი სინაი“ აკითხე, ხვალისათვის გაუკვეთე. მეც ე კალმების ჭრას გაეათავებ და რვეულებს გაგისინჯავთ. უმ, რამდენი ფთებია კიდევ... ფთებს რა გამოლევდა, რამდენსაც მიასუსტებდა ფთის ხეავს, მდენს უმატებდნენ ცელქი და ეშმაკი ბავშვები, ასე რომ იშვიათად მოხდებოდა ისეთი შემთხვევა, რომ ყეყეჩის სადილის უკან ვისოვისმე გაკვეთილი ეკითხნოს.

სახელმძღვანელოებს შეადგენდა მაშინ პლატონ იოსელიანის ქართული ლრამატიკა, — ანბანსა და კითხვას მხედრულს ამაზე სწავლობდნენ, — და დავითნი. ამ ორს წიგნზე სწავ-

ლობდნენ ქართულსა; — რუსულისა იყო: სინოდისაგან გამოცე-  
 მული სიფრიფანა წიგნი საღმრთო ისტორიისა, ამგვარივე საა-  
 გარიშო წიგნი, ხოლო რუსულის ენის შესასწავლად ეგ-  
 რედ წოდებული „რაზგოვორი“ (საბაასო); მაგრამ ეს წიგნე-  
 ბიც, დავითნის გარდა, ისეთი ძნელი ხელ-მისაწვდომი იყო, რომ  
 ყველას არ შეეძლო მათი ქონა, ამიტომაც იყო მომეტებული  
 ნაწილი ბავშვებისა უწიგნოდ, საბრალონი ღვთის ანაბარად  
 იყვნენ, ან უნდა ამხანაგისაგან გადაეწერინებინათ უფროსი  
 კლასის მოწაფისათვის. რაკი „რაზგოვორი“ ყველას არ ჰქონ-  
 და, — კლასზე ერთი წიგნი იყო, — ამიტომ რომელილაც ჭკუა-მახ-  
 ვილ მასწავლებელს გამოეგონა „ჩეი ტი სინა“; დიდი რვეუ-  
 ლი იყო შეკრული და გადაწერილი შეგირდებისაგან; ამ რვე-  
 ულს რუსულად ასე ეწერა: „Чеи ты синъ“, ქართულადაც  
 ქვემოდ მოეწერნათ: „ჩეი ტი სინა“, ესე იყი, ვისი შეილი ხარ;  
 უველა ბავშვები ასე ეძახდნენ ამ რვეულს:

— შენი ჭირიმე, — ერთი ჩეი ტი სინა მათხოვე, ან — „ჩეი  
 ტი სინა“ გადამაწერინე, რაც გინდა, იმას მოგცემ...

— ტიშე, ბიჭებო, თქვე ძალის შეიღებო! ყურთ ალარა  
 მესმის-რა, — შემოუტია ერთხელ ყეყეჩამ ბავშვებს; „სოროკ უქე-  
 ნიკოვ სიდიატ, სოროკვე მამა-ძალლები“, (ვითომ — ორმოცი  
 შეგირდი ზის და ორმოცივე მამაძალლები); ამ როზეს ჰქე-  
 დავთ? — და დაუტურტურა როზგი ყეყეჩამ ბავშვებს... — ტიშე!  
 იკითხეთ უჩეი ტი სინა“.

— აბა, მამყევით, — უთხრა „სტარშოიმ“ თავის გუნდს შე-  
 გირდებისას და აიღო რვეული; სხვა ალაგას, სხვა სტარშო-  
 იმ — და შეუდგნენ სწავლას; ყეყეჩამ გულ-დამშვიდებით მიჰმარ-  
 თა ფრთების ჭრას.

— „უჩეი ტი სინ?“ — ჰყითხავდა სტარშოი და მთელი კლა-  
 სი შეპანებდა იმასვე, — თან ასე უთარგმნიდა: „ვისი შეილი  
 ხარ“?

— სინ სვიაშჩენიკა — მღვდლის შეილი ვარ, — იყო პასუ-  
 ხად.

— იზ კოკოლო სელენია,— რომელი სოფლიდან, და სხვა ამგვარები. შემდეგ დაიწყებოდა ცალკე სიტყვების სწავლა.

— ჩელოვეკ—კაცი, — იტყოდა სტარშოი და შეგირდებიც გაიმეორებდნენ.

— ჩელო, ლობ—შუბლი და სხვანი. სიტყვებს—„ჩელო და ლობს“ ერთად ამბობდნენ ასე: — „ჩელოლობ“ და ყველა ბავშვს ერთი სიტყვა ეგონა, ასე, რომ ერთხელ მეოთხეში როცა ვიყავით, მოხდა ისე, რომ ბავშვს ჰქითხეს, შუბლს რა ჰქვიანო. ბავშვმა, ყეყეჩას „ჩეი ტი სინაზე“ აღზრდილმა, თამამად უპასუხა: „Челолобэн — ჩელოლობ“, მაგრამ სიცილს და ხარხარს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთხელ, როცა „ჩეი ტი სინას“ ლრიალი იყო პირველ კლასში, შემოვიდა მასწავლებელი ქიშმიშა; იგი ქელებში ყოფილიყო, ცოტა ჩაელია და ისეც წითელი კიბოსავით ერთობ შეეინქლილებულიყო; შემოვიდა ქიშმიშის ჭამით. ყეყეჩა მიესალმა.

— შენ თუ არ დაიგვიანე, ხომ არ იქნება.

— რაც უნდა დავიგვიანო, ყეყეჩა, მაინც შენზე კარგი შეგირდები მეყოლება; რა ამბავია, ხოჯივანქის აბანოა სწორედ... აბა თუ ჩემს კლასში გაბედავენ; რო დავანახვებ ხოლმე წითელი მონეულის როზგს, სულ ენები მუცელში ჩავუარდებათ ხოლმე.

— რას ამბობ, კაცო! მინამ მოხვალ, ზედ დამანგრევენ ხოლმე კლასს. ეი, ტიშე! შესჭყივლა ყეყეჩამ. ბავშვებმა „ჩეი ტი სინა“ შესწყვიტეს. ამ დროს მოისმა მეორე კლასიდან ტაშის ხმა და მაგიდაზე ლეკურის კვრა. აი, აი, შე უბედურო, შენა! შენ მატრო მაგ ოხერი ქიშმიშის ჭამის უნდები, ჯიბეები გაქვს ამომჰალი... ყური დაუგდე, რა ლრიანცელი აქვთ შენს ანგელოზებსა.

— შე ოხერო, შენ ეშმაკებს მიგზაუნი და მე სად ვაქციო ანგელოზებად... შე უბედურო, შენა, ეს იჩიელო და

იტირო, რომ რევიზორი თურმე მოდის ჩვენს სასწავლებელში...

— დაიკალგე, შენ თუ უცნაური აღა მოიგონე-ლა, ხომ აღ იქნება.

— ალუშ! ნეკზე არ მიკბინო; შე ოჯახ-დაქცეულო, რა დაგემართა, კაცს ბალანი გითეთრდება და აქნამდის „რ“ ვერ გამოგითქვამს. აი, გამიწყრეს შენი სწავლების მადლი. — ქიშმიშამ წატანა გაშლილი ხელი და უნდა თავში ჩაეფარებინა ყეყეჩა-სთვის, მაგრამ ყეყეჩამ ხელი დაუჭირა და უთხრა:

— ლას მიქალავ! ქიშმიშ, მართლა ლევიზია იქნებაო, იმამა-შენი ივანე ნუ წაგიწყდება...

— იქნებაო... მაშ? — და იმოდენა ბურნუთი შეიყარა ცხვირში, რომ ტყუპ-ტყუპი ცხვირი დააცემინა... — აი ცხვირიც და-მემოწმა.

— აი შენი ცხვირის მადლი გამიწყრეს... ბურნუთმა ძალა დააყენა და...

— ეე, დაუსტვინე!... აცც... ცხიი!...

— ლვთის წყალობა! წამოდგა მთლად შეგირდობა და თა-ჟვანი სკა ქიშმიშას ცხვირს.

— ტიშე, თქვე ძალლის წიწილებო! ე, შენ ეი, სტარშოი, ისე დაგაწიწკნი მაგ ყურებსა, რომ მათი წივილი მალლა ღმერთს ესმოდეს; რატომ არ აკითხებ რაზლოვორსა, ჰა?

— ჰო, მართლა, მამა ხოლომონმა მითხრა, რომ რევიზია არის დანიშნულიო.

— ლას ატლაკუნებს, მამა-ჩემი ვერ მომწელდა, მერე!.....

— ნჰი!... მამა-შენი, მე შენ გითხრა, მინისტერია და ხელ-მწიფეს გვერდში უდგა; შე ოხერო, იმითანა გამგებელი ხომ ყვე-ლა იქნებოდა... იცი, ყეყეჩა, მოდი შენ „სტოროვად“ გაკეთ-დი....

— ხა, ხა, ხა, ხა! დაურთო შეგირდობამ და ყველამ კოტ-რიალი მორთო პარტებში; რამდენჯერაც თავს აიღებდნენ მალ-

ლა, მთელ კლასს შესკდებოდა საზოგადო სიცილი... ჩვენი „მოკლე თელო“, ჩვენი „მოკლე თელო“ გახდება...

— ლომელია ეგა, ჰა? სტალინი, მითხალ, ვინ იძახის, რომ მოკლე თელო გახდება.

სტალინი შეყოფანდა, არ იცოდა, ვისზე დაედო ხელი, ვისზე მიეთითებინა. რომ გაუჭირდა, აღმოსავლეთისაკენ გაიწოდა შაჩქენებელი თითი, რომელიც დაუსისწვრივდა „ლომა თაგვეს“.

— ჰა, შენა ხარ, შე „ლომა თაგვო“, შენა!... წააჭირეთ, ჩახადეთ და ოცდა ათი როზგი შიარტყით.

— მე, მე... არა ზიარების მაღლმა, დედა არ მამიკუდება, აი მღვთის-მშობლის მაღლმა, მე არა ვყოფილვარ.

— მაშ ვინ იყო? თქვე!

„ლომა თაგვმა“ გადაავლო ცრემლ-მოგუბებული თვალები ამ-ხანაგებს, რომელთ შორის ერთს წამს საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე უცებ შეირყა და ჰაერში გაისმა საზოგადო ფრუტუნი და სიცილი; ყევლა ბაგშვის ცხეირი ჩაეყო პარტაში და გაშმაგებულს ყეყეჩის ხელში შერჩა ფეხს მდგარი „ლომათაგვა“; ყეყეჩი თავის მსხვერპლს წასწვდა ქოჩორში, აიტაცა არწივივით ჰაერში და გადმოანარცხა იატაკზე. ბაგშვი გველსავით დაიხლაკნა; ყეყეჩი წიხლი წაჰერა, ბაგშვი პირქვე მოექცა და ძლივს ბობლვით წამოდგა. მეორე კლასის შეგირდებმა კარი გამოაღეს და თითების თამაშით ნიშნს უგებლენენ პირველ კლასე-ლებს.

— შეყაო თავები, თქვე მაიმუნებო! ვერა მხედავთ? — შეუტია მრისხანის ხმით ქიშმიშამ და ზეირთივით მიაყარა დორბლი სიბრაზისა თავის კლასის კარებსა. მეორე კლასელებმა სული გაკმინდეს. — მაიცა კაცო! სოლომონშა მითხრა ერთი უცნაური ამბავი...

— იი, ის თავის დღენი სულ მასხარაა.

— არა, ის მასხარობა შენც გამოგადგება და ამ ჩვენს ინსპექტორსაც... თურმე ვიღაც დიდი კაცი მოსულა სასწავლე-

ბელში, როცა ეს სასწავლებელი საბოროს ეზოში ყოფილა... ყველა მასწავლებლები დამალულან... მოვედი დილითაო, — სთქვა სოლომონმა, — ახალ-განწესებული მასწავლებელი ვარ და დიდად მომაქვს თავიო... დილით „სტოროემა“ მითხრაო, რომ არც ერთი „უჩიტელი“ არ მოვა კლასშიო... ვიღაც არის მოსული და ღიმნაზიიდან ყველანი გამოურენია... მე ძალიან შევფიქრიანდიო, — სთქვა სოლომონმა — და „ხერხს მიემართეო“. — არ დამენახო თვალითა, — შევუტიე „სტოროესაო“... მიეაყარე წიგნები, გადევიგდე მხარზე ტილო, დაეიჭირე ხელში გრავლის კონის ცოცხი, დავგავე, დავკრიალე კარმიდამო, დერეფნები და კლასები, ის იყო ფანჯრებს ეწმენდავდი, რომ ელიზბარის კარეტამ მოაგრიალა სასწავლებლის წინ. მე გულმა ისეთი ბაგაბუგი დამიწყოვო, რომ კედელს მიეცხენეო. ეე, რაც მამივა, მამივა, ანასუნი მათ საქმესაო, შევიგინე სომხურადო, ცოცხი კართ უკან მიეაყუდე და ტილოთი კარებებს წმენდა დაუუწყეო. ამოვიდა ვიღაც თავიდან ფეხამდე გაპარსული კაცი, მაღალი შლიაპა ეხურა, რომ ჩვენი ბუხრის ქუდი ფას იმასთანაო, მიიარ-მოიარა კლასებში და იყითხაო: ხად არიან მასწავლებლები, დღეს უქმე ხომ არ არისო... შენ ვინა ხარო... მე, ბატონო, „სტოროეი“ გახლავარო... წავიდა და ერთის წლის შემდეგ მაწერილობა მოედაო, ერთი უცნაური სასწავლებელი ყოფილა № ქალაქშიო, ვერც ერთი მასწავლებელი ვერ ვნახეთ ერთი რიგიანის „სტოროეის“ მეტიო... ეს სტოროეი მე ვიყავიო...

— მამა უცხონდა რევიზორს მე იმას არ გავექცე: შვილოსა, „წამართმევენ რეხასა, მომცემენ ისევ რეხასაო“, ამისი არ იყოს, რას მიზმენ. ემა დრიუნიჩიანდა ისფეხტურმა იდარდოს, თორემ მე რას მიზამს, სახლი კარგი მაქვს და კარი.

— წელან, ბატონო, ინსფიტურმა წამოუსვა ჯოხი და ზმოტრიტლის გოჭს ფეხები მიანტვრია. საწყალი ჩვენი მოკლე თედო სულ ტირილით გასკდა... ახლა გამოვარდა ზმოტრიტელი, მოუვიდათ ჩხუბი, — რად მოჰკალი ჩემი გოჭიო, — აბა, თედო, დაერიე მაგის ბატებს და სულ წელები ათრევინეო... სთქვა ერთმა შეგირდმა.

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარეს ქიშმიშამ და ყეყეჩამ. — მაგათი წერილ-ფეხობისაგან აქაურობა წაპილწულია...

— იმ დღეს კიდევ, ბატონო, უჩიტელო, მე და აი ე ცხვირა გამოვუდექით ინდაურის ჭუკებსა, ისუებტურის ცოლმა გვითხრა, დავგიჭირეთ ერთი ჭუკიო; გამოვუდექით, ი ოხერ-ტიალა ჭუკი შუადამ გამოვისხლტა, ჩვენ ერთმანერთს დავეტაკენით ცხვირებითა და ერთი საათი გულ-შემოყრილი ვეყარენით, სულ დაგვისკდა ცხვირები...

— სულ მა წერილ-ფეხობის ბრალია სმოტრიტლის და ინსპექტორის ჩხუბი. ე რევიზიაც მაგათი ბრალი იქმნება, რომ მოდის... ახლა ჩემს შეგირდებს მივეპატრონო, — და შევიდა კლას-ში ქიშმიშა.

— აბა, ყვავო, დღეს ანგარიშის გაკვეთილი იცი?

ყვავი წამოდგა, ის სწორედ ახლად გამოჩეკილს ფოხოლა-ყვავის ბარტყს ჰგავდა: თავი მსხვილი, თეითონ აქეთ-იქით გადგმული, განიერი და მობუზული.

— აბა, დასწერე: დვაუდი დვა რამდენია?

— ორჯერ ოთხია.

— რაო, რაო? თქვი კიდევ, თქვი!

— დვაუდი დვა, ორჯელ ოთხი, ორჯელ ოთხი... სამი გახლავს.

— წამოაქციეთ ეგ მამა-ძალლი და ერთი კარგები მიარ-ტყით. რას მიედ-მოედება... დაუწერა გაცოფებულმა ქიშმიშამ დაფაზე ციფირი — 2; ეს რა ციფირია?

— ეგა, ეგა დეა არის: — მეორე „დვაუ“ დაუხატა და შუაში გამრავლების ნიშანი დაუწერა. — ეს რალაა?

— ეგეც „დვაა“.

— აბა მაშ ერთად სთქვი. — ყვავმა ტანში რხევა დაიწყო, აქანაგებს მუჯლუგუნები წაპერა, მასწავლეთო, მაგრამ ვინ გაბედავდა ხმის ამოლებასა...

— ჲო, თქვი ახლავე ორივე ერთადა, — შემოუტია ქიშმიშამ, თან ისე აუწია საწყალს ყვავს ყური, რომ იგი სიმწვავი-საგან მასწავლებელს თან აჲყეა.



— ვიტყვი, ვიტყვი, შენი ჭირიმე! დვა და დვა განდავს.

— ჰო, შერე, გამოსთქვი და... ოროსპოლლო, — მიუბრუნდა ახლა სხვა მოსწავლესა, შენა სთქვი.

— დვაფლი დვაა.

— აი ყოჩალ! მაშ დვაფლი დვა რამდენია?

— ჩეთირე გახლავს.

— რატომ შენ კი არ იცი, ორი წელიწადი გდიხარ მე-ორეში და ეგეც არ იცი, შე ყვავის ბახალა, შენა! ვირს რქები არ გამოუვიდა და თავისი თავი ჰატარა ევონაო; ღმერთს რომ შენთვის ტანი არ მოუცია, შენი თავი ჯერ ბალანა გვინია. — წამოუარა და ხელ უკულმა ისეთი სილა უთავაზა საბრალო ყვავსა, რომ შავს ლოყაზე წითელ დაღად დააჩნდა და იმ თვა-ლიდან, რომელ ლოყაზედაც შემოაწნა სილა, ლაპალუპით წა-უმოვიდა მწარე ცრემლები.

— ეი, ყვინჩილავ! ნოეს ისტორია მითხარი.

ყვინჩილა წამოდვა, გაიჭიმა კისერი და მოჰყვა:

— მართალი ნოე; ნოესა ჰყვანდა სამი შვილი: სიმი, ქამი და იაფეტი.

— ჰო, ნოესა ჰყვანდა სამი შვილი, აბა იმათი სახელები, მითხარი? — ყვინჩილას ევონა, რომ სხვა კითხვას მაძლევსო, ან თუ კიდევ სხვა სამი შვილი ჰყოლიაო; — შეყოყმდა.

— იმათი სახელები? ნოესა, ნოესა...

— ჰო, ნოესა, დიალ, ნოესა!... შე ძალლის ქეცეცო, შე-ნა, წელან არა თქვი, ჰა? ქალაქის სკოლიდან ეგ მოიტანე, მა-გის გასწავლიდნენ? აბა, ბიჭებო, წამოაქციეთ.

შეგირდები ჭიანჭველის გორასავით დაეხვივნენ ყვინჩილას, მაგრამ ისეთი მოხერხებული და ღონიერი იყო, რომ ვერ წააქ-ციეს გასაროზგად. მაშინ ქიშმიშაც ადგა თავის მაგიდიდან და უბრძანა:

— შენი ნებით დაწექ, თორემ „სტოროვებს“ დავუძახებ და ისე გაგატყეპინებ, რომ მეშვეოდე ცაში ისმოდეს შენი ლრია-ლი.

წააქციეს ყვინჩილა, ოროლი შეკირდი აწვა თავს და ფეხებზე და ოროსპოლლი სცემდა როზგსა.

— კიდევ დაკა, კიდევ! ეშე, ეშე! მაგ არამზადას მავასა, აქნამდის ნოეს შვილების სახელები არ იცის.

— აյი ვთქვი, — ამოილუდლულა ტირილით იატაჭზე პირქვე დამხობილმა ყვინჩილაშ.

როცა ყვინჩილას კარგა-კარგა მოაჩტყეს, ქიშმიშა დამშვიდდა, გაიარ-გამოიარა, ბურნუს წევა დაუწყო და ისე მაგრა დააცემინა ცხვირს, რომ ყეყეჩამ კარი გამოალო და შემოხედა, ხომ არა დაემართა რა შეზარხოშებულს ქიშმიშასო.

— ოროსპოლლო, მაჩვენე შენი ხელები.... ამ მამაძალს სწორედ დოლაბებს მიუგავს ხელები... კვირას თუ არ გიკრიცნია, თვალით ნუღარ დამენახვები, გესმას?

— კარგი, ბატონო, მაგრამ ინსფეხტურისა მეშინიან.

— კარგი-მეთქი!... თუ ერთს ათიოდე როზგს მოგარტყმენ, გარგებს კიდეც... თუ არა და მე დაგიხსნი.

— ბატონო, ე თხის ტვინამ ისეთი ჭიდაობა იცის, რომა!... — ჩაერივნენ ლაპარაკში შეგირდები.

— ყვინჩილამა მერე! ისეთი ქალაქური კრიფი სცოდნია, რომ ყველას გვერდები ჩაგვამტვრია, — ჩაურთეს სიტყვა სხვა შეგირდებმა.

— მართლა, აბა მაჩვენე ხელი... მართლა და რა კეხიანი ხელები ჰქონია... კრიფობ?

— დიალ.

— აბა ერთი შენ და ოროსპოლლი გაიკრივენით.

ოროსპოლლმა თუმცა მაგარი შემოკვრა იცოდა, მაგრამ ყვინჩილას ერთობ ცხარე მუშტი ჰქონდა და ისეთი სილის გარტყმა იცოდა, რომ მაშინვე რეტს მოჰერიდა კაცსა. ყვინჩილამ ნამტირალევი თვალები გადიწმინდა და მგელივით გამოვარდა პარტებიდან, ოროსპოლლმა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და თავისი მსხვილი ხელი დამუჭა, აილო მაღლა და სახეში უნდა ჩაეკრა

ყვინწილასათვის, მაგრამ ამ ღროს ისეთი სილა გაუჭახუნა ყვინწილამ ოროსპოლლის, ზედ გვერდში ამოუსვა მუშტი, ამოჰერა წისლი, რომ ბამბის ტომარასავით გააკორა ჩვენი ოროსპოლლი. სწრაფად წამოვარდა მტვერში ამოუნგლული ოროსპოლლი, მივარდა, ბევრი უბრაგუნა გვერდებში მუშტები ყვინწილას, მაგრამ ჯობნა მაინც იმას დარჩა. იქმნამდის იბრძოლეს, რომ დაღალული მამლებივით ერთი აქეთ გადაიქცა და მეორე იქით.

ქიშმიშას მოსწყინდა ცემაც, ხუმრობაცა და სეირიც.

— აბა ერთი ფანჯრიდან მზეს გახედეთ, ჯერ დარეკვის დრო არ არის.

— ერთი ფჩხილის დადება უკლია, — უპასუხეს ქიშმიშას შეგირდებმა.

ბავშვებს ფანჯარაზე ხაზებით დანიშნული ჰქონდათ, როცა მზე დანიშნულს ალაგს მიადგებოდა, მაშინვე შეამზადებდნენ აბგებს, ქუდებს იღლიაში ამოიჩრიდნენ და დაემზადებოდნენ კარში გამოსავარდნად; როგორც ყაფაზილან დამწყვდეული ჩიტი გამოეარდება და აქეთ-იქით ფარფატით ეცემა არე-მარეს, ისე ორი-სამი საათი სადილთ უკან სკოლაში დამწყვდეული ბავშვები ისე მოედებოდნენ ხოლმე ქუჩებს, როგორც დამფთხალი ნაღირი. მაგრამ ამ დღეს კი ქიშმიშას წყალობით კლასში ცოტა მოუგვიანდათ: ქიშმიშამ ჩაჰკიდა მავიდაზე თავი და ისეთი ხვრინვასა და სტვინვას მოჰყვა, რომ მისი გაღვიძება ეგრე აღვილი არ იყო; მერე თავი გაისწორა და სრულს ძილს მიეცა: ბურნულის კოლოფი ხელიდან გავარდა, მაგრამ ორს თითში მაინც კიდევ შერჩა ბურნული და სახეზე ჩამოებნა. აი, ზარი დაჰკრეს, სხვა ოთახებში ბრაგი-ბრუგი ასტყდა.

— ლოცვა წაიკითხე, დეულნო, — გაისმა მეორე ოთახში ყეყეჩას ხმა.

ქიშმიშას შეგირდებიც აირივნენ, მაგრამ გასვლა ვერ გაბედეს.

— მოიცათ, ბიჟებო, — წამოიძახა თხუნელამ, — უნდა ვითხრათ, რომ კლასში ყელა შეგირდს სხვა სახელი ერქვა, ქიშ-

შიშასაგან დარქმეული,—მე მაგას შტუკას ვუზამ, რომ გაიღ-  
ვიძოს.

თხუნელა მიიპარა, გამოჰყარა ბურნუთის კოლოფილან  
ბურნუთი და ცხვირის ნესტოებთან მიუგროვა ბატონს ქიშ-  
მიშას; უხვად შედიოდა მის ცხვირში ბურნუთი; ბურნუთმა  
თავისი ჰქმა: ჯერ ყელი ამოუწვა და ქიშმიშამ ხრანტალი დაი-  
წყო, მერე მოაყოლა ცხვირ-ცემინების, ამდენი ახლევინა მაგიდა-  
ზე თავი, რომ გამოერკვა.

— ბატონი, დარეკეს, დარეკეეეს!..—შეჰყვირეს შეგირ-  
დებმა და მაგიდას შემოერტყნენ.

— არა, თქვე ყურუშმაღებო, ვერ გამომალვიძემდით? ამა-  
ლამ ხომ აქ არ გავითენებდით.

— ბიჭო-და, ე თხუნელას რო ე შტუკა არ ექმნა, ხომ  
ბინდამდის დავრჩებოდით,—მილაპარაკობდნენ ბავშვები, ხარ-  
ხარობდნენ და ყველას უამბობდნენ იმ დღის თავ-გადასა-  
ფალსა.

### ს. მგალობლიშვილი

(შემდგრი იქნება)

# პრაზანა

რომანი იტალიის ცხოვრებიდან

ე. გრინიშვილი

ნაზილი მთარე

II\*)

ერთ საღამოს, ივლისში, 1846 წელს, ფლორენციაში,  
 ფაბრიცის სახლში, რამდენიმე პროფესორნი შეკრებილიყვნენ,  
 რათა ესაუბრნათ, გეგმები შეედგინათ მომავალ პოლიტიკურ  
 მოძრაობის თაობაზე. რამდენიმე იმათგანი მაცუნის საზო-  
 გადოებას ეკუთვნოდნენ და მტკიცედ ითხოვდნენ, დემოკრატი-  
 ული რესპუბლიკა დამყარებულიყო და იტალია გაერთიანებულ  
 სახელმწიფოდ გარდაქმნილიყო. იყვნენ აგრეთვე მომხრენი კონ-  
 სტიტუციონალური მონარქიისა და ლიბერალები სხვა-და-სხვა  
 აზრებისანი თუმცა ერთ მუხლში სუკველანი თანახმანი იყვ-  
 ნენ, ესე იგი ტოსკანას ცენტურის უკმაყოფილებაზე. ყველა-  
 საგან საყვარელ პროფესორ ფაბრიცის შეეკრიბნა თავისი მო-  
 ძენი, იმ იმედით, რომ ამ კითხვაზე მოწინააღმდეგე პარტიის  
 წარმომადგენელნი შეიძლებადნენ მსჯელობას უჩხუბრად და  
 მშვიდობიანად. ორი კვირა გავიდა მხოლოდ, იმ შესანიშნავ  
 ამნისტიის შემდეგ, რომელიც პაპა პიი მე-IX დაადგინა პოლი-  
 ტიკის ბრალდებულთაოვის თავის კურთხევის დროს. შეოთი და-

\*) იხ. „მოამბე“ № VII, 1899 წ.

ଅଲ୍ଲେଲୁୟେଦା ଲୋଭେରାଲୁୟର ଅଲ୍ଲାପ୍ରେଦିଲୋ, ଗାପକୁପ୍ରେଲେବ୍ଦୁଲ୍ଲି ଏହି ଶେଷ-  
ତଥିବେଳି, ଏତୁପ୍ରେଦିଲୋ ନେ-ନ୍ୟୁନ ମନ୍ତ୍ରରେ ନୀତାଲୀବାସି. ତାଙ୍କୁବାନାଶି ମାର-  
ତେବେଳିବାରୁ କି ଅଲ୍ଲେଲୁୟେବ୍ଦୁଲ୍ଲି ଯୁଗ ଏହି ଏହା-କ୍ରୀଏତ୍ତିବ୍ଲେବ୍ଦରିବେଳି ଶେଷ-  
ତଥିବେଳି. କରନ୍ତୁଫେରାରି ଘାବରିପୁରି ଦା ରାମଦ୍ୟନ୍ତିରାମ ସବ୍ରା ଫୁଲନ-  
ର୍କ୍ରିପ୍ରୋଲେବ୍ଦିବାରୁ ଏହି ପିଲି ସାକ୍ଷେତିଲାଲିଦିଲ ମିଳିବିଦାତ ଘାବେଲୁଣ ଉଦ୍‌  
ବାତିବେଳି, ରାତା ଶ୍ରୀପ୍ରାଣିତ କାନନ୍ଦେବି ଦେଖିଲିବେଳି.

— ଦୋଷାଦି! — ଶତକ୍ଷେତ୍ର ଦରାମାତ୍ରିଜୁରଗମ ଲାଗିବାମ, ରାତ୍ରା ମିଳି  
କିରାପ୍ରେଲାଦ ଗାମନ୍ତେଲାବାରାକ୍ରିନ୍ଦ ଆମାଶ୍ରୀ, — ଶ୍ରୀମଦ୍ଭେଦେଶିବେଳିବା ଦାଵିଦ୍ଵିଷ୍ଟ  
ଗାମନ୍ତେମା ଗାଥେତିବେଳି ମି ଦରାମଦ୍ରେ, ବିଦର୍ହ ଦେଖିଲିବେଳି ପିଲି ଏହି  
ଶ୍ରୀପ୍ରେଲେବା. ପିଲାବାଦମଦ୍ରେବ ଶ୍ରୀମତେବେଶାଶି ଏହାପ୍ରେରତି ନୀତିବେଳିବେଳି  
ପ୍ରେମା ଏହି ଶ୍ରୀଦିଲେବା. ମାଗରାମ ମାନିବ ଶ୍ରୀଶବଦିଲାମ ଗାମନ୍ତେଶ୍ଵରେ, ଏହି-  
ଲାନ୍ଦେଲ ପ୍ରେନ୍ଦୁରିବେଳି କିରାପ୍ରେବିତ, ପାଲକ୍ଷ୍ମୀ ପିଲିବାକ୍ରିବି — ଦା ରାମ-  
ଦ୍ୟନ୍ତାଦାରୁ ଏହିରେ ଦାଵିଦ୍ଵିଷ୍ଟିବେଳି, ମଦ୍ରେନାଦ ଯତ୍କରି ମାଲ୍ଲ ମିଳିବାଦ୍ଵିଷ୍ଟ  
କିମ୍ବା ମିଳିବାନ୍ତି, ସାକ୍ଷିମିଳି ଗାନାବଲେବିଲିବେଳି. ଏହି କିମ୍ବାଦା ଘାବରିପୁରି ନାତାନ୍ତି-  
ଶି, ତୁ ରାଗନ୍ତ ଜୁନଦା ମନ୍ଦିରୀପ୍ରେଲେବ୍ଦିବ୍ରିନ୍ଦ ଏବଳା ତାବିଲେବ୍ଦିଲି  
ମିଳିବାଦ୍ଵିଷ୍ଟିବେଳି.

— ଶ୍ରୀପ୍ରେଲିବା, — ହାଏରିବ ଲାକାରାକ୍ଷି ଏହିତି ଏହି ଦାମିଶ୍ରମିତା-  
ଗାନ୍ତି, କାଳାରା-ତମିବାନ୍ତି ପ୍ରେକ୍ଷିଲିବ, ରାମମେଲିବ ମଦିମେଲ ଦା ତ୍ରୁପ୍ତିବିନିତ  
ଲାକାରାକ୍ଷିବେଳିବା, ରାମ କ୍ରୀଏ ଜୁନଦା ରାଗନ୍ତରମ୍ଭ ଏହି ପିଲିବିତ ଗୋପନ୍ତିବ୍ରିଦ୍ଧି-  
ଲାଲିତ. ମାଲ୍ଲ ପ୍ରେଲାର ପ୍ରେଲିନ୍ଦିବେଳିବା କିମ୍ବା ଏହି ମାନିବ ମନ୍ଦିରୀକ୍ଷେତ୍ରବ୍ରିଦ୍ଧି-  
ଲାଲିତ କିମ୍ବା ପିଲିବେଳିବା କ୍ରିରିବ୍ରିଦ୍ଧି ର୍ଯ୍ୟାମିନିବେଳିବେଳି ଗାତ୍ରାର୍ଥିବେଳିବେଳି-  
ତଥିବେଳି. ମାଗରାମ ବାରଗ୍ରେବିଲାଦା କାମତ୍ତୁଲେବ୍ଦିବେଳିବେଳି ଏହି ମେ ଏହା ମିଳାମିଶ-ରା.  
ମିଳିବ ମଦିମାଦ ଅମଦ୍ରେବ୍ଦିବେଳି ଦା ଅମିନ୍ଦ୍ରେବ୍ଦି ମାରତ୍ତେବିଲାଦା, ମିଳିବ  
ମାଗିଏର, ରାମ କ୍ରୀଏ ବାସାରଗ୍ରେବିଲାଦା ମନୀମନୀବାନ୍ତି, ରାମ ମନ୍ଦିରୀବେଳିବେଳିବେଳି  
କିମ୍ବା ପ୍ରେଲିବେଳିବା. ରାଗନ୍ତରପ ଏହି ହାଗୁତ୍ତେଲିବ କ୍ରୀଏ ମନୀମନୀବାନ୍ତି ବା-  
ଶିମାର ମେବିଲାଦିବେଳି, ଏହାର ଶ୍ରୀପ୍ରେଲେବେଳି ଏହିବେଳିବେଳି ମିଳିବ  
ପିଲିବେଳିବା.

— ହାଜି, ତକ୍ଷେନିଲି ଏହିବେଳି, ରାଗନ୍ତ ଜୁନଦା ମନ୍ଦିରୀପ୍ରେତ.

— ଜୁନଦା ତଥିବେଳିବ ଶ୍ରୀପ୍ରେରାନ୍ତି.

— ଦୋଷାଦମଦ୍ରେବ ଶ୍ରୀପ୍ରେତାନ!

— ଦୋଷାଦ, ମିଳିବ ଜୁନଦା ମନ୍ଦିରୀପ୍ରେତ ତଥିବେଳିବ, ରାମ ଶ୍ରୀପ୍ରେତିବ ତା-  
ବିଲେବ୍ଦିବେଳିବା ମନ୍ଦିରୀପ୍ରେତ ଦେଖିଲିବେଳି.



სარკმელთან მჯდომარე კაცი, რომელსაც გამჭრიანთქმულები და მუქი ფერის თმა ჰქონდა, მობრუნდა სიცილით მოსაუბრეთაკენ.

— ბევრს მოიგებთ თქვენის თხოვნებით! — უთხრა მან, — მე მგონი რენცის საქმის დასრულებას უნდა ყოველი კაცი განეცურნა მაგვარ ოცნებებისაგან.

— მეც აგრეთვე ვწუხვარ, როგორც თქეენ, ბატონო, რომ ვერ მოხერხდა ხელის შეშლა რენცის გაცემისა, მე სწორედ არ მინდა საწყენი რამ ვუთხრა ვისმე, მაგრამ არ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ ჩვენი მოუხერხებლობა ხდება ზოგიერთა ჩვენ წევრთა მოუთმენლობისა და სიფიცხის გამო. რასაკვირველია, მე ვერ გადავწყვეტ...

— საზოგადოდ, ყველა პიემონტელები ვერას გარდასწყვეტენ ხოლმე ვერათდეს. — მოუქრა სიტყვა შავგვრემანმა, — არ მესმის რას ეძახით თქვენ მოუთმენლობას და სიფიცხეს, იქნება ფრთხილ საჩივრებს, რომლებსაც ჩვენ ვგზავნიდით. შეიძლება ეს ტოსკანელ და პიემონტელისთვის ნიშნავდეს სიფიცხეს, მაგრამ ნეაპოლში კი ჩვენ ეგრე არა ესჯით.

— საბედნიეროდ, — შენიშნა პიემონტელმა, — ნეაპონელებს მხოლოდ ნეაპოლში მოუხდებათ ხოლმე მოქმედება.

— კმარა, კმარა, ბატონებო, თუ შეიძლებოდეს! — ჩაერია პროფესორი, — ნეაპოლის წეს-რიგნი თავის მხრივ ძალიან კარგნი არიან, აგრეთვე როგორც პიემონტელებისა. მაგრამ ჩვენ ეხლა ტოსკანაში ეართ და ტოსკანელებს კი შრომა მხოლოდ არსებითი საქმეზე უყვართ. გრასინი გვირჩევს საჩივრებს, გალლი კი ამის წინააღმდევია. თქვენ როგორილა აზრისა ხართ, ექიმო რიკარდო?

— თხოვნებში ვნებას ეერასა ვხედავ და მოვაწერ ხელს იშას, რომლის მიცემასაც გრასინი ინებებს. მაგრამ ვფიქრობ კი, რომ მარტო თხოვნებით არა გამოვარა. არ შეიძლება თხოვნებითა და პამფლეტებით ერთად ვიმოქმედოთ?

— მხოლოდ იმისთვის, რომ პამფლეტებმა შეაშფოთონ  
მართებლობა და აღძრას იგი, რათა არ შეასრულოს ის, რასაც  
ითხოვენ? — ჰკითხა გრასინიშვილი. — სულ ერთია ამას ის არ შეას-  
რულებს.

ნეაპოლიტანელი ალგა და მივიღა მაგიდასთან.

— ბატონები, თქვენ ხუმრობას ადგეხართ! გართველობა-  
სთან ხუმრობა ჩვენ არას გამოვალგება. უნდა მცხოვრები  
აღვარიათ.

— თქმა უფრო ადვილია მაგისი, ვიდრე შესრულება. თქვენ  
რით დაიწყებით?

— მაგვარი კითხვა სისულელეა, გალლი! დიალაც ეგ იმით  
დაიწყებს, რომ კენჭორს შოლტს თავზე მოუქმევს.

— სრულადაც არა. — მიუკო მწყრალად გალლიშ. ოქენე  
ყოველთვის ფიქრობთ, რომ სამხრეთელს არა სწამს-რა, გარდა  
ცივი ფოლადისა.

— მაშ, აბა, რა წინადაღებს გვაძლევთ? დაჩუმდით, მო-  
ისმინეთ, ბატონებო, გალლის სურს რჩევა მოგვცეს!

მთელი საზოგადოება რამოდენიმა კრებად დაყოფილი, რომელთა შორის განსაკუთრებითი დავა გამართულიყო, შეიკრიბნენ მოსახმენად მავიდას გარშემო.

გაოლიმ ხელი მაღლა აიღო.

— არა, ბატონებო, მე არავითარ რჩევას არ გაძლევთ,  
მინდა მხოლოდ გამოვთქვა ერთი რამ მოსაზრება. მე მგონი  
რომ ძალიან საშიშოა გვიხაროდეს ახალი პაპის დამწესება.  
ყველანი ჰუკიქრობენ, რომ რაღდგან ის დაადგა ახალ გზას და  
გამოსცა ამნისტია, ყველა ჩვენ, მთელი იტალია, უნდა იმას  
გარს შემოვეხვევნეთ და ის მიგვიყვანს ჩვენ აღთქმის ქვე-  
ყანაში. მეც, რასაკვირველია, არა სხვაზე ნაკლებ აღტაცე-  
ბაში მომიყვანა პაპის მოქმედებაშ. ამნისტია საუცხოვო მოქ-  
ცვა იყო.

— რა დიდი პატივია იმის უწმინდესობისათვის, — დამცი-  
ნავის კილოთი შენიშნა გრასსინიმ.



— კარგიათ, კმარა, გრასსინი, დაცუდეთ ილაპარაგაკლიანის  
ჩაერია რიკარდო.—საოცარია, თქვენ ორნი ისე ვერასოდეს  
შეხვდებით ერთმანერთს, რომ კატა და მყეფარსავით არ წავინ-  
კლავდეთ. განაგრძეთ, გალლი!

— მე მინდა ვთქვა მხოლოდ ეს, რომ უწმინდესი მამა, სწორედ რომ საუკეთესო განზრახვებით მოქმედებდა, მაგრამ შეასრულებს კი ბოლომდის? — ეს კიდევ მეორე კითხვაა. ეს-ლა ყოველისფერი კარგად მიღის და, რასაკვირცხელია, წიწინააღმდეგი პირნიც გაჩუმებული იქნებიან რამოდენიმე თვეს, მანამ აღტაცება ამნისტიის გამო დაშოშმინდება, მაგრამ ისინი არაოდეს არ დასთმობენ თავიანთ უფლებას უჩხუბრად და მე დარწმუნებული ვარ, რომ მანამ ნახევარი ზამთარი გაივლიდეს, ხელახლა ყველა იეზუიტები, გრეგორიანცები, სანფედისტები და ყველა იმათი ამხანავები ჩაურთვენ საქმეში ჩვეულებრივ შეთქმულებებს და უთანხმოებას; მოსწამლავენ ყველა იმათ, რომლების მოყიდვასაც ვერ მოახერხებენ.

— ეგ სრული მოსალოდნელია.

— ჰო-და, მაში ჩაღას უნდა ვუცდიდეთ და ვგზავნიდეთ  
მშეიდობიანობის თხოვნებს, იმ დრომდის, ვადრე ლამბრუსკინი  
და იმისი საზოგადოება დაარწმუნებენ, დაითანხმებენ ჰერცოგს,  
მიგვცეს ჩვენ იქნეუტების მართველობაში, იქნებ ავსტრიის  
გუსარებიანათაც უბნების საყარაულოდ? და იმისთვის, ვითომ  
ჩვენ შორის წესიერება დაიცვან. არა სჯობს ეს წინადევ მი-  
ვიღოთ მხედველობაში და ვისარგებლოთ დროებითი დამარ-  
ცებით, რომ მოვახდინოთ იმათზე პირეელი დაჯახება?

— გვითხარით, ჩაში მდგომარეობს პირველი დაჯახება?

— მე გირჩევდით შეგვერიბნათ რაც შეიძლება მეტი მო-  
მხრეები და ამჯანყებელნი, იეზუიტების საწინააღმდეგოდ.

— የዕስጂዢ ተስፋይ የሚከተሉት አገልግሎቶችን ምርመራ ይፈጸማል፡፡

— დიალ, გამოვეაშვარაოთ იმათი სიმღაბლე და გაიძვერა-ობა, გავცეთ იმათი საიდუმლონი და მივმართოთ ერს, რომ ერთად ვიმოქმედოთ იმათ წინააღმდეგ.

— ჰო, მაგრამ იეზუიტები რომ აქ აღარ არიან?

— სამ თვეს მოითმინდეთ და დაინახავთ, რამდენიც იქმნებიან ისინი. მაგრამ მაშინ გვიანლა იქმნება, რომ იმათთან რაიმეს გავხდეთ.

— მაგრამ იმისთვის, რომ აღვძრაოთ მცხოვრებნი იეზუიტების წინაღმდეგ, თავისუფალი ლაპარაკია საჭირო, ცენზურას როგორლა აეუაროთ გვერდი?

— ცენზურას გვერდს კი არ ავუკლიდი, პირიქით, გამოვიწვევდი.

— თქვენის აზრით, უნდა პამფლეტები საიდუმლოდ ვგევდოთ? ეს საუცხოეოა, მაგრამ ჩვენ ყველას გვქონია საქმე საიდუმლო სტამბებთან და ვიცით...

— მე მაგას არ ვამბობ. ჩემის აზრით, კარგი იქმნება ვგევდოთ პამფლეტები ჩვენის სახელითა და აღრესებით. დაე, ჩვენ ვვდევნიდნენ, თუ გაჰედაენ.

— ეს სრული უჭირუობაა! — შეჰქორა გრასსინიმ, — ეს სულ ერთი იქმნება, რომ თავი ჩავუდოთ ლომს პირში უგუნურობის გამო.

— ახ, ნუ შიშობთ, — გააწყვეტინა ლაპარაკი გალლიმ, — არა გთხოვთ, რომ საპყრობილეში წახვიდეთ ჩვენი პამფლეტების გამოისობით.

— თავი გაანებე, გალლი! — უთხრა რიკარდომ, — შიშე არავინ არ ლაპარაკობს. ჩვენც ყველანი აგრეთვე მზად ვართ წავიდეთ საპყრობილეში, როგორც თქვენ, თუ კი ამით რაიმე გაკეთდება. მაგრამ განა სისულელე არ არის განსაცდელში მოექცეს კაცი, როდესაც ამაში სარგებლობას ვერასა ხედავს! რაც შემეხება მე, ჩემის აზრით, უნდა თქვენი გეგმა ცოტაოდნად შეიცვალოს.

— როგორ?

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლიან კეთილგონიერებით ვეომოთ იეზუიტებს, ცენზურის დაუჯახებლად.



— არ ვიცი, სწორედ, თქვენ ამას როგორ მოახერხებთ?

— ჩონი რომ შეიძლება ის, რისი თქმაც ვინდათ გადა-  
დასხვაფერებულად, გადაკვრით წარმოითქვას.

— ცენზურას რა გამოეპარება? და თქვენ ფიქრობთ, რომ  
ყოველი უმეცარი და ბრიყეი მუშა, ანუ გლეხი, გაიგებს თა-  
ვის უმეცრებისა და უზრდელობის ძალით იმას, რაც ცენზუ-  
რასთვის დასამალია? არა, ამას არავითარი აზრი არა აქვს.

— მარტინ, თქვენ რა აზრისა ხართ? — მიმართა პროფე-  
სორმა, თავისთან ახლოს მჯდომ გრძელ შავ წვერებიან კაცს.

— არ შემიძლიან ჩემი აზრი წარმოვთქვა, ვიდრე არ შევ-  
კრებ ბლობად ფაქტებს. საქმეს ჯერ გამოცდა უნდა, რომ და-  
ვინახოთ იქიდან რა გამოდის.

— თქვენ რაღას იტყვით, საკუთრი?

— მე ვისურვებდი გამეგო, სინიორა ბოლოს რა აქვს  
სათქმელი. მაგათი აზრი ყოველთვის აწონილ-დაწონილია.

ყველანი მიბრუნდნენ ერთად-ერთ იქ დამსწრე ქალისაკენ. ქალი იჯდა თავდახრილი. შუბლზე ხელებ-შემოწყობილი, იგი  
გაზრდებული უსმენდა მოლაპარაკეთ. თუმცა იმას ჰქონდა ღრმა,  
სერიოზული მუქი თვალები, მაგრამ როცა აიხედა, ეხლა იმ  
თვალთაგან რაღაც სიცელქე გამოკრთა.

— უნდა გამოტეხილად ვთქვა, რომ მე არ ცერთს თქვენ-  
განს არ გეთანხმებით. — წარმოსთქვა იმან.

— როგორც ყოველთვის და უბედურებაც ამაშია, რომ  
თქვენ ყოველთვისაც მართალი ხართ. — დაუმატა რიკარდომ.

— დიალაც მე ეფიქრობ, რომ საჭიროა იეზუიტების წი-  
ნააღმდეგ ვიბრძოდეთ და თუ რომ ერთი საშუალება არ გა-  
მოდგება, უნდა მეორეს მიემართოთ, მაგრამ მარტო სიტყვიერი  
ბრძოლა სუსტი იარაღია და უკან დახევა კი ძალიან საწყენი.  
რაიცა შეეხება საჩივრებსა და თხოვნებს, — ის მხოლოდ ბაქშ-  
ვის სათამაშო ნიავთია.

— იმედია, სინიორავ, — უთხრა მხიარულის სახით გრასი-  
ნიმ, — რომ თქვენ არ მიგვითითებთ იმგვარ საშუალებისაკენ,

როგორიც... მკვლელობაა? მარტინი თავის ღიდრონ ულვაშებს ისე იგრეხდა, რომ თითქმის იგლეჯდა. გალლიმ ზიზღით ჩაი-ცინა და სერიოზმა ახალგაზდა ქალმაც კი ღიმილა ეერ შეი-მაგრა პირისახაზე.

— დამერწმუნეთ,— უთხრა ქალმა,— მე რომ იმდენად სას-ტიკი ვიყვე, რომ მაგვარი რაიმე მეფიქრა, იმდენად ბავშვი არ ვიქნებოდი, რომ მელაპარაკნა იმაზე. მაგრამ უველაზე უფრო მომაკვდინებელი იარაღი, რომელიც მე ვიცი, — დაცინებაა. თუ მოახერხებთ თქვენ, გაამასხაროთ იზურტები და იმათი მოთხოვ-ნილებანი, გამარჯობა სისხლის დაუღვრელად თქვენსკენ იქ-ნება.

— ამაში, თქვენ, რასაკირველია, მართალი ბრძანდე-ბია, — მიუკო ფაბრიციმ, — მაგრამ არ ვიცი, ეს როგორ განვა-ხორციელოთ.

— რატომაც არა? — სთქვა მარტინიმ, — ცენზურაში სატი-რა უფრო ადვილი გასატარებელი არის, ვიდრე სერიოზული თხზულება და რადგანაც გადაკვრით ლაპარაკია საჭირო, მუ-დმივი მკითხველები ხუმრობაში გატარებულ დამალულ აზრს ბევრად უფრო ადვილად გაიგებენ, ვიდრე იდეებს სამეცნიერო და ეკონომიკურ ტრაქტატებისას.

— მაში, თქვენ გვირჩევთ, სინიორავ, რომ დავადგინოთ გამოცემა სატირიულ პამფლეტებისა, ანუ იუმორიულ გაზე-თებისა? ამ უკანასკნელს, რასაკირველია, ცენზურა არ დაგვითა-მობს.

— არა, მე სრულებიდაც მაგას არ ვამბობ, მე ვფიქრობ, რომ კარგი იქმნება, მცირე სატირიულ ფურცლებს, ანუ მოთ-ხრობებს გამოვსცემდეთ, გავყიდდეთ იაფ ფასად, ანუ სულაც უფასოდ შარაზე ხალხს დაუტრიიგებდეთ, ხელოვან მხატვარს ვისმე რომ იშოვნიდეთ, რომელიც ამ სახუმარო მოგონებით განიმსჭვალებოდეს, მაშინ შესაძლო იქმნებოდა გამოგვეცა ისი-ნი თავისის სურათებითვე.

— აი, საუცხოვო იდეა! ახ, ნეტავ შეიძლებოდეს განხორციელება ამისი? მაგრამ ამისთვის საჭიროა დიდი ნიჭი. სად მოვძებნით ჩვენ ნამდვილ სატირიკოსს.

— თქვენ თითონ იცით,—სთქვა რაგომ,—რომ ჩვენგანი უმეტესნი სერიოზი მწერლები არიან და თუმცა არავისი წყვეინება არ მინდა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ საყოველთაო ცდა, რათა ვწერდეთ იუმორიულის მიმსგავსებით, შესაძლო არის მიემგვანოს იმ სპილოს სანახაობას, რომელიც ცდილობს ტარანტელა ითამაშოს.

— სრულიადაც მე ის წინადადება არ მომიცია, რომ ყველამ მიმართოს იმ საქმეს, რის შესრულებაც არ შეუძლიან.— უთხრა გემმამ.— მე ვუიქრობ იმას, რომ კარგი იქნებოდა და საჭიროც არის გვეშვნა ნამდვილი ნიჭიერი სატირიკოსი.— ხომ შესაძლოა მოიპოვებოდეს ამ გვარი იტალიაში.— აი იმას უნდა მოვუპოვოთ მიუცილებელი, ფრიად საჭირო საშუალებანი. რა-საკვირველია, ჩვენ უნდა რაიმე ვიცოდეთ იმ კაცზე და დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ის ივლის ჩვენის საერთო მიმართულებით.

— მერე სად ვიშოვნოთ მაგვარი ვინმე? შემიძლიან ჩა-მოვთვალო ყველა ნიჭიერი სატირიკოსები და არცერთი იმათ-განი კი ჩვენსკენ არ წამოვლენ. ჯუსტს ისედაც ბევრი საქმე-ები აქვს. არიან ორი-სამი იმათვანი მწერლები ლომბარდიაში, მაგრამ ისინი სწერენ მილანურს კილოზე.

— გარდა ამისა,—სთქვა გრასსინიმ,—ტოსკანელ ხალხზე ბევრად უფრო უმაღლესის საშუალებით შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკური უტა-ქტობა იქმნება ჩვენის მხრივ, რომ სერიოზული კითხვა სამო-ქალაქო და მტკიცე საჩწმუნოების თავისუფლებისა, სახუმართ საგნად გავხადოთ. ფლორენცია არ არის მორევი ფაბრიკიკები-სა და ვაჭრობის გამრავლებისა, როგორც ლონდონი და არც უქმი ფუფუნების ადგილია, როგორც პარიჟი. ეს არის ქალაქი დიადის წარსულით.

— მაგვარი იყო ათინაც, — გააწყვეტინა სიტყვა ქალბაზის ლიმილით, — მაგრამ იქაური მცხოვრებნი ზარმაცი და უნდილი იყვნენ და დასჭირდათ კრაზანა, რომ დაეწიო კედინა ისინი.

რიკარდომ ხელი დაჰკრა მაგიდას.

— როგორ არ გაგვახსენდა აქამდის კრაზანა. აი კაცი, რომელსაც ჩვენ ვსაჭიროებთ.

— ვინა?

— კრაზანა — ფელიჩიე რიკარდესი. არ გახსოვთ თქვენ ის? წერი მურატორის პარტიისა, რომელიც აქ ისპანიდან, სულ სამი წელიწადია რაც ჩამოვიდა.

— ახ, პართლა, თქვენ იცნობთ იმ საზოგადოებას. მე მახსოვს, თქვენც რომ იმასთან ერთად გაისეირნეთ, როცა ის პარიუში გაემგზავრა.

— დიალ, მე წაველ ლიგორნოში, რიკარდესის გასაცილებლად. ის მიდიოდა მარსელში, მაგრამ ტოსკანაში არ უნდოდა გაჩერებულიყო, ის ამბობდა, რომ იქ მხოლოდ ისლა დარჩენოდა იმის შემდეგ, რაც ამბოხება ვერ მოხერხდა.

იმან ამჯობინა პარიუში წასვლა. ცხადია, ის აგრევე ჰუიქ-რობს, როგორც სინიორი გრასაინი, რომ ტოსკანაში არ ვარგა სიცილი. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დაბრუნდება, თუ მოვიწვევთ, რადგან ეხლა იტალიაში ბევრი რამ საქმეა საკეთებელი.

— რა ჰქიან?

— რიკარდესი. ის მგონი ბრაზილიელი უნდა იყვეს. ეს კინამდეილად ვიცი, რომ ცხოვრობდა ბრაზილიაში. ის, ხალხთა შორის, იმგვარი საუკეთესო მახვილ-გონიერია, რომლისთანასც იშვიათად თუ შევხვედრივარ. როგორი მოწყენილები ვიყავით ლიგორნოში, იმ ერთი კვირის განმავლობაში; გული გვიკვნესოდა, საბრალო ლასა ბერტინს რომ ვუცქეროდით, მაგრამ მაინც არ შევვეძლო სიცილი მოგვეკავებია, როდესაც რიკარდესი მოვიდოდა. იმისი ლაპარაკი, — შეუწყვეტელი მაშალაა ჩინებული ხუმრობისა! იმას საშინელი ჭრილობა ჰქონდა პირისახეზე ხმლისაგან.



საოცარი ქმნილებაა, მაგრამ თავის ხუმრობით ის არ აკლიდა საბრალო მაღანელებს, მაშინ სულით დაცემულიყვნენ.

— ის ხომ არ არის ეგ ყმაწვილი, პოლიტიკურ გასართობებს რომ ათავსებს ფრანგულ გაზეთებში „le taon“-ის წარწერით?

— დიალ უფრო ხშირად კი. მოკლე შენიშვნებსა და იუმორიულ ფელეტონებსა სწერს. კონტრაბანდისტებმა აპენინის მთებში დაარქვეს იმას მეტი სახელი „კრაზანა“. და იმანაც ისარგებლა ამ სახელით, როგორც პსევდონიმით.

— მე ვიცი ცოტა რამ იმ კაცზე,—სთქვა გრასსინიმ და ჩაერია ლაპარაკში. ის ტკეპნით, მხიარულისა და ღამცინავის კილოთი ლაპარაკობდა.—და ის, რაც ვიცი, ოდნავ თუ კარგს რასმე ამბობს იმაზე. იმას აქვს გარეგანი, ივალში მომხედრი ჭკუა და გამჭრიახობა, მაგრამ მგონი რომ იმის ნიჭის აზვიადებენ და ადიდებენ. იმდენი არა არის-რა, რასაც ლაპარაკობენ. შესაძლებელია, რომ კარგი მამაცი ყმაწვილი იყვეს, მაგრამ ჰარიზსა და ვენაში იმან მგონია საძრახისი ხსოვნა დასტოვა. ის არის კაცი მრავალ უცნაურ შემთხვევებიანის წარსულით. ამბობენ, რომ ის შებრალებით აიყვანა დიუპრეტის ექსპედიციამ, სადღაც სამხრეთ ამერიკის სატროპიკო მხარეს, დაუჯერებელ დაერდომილ გაგარეულებულ მდგომარეობაში მყოფი. მგონი იმას ვერაოდეს ერ გაეგებინებია კარგად, თუ რას მიეყვანა იგი იმ მდგომარეობამდის. რაიცა შეეხება აპენინში არეულობას, იმ უბედურ შემთხვევაში იღებდა მონაწილეობას ყოველგვარი მდაბიო კაცთა შეკრებილება. ბოლონში ყველაზე უფრო ცუდნი და ბოროტნი კაცნი იყვნენ დასჯილნი. და სახელი იმათი ჰატიოსნებისა კი, რომლებმაც გაქცევით დააღწიეს თავი, ყველაზე უფრო სამწუხაროა. რასაკვირველია, ზოგიერთა იქათგანი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ, იყვნენ ხალხი ნამეტანი მაღალ წრეზე მდგომნი.

— რამოდენიმე იმათგანი ახლო მეგობრები იყვნენ იმათი, რომლებიც ეხლა აქ შეკრებილან!—გააწყვეტინა სიტყვა რიკარდომ, გაჯავრების კილოთი.—კარგია გამრჩეველად ყოფნა

და მკაცრობა, გრასსინი, მაგრამ გაიხსენეთ, რომ ის „უშრო-ლო ცუდნი კაცნი“ დაიხოცნენ თავიანთ ჩრდენისათვის და ეს გარდაემეტება იმას, რაც შენ და მე გაგვიყეოთებია აქამდის.

— და როცა მეორედ გაღმოგცენ პარიფის წორები,—უთხ-რა გალლიმ:— შეგიძლიათ გადასცეთ ჩემს მაგივრად, რომ ეგ ყოველისფერი ტყუილია. მე ვიცნობ დიუპრესის აღიუტანტს, მარტელს, რომლისაგანაც ეს ამბავი პირადად მოვისმინე და რაც შეეხება იმას, რომ იმათ იპოვნეს რივარესსი, ეს ნამდვი-ლია, ის იყო ტყვედ წაყვანილი ომიანობის დროს, როდესაც იბრძოდა არგენტინის რესპუბლიკისთვის და გაიქცა. ის დაე-ხეტებოდა ყოველ შხარეს, სულ სხვა-და-სხვა ტანისამოსით და ცდილობდა დაბრუნებულიყო ბუენოს-აირესში. მაგრამ ის ხმე-ბი, რომ ვითომც ის სიბრალულით აიყვანეს, მტკნარი სიცრუეა, მოგონილია. იმათ თარჯიმანი გაუხდათ აეად, რომელიც აპი-რობდა უკანვე დაბრუნებას და ფრანგებმა კი ადგილობრივი ენა არც ერთმა არ იციდა. მაშინ შესთავაზეს რივარესს ადგილი თარჯიმანისა. ისიც დასთანხმდა. სამი წელიწადი დაჰყო იმათსა და მდინარე ამაზონის შტოს იკვლევდა. როგორც მარტელმა მითხრა, თურმე ისინი თავიანთ ექსპედიციას ბოლომდე ვერ მიიყვანდნენ, რივარესსის დაუხმარებლად.

— ასეა თუ ისე,—სთქეა ფაბრიციმ,—უნდა კი რაღაც შე-სანიშნავი იყოს იმ კაცში, რომელმაც მიიმხრო თავისკენ ორი ისეთი მოხუკი ჯარის კაცი, როგორიც მარტელი და დიუპ-რესი არიან. იმათ რივარესსი ძალიან შეჰყვარებიათ. თქვენ რო-გორ ფიქრობთ, სინიორავ?

— ამ საჭმისა არა ვიცი-რა. იმ დროს მე ინგლისში ვი-ყავი, როდესაც გაქცეულებმა ტოსკანაში გაიარეს. მაგრა მე მგონი, რომ თუ ექსპედიციის ამხანაგობა და მოზიარენი ამბო-ხებისა იმაზე კარგი აზრის არიან, ეს საკმაოა საწინაღმდევოდ უბრალო ჭორებისა.

— ამაზე კითხვა საჭირო აღარ არის, რომ ამხანაგობა იმას კარგად ეპყრობა,—უთხრა რიკარდომ,—დაწყებული მურატო-



რიდან და ზამბეკარიდან ფიცხ მთიულებამდის, ყველანიშ სამას  
თაყვანსა სცემდნენ. გარდა ამისა, ის კერძო ამხანაგია ორსი-  
ნისა. ერთის მხრივ, სრული მართალია ის, რაც არაკები იმა-  
ზე პარიზში დადის. მავრამ თუ კაცს ეშინიან მტრების გაჩე-  
ნისა, სატირიკოსად არ უნდა გახდეს.

— ბეჯითად არ მახსოვეს, — სთქვა ლიოვამ, — მაგრამ, მგონი  
კი, რომ მე ის კაცი უნდა ერთხელ ემიგრანტთა საზოგადო-  
ებაში მენახოს. ის მგონი კუჭიანია, თუ არ ვიცი კოჭლობს,  
რაღაც ამგვარი კია, არა? პროფესორმა გამოსწია სამწერლო  
მაგიდის უჯრას და ქაღალდებს დაუწყო თვალიერება.

— მახსოვეს, რომ აქ საღლაც იმ ქრაზანას გარეკნობის  
ნიშნების აღწერილობა მქონდა. გახსოვთ, ჩვენ როდესაც მთებ-  
ში გავრბოდით და ვიმალებოდით, როგორ ყველგან გამოფე-  
ნილი იყო იმათი სურათები და კარდინალი, — რა ერქვა სახე-  
ლაც იმ საზიდარს? — ჰო, სპინოლა იძლევოდა ჯილდოს იმა-  
თი თავებისათვის.

— სხვათა შორის, არის საუცხოვო ამბავი რივარესზე და  
იმის ნიშნების აღწერილობაზე. იმას გადაუცვამს ჯარის კაცის  
ტანისამოსი და დადიოდა თურმე იტალიაში, იმ სახელით, ვი-  
თომც ის დაჭრილი და თავისი ჯარის მაძებარი ყოფილიყოს. იმან  
იხერხა თურმე ჩარევა, სპინოლას გაგზავნილ მაძებართა საზო-  
გადოებაში, მთელი დღე დადიოდა, თურმე, იმათი ეტლით და უამ-  
ბობდა იმათ გასაოცარ ამბებს თვით თავის თავზე, იმაზე, თუ რო-  
გორ წაიყვანეს მემბოხეთ, ვითომც ის ვიღაც კრაზანი ყოფილა,  
მთებში, თავიანთ ბინაზე. უამბობდა აგრეთვე საკეირველ შემთ-  
ხვევებს, რომელნიც თითონვე იმათსა გამოეცადნა. იმათ აჩვე-  
ნეს აღწერილობა იმის ნიშნებისა და ესეც ეუბნებოდა ყო-  
ველგვარ სიცრუეს იმ საძაგლზე, რომელსაც ერქვა კრაზანა. შემდეგ,  
როცა დაღამდა და ყველაძ დაიძინა, კრაზანამ ჩაუსხა  
წყალი იმათ თოფის წამლებში და თითონ გაიპარა ჯიბეებ-გავ-  
სილი სურსათითა და იარაღით.

— აგრ იმის ნიშნების აღწერილობაც, — გაწყვეტინა ფა-  
ბრიციმ. — „ფელიჩიე რივარესი, მეტი სახელი კრაზანა: ოც

და ათის წლისაა, სამშობლო იმისი და შთამომავლობა გაუგებარია,—აღბად სამხრეთ ამერიკელი უნდა იყვეს. პროფესია—ურნალისტია; პატარა ტანისაა; შავი თმა და წვერი აქვს, შავ-გვერმანი პირისახისაა; თვალები ლურჯი და შუბლი ფართო აქვს. განსაკუთრებითი ნიშნები: კოჭლობს მარჯვენა ფეხით. მარტენა ხელი მოკლე აქვს და ორი თითი აკლია. პრილობის ზოლი აქვს შუბლზე, ენას უკიდებს“.

კიდევ არის შენიშვნა: „შესანიშნავი მეშვილდისრეა. ფონილად იყავით შეპყრობის დროს“.

— საკვირველია, როგორ მოახერხა მძებნელების მოტყუება, ამდენ განსაკუთრებითი ნიშნების მქონემ.

— რასაკვირველია, ის გამოიხსნა იმისმა გამბედაობამ. იმათ რომ მცირედი ეჭვი აეღოთ იმაზე, უოველივე გათავდებოდა. მაგრამ იმისი ხელოვნური ცოდნა, თუ როგორი დაჯერებითი, უმანკო სახის გამომეტყველება მიეღო, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა, ყოველთვის გამოიხსნიდა ხოლმე იმას ხიფათიდან. აბა, ბატონებო, როგორ ფიქრობთ იმოქმედოთ? რივარესს, უეჭველია, ეხლა აქ დამსწრენი ყველა იცნობთ. რას იტყვით, შევატყობინოთ, რომ მოხარული ვიქმნებით ჩვენს საქმეში იმის მონაწილეობის მიღებით?

— მე ვფიქრობ, რომ—სთქვა ფაბრიციმ—საჭიროა ამ საქმეზე იმასთან მოლაპარაკება, რათა შევიტყოთ იმისი აზრი.

— ის, ეჭვი არ არის, ჩვენ მხარეზე იქმნება, როდესაც საქმე იეზუიტებთან ბრძოლაზეა. ის ისეთი შეურიგებილი მტერია ეპკლესისა, როგორსაც მე იშვიათად თუ შევხვედრივარ. ამ კითხვის შესახებ ის გაშმაგებამდის მიაღწევს ხოლმე.

— მაში მისწერეთ თქვენ, რიკარდო?

— დიალაც. მომითმენეთ, მოეგონო სად არის ეხლა. მგონი შეეიცარიაში უნდა იყვეს. საშინელი მოუსვენარი არსებაა, მუდამ საღმე დაეხეტება და, რაიცა შეეხება პამფლეტებზე კითხვას...—იმათ განაგრძეს ვრცელი და ფიცხელი დავა. ბოლოს, როცა კრება დაიშალა, მარტინი მივიდა ჩშევიდობიან, წყნარ ქალთან.

— მე გაგაცილებთ სახლამდის, გემშა.

— გმადლობთ. მე ვისურვებდი თქვენთან ერთს საქმეზე მომელაპარაკნა.

— ადრესების შესახებ მოხდა რაიმე?

— შესანიშნავი არაფერი, მაგრამ მე ეფიქტობ, რომ საქიროა იმათი გამოცვლა. წარსულ კვირას ფოსტაში ორი წერილი დააკავეს. იმათში თვეოლ-საჩინო არა ყოფილა-რა და შეიძლება უცაბედი შემთხვევით და არა განზრახ მოხდა ეს. თუმცა, რაკი პოლიცია ეჭვს იღებს ერთ-ერთ ჩვენ ადრესების შესახებ, ისინი უნდა მაშინვე შეიცვალნენ.

— ხვალ მოვალ ამაზე მოსალაპარაკებლად, დღეს არ მინდა საქმეზე ვილაპარაკო, თქვენ დალალული შეხედულება გაქვთ.

— მე არ დავლალულვარ.

— მაში მოიწყინეთ ისევ?

— აჭ, არა. არა იმაზე უმეტეს, როგორც ყოველთვის.

## II

— კეტტ, ქალბატონი შინ არის?

— დიალ, სერ, ირთვება. ვთხოვთ სასტუმროში შემობრძანდეთ. რამდენსამე წუთს შემდეგ ისიც გამოვა.

კეტტიმ შეიყვანა მოსული სასტუმრო ოთახში ნამდვილ დევონშერულ ქალურის ალერსით. მარტინი სარგებლობდა იმის განსაკუთრებითი კეთილ განწყობილებით. მარტინი ინგლისურ ენაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც უცხოელი, მაგრამ მაინც არა უშავდა-რა. ეს არაოდეს ლამე აქ დიდხანს არა რჩებოდა, არა მსჯელობდა ყელის ამოხჩინწვამდე პოლიტიკაზე, როგორც იქცეოდნენ სხვა მომსვლელები, მიუხედავდ იმისა, რომ დიასახლისი დაღალული იყო. ეს კაცი ჩამოსულიყო დევანშერში, ამ ოჯახის დიასახლისის დასახმარებლად, იმ დროს, როდესაც იმას ბავშვი მოჰკედომოდა და ის-იყო ქმარიც ხელიდან ეცლებოდა. იმის შემდეგ ეს მსხვილი და უნდილი კაცი კეტტს იმგვარივე „ოჯახის წევრად“ მიაჩნდა, როგორიც შავი, ზანტი კატა, რომელ-

შაც ახლა ისკუპა და სტუმრის კალთაზე მოიკალათა. ამ კატეტების შახელიად პაშტის, თავის მხრივ მიაჩნდა მარტინი სასაჩერებელი სახლის ჩვეულებრივ მოსაწყობ ნივთად: ეს სტუმარი არ ადგამდა ფეხს კუდზე, თვალებთან თამბაქოს არ უბოლებდა და ამიტომ არ მიაჩნდა ის ორფეხს მტერად. იმას მუხლები მოხერხებული ჰქონდა, სადაც კატა მოსვენებით იჯდა ხოლმე და ღრუტუნებდა. მარტინს სადილზე არც ის ავიწყდებოდა, რომ კატეპისათვის საინტერესო არ არის მხოლოდ ცქერა, თუ ადამიანები როგორ შეექცევიან თევზს. იმათ შორის კარგი მეგობრობა გაიმართა. ერთხელ, როცა პაშტი ცინდალი იყო, პატრიონი მძიმედ ავად შექმნილიყო და აღარ შეეძლო კატისათვის ყური ეგდო, მაშინ ჩაესეა ის მარტინს კალათაში და ინგლისილან აქ ჩამოეყვანა. ხანგრძლივემა გამოცდილებამ დაარწმუნა პაშტი, რომ ეს ჯაგლაგი არსება საიმედო მეგობარი იყო.

— რა კარგად მოთავსებულხართ ორნივ,—სთქვა გემშამ, როდესაც ოთახში შემოვიდა,—თქვენ თითქო მთელი სალაშოს გატარებას ეგრე აპირობთ.

მარტინმა წყნარად გადმოსვა კატა.

— მე ადრე მოვედი,—უთხრა იმან,—და იმედი მაქვს, რომ მანამ წავიდოდეთ, ჩაის დამალევინებთ. იქ დიდი საზოგადოება იქმნება და, უეჭველია, გრასსინი ჩვენ კარგ ვახშემს არ მოგვაროთვეს. ამ არისტოკრატულ ოჯახებში ადამიანის გაძლომა მისდღეში არ იციან.

გემშამ გარცინა.

— თქვენ გალლისავით გესლიანი ენა გაქვთ. საბრალო გრასსინის თავისი საკუთარი ცოდვებიც ეყოფა, რომ ცოლის უცოდინრობაც იმას თავზე არ მოვახვიოთ. ჩაის ამ ცოტა ხანში მოგიტანენ. კეტტიმ დევონშერული შაქრის პურები მოამზადა თქვენთვის.

— კეტტ კეთილი სულია განა, პაშტ?—დაეკითხა კატას. აჲ, თქვენ მაინც მაგ ლამაზი კაბის ჩაცმა გარდასწყვიტეთ?— ჰკითხა გემშა, — მე ვშიშობდი, რომ დაგვიწყდებოდათ.



— აյი შეგვირდით ამ კაბის ტარებას. თუმცა ნაშროვანია თბილია ამისთანა საღამოსათვის, როგორიც დღევანდელია.

— ეგ თეთრი ქიშმირის კაბა ყველაზე უმეტესად გიხდებათ. მე თქვენ რამოდენიმე ვარდი მოგიტანეთ კაბაზე მისამაგრებლად.

— ახ, რა შშვენიერი ვარდებია! რა რიგად მიყვარან მე ესენი, მაგრამ წავალ და წყალში ჩავაწყობ, ის ემჯობინება. კაბაზე არ მიყვარს ვარდების ტარება.

— აი, ეს თქვენი ერთი ცრუმორწმუნოების ფანტაზია არის.

— არა, სრულიადაც არა, მე მხოლოდ ვფიქრობ, რომ ვარდებს მოსწყინდებათ მთელი საღამო, ამისთანა მოსაწყენ არსებასთან.

— ვშიშობ, რომ დღეს საღამოს სუყველანი მოწყინილები ვიქმნებით. ეს conversexione მეტად სამძიმო იქმნება.

— რადა?

— ერთის მხრივ იმისთვის, რომ ყოველისფერი, რასაც კაგრასსინი მართავს, ისეთივე მოსაწყენი შეიქმნება ხოლმე, როგორიც თვითონ არის.

— ნუ ხართ ბოროტი. არ არის კარვი აგეთი ლაპარაკი, იმ კაცზე, ვისთანაც სტუმრად მიღიხართ.

— თქვენ ყოველთვის მართალი ხართ, მადდონა! აბა, მაშ, იმიტომ იქნება მოწყინილობა, რომ საინტერესო ხალხი ნახევარიც არ იქმნებიან.

— რისთვის?

— რა ვიცი. ზოგი სხვა ქვეყნებში წავიდ-წამოვიდნენ, ზოგი ავად არის და ზოგიც კიდევ სხვა მიზეზებს მოივონებენ. უეჭველად კი იქმნებიან შემდეგი პირნი: ორი ან სამი ელჩი, რამოდენიმე განთლებულნი გერმანელები და ჩვეულებრივი ჭრელი ყრილობა ტურისტებისა. აგრეთვე რუსის პრინცები და რამოდენიმე საფრანგეთის იფიცრები. სხვა მგონი არავინ იქმნება. რასაკვირველია, გარდა ახალი სატირიკოსისა, რომელიც იქმნება გმირი მთელის საღამოისა.

— ახალი სატარიკოსი? ნუ თუ რივარექსი, მაგრამ ჭრიანი სსინი მგონი იმაზე ძალიან მკვახედ ლაპარაკობდა?

— ეგ მართალია, მაგრამ, რადგან ის ეხლა აქ არის და იმაზე უეჭველია ბევრს ილაპარაკებენ, ამისთვის, რასაკვირვე-ლია, გრასსინის ჰესუსი, რომ ახალი გმირი, პირველიც იმის სახლში გამოცხადდეს. დარწმუნებულნი იყავით, რომ რივარექს-მა არა იცის-რა, გრასსინის თვისდამი ცუდ განწყობილებაზე, მაგრამ იქნებ თითონვე მიხვდეს. ის საკმაოდ ჭკუიანია ამის-თვის.

— მე არც კი ვიცოდი, თუ მოვიდა.

— გუშინ მოვიდა. აგერ ჩაიც მოაქვთ. ნუ დგებით მე მო-გაწოდებთ.

მარტინი, ასე კარგად, არსად არა ჰერძნობდა თავს, რო-გორც ამ პატარა სასტუმროში.

გემმას პირდაპირი ამხანავობა, იმისი მშეიღობიანობა, თა-ვის-და შეუმჩნეველი საკუთარი მომხიბვლელობა, შეადგენლნენ მარტინის ცხოვრებაში ნათელ წერტილს, რომელიც, საზა-გადოდ, არ იყო ძლიერ ბრწყინვალე. მარტინი, როგორც კი ჩვეულებრივზე უმეტეს მოწყენილობას იკრძნობდა, მაშინვე გემმასაკენ გაეშურებოდა. იჯდა ხოლმე, უფრო ხშირად გაჩუ-მებული და უცქეროდა როგორ იჯდა გემმა, თავის ხელსაქმე-ზე თავ-ჩაღუნული, ან და ჩაის როგორ ამხადებდა.

გემმა არასოდეს არ დაუწეუბდა ხოლმე გამოკითხვებს იმის უსიამოვნებაზე და არც უცხადებდა მონაწილეობას სიტყვიე-რად, მაგრამ მარტინი ყოველთვის დაშვიდებული და გამხნე-ვებული ბრუნდებოდა სახლში, იმ გრძნობებით, როგორც თი-თონ ეუბნებოდა თავის თავს, რომ ის „შეიძლებს კიდევ რო-გორმე ორიოდ კვირა ხეირიანად გააჩანჩალოს“. გემმამ თითონ არ იცოდა როგორი იშვიათი ცოდნა ჰქონდა მინიჭებული; თუ როგორ მოუტანდა ხოლმე სიშვიდეს და იმედს ადამიანს. ორი წლის წინედ, როდესაც მარტინის ახლო მეგობარნი შე-იძყრეს კალაბრიაში და დახვრეტილ იქმნენ მგლებსავით, მარ-ტინის ერთად-ერთი გამამხნევებელი იყო მტკიცე რწმენა გემ-



მასი. ხან და ხან, კვირა დილაობით, მოღიოდა გემშასთან და „საქართველოს მეცნიერების სამუსაიფო დაცვის სამსახური“ მიერთებოდა გიმოიხატებოდა ყოველივე დამოკიდებულება მაცინის პარტიის პრაქტიკულ მოქმედებას - თან, რომელსაც ესენი ორნივ ეკუთვნოდნენ. ამ დროს გემშა გარდიქმნებოდა ხოლმე სულ სხვა ადამიანად. ის ხდებოდა გულ-გრილი, გამჭრიახი და ლოლიკური, ძლიერი სინიდისიერი და სრულიად პირუთენელი. ისინი, რომლებიც იცნობდნენ გემშას, მხოლოდ როგორც პოლიტიკურ მოქმედს, ხელავდნენ იმაში გამოცდილს, მყაცრ დისკიპლინაში გაელილს მეამბოხეს, რომლის მინდობაც შეიძლებოდა და ამასთანავე ყოველ საქმეში გამშედავს და ერთგულს ამხანაგობის ღირსეულ წევრს, მხოლოდ რამოდენსამედ გატაცებასა და ხასიათის ღამოუკიდებლობას მოკლებულს.

— ის ქალი გაჩენილია პოლიტიკის როლისათვის და ღირს თორმეტ ჩვენისთინად, მაგრამ მეტი მასში არა არის-რა. — სთქვა ერთხელ გემშა შესახებ გალლიმ, — მაგრამ ის გემშა, რომელსაც მარტინი იცნობდა, იყო რაღაც ბევრად უფრო რთული და შეზავებული.

— როგორია თქვენი ახალი სატირიკოსი? — ჰქითხა გემშამ, მივიდა ბუფეტთან და იქიდან ელაპარაკებოდა მარტინს. — აი, ჩეზარე, თქვენი ქერის შაქარი და დაშაქრული ხილი. მართლა, რევოლიუციონერებს რად უყვართ ტკბილეულობა?

— სხვა ხალხსაც უყვართ ტკბილეულობა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნიათ ეს დაპარონ. თქვენ სატირიკოსის შესახებ მკითხავდით? ის ერთი იმ კაცთაგანია, რომლებსაც აღტაცებაში მოჰყავთ ჩევეულებრივი ქალები და რომელიც თქვენ არ მოგეწონებათ... საოცარი ენა-მახვილია, დადის ქვეყნად უსუსური შეხედულობით და დაჟყავს თან ლამაზი ბალეტში მოთამაშე ქალი, რომელიც იმას ერთ ნაბიჯზე არა შორდება.

— თქვენ ლაპარაკობთ ნამდვილ ბალეტში მოთამაშე ქალზე, თუ ტყუილად ცხარობთ და გინდათ თქვენც მახვილ-გონიერება გამოიჩინოთ?

— ღმერთმა დამიფაროს. არა, ნამდვილი ბალეტში მოჰკა-  
შაშეა და ძალიან ლამაზ ქალადაც სთვლიან ისინი, რომლებ-  
საც უყვართ იმ გვარი სილამაზე, რომელიც ყვირის. კერძოდ  
მე კი არ მომწონს. ის, როგორც რიკარდო ამბობს, ვენგერე-  
ლი ბოშა ქალია, რომელილაც პროვინციის გალიციის თეატ-  
რიდან, თუ, არ ვაცი კარგად, ჩაღაც ამისთანა. თითონ სატი-  
რიკასი ძალიან გამხედვი გამოდგა. თურმე იმ ქალს ისე ადვი-  
ლად აცნობს საზოგადოებას, თითქო იმისი დეიდა იყოს გა-  
სათხოვარი.

— რა უშავს მერე, ამისთვის ის მადლობის ლირსია, თუ  
კი თითონვე აუყვან ია.

— მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ ეგრე უცქიროთ საგანს,  
ძვირფასო მადონავ, მაგრამ საზოგადოებას კი მაგნაირად არ  
ესიამოვნება იმ ქალის გაცნობა, რომელიც ცხადია იმისი სატრ-  
ფოა.

— საიდან შეუძლიანთ იმათ ეს იცოდნენ, თუ კი ის არ  
ეუბნება.

— ეს ძალიან ადეილი გასაგებია და თქვენ თვითონვე მი-  
ხვდებით, თუ შეხვდით იმას. მაგრამ მგონი იმდენ გაბედულო-  
ბას ვერ იხმარს, რომ გრასსინის სახლში იმან ის მიიყვანოს.

— იქ იმას არ მიიღებდნენ, სინიორა გრასსინი იმ ქალ-  
თაგანნი არ არის, რომელნიც საზოგადო წეს-რიგს არ-  
დვევენ. სოქვით რაიმე სინიორ რივარესსზე, როგორც სა-  
ტირიკოსზე და არა როგორც კაცზე. ფაბრიცი ამბობდა,  
რომ მისწერა წერლი და ის დათანხმებულა გაუძლვეს ამ-  
ხანაგობას იეზუიტების წინააღმდეგ. აი, ეს არის, რაც მე  
ვიცი, სხვა არაფერი. ამ კვირაში იმდენი საქმეები მქონდა, რომ  
არავინ ალარ მინახავს რაიმე შემეტყო.

— არ ვიცი, სხვა რა დავუმატო, ფულის მხრივ მგონი  
საძნელო არა არის-რა, რასაც წინად ვშიშობდით. ის, თურმე,  
კარგა შეძლებულია და დათანხმდა მუქთად იმუშაოს.

— იმას საკუთარი შეძლება აქვს?



— შეონი. თუმცა საკვირველია. გახსოვთ, რას ლაპარაკობს კობდნენ ფაბრიცის სახლში, იმის გარემოებაზე, დიუპრესის ექსპედიციის დროს? მაგრამ იჩას აქვს ბრაზილიის მაღნებში რაღაც სავაჭრო საზოგადოებაში შეტანილი ფულის ბარათები და მეორეც ისა, რომ დიდი გამარჯობა ჰქონია თავის ფელე-ტონებით პარიშში, ვენაში და ლონდონში. ის ლაპარაკობს ექვს ენაზე, როგორც დედა-ენაზე და არც არაფერი ხელს შეუშლის, აქედან სხვა გაზეთებთან დამოკიდებულება იქონიოს. სულ ხომ იეზუიტებთან ბრძოლაში არ იქმნება.

— ეს, რასა კვირველია. ეხლა კი უნდა წავიდეთ, ჩეზარე, დრო არის. მხოლოდ ცოტა ხანს მომითმინეთ, ამ ვარდებს კაბაზე დავიბნევ.

გემბა ავიდა ზევით, თავის ოთახში და დაბრუნდა გულზე მიმაგრებულ ვარდებით და თავზე მოგდებულ ისპანურ გრძელ აბრეშუმის ბლონდით. მარტინმა დაათვალიერა ის გამომცდელის თვალით და უთხრა:

— თქვენ გამოიცეირებით, ჩემო მაღონავ, როგორც დიდებული და ბრძენი დედოფალი სავოისა.

— კარგი კომპლიმენტია,— სიცილით მიუგო გემბამ,— თქვენ ხომ იცით, როგორ ვცდილობ მე საერთ ქალად გარდაქმნას. განა რევოლიუციონერ ქალს შეშვენის ჰქონდეს შეხედულება საერთის დედოფლისა? ეგ ის იქმნება, რომ ჯაშუშების ყურადღება მივიპყრო.

— რამდენიც უნდა ეცადოთ, მაინც შეუძლებელია, თქვენ ში სუბუქ გონებიანი ქალი გამოიხატოს. მაგრამ ეს სულ-ერთია; თქვენ იმდენად ლამაზი ხართ, რომ ჯაშუშები როდესაც შეგხედვენ, თქვენ დარწმუნებებზე დაუფიქრებლივ დაგეთანხმებიან, თუმცა თქვენ არ იცით პრანქვა-გრეხა და მარაოთი ცელქობა სინიორა გრასსინისავით.

— ახ, რა ნაირი ხართ, ჩეზარე, დაანებეთ თავი იმ საწყალ ქალს. აჲა, ინებეთ კამფეტი, რომ გაანელოს თქვენი გესლიანობა. მზად ხირთ? დრო არის წავიდეთ.

მარტინი მართალი იყო, როცა ამბობდა დიდი საზოგადოებრ  
ბა შეიკრიბება, მაგრამ მოწყენილობა იქნება.

რამდენიმე ლიტერატორები ლაპარაკობდნენ ზრდილო-  
ბიან უმნიშვნელო ფრაზებს და ჰქონდათ უიმედო დაქანცული  
ჟეხელულობა, მიუხედავად იმისა, რომ ჭრელი კრება ტურის-  
ტებისა, დადიოდა ოთახში და ეკითხებოდნენ ერთმანეთს სხვა-  
და-სხვა დამსწრე წარჩინებულებზე და ცდილობდნენ აზრიანი  
ბიასი გაემართათ.

გრასსინი სტუმრებს მეტის-მეტი ზრდილობით იღებდა, მაგრამ გემმას დანახებზე იმას გაციებული სახე აენთო. იმის არ უყვარდა გემმა და იღულიად კი რამოდენიმედ ეშინოდა იმისი. გრასსინის ესეც კარგად ესმოდა, რომ თუ გემმა არ დასწრებოდა, იმის სასტუმროს ძვირფასი სამკაული დაკლდებოდა. გრასსინის თვალ-საჩინო აღგილი ეჭირა თავის პროფესიაზი და ეხლა, როცა ის მდიდარი და ცნობილი იყო, უველაზე უფრო ყურადღებას იმას იქცევდა, რომ თავისი სახლი ლიბერალურ და გონივრულ საზოგადოების შუაგულ წერტილად გარდაეჭნა. იმას ესმოდა აგრეთვე, რომ უმნიშვნელო, მოკაზმული პატარა ქალი, რომელიც სიბრიუეის გამო ეთხოვნა სიყმაწვილეში, არ ვარგოდა თავის უბრალო, უაზრო ტიკტიკით და დამანჭულის სახით, დიდს ლიტერატურულ სალონის დიასახლისად. გრასსინი როცა დაჩშმუნდებოდა, რომ გემმა იმის სახლში კრებაზე დაესწრებოდა, ის დაიმედებული იყო, რომ საღამო კარგად ჩაიყლიდა. გემმას მშვიდი, გრაციით სავსე მიმოხვრა სტუმრებს კარგს გუნებაზე იყენებდა და თვით იმის იქ ყოფნა შეუმჩნეველს ხდიდა იმ ბელითი შეხედულების აჩრდილს, რომელიც, გრასსინის აზრით, მის სახლში მუდამ აჩსებობდა.

მეულლე გრასინისა მიესალმა გემმას ალერსიანის ჩურ-  
წულით:

— Ի՞ն մՇՎԵՆՈՒՐԵՔԱ ՏԱՐԾ ԹՎԵՐՆ ՋԼԵՍ! — ԸՆԴՀԱՆՈՒՐԱ  
ԵՐԵՄԱՆԻ ԿԱՅԱ, ԱԻՆ ԿԵԴՈՒԾՈՒՆ ՃԱ ԿՐՈՒՐՈՎՈՒՆ ՈՎԱԼՈՒ. ՈՒԱՆ  
ԽԵՆԱՆ ԵՎ ԱՐԵՎՈՒՆ ՍՏՐՈՒՄԱՆԻ, ՍԵՐՈՎԵՇ ՈՒԱՆԵՎՈՒՆ, ՀՈՆԵՎՈՒՆԱՎ ԻՆ



მარტინს უყვარდა: იმის შშეიღ და პირიან ხასიათისთვის, გულა  
წრცელობისა და სერიოზულ ქცევისათვის; ზომიერის სულის  
მოძრაობისა და თვით სახის გამომეტყველებისათვისაც კი და,  
როდესაც სინიორა გრასსინის ქალი სძულდა, ის გამოხატავდა  
ამას მის-დამი მეტის-მეტ სიყვარულიან მოქცევაში. გემმამ  
კარგად იცოდა ფასი იმისი ფერაობისა და მოისმინა იმისი  
ალერსიანი სატყვები ისე, რომ არც კი ფიქრობდა იმათზე.  
ის, რასაცა ჰქვიან „ყოფნა საზოგადოებაში“, შეადგენდნენ  
გემმასთვის ერთ უსიამოენო და მოსაწყენ მოვალეობას, თუმ-  
ცა აუცილებლად საჭიროებს იმისთვის, რომ არ მიეპყ-  
რო თავისსკენ ყურადღება ჯაშუშებისა. იმისთვის საზოგა-  
დოებაში სიარული ისეთივე სამძიმო იყო, როგორც საი-  
დუმლო ასოებით წერა. მაგრამ რადგან იცოდა, რომ ქა-  
ლის სახელს იფარავს ეჭვებისაგან კარგი ჩატმულობა, ამი-  
ტომ შეისწავლა იმან მოდის უურნალები, ისე წმინდად, რო-  
გორც საიდუმლო ასოების (პაპირუსების) წერა. გრასსინის სა-  
ხლში მყოფი, მოწყენილი, წარჩინებული ლიტერატორები, გა-  
მოფხიზლდნენ გემმას სახელის გაგონებაზე. იმას დიდ პატივსა  
სცემდნენ. უურნალისტები რადიკალურ ამხანაგობისა გაემართ-  
ნენ ოთახის იმ მხრისაკენ, სადაც ახლად შემოსული გემმა გა-  
ჩერებულიყო. მაგრამ გემმა იმდენად გამოცდილი მეამბოხე იყო,  
რომ განსაკუთრებით იმათ საზოგადოებაში დიდხანს არ დარჩებო-  
და. რადიკალთა დასი იმას ყოველთვეს შეეძლო ჰყოლოდა და ეხ-  
ლა, როცა ისინი გარს ეხვევოდნენ, იმან მტკიცედ და ალერსიანის  
ლიმილით გაპფანტა ისინი და მოაგონა, რომ არ ღირდა დროს  
დაკარგვა იმასთან მსჯელობისათვის, როდესაც აქ ამდენი ტუ-  
რისტები იყვნენ, რომლებიც გაწრთენას საჭიროებდნენ. თითონ  
გამართა გულმოდგინედ საუბარი ინვლისის პარლამენტის წევრ-  
თან, რომლის თანაგრძნობა დიდად თვალსაჩინო იყო რესპუბ-  
ლიკის საზოგადოებისათვის. რადგან იცოდა, რომ ის ფინანსე-  
ბის კითხვებზე სპეციალისტი იყო, გემმამ აღძრა იმისი ყურა-  
დღება იმით, რომ იკითხა აზრი, რომელიდაც ტეხნიკურ მუხლ-  
ზე, ავსტრიის ფულის მოჭრის განკარგულებაზე და შემდეგ



ხელოვნურად გადიყვანა საუბარი ლომარდოსა და ვენეციის  
შემოსაელის პირობებზე. ინგლისელმა, რომელიც გემმასაგან  
უაზრო ლაპარაკს მოელოდა, შეხედა იმას გაოცებულმა და  
ეგონა, რომ უშნო ქალის ბრჭყალებში გაება, მაგრამ, რა და-  
ინახა, რომ ლამიზი იყო და საუბარშიაც საინტერესო, გაანე-  
ბა თავი წინააღმდეგობას და ისე ჩაფიქრებით დაიწყო ლრმად  
მსჯელობა და გარჩევა იტალიის ფინანსებისა, თითქო გემმა  
მეტერნიხი ყოფილიყვეს. როდესაც გრასსინიმ მიიყვანა გემმას-  
თან ერთი ფრანგი, რომელსაც სურდა გაეკო, სინიორა ბოლ-  
ლასაგან, ისტორია „ახალგაზდა იტალიისა“, პარლამენტის  
წევრი წამოდგა სრულის შეგნებით, რომ შეიძლებოდა, იტა-  
ლიას უმეტესი მიზეზი ჰქონდა უკმაყოფილებისა, ვიდრე თი-  
თონ ფიქრობდა.

საღამოს, როცა დაბინდდა, გემმა ყველას შეუმჩნევლად  
გამოვიდა ბალში, ერდოზე, სასტუმრო ოთახი სარკმელის წინ,  
რომ ცოტა ხნით კამელიებსა და სამბულის მცენარეებს შუა  
მარტო ყოფნით დამტკბარიყო. ოთახის მძიმე ჰაერმა და ხალ-  
ხის მუდმივმა შიგ მოძრაობამ იმას ცოტათი თავი ატკინა. თუ-  
მცა საღამო თბილი და მყუდრო იყო, მაგრამ მაინც იმას და-  
დან გამოსვლის დროს სიგრილე იგრძნო და თავზე ბლონდი  
მოიგდო. ერდოს პირდაპირ, ბოლოში ჩარიგებულნი იყვნენ  
ბზის ბუჩქები და ჩაღუნა ბალახები ფართო კასრებით, დაფა-  
რულნი ზამბაზითა და ათასგვარ აღმოცენებულ მცენარეებით.  
ყველა ეს მცენარეობა წარმოადგენდა სქელ თეჯირს ანუ სინ-  
დოს. ამას იქით იყო მიყრუებული კუთხე, საუცხოვო სწორე  
ადგილით. ბროწეულის ხის შტოები დაგვიანებულის კვირტე-  
ბით დაბლა დახრილნი, მცენარეებ შუა, ეწირო ბილიკის აქეთ-  
იქით გვერდებზე ჩარიგებულიყვნენ. ამ მყუდრო ადგილას, მი-  
იმალა გემმა, იმ იმედით, რომ ვერავინ მოსხებნიდა, მანამ  
თავის ტკივილი გადუვლიდა, მაგრამ მალე, იმის სიახლოვეს,  
ფეხის ხმა და ლაპარაკი მოისმა, რამაც გემმა თელემიდან გა-  
მოარცია, რომელსაც ის იყო ეპირებოდა. გემმამ დაიწია უკან,  
ჩრდილში, რომ ახლად მოსულთ ის არ შეენიშნათ, რადგან



უნდოდა ცოტა კიდევ ესარგებლნა თაეისუფლებით. მაგრა მათ და სამწუხაროდ, ფეხისა და სინიორა გრასსინის წრიპინა ხმა შესწყდა ერთს წუთს, იქავ ახლოს, უბრალო ლაპარაკს შეა. მეორე ხმა კაცისა იყო, საოცარი რბილი და მუსიკალური. მაგრამ მოფერებული კილო აფუჭებდა იმის ხმას, იქნებ განზრახული, მაგრამ უფრო ისე გამოოთქმული, როგორც რაიმე სიტყვა ნაკლულევანების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვეული. ყოველ შემთხვევაში ეს ხმა უსიამოვნო იყო.

— თქვენ ამბობთ, რომ ის ქალი ინგლისელია? — იკითხა კაცის ხმამ, — და იმისი სახელი ხომ ნამდვილი იტალიურია?

— ის ქვრივია, საბრალო ჯიოვანნი ბოლლასი, რომელიც მოკვდა რამოდენსამე წლის წინად. თქვენ გეხსომებათ ის. ახ, სრულიად დამავიწყდა, რომ თქვენი ცხოვრება მუდან მგზავრობაშია და არ მოითხოვება თქვენგან, უეჭველად იცნობდეთ ყველის, წამებულთ ჩეენის ბედშავის სამშობლოსათვის. ისინი ძალიან ბევრნი არიან.

სინიორა გრასსინიმ ამოიოხრა. ის ყოველთვის ამგვარად ელაპარაკებოდა ხოლმე უცხოელებს. იტალიისათვის ტანჯულს პატრიოტის როლს, რომელსაც ის თამაშობდა, შეეთვისებოდა მოსწავლე ყმაშვილის მიმოხვრა და კაპასი ბავშვის დამანჭულობა.

— ის გარდაიცვალა ინგლისში? — გაიმეორა მეორე ხმამ, — ის ყოფილა მაშ ემიგრანტი (გარდახვეწილი). მე მეონი მახსოვს ეგ სახელი. არა პქონია იმას კავშირი ზახალგაზდა იტალიასთან“, იმის პირველ დაწყებითი ხანაში?

— დიალ, ის ერთი უბედურთაგანი იყო ოც და ცამეტ წლებში შეპყრობილ ხალხთა შორის. გახსოვთ თქვენ ის სამწუხარო იმზავი? საბრალო რამოდენისამე თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ კიდევ მოინდოშეს იმისი შეპყრობა და მაშინ ის გაეშურა ინგლისში და ცოლიც იქ ითხოვა. ეს კი უძკუობა მოუვიდა, მაგრამ საწყალი ბოლლა ყოველთვის რომანტიკული ხასიათისა იყო.

— ის გარდაიცვალა ინგლისშიო, — თქვენ ამბობთ?

— დიალ, კლექტი. ვერ აიტანა ინგლისის შიმე ჰერი. ამ ქალმა, შვილიც, ქმრის სიკვდილის რამოდენისამე დღის წინად დაპყარდა. ბავშვი ყელჭირვებით გარდაიცვალა. ოხ, რა მწარე ბედის წერაა, განა? ჩვენ აკელის ძალიან გვიყვარს გემმა. ის ცოტად უგრძნობელია საწყალი, მაგრამ მგონი რომ მწუხრებამ გახადა ის ეგრეთი. გემმა წამოდგა, მივიდა და გასწია ბროწეულის შტოები; იმის მწარე უბედურების მოთხრობამ, იმ მიზნით, რომ სტუმარი გაერთო, იმას აუტანელი ეწვენა და უკმაყოფილო სახით გამოვიდა სინათლეზე და წარსდგა იმით წინ.

— აი, ისიც! — შესძახა სინიორა გრასსინიმ გულ-გრილად —  
გემთა, გენაცვა სად გაქრი, სად დაიმალე? სინიორ ფელლიჩჩე  
რივარებს სურს თქვენი გაცნობა.

აა, მაშ ეს არის კრაზანა! — გაიფიქრა გემმამ და რამოდე-  
ნიმედ ცნობის მოყვარეობით დაუწყო ცქერა. სინიორმა დიდის  
პატივის ცემით მისცა სალამი, მაგრამ იმისი თვალები, რომე-  
ლნიც ათვალიერებდნენ გვემმას სახეს, ეჩვენა გემმას გამომც-  
დელნი და მოურიდებელნი.

— თქვენ აქ მშვენიერი კუთხე მოგიძებნიათ, მერე რა სა-  
უცხოვო სანახაობა! — უთხრა რივარესმა და თვალი გადავ-  
ლო იქმურობას.

— დიალ, აქ ძალიან სასიამოვნოა ყოფნა. გამოველ წმი-  
ლა ჰერის ჩიხაყლაპაბად.

— სწორედ რომ ცოდეა ირის. ამისთანა მშენიერ ამინ-  
დში ოთახში იყენეს აღამიანი. — სთქვა დიასახლისმა, სინიორა  
გრასსინიმ და შეხედა ცას (იმას ლამაზი წამწამები ჰქონდა და  
უყვარდა იმათი ჩვენება).

— შეხედეთ, სინიორ, განა ჩვენი ნაზი იტალია სამოთხეს  
არ შეედარებოდა, თავისუფალი რომ ყოფილიყო! იფიქროს კაც-  
მა, ეს უნდა მონა იყვეს, შემკული ამ ნაირის ცითა და ვარ-  
დებით.

— და მაგნაირის პატრიოტებით,—დაბალი ხმით დაილა-  
ვარაკა რიგარესმა.



გემმამ შეხედა იმას მრისხანედ, იმის უზრდელობაზე მამეტაცნდაშე აშკარა იყო, რომ ეინმე მოეტყუებინა. მაგრამ გემმამ კარგად არ იცოდა, სინიორა გრასსინი თუ როგორი მოყვარული იყო კომპლიმენტებისა. საბრალო გრასსინიმ ამოოხვრით წამწამები დაბლა დაუშვა.

— ოხ, სინიორ! რა შეუძლიან ქალს? მაგრამ იქნებ როდისმე შეეძლო დამტკიცება, რომ ღირსი ვარ მერქვას იტალიელი! და ეხლა კი, უნდა საზოგადო მოვალეობას დავუბრუნდე. ის მიუბრუნდა გემმას, — საფრანგეთის ელჩიმა მთხოვა იმისი აღზრდილი მთელს წარჩინებულებს გავაცნო. წამოდით, ნახეთ, ის შშვენიერი ქალიშვილია. ძეირფასო გემმავ, მე გამოვიყვანე სინიორ რივარესი, რომ აქაურის თვალისფერის სასიამოვნო გარდასახედით დამტკბარიყო, ეხლა უნდა თქვენთან დაესტოვო, იმედია, გაირჯებით და ყოველ ადგილებს გააცნობთ. აგერ ჩვენი რუსის პრინცი! თქვენ იცნობთ იმას? ამბობენ, რომ ეს იმპერატორ ნიკოლოზს ძლიერ უყვარს. სამხედრო ჯარის უფროსია, რომელიმაც პოლშურ ქალაქში, რომლის სახელის წარმოთქმაც ძლიერ შეიძლება *Q uelle nuit magnifique, n'est-ce pas, mon prince?*

იმან იფრთხიალა შუა ლაპარაკში და მუნდირიან, ორდენებით სავსე, კამეჩისებურ კისრიან და მსხვილ ნიღაბიან კაცთან მიირბინა უსუსურის ჩივილებით: „*notre malheureuse patrie*“, ამ სიტყვებ არევით *char mant* და *mon prince?* და მალე შესწყდა კიდეც შორს იმისი ხმა.

გემმა იდგა ბროჭეულის ხესთან გაჩუმებული. გრასსინის მაგიერ ის ჰერბინობდა თავს შეურაცხყოფილად. კრაზანამ გააყოლა თვალი მიმავალთ იმნაირის სახის გამომეტყველებით, რომელიც ზიზლსა ჰგვრიდა გემმას. ამ კაცის დინჯი მოურიდებლობა, დაცინება იმგვარ არსებებისა, როგორნიც გრასსინი და რუსის პრინცი იყვნენ, არა საქებურად მიაჩნდა გემმას.

— აი, იქით მიდის, ხელი-ხელ ჩაიდებულნი იტალიისა და რუსის პატრიოტიზმი,— მისმართა კრაზანამ გემმას ღიმილით—

და მგონი კმაყოფილნიც ერთი მეორის. ოომელს უფრო <sup>პილობობის</sup> აძლევ უპირატესობას იმ ორში?

გემმამ წარბები შეიკრა და არა უპასუხა-რა.

— რასაკეირველია, — განაგრძო ქრაზანამ, — ეს საქმე სა-  
კუთარს გემოვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მგონი რომ  
იმ ორში მე ავირჩევდი რუსის პატრიოტიზმს. ის უფრო მიზ-  
ნიანია. რუსეთი რომ თავისუფლებას, ჯარის-კაცთა და თოფის-  
წამლის მაგიერ, ცახა და ვარდებზე ამყარებდეს, როგორ ფიქ-  
რობთ, რამდენ ხანს გამაგრდებოდა „mon prince“ პოლშურ  
ციხეში?

— მგონი რომ,—მიუგო გემმამ,—შეიძლება ისე გამოს-  
თქვათ თქვენი საკუთარი აზრები, რომ არ დასცინოთ იმ ქალს,  
ვისთანაც ჩვენ სტუმრადა ეართ.

— ას, მართლა, სრულიად გადამავიწყდა სტუმართ-მოყვა-  
რეობა იტალიელთა. ისინი ძლიერ სტუმართ-მოყვარენი არი-  
ან. იტალიელნი და ავსტრიელნი მაინც უეჭველია ამ აზრისა-  
ნი არიან. არ გნებავთ დაბრძანდეთ?

ის წაეიდა კოჭლობით სავარძლის მოსატანად გემშასათ-  
ვის და თვითონაც იმის პირდაპირ დაჯდა. სარკმლიდან შუქი  
პირისახეზე სცემდა და გემშას შეეძლო ის კარგად დაეთვალიე-  
რებინა. გემშას ოლტაცების იმედი გაუცრუვდა; ის მოელო-  
და რომ იგი, თუ ლამაზი არა, შესანიშნავი და უფლე-  
ბის მქონე შეხედულობისა მაინც იქმნებოდა, მაგრამ წი-  
ნააღმდეგ ამისა ადამიანს პირველად მოეჩხირებოდა თვალში  
იმისი ქარაფშუტული ჩატყულობა და მიხვრა-მოხვრაში ოდ-  
ნავი კადნიერება. ის იყო ძალიან შავგვრემანი და მიუხედავად  
იმისა, რომ კოჭლი იყო,—კატასავით მოქნილი და მრხევი. იმი-  
სი გარეგნობა საშინლად მიაგავდა შავ ფოცხვერს. შუბლი და  
მარცხენა ლოყა დამახინჯებული ჰქონდა. გრძელ და უსწორ-  
ხასტორო ჭრილობის ზოლი ძალიან ემჩნეოდა. გემშამ ისიც  
შენიშნა, რომ როდესაც ლაპარაკში ენა ეჩლუნგებოდა, ცალი  
მხარე პირისახისა უთროდა. თუ ეს ნაკლულევანება არა ჰქო-



ნოდა ის უეჭველად ლამაზი იქმნებოდა. მხოლოდ იმის ნაცეში არ იყო არავითარი მიმზიდველობა.

დაიწყო ლაპარაკი ისევ კრაზანამ, აუქარებლად. ასე იღა-  
პარაკებდა სწორედ ფოცხვერი, თუ შესძლებოდეს და ამასთა-  
ნავე კარგს გუნებაზედაც ყოფილიყოს,—გაიფიქრა გემმამ, მე-  
ტად შეშფოთებულმა.

— მე მითხრეს,—სთქვა რივარესსმა,—რომ თქვენ გეინტე-  
რესებათ რადიკალური მწერლობა, თქვენ გახეთებში სწერთ?

— ძალიან ცოტას. მე დრო არა მაქვს.

— ჰო, რასაკვირველია, მე შევიტყვე სინიორა გრასსინის  
სიტყვებიდან, რომ თქვენ გაქვთ, ავრეთვე, უფრო სერიოზული  
საქმეები. გემმამ წარბები ოდნავ შეიხარა.

რა სულელი ქალია სინიორა გრასსინი, უეჭველად გაუფ-  
რთხალებლობით წამოროშა რაიმე ამ მსხლტომ ფოცხვერთან.—  
გაიუქრა გემმამ.—რივარესი თანდათან უფრო არ მოსწონდა  
იმას.

— მართლაც და, ბევრი საქმეები მაქვს,—მიუგო გულ-  
გრილად,—მაგრამ სინიორა გრასსინი ადიდებს ჩემ საქმეების  
მნიშვნელობას. ისინი უფრო უბრალი თვისებისანი არიან.

— კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ყველანი დროს იმაში ვა-  
ტარებდეთ, რომ იტალიის ბედ-ილბალისათვის ვიცრემლებო-  
დეთ, მე მგონი მეგობრობა დღევანდელის ამფიტრიონისა და  
იმის მეულლისა, ყოველ კაცს მხიარულს დონზე მომართავდა,  
თავის დაცვის გრძნობის გამო მაინც. დიალ, ვიცი თქვენ ეხლა  
რასაც იტყვით და სრული მართალიცა ხართ. მაგრამ ორნივ  
ისინი თავიანთის პოტრიოტიზმით სასაცილონი არიან. ას, თქვენ  
მიბრძინდებით? აქ ისე სასიამოენოა ყოფნა.

— დიალ. უნდა დავბრუნდე სასტუმროში, სად არის ჩემი  
ბლონდი?

კრაზანამ აიღო ბლონდი და მიაწოდა. ის ეხლა იდგა და  
გემმას იმ ნაირი ფართოთ გახელილ ლურჯ და უმანკო თვა-

ლებით მისწერებოდა, როგორც წყალის ნაპირას აღმოცენილი ლურჯი კვავილი.

— ვიცი, ოქენ გაჯავრდით ჩემზე,—უთხრა იმან შენანების კილოთი, იმ სანთლისაგან ჩამოსხმულ ქალზე დაცინებისა-თვის, მაგრამ რა უნდა მექმნა.

— რადგან მკითხავთ, მეც გეუბნებით, რომ ვთვლი არა  
სულ-გრძელობად და თითქმის სასირცხვილოდაც დაცანებას იმ  
გვარ ხალხზე, რომელიც გონება-გაუწროვნელობით დაბლა  
სდგანან,—უპასუხა გემშემ.—ეს სულ ერთია ვითომც კოჭლისა-  
თეის დაეცინოთ ანუ...

ყმაწვილს სუნთქვა შეუჩერდა, სახეზე მტკიცნეულობის აჩ-  
რდილმა გაღურბინა; უეცრივ დაიხედა დამახინჯებულ ხელ-  
ფეხზე და დაბარბაცდა. მაგრამ ერთ წუთს შემდეგ ისევ გასწო-  
რდა და გადინძხარხა.

— ეს ოდნავ თუ კარგი შედარებაა, სინიორავ, ჩვენ, კოჭლ-ნი, არ ვაჩერებთ ჩვენ სიმახინჯეს ხალხს ცხვირპირში, როგორც ის ქალი თავის სისულელეს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოგვეცით ნება ჩავთვალოთ, რომ დამტვრეული, უხერხსული სიტყვა, აგრეთვე უსიამოვნო არის, როგორც უსწორ-მასწორო ზურვი. აქ საფეხურია, ნება მიბოძეთ, ხელი მოვაწოდოთ.

გემმა სასტუმროში დიდად აღშფოთებული დაბრუნდა. იმ კაცის მოულოდნელ სწრაფ მიხვედრილობამ ის სრულიად არია. როგორც კი შეაღო იმან სასტუმრო ოთახის კარები, იმ წამ-სვე შენიშვნა, რომ იმის აქ არ ყოფნის დროს, რაღაც არა ჩვეულებრივი მომხდარიყო. კაცთაგანს ბევრს გაჯავრებული შეხედულება ემჩნეოდათ. ქალები სახე-აწითლებულნი ძალ-დატანებულის სიმშვიდით, რათა მღელვარება დაეფარათ, ოთა-ხის ერთ კუთხეში შეკრებილიყვნენ. ოჯახის უფროსს ცხა-დათ ეტყობოდა, რომ გაანჩხლებული თავს ძლივს იმაგრებდა. ის გაჩუმებული ხათვალეებს აცოდვილებდა. კრება ტურისტე-



ბისა განცალკევებით იდგა და ცოცხალის სახით, ცნობის მო-  
ყვარეობით, ოთახის მეორე მხრისაკენ იცქირებოდა. ცხადი  
იყო, რომ იქ რაღაც ისეთი ხდებოდა, რაიცა იმათ ძალიან  
ართობდა, მაგრამ ბევრს, სტუმართაგანს კი, ეს შეურაცხყო  
ფად ეჩვენებოდათ. მხოლოდ სინიორა გრაისინი ვერას ამჩ-  
ნევდა, ის კოხტად მარაოს ატრიალებდა და დანიის ელჩს.  
მხიარულად ეტიტინებოდა, რომელიც იმას განიერის ლიმილით  
უსმენდა.

გემმა შეჩერდა კარებთან და კრაზანას მოხედა, მიხედა,  
რომ იმანაც შენიშნა არეული სახე საზოგადოებისა, კრაზანას  
თვალთაგან ბოროტების ნაპერწყალი გამოკრთა, როდესაც  
შეხედა პირველად დიასახლისს, სინიორა გრასსინის, თავისსავე  
უმეცრებაში ბედნიერს და შემდეგ გადახედა ოთახის მეორე  
მხარეზე მდგომ დივანს. ბოშა ქალი იქავ იდგა დივანზე მკლავ  
დაყრდობილი, გარშემო იმას მრავალი მოალერსე ყმაწვილნი-  
და დამცინავი კავალერისტები ეხვიინენ. გემმა იმ წამსვე მი-  
ხედა ყოველივეს. კრაზანამ მოიყვანა აქ თავისი სატრფო რაიმე  
მომიზებებით, რამაც ვერ მოატყუა ვერავინ, გარდა სინიორა  
გრასსინისა. ბოშა ქალი საუცხოვოდ იყო მორთული წითელ-  
ყვითელ ფერებით და მრავალის სამკაულებით, რაიცა ხდიდა  
იმას ლიტერატურულ სალონში სამხრეთელ ფრინველს ბელუ-  
რათა შორის. ის თითქო ჰერძნობდა თითონვე, რომ იქ არ  
იყო იმის ადგილი და უცქეროდა შეურაცხყოფილ ქალთ ზი-  
ზილითა და თანაც სიბრაზით. იმან დაინახა თუ არა კრაზანა,  
გემმასთან ერთად ოთახში შემოსული, სწრაფად გაექანა იმის-  
კენ და დაუწყო სიჩქარით ლაპარაკი დამტვრეულ ფრანგულს  
ენაზე.

— მ—რ რიგარესს, მე თქვენ უველგან დაგეძებდით. გრაფ  
სატილკოვს ჰსურს იცოდეს, შეგიძლიანთ თუ არა იყოთ ხვალ  
სალამოს იმათ ვილლაში. იქ თამაშობა იქმნება გამართული.

— ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან დავესწრო, მაგრამ სულ-  
ერთია—მე ვერ ვითამაშებდი. სინიორავ ბოლოლა,—მიშმართა გემ-  
მას,—ნება მიბოძეთ გაგაცნოთ madame ზატტა რენნი. ბოშა

ქალმა შეხედა გემმას უნდო სახით და ცივი სალამი მისცა, ის  
მართლაც რომ მშვენიერი იყო, მაგრამ მარტინის თქმის არ  
იყოს, რაღაც პირუტყვული და არა სასულიერო სილამაზისა.  
სრული ჰარმონია იმისი თავისუფალი მიმოხვრისა მომხიბვლე-  
ლი იყო, მაგრამ შუბლი მეტად ვიწრო და დაბალი ჰქონდა.  
ზოლი იმის თხელ-ნაზი ნესტოებისა მკაცრს შეხედულობას აძ-  
ლევდა იმას.

სამძიმო მდგომარეობა, რომელსაც ჰერქნობდა გემმა კრაზანას საზოგადოებაში, უმეტესი სამძიმო შეიქმნა ბოშა ქალის იქ ყოფნით. ერთ წუთს შემდეგ, როცა ოჯახის უფროსი მივიღდა სინიორა ბოლლასთან, თხოვნით, რათა იქავ მეორე ოთახში რამდენსამე სტუდენტებთან საუბარში დახმარებოდა, გემმა აღდა, გაჟიყვა და მხოლოდ გაშინ ცოტა თაეისუფლად ამოისუნთქა.

— აბა, ჩემო მაღონავ, რას იტყვით კრაზანას შესახებ? — და-  
ეკითხა მარტინი, როდესაც, სალამოს, გემმას სახლში აცილებ-  
და. — ვინახავთ ამაზე მეტი შეუპოვრობა, თუ როგორ მოატ-  
ყუა იმან მეუღლე გრასინისა.

— თქვენ მოთამაშე ქალის შესახებ ლაპარაკობთ?

— დიალ, რივარესმა დაარწმუნა სინიორა გრასსინი, რომ  
ის ქალიშვილი იქმნება ვარსკვლავი სეზონისა და ს—რა გრა-  
სსინიც ეცდება ყველაფერი გააკეთოს გამოჩენილი პირის გუ-  
ლისთვის.

— ჩემის აზრით ეს ძალიან ცუდია იმის მხრივ, იმან ჩაა-  
ყენა გრასსინი მოტყუებულ მდგომარეობაში და შესახებ იმ  
ქალისაც ეს საშინელებაა. დარწმუნებული ვარ, რომ იმისთვის  
ეს სასიამოვნო არ იქმნებოდა.

— თქვენ ლაპარაკობდით მგონი რივარესთან, რას ჰფიქ-  
რობთ იმაზე?

— ահ, ჩյօնարյ, մյ առասա ցոյշիրոծ օմու մյըթէ, հոմ մո-  
խարուլո ցոյշնեծուծո մյըթազ, հոմ ու օլահ մյբնածա. արացուսո սանո-  
ցածուցի մյ ուսց սամծումուց արա միջընեծու, հոգուրկ օմուսո. առ

წუთის განმავლობაში თავი ამტკიცდა. რიგარესი სწორედ რომ ნამდვილი დემონია მოუსვენრობისა.

— ვიცოდი, რომ ის თქვენ არ მოგეწონებოდათ და, მართალი უნდა გითხრათ, არც მე მომწონს ის მსხლტომი ფოცხვერი. იმისი მე არა მწამს-რა.

ნატალია რ. გიგაური

(შემდეგი იქნება)



ଶ୍ରୀଦ୍ୟାକଣ୍ଠ ମାନ୍ତ୍ରିକୁ ଯହାଙ୍କୁ ପ୍ରମାଣିତ ହେଲାମାନି  
ଏ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ମନ୍ଦିରରେ ଅଧିକାରୀଙ୍କୁ ପାଇଲା,  
ତାହାରେ ଏହାକିମ୍ବାନ୍ତ ପାଇଲା ଏହାକିମ୍ବାନ୍ତ  
ହେଲା ଯାହାକିମ୍ବାନ୍ତ ପାଇଲା ଏହାକିମ୍ବାନ୍ତ

აჭა, მზეც აგერ სხივებუგაშლილი  
გადმოეთვინა ქვეუნიერებას,  
მაკრამ მე მაინც ჭერ ბნედ ში ვზიარ,  
ვერ ვგრძნობ ბედ-პრელი დღის გათენებას.

ବେମତ୍ରୀରେ ମାନ୍ଦିଲ୍ଲା ଏବଂ ଗାତ୍ରକ୍ଷଣଦୟା  
ଏବଂ ଏହି ଶୈଖିକ୍ରମରେ ମେ ଉଚ୍ଚେମିତ୍ତି ଯୋଗାଇଲୁଛା,  
କାହାର ଏବଂ କ୍ଷଣକ୍ଷେତ୍ରରେ ବ୍ୟାପାରକ୍ଷେତ୍ରରେ  
ମର୍ମିଳାରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଯୋଗାଇଲୁଛା.

二

۸۰۰

ცის და ქვეუნის შეამაფალს  
შიბურია მე ხელში ჩანგი  
და მსურს მით ერს სიძულევილის  
გაღავუერთ ბულზე შანგი.

შეგაეგარო სუსტია ძლიერს,  
 უძალ-ღონთ — ღონიერსა,  
 დაწაგრული — გალაზებულს,  
 უბედური — ბედნიერსა,

დარიბი და უმწე — მდიდარს,  
 ერთმანერთი — მთელსა ერსა,  
 რთმ ერთისა სატკიფარი  
 თვისად უჩნდეს მეთაქსა.

გ. რუხაძე



# დ ა მ ო ნ ე გ უ ლ ნ ი

რომანი ბოლგართა ცხოვერებიდან

იგ. გაზ ღ გ ი ს ა

\*\*\*\*)

თამაშეთის შთავიდა

ცანკო თვის ინიანოვის სანახავად შევიდა ბნელს ოთახში.

— რას იტყვი, პოიჩო, ეს სალამო როგორ მოგეწონა?

— საუცხოვო რამ იყო, ბაი ცანკო!

— სიმღერები?

— დიდის სიამოვნებით ვუგდებდი ყურს....

ამ დროს ოთახში ცანკოს ცოლიც შემოვიდა. ხელში სანთელი ეჭირა.

— ვიღაცა ალაყაფის კარებს აკაკუნებს, — უთხრა ქმარს ცოლმა.

— ალბად ისევ სტაიას სახლიდან არის ვინმე, შეიძლება ქალი ჩვენ მოვეთხოვონ... მაგრამ ჩვენი რა საქმეა!

ზედამინებაზე დონკა შემოვიდა და შეატყობინა, პოლი-ციელები არახუნებენ კარსაო; პაპა დეიკო, იასაული, მოუძღვის...

— ღმერთმა ნუ იცის მათი და დეიკოს თავიცა! აბა რა ვუყო, ახლა ამ ლორებსა? ნუ გჯშინიან, შენს საძებრად არ

\* ) ის. „მოაშე“ 1899 წ. № VII.



მოსულან,—დაამშეიდა ოგნიანოვი ცანკომ,—ჩაინც სიჭრობებისა—  
ლეს თავი არა სტკივა, დაიმალე... დედაკაცო, მიღი, მასწავ-  
ლებელს დასამალი ადგილი უჩვენე...

ესა სთქვა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის უკან, ცან-  
კო ისევ მობრუნდა, თან მოსდევდა ორი, თოვლიან ნაბდებში  
გახვეული, თურქი. ორივე ბუზლუნით მოდიოდა.

— მთელი საათი რად გაგვაჩერე ქუჩაზე, შე გიაურო?—  
შეუტია ცალთვალა პოლიციელმა და თან თოვლიანი წაბადი  
გაიბერტყა.

— სანამ შენ კარს გაგვიღებდი, ჩვენ კიდეც გავიყინე-  
ვით! — ღრიალებდა მეორე, პატარა ტანისა და უულვაშო  
თურქი.

ცანკომ რაღაცა დაიბურტყუნა, ვითომ-და ბოდიშის მოსახ-  
დელად.

— აბა რას ბურტყუნებ? წადი, ვარია დაგვიკალი და ერ-  
ბო-კვერცხი შეგვიწვი.

ცანკოს რაღაც უნდა ეთქვა. ამ დროს ცალთვალა პო-  
ლიციელმა დაუყვირა:

— დროს ნუ ჰქარგავ, გიაურო, ჩქარა გაიქე და შენს  
ცოლს უთხარი ვახშამი გაგვიკეთოს... იქნება გწალია შენის  
ქლიავით და კაკლის ნაჭუჭებით გაგვიმასპინძლდე? — უთხრა  
ცანკოს და ზიზღით გადახედა სტუმრებისაგან გადარჩენილს  
ქლიავებსა და კაკლის ცარიელს ნაჭუჭებს.

ცანკო კარისაკენ გაემართა ბრძანების ასასრულებლად.  
უულვაშომ მიაძახა:

— გაჩერდი, ქალები რა უყავით?

— თაეგიანთს სახლებში წავიდნენ, გეიან იყო, — უპასუხა  
ცანკომ, რომელსაც ღვინო სულ გამონელდა.

— წადი, ხელ-ახლა დაუძახე, ჩვენთან ერთად ივახშმონ  
და თითო ჯამი ღვინო დაგვისხან... აბა, რა გიქირდა, არ გა-  
გი შვა?

ცანკო შეშინებულის თვალებით იყურებოდა.

- შენი ქალი სადღაა?
- დასაძინებლად წავიდა, აღა!
- გააღვიძე, აქ გვემსახუროს,—უთხრა ცალ-თვალამ და თან დასველებული წაღები ცეცხლს შეუშეირა.
- გულს ნუ გაუხეთქავთ ჩემს ბავშეს, აღა, — შეეხვეწა ცანკო.

შემოვიდა იასაუილ და მოკრძალებით კარებთან აიტუზა.

— შე მხეცო, შენა! რად შემოგვატარე მთელი სოფელი და მათხოვერებსავით რად გვახვეწინე ყველასთვის სახლში შეშვება! რატომ ჰირველადვე აქ არ მოგვიყვანე! რა იქმნენ თქვენი.....

და თურქმა ქალებს შეუკურთხა.

ბოლგარებმა გინება მოითმინეს. ასეთს ლანძლვა-გინებას შეჩვეულნი იყვნენ. მრავალ-საუკუნის მონობამ შემდეგი ანდაზა მოაგონებინა ბულგარებს: „დახრილს კისერს ხმალიც არა სჭრისო“. ცანკო გული-გულში ღმერთს ეხვეწებოდა, — ჩემი ქალი აქ არ მომაყვანინონ ამ უსჯულოებმათ.

— ჩორბაჯი, — ჰერთხა ცალთვალა პოლიციელმა, — თქვენ გინდათ აჯანყდეთ?

ცანკომ თამიმად უთხრა უარი.

— მაშ ამ დანას აქ რა უნდა? — უთხრა უულვაშომ და ხელში აიღო დანა, რომელიც ჰეტრე ოვჩარს ხალიჩაზე დავიწყნოდა.

— აა, ჩორბაჯი, მაშ ასაჯანყებლად ემზადებით? — ჰერთხა ცბიერულის ლიმილით ცალთვალიამ.

— არა, აღა, ჩვენ ერთგულნი ქვეშევრდომნი ვართ ხელმწიფისა, — უპასუხა ცანკომ და თან შეეცადა თავი ისე ეჩერენებინა, აღელვებული სრულებით არა ვარო; — ეს დანა, აღბად, ვისმე სტუმართაგანს დაავიწყდა აქ.

— ვისია?

— არ ვიცი, აღა.



პოლიციელები დანას დააკვირდნენ, სინჯვა დაუწყეს ზედ  
გამოხატულს რაღაც ყვითელ რგოლებს. ეტყობოდა, რომ რა-  
ღაც სიტყვები ეწერა დანაზე.

— ეს რა სიტყვები სწერია? — ჰქითხეს პოლიციელებმა  
ცანკოს.

ცანკო დააკეირდა: ყუაზე ყვითელის მავთულით ამოყვა-  
ნილი იყო: „თავისუფლება ან სიკვდილი“, ხოლო მეორე აღა-  
გას პატრონის სახელი ეწერა.

— სიტყვები კი არა, ყურძნის მტევნებია დახატული, —  
იცრუა ცანკომ.

ცალთვალაშ გასვრილი წალა სახეზე დაარტყა.

— გიაურო, ცალთვალა რომ ვარ, იმიტომ სულ ბრმა ხომ  
არა გეონივარ?

ცანკოს პასუხზე ეჭვი დაებადათ.

— მწერალო, აქ მოდი!

მწერალი შემოვიდა. ხელში ხაჭაპური ეჭირა, რომელსაც  
ცანკოს ცოლთან ერთად აცხობდა. პოლიციელების ხელში  
დანა რომ დაინახა, შიშისაგან კანკალმა აიტანა.

— წაიკითხე, რა სწერია!

— მწერალმა წაიკითხა და შეძრწუნდა.

— კარგად ვერ გავარჩიე, იღა,

უულვაშომ მათრახს დააელო ხელი და გადაუტყლაშუნა.  
მათრახმა დაიზუზუნა და მწერალს ორმაგად შემოერკალა კი-  
სერზე. ლოყაზე სისხლის წვეთები წამოასხდა.

— ლვთისგან შეჩენებული ხალხი!

მწერალმა სიტყვა შეუბრუნებლად სისხლის მოწმენდა და-  
იწყო.

— წაიკითხე, თორემ, ეს არის, ყელი გამოგდადრე ამ  
დანითა! — შეუყვირა პოლიციელმა. თავტანდაკარგული მწერა-  
ლი ხედავდა, — ხსნა არსით არისო. მეტი რა გზა ჰქონდა, ბედს  
უნდა დამორჩილებოდა.

— პეტრე ოვჩაროვი, — წაიკითხა მწერალმა და განგებელმა მოიკიდა.

— იცნობ?

— ჩვენი სოფლელია.

— „ჩობან\*)-პეტრეს“ ხომ არ ეძახიან? — ჰყითხა ცალ-თვალაშ; ეტყობოდა, რომ ცოტა-რამ გაეგებოდა ბოლგარულის ენისა.

— ასე გახლავთ, აღა, — და მწერალმა დანა მიაწოდა. გული-გულში კი ღმერთს მაღლობასა სწირავდა, რომ საშინელ სიტყვების ჩაფურჩეჩება შემრჩაო. მაგრამ ტყუილად ინუგეშებდა თავს. განსაკლელი ჯერ წინ ედო.

— აბა ახლა მეორე მხარეს დახედე, რა სწერია, — უთხრა პოლიკიელმა.

მწერალმა შეშინებულის სახით დახედა ისევ დანას: ჰყოყ-მობდა. ამ დროს მარჯვენა თვალით დაინახა, რომ უულეაშომ ისევ უნდა გადამიჭიროს მათრახიო.

— „თავისუფლება, ან სიკვდილი“ — სწერია, აღა.

ცალთვალა ზეზე წამოიჭრა.

— თავისუფლებაცა, ჰა? — გაიღიმა თურქმა მრისხანედ; — ეს დანა ვისი გაქვედილია? ჩობან პეტრე სად არის, ჰა?

— სად უნდა იყოს, თავის სახლშია.

— წადი, დაუძახე....

მწერალმა წასვლა დააპირა.

— მოიცა, მეცა წამოგყები, ოჩოპინტრე!

უულვაშომ ნაბადი მოისხა და მასთან ერთად გავიდა.

— ვერ უყურებ, ჩობანიც რომ გაიდუკების ჯიშისა ყოფილა.

ამ დროს ცანკო ცოლთან შევიდა. ცოლი თან იწყევლებოდა და თან ვახშამს უმზადებდა დაუპატიჟებელს სტუმრებს.

\* ) „ჩობანი“ და „ოვჩარი“ ბოლგარულად ორივე ერთია, მწყემსს ნიშნავს.



— დონკე, გაიქე, შვილო, ამაღამ ძიასთან გაათხუ და შე, ღობეზე გადახტი, — უთხრა ცანკომ თავისს ქალს, რომელმაც კარებში შემოჰყო თავი მთლად ფერ-წასულმა.

— ნეტავ ვიცოდე, საიდან მოათრია დეიკომ ეს წყეულები? წარსულ კვირასაც მოგვიყვანა ორი თურქი, — ბუზღუნებდა დიასახლისი.

— მა რა ექნა საწყალ კაცი? — უთხრა ცანკომ ცოლს, — ყველგან მიუყვანია, მაგრამ არავისთან გაჩერებულან, ჩვენს სახლში სიმღერები გაუკონიათ და უთქვამთ, გინდა თუ არა, წაგვიყვანეო, თან ოთხ-ხუთჯერ ხურგში უთვეაზებიათ.

ცანკო ისევ დაბრუნდა ცალთვალასთან.

— ჩორბაჯი, სად დაიკარგე? ჩქარა მოიტა არაყი და შე-სატანებელი რამე.

— ჩობანი სახლში არ არის, — უთხრა გულმოსულად ოთახ-ში შემოსულმა უულვაშომ, რომელსაც თან მწერალიც შემო-ჰყეა.

— მთელი სოფელი უნდა შემოიაროთ, სახლი არ დას-ტოვოთ უნახავი, და ის მეამბოხე კი უნდა მონახოთ როგორ-მე, — უთხრა ცალთვალამ და არაყი ხახაში ჩაუძახა.

— არა სჯობს, ჯერ მის მამას დავატანოთ ძალა? — პკი-თხა ჩუმად უულვაშომ და მერე რაღაც უჩურჩულა ყურში. ცალთვალამ თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურა.

— იასაულო, წადი, პეტრეს მამა მოგვიყვანე, იმასა ვკი-თხავთ — მისი შვალი სად არის; ესეც წაიღე, — უთხრა უულვა-შომ და საარყე კურჭელი მისცა.

— დუქანი ახლა დაკეტილია, აღა.

ცალთვალამ, პასუხის მავირად, სახეში წალა ჩააზილა. ბუნებით თაეისს ამხანაგზე უფრო გულკეთილი იყო, მაგრამ, რაკი არაყი იგემებდა, მხეცად იქცეოდა.

თხუთხმეტს წუთს უკან პაპა სტოიჩოც მოვიდა. სტოიჩო ორმოც და ათის წლის კაცი იყო; ცოცხალსა და მხნე სახეზე აღბეჭდილი ჰქონდა მტკიცე ხასიათი და მხნეობა.

— სტოიჩი, გეითხარ, შენი შვილი სად არის, შენ უკუ-  
ველად გეცოდინება, სად დაიმალა, გეითხარ, თორემ, იმის მა-  
გივრად, შენ მოგხვდება!

ამის თქმაზე ცალთვალამ ხარბად მოიწაფა საარყე ბოთ-  
ლი. თვალები აენთო. მერე ჭურჭელი თავის ამხანავს მიაწო-  
და.

— არ ვიცი, სად არის, აღა, — უპასუხა მოხუცმა.

— შენ იცი, გიაურო, იცი! — ბრაზიანად შეუტია პოლი-  
ციელმა.

მოხუცმა ისევ უთხრა, არ ვიციო.

— გათქმევინებთ, სადაცა!

— კბილებს ჩაგამტვრევთ; ზურგზე ცხრაპირ ტყავს აგაძ-  
რობთ, — დაიღრიალა უულვაშომ.

— რაც გნებავთ, ის მიყავით, ერთი სული მაბადია, იმის  
შეტს ხომ ვერაფერს წამართმევთ, უპასუხა თამამად მოხუცმა.

— წადი და იფიქრე... თორემ მერე ინანებ... — უბრძანა  
ვითომ მორბილებულმა ცალთვალამ. უნდოდა პაპა სტოიჩისა-  
გან ქრთამი აელო, რის შესახებ მწერალმა სიტყვა გადაუკრა  
კიდეცა.

მაგრამ სტოიჩი ადგილიდან არ იძვროდა.

პოლიციელებმა ერთმანერთს გადახედეს, საშინლად გაუ-  
უკვირდათ ბოლგარელის კადნიერება და იმავე დროს აბრია-  
ლებული თვალები მოხუცს დააშტერეს.

— მოხუცო, ხომ კარგად გაიგონე, რაც გითხარით? —  
დაუყვირა ცალ-თვალამ.

— გავიგონე და მოსაფიქრებელიც არა მაქვს-რა, შინ გა-  
მიშვით, — უპასუხა პირქუშად სტოიჩომ.

პოლიციელებმა ცეცხლი მოიკიდეს.

— მწერალო, მიწაზე დასცი ეს მოხუცი! — ეს ბრძანა ცალ-  
თვალამ და ხელი დაავლო მათრახს.

მწერალმა და ცანკომ თხოენა დაუწყეს თურქს, აპარიეთ  
მოხუცსაო.



პასუხის მაგივრად ცალთვალამ ფეხი ჰქონა მოხუცი და  
სტოიჩიმაც ბრავვანი მოიღო მიწაზე.

რაც ძალა ერჩოდა, მოურთო მათრახი. პაპა სტოიჩი რამ-  
დენსამე ხანს ღრიალებდა, ქშინავდა, ჰკენესოდა, ბოლოს გა-  
ჩუმდა. მტარვალს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე: მე-  
ტის შრომისაგან დაიღილა.

დაბეჭილი მოხუცი ითახიდან გაათრიეს მოსასულიერებ-  
ლად.

— როცა გონზე მოვა, ხელ-ახლა შემოიყვანეთ, ვათქმე-  
ვინებ, რაც მინდა.

— გეხვეწებით, ჰაჯი-ალა, შეიბრალეთ ეს მოხუცი, ახალს  
ტანჯვას ვერ გაუძლებს და მოკვდება, — შეევედრა ცანკო.

— ხელმწიფე იყოს ცოცხალი, ხოლო მეამბოხენი თუ  
გინდ სულ გასწყდნენ! — გული მოუვიდა ერთბაშად უულვა-  
შოს.... — შენც გამოდგები სახრჩობელაზე ასათრევლად! შენს  
სახლში შენ უყრი თავს მეამბოხეთა, ჩიბანსაც, ალბად, შენა  
ჰმალავ. შენი სახლიც უნდა გავჩხრიკოთ.

ცანკოს უნებლიერ ფერმა გადაჰქრა სახეზე. ცალთვალა  
მთვრალი იყო, მაგრამ მაინც შეამჩნია, ცანკოს შეეშინდაო.

ერთბაშად უულვაშოს მიუბრუნდა:

— იუსუფ-ალა, მოდი, ამ გიაურს გავუჩხრიკოთ სახლი,  
ეილაცა ჰყავს დამალული. — ეს უთხრა და ზეზე წამოდგა.

— მობძანდით, — ჩამწყდარის ხმით უთხრა ცანკომ და ფან-  
რით წინ გაუძლვა.

ცანკომ უველა ითახები დაატარა, ბნელის ითახის ყარდა-  
ბოლოს ბნელ ითახშიაც შეანათა სანთელი. გამჭვარტლული  
ჭერი ერთს ალაგას გამოჭრილი იყო. როცა ეს გამოჭრილი  
ადგილი დახურული იყო, არაფერი სჩანდა ხოლმე. ცანკო დარ-  
წუნებული იყო, რომ ოგნიანოვი ამ გამოჭრილით სხვენზე  
ავიდოდა და გამოჭრილს დასაფარებელს დააფარებდა. ამიტომ  
გულდამშვიდებით მიუძღვებოდა თურქებს და გაანათა.

პირველად ჭერისაკენ აიხედა ცანკომ.

გამოკრილი სრულებით ლია იყო.

ცანკო გაშეშდა. თურქებმა ოთახს მიმოავლეს თვალი.

— ეს რა გამოკრილია ზევით?

— სხვენზე ასასვლელია, — ჩურჩულით უპასუხა ცანკომ.

მუხლები სულ მოეკვეცა და კედელს მიეყრდო ზურგით.

უულეაშომ შეამჩნია, ცანკოს შეეშინდაო.

— აბა კარგად მოპინათე, ზევით მინდა აეიდე, — უთხრა ცანკოს. მაგრამ უცბად რაღაც უსიამოენო რამ აზრმა გაუელვა და თავის ამხანაგს დაუძახა.

— ხასან-ალა, შენ ჩემზე მაღალი ხარ; მწერალო, აბა ზურგი შეუშეირე.

ხასან-ალა, არყისაგან მთლად გალეშილი, მწერალის ზურგზე აბობლდა.

— ჩორბაჯი, ფანარი მოიტა, ვერასა ვხედავ.

ცალთვალამ გამოკრილში ჯერ ფანარი შეჰყო და მერე თვითონ შეიხედა. ტანის მიმოხვრაზე ეტყობოდა, რომ თავს სხვენის ყველა მხრისაკენ ატრიალებდა...

მერე დაეშვა, ძირს ჩამოხტა და იკითხა:

— ჩორბაჯი, აქ ვინა გყავს დამალული?

ცანკო გაოცებით იცემოდა. არ იცოდა, რა ეპასუხნა. იმ საღამოს იმდენი ტანჯვა და შიში გამოიარა, რომ ეფონა, სიზმარში ვარო. აზრები ერთმანეთში აერივ-დაერია. თურქმა ისევა ჰყითხა. შეშინებულის ხმით მაშინ-და წაიბუტბუტა რაღაც ცანკომ.

— ეს მეამბოხე კლისურში გვეტყვის უფრო გამორკვებულს პასუხს. იქაური სატუსალო მოეწონება... ამაღამ კი აქა ბრძანდებოდეს...

და პოლიციელებმა ბნელს ოთახში ჩაჰეტეს ცანკო. ისე შეეშინდა საცოდავ კაცს, რომ რამოდენისამე წუთის უკან-და მოვიდა გონზე. ხელები თავში იტაცა, ეფონა, ეს-ეს არის, გავგიუდებიო. ხსნის იმედი გადაუწყდა; ტანჯვამ და დარდმა



გული გაუტეხა, სიმხნევე წართვა. სასოწარკვეთით მშენებელები და დაიკვნესა.

— ამ დროს კარის კაკუნთან ერთად დეიკოს ხმა მოესმა.

— ახლა რას აპირობ, ცანკო?

— არ ვიცი, ბაი დეიკო, შენ თუ მასწავლი რა ვქნა!

— ხომ იცი თურქების მუცლის გვრემა რაც არის! თვალები დახუჭე და ქრთამი მიეცი, ამით-ლა იხსნი თავს ამ არა-წმინდების ხელიდან... თუ ასე არ მოიქეცი, იმდენს გათრევენ პოლიციებსა და სასამართლოებში, სანამ სული არ ამოგხდება. საწყალი პაპა სტოიჩო, იმასაც რომ ცოტა რამ მიეცა, მათი მსხვერპლი არ შეიქნებოდა. მოდი, ცანკო, ფულით იხსენ თავი ათას ტანჯვისაგან.

— ამ დროს დიასახლისიც მოვიდა, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა ლოკებზე.

— ცანკო, მივცეთ, ნურაფერს დავიშურებთ. ცანკო! ამ რეზის კერძებს ადამიანი ცოცხლად ვერ დააღწევს თავს.... პაპა სტოიჩო კიდეც მოკვდა... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დღეს მოექსწარით!..

— რა-ლა უნდა მივცეთ, დედაკაცო? ხომ იცი, რომ ფული არ გვაბადია!

— ჩვენის ქალის სამზითვედ ვერცხლის ფულებისაგან გაკეთებული სამკაული მივცეთ.

— დონკას სამზითვო სამკაული?

— ჰო, მივცეთ, ამით-ლა შეგვიძლი ვიხსნათ თავი... ხომ ხედავ, ახლა დონკასა ჰკითხულობენ ეს წყეულები!

— რაც გინდა, ისა ჰქენი, მე ნურასა მკითხავ, კისერზე თავი არა მაქვს...—დაიკვნესა ცანკომ.

ცანკოს ცოლი და დეიკო წავიდნენ.

ცოტა ხანს უკან სინათლე გამოჩნდა და კარი გაიღო.

— ცანკო, გამოდი, გაპატიეს,—უთხრა დეიკომ;—აღებისევ გულ-კეთილი ადამიანებად იქცნენ. დანასაც გიბრუნებენ, ნურაფრის შეგვშინდებაო. ძალიან იაფად გადავრჩით.

მერე დაიხარა და ცანკოს ყურში ჩასჩურჩულა:

— დიღხანს არ დაგვეირდება ლოდინი, ან ჩვენ ეჭამთ იმითს ქელებს, ან-და ისინი მოგვიღებენ ბოლოს... ასე ცხოვ-ზა არ შეიძლება...

### XXXII

#### თვალი თვალისა წილ და ქბალი ქბილისა წილ

სწორედ ამ დროს ოგნიანოვი პეტრე ოვჩეროვის სახლის ჭიშკარს აკაკუნებდა, ბოიჩომ ვერ გაუძლო ჭერის ჯუჯრუტა-ნიდან გულგრილად ეყურებინა ამ ბოროტმოქმედებისათვის; გადასწყვიტა, ხელი შეეღებნა მტრის სისხლით ამ სიმხეცისა-თვის; იმის დარდი არა ჰქონდა,—ამ შერისძიებას რა ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. გაშმაგებული მირბოდა ქუჩაზე პირდაპირ სტოიკოს სახლისაკენ.

— პეტრე სად არის?—იკითხა ბოიჩომ და ის-კი დაა-ვიწყდა, რომ პეტრე იმალებოდა.

— მასწავლებელო, შენა ხარ?—ჰკითხა ტირილით თვა-ლებ-დასიებულმა დედამ.

— თქვენი პეტრე სად არის?

— ჩუმად, შვილო, არავინ გაიგონოს... პეტრე ბორიმე-კასთან არის.

— ბორიმეჩა სად-ლა დგას, დიდედა?

— მღვდლის სახლის გვერდითაა, ახალი ჭიშკარი აქვს. მხოლოდ ფრთხილად წალი, შვილო.

საცოდავმა დედაკაცმა არც კი იცოდა, რომ პაპა სტო-ჩომ სული განუტევა. ოგნიანოვი შურდულივით გაიჭრა. მღვ-დლის სახლს რომ მიატანა, მოქეიფე ყმაწვილების ხმაურობა მოესმა. ოგნიანოვმა პეტრეს ხმა იცნო. მიუახლოვდა თუ არა, კველა გააჩერა ბოიჩომ.

— მასწავლებელო!—შესძახეს ყველამ.

— მე ვარ, ძმებო, საით მიღიხართ?

— ბორიმეჩქასთან ვიყავით, — უპასუხა პეტრემ, — ამაღამ საცოლე მოიტაცა და ჩვენც იმის სახლში ლვინო გადაეკარით... ახლა უნდა უყურო, როგორ შეითვისეს ერთმანერთი! თითქმ ერთმანერთისათვის იყვნენ დაბადებულნიო... შენ როდის-და მოხვედი?

— პეტრე, მოდი, ერთი, რამე უნდა გითხრა.

ორივე ცალკე გავიდნენ.

— ნახვამდის, ღამე მშვიდობისა, — უთხრა პეტრემ თავისს ამხანაგებს და აჩქარებულად ვაჰყა ოგნიანოვს. ორივე სახლში მოეიდა.

— მამა დაბრუნდა? — ჰკითხა პეტრემ თავისს დედას.

— ჯერ არა, შვილო.

ოგნიანოვმა სათივესაკენ წაიყვანა.

— ყური მიგდე, პეტრე, — უთხრა ბოიჩომ, — შენს შავივ-რად მამა-შენს საშინლადა სცემეს... ამ პირუტყვებმა, შეიძლება, უარესი დღე დააყენონ ცანკოსა და მისს ცოლშვილს. მარტო იარალით თუ შეგვიძლია ივლაგმოთ ეს უსჯულოები და მეტის სიმშეცის ჩადენის ნება არ მივცეთ. მე თვითონ შემეძლო თავები გამეხეთქა ორივ თურქისათვის, მაგრამ შემეშინდა, ვაი თუ უარესად წავიდეს საქმე-მეთქი. ახლა ცანკოს სახლში წასვლას უნდა ვერიდოთ.

— მე მინდა შური ვიძიო, ძმაო!

— მეცა მწყურიან შურის-ძიება, ჩემო პეტრე, დიალ, საშინლად მინდა ვიძიო შური, მაგრამ თან იმასაც უნდა ვეცა-დოთ, ხიფათს რასმე არ გადავეკიდოთ.

— ეს როგორ-და მოვახერხოთ? — ჰკითხა პეტრემ და კედლიდან თოთი ჩამოხსნა.

— დაიცა, მოვიფიქროთ.

— მე ფიქრის თავი არა მაქვს, უნდა წავიღე და ვნახო, მამას რას უშვრებიან!

ოგნიანოვი თვითონაც საშინლად იყო აღელვებული, მაგრამ მაინცა ცდილობდა შეეკავებინა ეს მძვინვარე ხასია-

თის ყმაწვილი, რომელსაც, მართალია, სრულებით ბუნებრივობისაქმე სწადდა, მაგრამ ამ საქმეს თან გადაჰყებოდა კიდევ. პეტრე რომ ცანკოვის სახლში წასულიყო, უეჭველიდ სისხლი დაიღერებოდა. ოგნიანოვი კი ფიქრობდა, რომ ოსმალებთან ანგარიშის გასწორების ქამი ჯერ არ დამდგარათ. ძალიან ენანებოდა ეს ფიცხი ყმაწვილი, — უდროვოდ და უსარგებლოდ დაიღუპავს თავსაო.

მაგრამ ვერას გახდა, იმისი გაჩერაბა ვერ შესძლო. პეტრე დაჭრილ ლომშავით ბლავოდა:

— მამი-ჩემის მაგიერი უნდა გადავუხადო მის მტრებს და მერე თუნდ ქვა-ქვაზედ ნუ დარჩენილა!

რაც ძალა ერჩოდა, ხელი ჰკრა ოგნიანოვს, რომელიც მის გაჩერებასა ჰლამობდა, თავიდან მოიშორა, და ჭიშკარისა-კუნ გაექანა.

ოგნიანოვს გული უკდებოდა, მაგრამ ამავე დროს ხედავდა მთელს თვის უძლურებას, — ამ მოუხეშავ ყმაწვილთან ვერას გავხვდებიო.

მაგრამ სანამ თავის სახლის ჭიშკარამდე მიირჩენდა პეტრე, გარედან კაკუნი მოისმა. ყმაწვილმა კაცმა თოფი მოიმარჯვა და ჭიშკარი გააღო. საშს ბულგარელს, ცანკოს მეზობლებს, ხალიჩაზე დასვენებული ცხედარი მოჰქონდათ პაპა სტოკოსი.

— სული განუტევა, — უთხრა პეტრეს ერთმა გლეხმა.

ეზოში ქალის წივილ-კივილი გაისმა. სტოკოს ცოლი ტანისამოსს იგლეჯდა და გამწარებული თავის ქმრის გაშეშებულ გვამს ზედ აკვდებოდა. ოგნიანოვმა ხელი მოჰკიდა მწუხარებისაგან გულგატეხილს პეტრეს და სათივე ფარდულისაკენ წაიყვანა. ოვალ-ცრემლიანი ეხვეწებოდა, დამშეიღდიო, ამიტომ, რომ პეტრე მკვდარ მამის ნახვის შემდეგ უფრო გაშმაგდა და გადასწყვიტა, ახლავე უნდა გადავუხადო მტრებს სამაგიეროო.

— ჩვენ გადავუხდით, ძმაო, ისე არ შევარჩენთ, — ეუბნებოდა ოგნიანოვი და თანაც გადაეხვია პეტრეს; — ამ შურის-



ძიებაზე უფრო წმიდა მოვალეობა არც ჩემთვის არის არამეტად არც შენთვის.

— სისხლი! სისხლი! — ბლაოდა სიმწარისაგან გაალმასებული პეტრე. — ოჯ, მამილო, ჩემო ძვირფასო, მტრები მოვერივნენ და შენს მოხუცებულს სხეულს სული ამოართვეს... ვაიმე დედილო! ახლა რაღა უნდა ჰქნა?

— გეყოფა, ძმობილო, გული გაიმაგრე! ნუ გეშინიან, მტრების ჯავრს საფლავში არ ჩაეყოლებთ!

ცოტა ხნის შემდეგ ბრაზმა ცოტათი გადაუარა პეტრეს. დასთანხმდა. სახლში დაერჩებით, ხოლო ოსტენმა და სპირიდონჩემ ხატის წინ დაიფიცეს, ორსავ პოლიციელს მზეს დავუბნელებთო.

— იმ დალოცვილ ბორიმეჩქასაც ახლა მოუნდა ცოლის შერთვა... — სთქვა გულ-ნატკენად ოსტენმა; — თორებ იმასაც წავიყვანდით, იმის ღონის პატრიონი ძალიან გამოვვადგებოდა.

მტრების ჯავრის ამოყრა ამნაირად გადასწყვიტეს: უნდა ჩასაფრებულიყვნენ კლისურში მიმავალ გზაზე. ჩასასაფრებლად ამოირჩიეს ხშირის ტყით დაფარული ველი, სადაც გამოდის პატარა მდინარე ბელეშჩიცა, რომელიც იქავ მახლობლად მდინარე სტერშას უეპთდება. ორივ თურქებისათვის აქ უნდა დაცულნათ, გამოივლიდნენ თუ არა, დანებით უნდა სძგერებოდნენ; მოკვლის შემდეგ, გარდაწყვეტილი ჰქონდათ, ცხედრები ხშირს ჯაგნარში დაემალნათ.... საყოველ შემთხვევოდ გადაწყვეტილი იყო, თან თოფებიც წაელოთ... დეიკოსთან გაიგეს, თურქები მიდიან კლისურშით და იმათაც ამ საფუძვლით შეადგინეს გეგმა ასეთის მოქმედებისა; შინაურებს უთხრეს, მამლებმა მეორე-ჯერ იყივლონ თუ არა, გაგვალებით.

მამლებმა პირველად იყივლეს და მცირე რაზმი ამხანაგებისა ჯერ ისევ ძილში მყოფ სოფლიდან გავიდა და ერთ მინდორზე ამოპყო თავი. თოვლის დიდი ნაფერფლები უხეად სცვივოდა ნიადაგზე. დედა-მიწა თავისს თეთრს სუდარასა და ღამეს დაეფარა. მგზავრებს ნაბდებ ქვეშ თოფები ამოეფარე-

შინათ და ღრმა თოვლს ხმის ამოულებლად მიაპობდნენ. ჟოკ-ლმა უფრო მოულხინა და გზა სულ ამოიცხო. მგზავრების სი-არულს ხვავი აკლდებოდა, მაგრამ ყმაწვილები ამას ვერ ამჩ-ნევდნენ. ყველანი ერთის აზრით იყვნენ გამსჭვალულნი.— შუ-რი უნდა ვიძიოთო. სასოწარკვეთა და გამწარება მათის ამხა-ნაგის ჰეტრესი, გულის შელონება მისის დედისა და შინაურე-ბისა ერთს წამსაც არ ავიწყდებოდათ და გულზე ლოდსავით აწვებოდათ. ამ წუთას მხოლოდ იმისი ეშინოდათ, — თურქები როგორმე ხელიდან არ გაგვისხლტნენო; სხვა ყოველი შიში, სხვა ყოველი დარდი დავიწყებული ჰქონდათ.... კარგა ხანს მი-აპობდნენ თოვლს ისე, რომ ერთმანერთისათვის ხმა-კრინტი არ გაუციათ. უცბად უკანიდან ძალლის ყეფა მოესმათ და გარშე-მო გამეფებული სიჩუმე დაარღვია. ყმაწვილები გააოცა ამ ხმამ და უკან მოახედა.

— ძალლს რა უნდოდა ამ დროს? — იკითხა ბოიჩომ.

ყეფა უფრო ხმა-ძალლა გაისმა. სიბნელეში თვალებს ძალა დაატანეს, მაგრამ კარგად ვერაფერი გაარჩიეს; გაარჩიეს მხო-ლოდ უშველებელი შავი სახე, რომელსაც ძალლთან მსგავსე-ბა სრულებით არა ჰქონდა! და ეს შავი სახე, რაც ძალა ერ-ჩოდა, მათკენ მორბოდა ოთხამონალება: კაცს ეგონებოდა, რა-დაც საშინელება მორბისო, ან უზარმაზარი დათეია, უკანა თა-თათებზე შემგარიო.

ბოიჩო და სპირილონჩე ინსტიქტიურად განზე გადავიდ-ნენ, და ხეს ამოეფარნენ და საბრძოლველად და თავის დასა-ცველად მოემზადნენ. საშინელი სახე თან-და-თან ახლოვდე-ბოდა.

— ბორიმეჩა! — წამოიძახეს ყველამ.

— ბორიმეჩაა, ბორიმეჩაა, მაშ ვინ იქმნება! მისი წამო-ცვანა როგორ დაგავიწყდათ!

მართლაც, ბორიმეჩა იყო, ნაბადში გახვეული, ყმაწვი-ლები რომ დააშინა. ქუჩაში ხმაურობა რომ გაიგონა, ჰეტრეს ქოხში გაიქცა და იქ ყველაფერი უთხრეს. იმავ წამს შინ დაბ-

რუნდა, ახალ-მოყეანილი ცოლი დედას ჩაბარა, ცული უკან ქამარში გაიკეთა, ხელში თოფი აიღო და ამხანაგებს გამოუდგა,—მეც წილი უნდა მედოს თურქების მოკვლაშიო.

ასეთის ღონიერის ამხანაგის მომატებამ უფრო გაამხნევა მგზაერები.

— ახლა გავწიოთ! — სთქვა ოგნიანოვმა.

— მეორეც მოდის, დაუცადეთ, — გააჩერა ბორიმეჩამ.

— მეტი ვიღაა? — ჰკიოხეს ყმაწვილებმა განცვიფრებით.

— ჰეტრეს ძმაა, დანაილი, ისიც გამომყვა...

— ის რაღად წამოიყვანე?

— ჰეტრემ გამომაყოლა, რომ თავის თვალით დაინახოს ყველაფერი, რასაც ვიზამთ.

— როგორ, განა არ გვიჯერის? აკი შევფიცეთ? ...

— ასს ფიცს ერთ გროვად არ ვიყიდი... მეც არა მჯერა თქვენი...

— რატომ? ...

— ხომ უბორიმეჩიოდ წამოხვედით? დედასა თქვენსა! ...

ამ ფრაზას თითქმის ყოველს სიტყვას დაატანდა. ხოლმე... ამ სიტყვებით უნდოდა ნათქვამი უფრო მკაფიოდ გამოსვლოდა და გრძნობა — უფრო ძლიერად.

— ნუ სჯავრობ, ივანე, — უთხრა ისტენმა; — გვინდოდა შენც წამოგვეყვანე, მაგრამ ახალ ჯვარ-დაწერილი იყავი და მოგერიდეთ... .

— ი, დანაილიც! ...

ახალგაზდა ყმაწვილი ქაქანით მოეიდა. მთელი მისი იარაღი ერთად-ერთი დანა იყო, რომელიც ქამარში გაეკეთებინა. მოვიდა თუ არა, მათს წინ გაჩერდა.

ასე და ამგვარად, მათს რაზმს მეხუთე კაციც მოემატა.

ისევ შეუდნენ გზას, ხმის ამოულებლად. ყმაწვილები სრედნეგორის ტყის განაპირით მიღიოდნენ, ბოგდანის მთის კალთაზე, საიდანაც მდინარე ბელიშიცა ჩამოდის. ბოლოს, ამ მდინარეს მიაღწიეს. აქ უნდა ჩასაფრებოდნენ თურქებსა და

თაეს უნდა დასხმოდნენ. მართლაც-და, ამაზე უმარჯვეს ადგილს ვერ ამოარჩევდნენ თავიანთის წალილის ასასრულებლად. მარჯვნივ სტრელას გორა იდო, რომელზედაც თურქები უნდა გამოსულიყვნენ; მარცხნივ ღრმა ღელე იყო, ღაღა-ღუდიანი და იქით-აქეთ გვერდებზე მთები ეკრა. ი ამ ღელეში გაჩერდა რაზმი. აქედან სოფ. ალტინოვომდე მთელი ერთის საათის სა- ეალი გზა იყო, ასე რომ თუ თოფების დაცლა დასჭირდებოდათ, ამ თოფების ხმა სოფლამდე ვერც კი მიატანდა. ირაერა- ჟა კიდეცა, როცა გაფიცულნი ბუჩქს უკან ჩისაფრდნენ, ოველ- მა უფრო მოულხინა. კარგად დაიმალნენ და გაფაციცებით დაუწყეს ლოდინი. პოლიციელებს აღმოსავლეთის მხრიდან ელოდნენ და თვალებიც იქითკენ ჰქონდათ მიშტერებული. პირველად მგლის ყმუილმა მთატანა მათს ყურებამდე. სულ მათს ახლო გაისმა ეს ხმა. აღბად, მთიდან ძირს ეშვებოდნენ მგლე- ბი, რომ სანაყრო რამ ეშვენათ.

— ჩვენთან მოდიან,—სთქვა ივანე ოსტენმა.

— თოფს ნუ ექსერით.

— დანებითა და თოფების კონდახებით დავერკოთ,—გაი- გონეთი—სთქვა ოგნიანოემა.

ამხანაგებმა ყური დაუგდეს. მთის ჯავნარს ხშირი შრია- ლი აუტყდა, ეტყობოდა, რომ მთელი ხრო მორბოდა მგლე- ბისა. ისევ გაისმა ყმუილი. სიბნელე უფრო და უფრო ტყდე- ბოდა.

— დასწუევლა ღმერთმა ამ მგლების თავი და ტანი, ხე- ლი კი არ შეგვიშალონ, და!—დაიკვნესა ოგნიანოემა.

ამ ღრის რამოდენიმე მგლი მათს წინ მინდორზე გა- მოხტა და გაჩერდა. მგლებმა ცხვირპირი ჰაერში აიშვირეს და ყმუილს მოჰყვნენ. ამათ დანარჩენებიც მოემატნენ.

— რა არის!—ჩურჩულით წარმოსთქვა ბორიმეჩქამ;— ოთხს თქვენ გაეცით პასუხი, დანარჩენებს მე ჩავალრჩობ.

დაყმენდილმა მხეცებმა ბუჩქს უკან ამოფარებულთ თვალი მოჰყვრეს და ძუნძულით წავიდნენ იმათკენ. ბუჩქი ახლა ცი-



ხედ იქცა, რომელსაც თავს ესხმოდნენ მგლები და იფარისებდნენ ადამიანები. დანებს გაცხარებით ამოძრავებდნენ; თოფებს ხან მოიმარჯვებდნენ, ხან ისევ ძირს დაუშვებდნენ. ყმული შესწყდა: მხოლოდ კბილები და ბრჭყალები მუშაობდნენ გასურებულია. რამდენიმე მგელი სასიკვდილოდ დაიჭრა; სხვები ექვერნენ თავის ამხანაგებს და ჯერ ისევ ცოცხლებს დაუწყეს ჭამა. ივანე ბორიმეჩქა ხშირად გამოვარდებოდა ბუჩქიდან, ძალლ-სავით ყეფას დაიწყებდა და ცულით დაერეოდა მგლებს და ესე-ნიც იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ.

მგლები წყალ-გაღმა გავიდნენ, აქ დასხდნენ და ჭრილო-ბებს ლოკვა დაუწყეს.

ოგნიანოვის ამხანაგების ბეღზე, ამ ბრძოლის დროს გზა-ზე ადამიანი არავინ გამოჩენილა.

— მგლები ახლა იჭიდან არსად წავლენ,—სთქვა ოგნია-ნოვმა.

— დაგვიცადონ, კიდევ ვუჩვენებთ სეირს, რომ ბორიმეჩ-კას ქორწილი კარგად დაახსოვდეთ,—გამოეხმაურა სპირიდონჩე.

— დედა მისისამ!—წაიბურტყუნა კმაყოფილის სახით ბო-რიმეჩკამ.

ცოტა ხანი კიდევ გავიდა.

თურქები კიდევ არა სიანდნენ, მამლებმა კი მეორეჯელ იყივლეს. თეთრად გათენდა; ხეები მკაფიოდ მოსჩანდა მინდორ-ზე და შორიდან სხვა-და-სხვა საგნის გარჩევა შეეძლო იღამი-ანს. ყმაწვილებს გულ გადაელიათ ამდენს ლოდინში; სიცივემ მოუჭირა, თურქები კი მაინც არსადა სიანდნენ. ყმაწვილებს ეგონათ, ტყუილად ვუცდით პოლიციელებსაო; რაკი დიდმა თოვლმა გზები შეჰქრა, შეიძლება, სხვა დროისათვის გადასდეს მოგზაურობაო, ან, ეინ იცის, იქმნება, იმიტომაც დარჩნენ, გზა-ზე არავინ დაგვეცესო. თუ ცოტაც დაგვიგვიანდა, დღე და-გება, ამ გზაზე ხალხი სიარულს დაიწყებს და მაშინ ვერაფერს გაეხდებითო!... ეს აზრი უტრიალებდა ყველას თავში; საშინე-ლი სულ-წასულობა ეტყობოდათ, მათს წუხილს საზღვარი არა ჰქონდა. ოსტენშა სასოწარკვეთით დაიკვნესა:

— დავუცადოთ, აქედან ფეხს ნუ მოვიცვლით, სანამ ისინი არ მოვლენ.

— სხვა მგზავრები რომ გამოჩნდნენ?

— თუ გამოჩნდებიან, თავისი გზა განაგრძონ, ჩვენ მხოლოდ ის ორი თურქი გვინდა.

— თუ კი დავინახეთ, ბირდაპირ უნდა ვეძეროთ.

— თუ ჩუმად ვერ მოვახერხეთ, მაშინ, მეტი რა გზაა, აშკარად უნდა გავუსწოროთ ანგარიში.

— აქედან თოფები ვესროლოთ და მერე ჰაიდა მთისკენ... მთაში ვერავინ დაგვინახავს,—სთქვა ოსტენმა.

— მხოლოდ ერთისა მეშინიან, ყმაწვილებო,—სთქვა ბოიჩომ.

— რისა?

— ვაი თუ მეორე გზით წავიდნენ...

— ამის ფიქრი ნუ გაქვს,—უთხრა ოსტენმა,—ამის მეტი სხვა გზა არ არის.

ბორიმეჩქამ ყურები ცქვიტა, რაღასაც თვალი მოჰკრა.

— ვიღებიც მოდიან,—სთქვა ივანებ და აღმოსავლეთისაკენ ანიშნა ამხანაგებს.

ყველანი აღმოსავლეთის მხარეს დაშტერდნენ. ხეებ შორის, სადაც გზა მიიკლავნებოდა, ორი კაცი დაინახეს.

— ცხენოსნები არიან!—წამოიძახა ნაღვლიანიდ ოგნიანოვმა.

— ჩვენები არ არიან,—სთქვა სპირიდონმა.

— ჩვენები ქვეითად იქმნებიან,—უთხრა ოსტენმა.

ოგნიანოვი აღელებებული და გულმოსული იყო; ჩაცივებით უყურებდა გზაზე ერთად მომავალს ცხენოსნებს. ას ნაბიჯზე დაუახლოედნენ ჩასაფრებულებს.

— ჩვენები არიან!—სიხარულით წამოიძახა ბოიჩომ.—ჩვენებია!

— ისინი არიან, ისინი, ნაბდები და სახე ვიცანი მათი... ცალთვალა მარჯვნით მოდის...



ყველამ თოფები მოიმარჯვა და დაუწყო ცქერა აჩითენი  
მომავალს ცხენოსნებს. თურქები არხეინად მოდიოდნენ და უახ-  
ლოვდებოდნენ ბუჩქს.

- ცანკოს ცხენი ვიცანი,— სთქვა სპირიდონჩემ.
- მეორე ჩემია,— დაუმატა ოგნიანოვმა.
- ძალად წაართმევდნენ.

მაგრამ ოგნიანოვს სიხარულმა ერთბაშად გადაუარა: მიხ-  
ვდა, თურქებს, თუ გაუჭირდათ, ადვილად შეუძლიანთ ხელი-  
დან გავეისხლტნენო. ცარიელის დანით ტყუილად ფონს ვერ  
გავალთო; უნდა საფარიდან თოფები ვესროლოთ, მაგრამ, ვაი  
თუ თოფი დავაცილოთ; ესეც არ იყოს, ცხენები გაიქცევიან  
და სხვები შევვიტყობენ ჩენს განზრახვასაო...

— რაც იქმნება, იქმნება,— ჩურჩულით წარმოსთქვა ოგ-  
ნიანოვმა.

— აბა თოფები!

— ძმებო, ფრთხილად! პირველადვე ხელი არ გავიცუ-  
დოთ...

— ხესთან რომ მოვლენ, დაეუშინოთ, — სთქვა ოსტენ-  
შა....

— მე ცალთვალის ამოვილებ ნიშანში,— წამოიძახა ოსტე-  
ნშა...

— ბორიმეჩქამ და სპირიდონჩემ ცალთვალის ესროლეთ;  
მე და მასწავლებელმა კი— მეორეს ვესროლოთ, — სთქვა ოს-  
ტენშა.

ცხენოსანნი ხეებს დაუმხარდამხარდნენ. თოფის ტუჩებმა  
ბუჩქიდან თავი გამოჰყვეს და ოთხის თოფის ხმამ იქაურობა აა-  
ხმიანა. კვამლი რომ გადავიდა, ყმაშვილებმა გაიხედეს. ერთი  
პოლიციელი ძირს ჩამოვარდა, მეორე— ცხენზე ჩამოეკიდა.

ცხენები ჯერ გაიქცნენ, მერე შედგნენ.

— მამა-ჩემი რომელმა მოჰკულა, მასწავლებელო? — ჰკითხა  
ბუჩქიდან ყველაზე წინ გამოვარდნილმა დანაილმა.

— ცალ-თვალამ; ის არის, რომ დაეცა.

დანაილი გზისაკენ გაიქცა. თვალის დახამხამებაში შუა გზაზე ამოჰყო თავი და დანით ჩეხვა დაუწყო თავისის მამის მკელელს.

დაჩეხილ-დაკეპილის თურქის ტანზე ოგნიანოვმა მოულო-დნელად ვერცხლის ფულები დაინახა, სპირიდონჩეს დაუძახა და უჩვენა.

— მოდი წაიღე და საშობაოდ ვისმე ღარიბს მიეცი.

— შეჩერებული! ეტყობა, ვიღაც ბულგარელი გაუქარ-ცვავს! მოიცა, ეს ხომ დონკას სამზითვოა! სწორედ ის არის! — წამოიძახა შეშინებულმა და შერცვენილმა სპირიდონჩემ... დონკა მისი საცოლე იყო.

— ეტყობა მამის გამოსახსნელად მიუცია, — სთქვა ოგნი-ანოვმა.

— მაგრამ აქ მარტო ერთი ნახევარია, მეორე ნახევარიც იმავე მძოვრს უნდა ჰქონდეს.

ზიზღ-მორეულმა სპირიდონჩემ დგუშით დაუწყო ძებნა ფულებსა, მაგრამ სამზითვო სამკაულის მეორე ნახევარი ვერ იპოვნა; თურმე უულვაშოსა ჰქონოდა. ცალთვალამ ნადავლიცა და სასჯელიც ძმურად გაინაწილა თავის ამხანაგთან.

ამავე დროს ბორიმეჩა ცულით მეორე თურქის ჩეხვას ათავებდა. ორივე მცხედარი საჩქაროზე ბუჩქში შეათრიეს.

ამასობაში ცანკოს ცხენი სოფელში მოჭენდა უკან. მეო-რე ცხენმა, მგლების სიახლოვე რომ იგრძნო, მდ. სტრემა გას-ცურა, კუდი აიწია და მინდორს დაადგა...

— თვალი თეალისა წილ და კბილი კბილისა წილ! — იმე-ორებდა თავისდა უნებურად ოგნიანოვი.

ყმაწვილები იქაურობას რომ მოშორდნენ, მგლებიც მო-ვიდნენ. ბუნებამა და მხეცებმა ხელი-ხელს მისცეს, რომ ერ-თობრივის ძალით მიეჩმალათ კვალი სამართლიანად მოკ-ლულთა.

თოვლი ადრინდელსავით უხვად მოდიოდა.

დღემ ღამესთან ბრძოლა გაათავა. გარშემო არაეინა სჩან-და. ძე-ხორციელი არ მოდიოდა რც გზაზე, არც თეთრის სუ-

დარით დაფარულ მინდობში. თუ კი ვინმე მგზავრი იყო, გინდან არ გამოდიოდა ამ სისხამ დილაზე დიდის თოვლის შიშით. ამგვარად მოწამე არაეინ იყო თურქების მოკელისა. მაგრამ ყმაწვილები ცდილობდნენ, არაეინ დაგვინახოს სოფელში დაბრუნების დროსაცაო. გზაზე წისქვილები იყო. დასხდნენ სათათბიროდ. გადასწყვიტეს, ბალკანის მთაზე ჩრდილოეთის მხრით ასულიყვნენ. ეს მხარე ხშირის ტყითა და ჯაგნარით უნდა ევლოთ და სოფელში მეორე მხრიდან შესულიყვნენ. ამ გზით სიარული მეტად გასაჭირი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მგზავრი იშვიათად დადიოდა. დანაილი პირდაპირ გაგზავნეს სოფელში.

### xxxii

#### ქარიშხალა მთაში

მთის ქედები, საღაც ყმაწვილები უნდა ასულიყვნენ, მალოს თოვლს დაეფარნა. ბორიმეჩქამ კარგად იცოდა ადგილ-მდებარეობა და ყველაზე წინ მიღიოდა, მხარზე თოფ-გადადებული, თოვლისაგან ამოვსებულ ბილიკზე ასვლა მეტად უჭირდებოდათ ჩვენს მოგზაურებს; ნახევარ საათის შემდეგ ოფლი წურწურით ჩამორეცხდა ყველას სახეებზე თითქო ეს ქარცეცხლში გატარებული ყმაწვილები დიდი ხანია კლდეზე ამოდიოდნენო. მოექცნენ ერთს სერს. თოვლმა გადიღო; ღრუბლებ შორის მხემ გამოაშუქა და თვისი თეთრი სხივები მთასა და ბარს შეაფრქენა. თოვლის სუდარა უფრო თვალის მომჟრელი და თეთრი გახდა. მხეზე ათასფერად ციმციმებდა, თითქო ზედ ალმასის მტერი გადააფრქვია ვინმემაო. ბარმა უკვე გამოიღვიძა. სახლების სახურავებს კვაშლი აუვიდა, მცხოვრებთ კიანჭველებსავით ფუსფუსი შეუდგათ, დაიწყეს თოვლის გაკვალეა მინდვრებსა და ტყეში. სოფელი ალტინოვო მკაფიოდ მოსჩანდა ზედ ტყის ბოლოსთან; სოფლელნი ამოძრავებულიყვნენ: ყმაწვილებმა შეამჩნიეს რაღაც შავი ჯგუფი, — ალბად, სო-

ფლელნი იქნებოდნენ, რომელნიც იმ მხრისაკენ მიღიოდნენ, სადაც სასაფლაო იყო, — ეტყობოდა, რომ პაპა სტოკოს ასაფლავებდნენ; მოისმოდა რკინის ფიცრის რახუნიც... \*) მაგრამ ტყე და ტყის ქედი მდუმარებდნენ და დიდებულად ძილს მისცემოდნენ, უმანკო ფარდაგით დაფარულნი.

მგზავრნი ხან უფრო მაღლა ავიღოდნენ, ხან გაჩერდებოდნენ და მდუმარედ სტებებოდნენ ზამთრის მომხიბვლელ სურათის კვრეტით. პეტრეს დარდი და მწუხარება, შურისძიება თავიდან არ გამოსდიოდათ. თითო-ოროლა სიტყვას თუ იტყოდნენ კლდეებსა და ღადა-ღუდეში მიმავალი გზის შესახებ. ხან ერთი ჩაეფლებოდა მაღალს თოვლში, და ხან მეორე, და სხვებს დიდის გაჭირვებით ამოჰყავდათ თოვლში ჩაფლული ამხანაგი. მდევრი ღონე ბორიმეჩასი ამ შემთხვევაში დიდად ჰშევლოდა ყმაწეილებს. თუმცა ხშირ-ხშირად ისვენებდნენ, მაგრამ სისუსტე მაინც შემოეპარათ; ჯერ შიმშილმა შეაწუხათ, მერე შიმშილს ჩრდილოეთის ცივი ქარიც დაერთო; სახე სულ დაეწვათ, ცხვირი, ყურები, ხელები გაუშეშდათ. ხოლო ჯაგნარი თან-და-თან გაუვალი და მიუდგომელი ხდებოდა. მივიდნენ ერთ ალავამდე და გაჩერდნენ: გზა სრულებით დაიკარგა, თვალწინედათ მხოლოდ გაუვალი ტყე, თოვლის ზვავით დაფარული, — ხოლო ქარი უფრო და უფრო იკრებდა ძალას.

შეწუხებულმა მგზავრებმა ერთმანერთს შეხედეს.

— რას იტყვით, ყმაწვალებო: არა სჯობია ისევ ბარად დავეშვათ და იქიდან სასოფლო გზით პირდაპირ შინ წავიდეთ? — სთქვა სპირიდონჩემ.

— არა! — უთხრა ოსტენმა; — სხვა გზა მოვდებნოთ და იმ გზით კი ნუ წავალო. სხვანიც ამ აზრისანი იყვნენ.

ცოტახნის თათბირის შემდეგ, გადასწყვიტეს ცოტა უკან დაეხიათ, მერე მარჯვნივ დასვომოდნენ გზას, საცა მოახერხებდნენ, ტყეში გასულიყვნენ და სერჩე მდებარე მინდორზე ამო-

\*) ბულგარეთის პატარა სოფლებში, საეკლესიო ზარების მაგიერ, ლითონის ფიცრები აქვთ და იმაზე უკრავენ.

ეყოთ თავი, ხოლო იქიდან მეორე მხრით სოფელში შესულიყვნენ.

— იქ დიკოვის ქოხი დგას, შევალთ, გავთბებით და ცოტა მუცელს მოვატყუებთ, — სთქვა ოსტენმა.

— მე ყაბულსა ვარ, — ბანი მისცა ოგნიანოვმა და ზურგი ქარს შეუშვირა; — მივიღეთ ქოხთან, ლონე მოვიკრიბოთ და, გარდა ამისა, გავიგოთ, რაცა ხდება ალტინოვოში. სანამ დაევშვებოდეთ, რამე უნდა ვიცოდეთ, თორემ, ვინ იცის, რა შეგვემთხვევა.

ოგნიანოვს შეეძლო მესამე შიზეზიც ეთქვა: ფეხის ტკივილი, რომელიც სიარულისა და სიცივისაგან აუტყდა.

— მართალია, — კვერი დაპკრა სპირიდონჩემ, — ცანკოს ცხენი სოფელში დაბრუნდა და ერთი ჩოჩქოლი შეუდგებოდათ იმის მისვლაზე.

— ამის ფიქრი ნუ გაქვთ, — დააშოშმინა ყეელანი ოსტენმა, — სანამ ცხენი სოფელში ჩაეიდოდა, მგლებს ძვლებიც კი არ გადარჩებოდათ პოლიციელებისა. თურქებმა ტანისამოსი თუ ნახეს, ისიც ბევრი იქნება. სისხლის წინწკლები თუ საღმე იყო გზაზე, ისიც ახალმა თოვლმა დაჰუარა.

რომელილაც პატარა ველზე გამოეიდნენ, ისევ გაჩერდნენ და დაიწყეს თათბირი, რომელ მხარეზე სჯობია წასვლაო.

ივანე ბორიმეჩამ ყურადღებით შეხედა ცას. ამხანაგები ელოდნენ, რას გვეტყვისო.

— აიდა, ჩქარა ქოხისაკენ გასწიეთ, მეც შემცივდა. დედას მისასა... — სთქვა სერიოზის კილოთი ივანემ.

მგზავრებმა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გაუხვიეს და აღმართს შეუდგნენ. ქარი ზუზუნებდა, აგლეჯდა ტანისამოსს, საყელოდან შესდიოდათ და მთელს ტანს უცივებდათ. რაც ხანი გადიოდა, ქარი მომეტებულის ღონითა ჰქონდა და მძვინვარებდა... ოგნიანოვი ცოტ-ცოტათი უკანა რჩებოდა ამხანაგებს. ჰკრძნობდა, ლონე მსუსტობსო; ყური უწიოდა, თავ-ბრუებსმოდა; ბოლოს, მთლად დაუძლურდა, მაგრამ მაინც არ დაუყირა ამხანაგებს, დამიცადეთო; რომ დაეყვირნა კიდეც, ქარის ღრიალში მაინც ვერ გაატანდა მისი ხმა...

ხევების ღრიალი შორს გაისმოდა; ქარიშხალის ქშინებული  
ძარღვებში სისხლსა ჰყინავდა; მგზავრებს მთელი სსეული გაუ-  
შეშდათ. ჰაერი ყინულის ზღვას დაემსგავსა და შიგ გულში  
იკრავდა ყმაწვილებს; მზის სხივები კი არ ათბობდა ადამიანს,  
არამედ ნემსებსავითა სჩევლეტდა. მოკლე ხანში მზე სულ და-  
იმალა და გრიგალმა თოვლის ბანჯვლიანი ღრუბლები ააყე-  
ნა. ერთის საათის შემდეგ ქარიშხალი ჯოჯოხეთს დაემსგავსა,  
ქარმა მთელი მთები მორეკა თოვლისა, ჯარასავით დაატრია-  
ლა დი ცამდე ააყუდა თოვლის სვეტები. გაპქრა მზე და სი-  
ნათლე, ცა და დედიმიწა ერთმანეთში თოვლად აირია, რომე-  
ლიც ისეთის სისწრაფით ტრიალებდა, რომ აღამიანს მისის ყუ-  
რებით თავბრუ ეხვეოდა. გრიგალი შფოთავდა, კვნესოდა,  
ზუზუნებდა, თითქო მთელი სამყარო შთაინთქა საღმეო.

ქარიშხალმა ორს წუთს გასტანა. ბალკანიდან სხვა მწვერ-  
ვალებზე გადავიდა და ისინიც სიბნელეში გამხეია. მზემ ხელ-  
ახლა გაანათა თავის ყინულის სინათლით უფერული ცა.

მგზავრები კლდეს შეეხიზნენ, პირველ ქარიშხალისაგან  
აეად თუ კარგად თავი დაიფარეს და, რაღაც სასწაულით, თოვ-  
ლის ღრუბლებს ქვეშ დამარხვას გადარჩნენ. როცა გრიგალმა  
გადაიარა, მგზავრები თითო-თითოდ თოვლიდან ამოეიდნენ,  
თითქო სიკვდილის მსგავს ძილისაგან იღვიძებდნენო. ყველანი  
გაშეშებული იყვნენ, დაბუხულს ხელ-ფეხს ძლივასა ხრიდნენ.  
სიცივისაგან ყოველი ხალისი დაეკარგათ, თითქო ეძინებოდათო.  
აი, სწორედ ახლა მოელოდათ ხიფათი. პირველად ბორიმეჩეკა  
გამოირკვა. სხვებს დაუყვირა:

— ადექით, ყმაწვილებო, წინ გაიქეცით, თორემ გავიყი-  
ნებით!

თოვლი გაიბერტყეს, თოფები ამოილლიავეს და სიარული  
დაიშვეს. მაგრამ ერთბაშად ბორიმეჩეკამ ამხანაგები გააჩერა:

— მასწავლებელი საღლაა?

ყველას შეეშინდა და უკან მოიხდეს:

— ქარიშხალმა მოვგტაცა, ალბად!

— თოვლ ქვეშ მოჰყვა!



დაუწყეს ძებნა. ის უფსკრული, რომელიც მათის ჭენების ქვეშ იყო, ყველას შიშის ზარსა სცემდა. ვერც ერთი ვერა ბედავდა შიგ ჩაეხელნა...

— აი, აგერა! — დაიყვირა ოსტენმა.

ზედ კლდის თავზე თოვლიდან ორი წალებიანი ფეხი მოს-ჩანდა. მოსთხარეს თოვლი და ოგნიანოვი გამოათრიეს. სი-ცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა, მთლად გალურჯებუ-ლიყო, სხეული გაშეშებოდა.

— დედი მისისამ! — წაიბურდოუნა სიბრალულით ბორი-მეჩქამ.

— ძმებო, თოვლი წაუსვით მაგრად, — დაიძახა ოსტენმა და თვითონ ზელვა დაუწყო სახისა, ხელებისა, გულისა. — ჯერ თბილია, იქნება, ლმერთმა მოგვხედოს და სიკვდილს პირიდან გამოვგლიჯოთ!

თავის თავი დაავიწყდათ და შეუდგნენ გაშეშებულის ამხა-ნაგის მობრუნებას. მაგრად დაზელის შემდეგ, ოგნიანოვმა მო-იხდა; ამ ზელვაში სხვებიც უკეთ შეიქმნენ; სისხლი გაუთბათ.

— ჩქარა ქოხში წავიყვანოთ! — დაიძახა ოსტენმა. ოგნია-ნოვს ხელ-ფეხზე მოჰკიდეს და თოვლის ზეავებზე ასე გადაატა-რეს. ამ მუშაობის დროს ყველაზე მეტად ბორიმეჩქას მაგარმა კუნთებმა ისახელა თავი. დიდის წვალების შემდეგ, ქოხთან მივიღნენ, როგორც იყო.

### xxxvi

#### ქ ა ხ შ ი

დეიკოს ქოხი სწორ მინდორზე იდგა, ხევში; მაღალი ხე-ები ქარისაგან იფარავდა. ვრცელს ეზოში თვევისა და ხის ფო-თლების ზვინები იდგა, — ზამთარში მწყემსი ამით ჰკვებავდა თხებსა და ცხვარს, რომელიც დაბალ სახურავიან განიერს ფა-რებში ეყენა, ეზოს ჩრდილოეთ მხარეზე.

ქოხს კომლი მხიარულად ასდიოდა. მეცხვარის ქოფაკი ყეფით მიეკება მგზავრებს, მაგრამ ივანე ოსტენი იცნო და მა-

შინათვე გაჩუმდა. ოგნიანოვი თბილს ქოხში შეიყვანეს და და-  
უწყეს ისევ ძალუმად ზელვა.

ქოხში პატარა მწყემსიცა სცხოვრობდა და იმანაც უშვე-  
ლი სხვებს; ოგნიანოვს წალები გახადა, ფეხებს თოვლით დაუ-  
წყო ზელვა. ბოლოს, როცა ოგნიანოვმა და მისმა ამხანაგებმა  
დაინახეს, რომ სიკვდილს გადარჩნენ, გამჩენს მაღლობა შესწი-  
რეს. პატარა მწყემსმა ცეცხლს შეშა კიდევ დააყარა.

უმაწვილები ცეცხლს გარშემო შემოუსხდნენ, თუმცა ეში-  
ნოდათ ხელ-ფეხი ცეცხლით გაეთბოთ. ძალლმა თავისს ინს-  
ტიკტს არ უღალატა და კართან წარმოიყუნცა.

— ობრეიჩო, ბიძა შენი კოლჩო სად არის? — ჰკითხა ოს-  
ტენმა პატარა მწყემსს.

კალჩო დიკას მმა იყო და ისიც ამ ქოხში ცხოვრობდა.

— გუშინ საღამოს სოფელში წავიდა და ახლა იმას ველი.

— აბა, გენაცვა, ხალთაში რაცა გაქვს, გვაჭამე.

მწყემსმა ამოალაგა: რამოდენიმე დაობებული შევი პური,  
მწვანე წიწაქა და მარილი.

— ობრეიკა, არაყი კი არ გექმნება?

— დასწეულა ღმერთმა, არაყი ახლა მასწავლებლისათვის  
კარგი იქმნებოდა, — სთქვა ოსტენმა, როცა შეხედა ოგნიანოვს,  
რომელიც ხელების გაშლასა ცდილობდა და ტკივილისაგან  
იკრუნჩხებოდა.

— არა უშეს, მასწავლებელო, გაგივლის... ხომ ნახე, რა  
ცელქი რამ არის ჩვენი სრელნაია-გორა?

— კიდევ მაღლობა ღმერთს, რომ თქვენ არ დაგაზარა-  
ლათ.

— ეჭ, ჩვენი მთა თავისს ძველს მეგობრებს როდი ერჩის!

— მაგრამ, ხომ ნახეთ, — შენიშნა ისტენმა, — ეს ქარ-ბუ-  
ჭი სტარია-გორას წყალობა იყო... ბორიმეჩქამ ტყუილი კი  
არ გითხრა...

— ბორიმეჩქა ტყუილებს არ ეწყობა!... — კვერი დაპკრა  
რიხით თვითონ ბორიმეჩქამ. ამ დროს ძალლმა მიიყეფა. ქუხი-  
ლის მსგავსი ხმა ბორიმეჩქასი ქოფაქს აჯავრებდა.



ოგნიანოვმა ივანეს ცნობი-შოუყვარე თვალებით შეხედა. უნებურად შეადარა ივანეს მოსული ტანი მისს სახელს: \*) ეს სახელი ზედგამოჭრილი იყო ივანეზე. უკეთესს სახელს ვერავინ დაარქმევდა ამ დიდთავა, ტლანქ, ნახევრად ველურს მდევს, რომელსაც უფრო შეეფერებოდა დათვის რძით ყოფილიყო ნაზარდი, ეიდრე ქალისათი. ოგნიანოვი უცქეროდა უცნაურად აყუდებულს ტანს, ძვლებიანსა და გამხდარს; უყურებდა მისს ღონიერს სხეულს, გრძელს, კუნთებიანს და ბანჯგვლიანს თავს, მისს დაბალს შუბლს, პატარა, მხეცურს თვალებს, უშველებელს ცხეირს და ფართე ნესტოებს, როგორც ველურებს აქვთ ხოლმე, და ქვეყნის სიფართე პირს, რომელსაც შეეძლო ცოცხალი კურდლელიც გადაეყლაპა (ბორიმეჩქა უმ ხორსაცა სჭამდა); მასწავლებელი უყურებდა მის გრძელს ბანჯგვლიანს და კუნთებიანს ხელებს, რომლებსაც, ასე იტყოდით, ლომის გაგლეჯაც კი შეუძლიათო. ბორიმეჩქა გარეულ ნადირთან საბრძოლველად უფრო იყო გაჩენილი, ვიდრე ცხვრების სამწყემსავად,— ეს ხელობა მეტად იდილიური რამ იყო მისთვის. მისს ახოვნენ ტანთან სრულებით არ იყო შეხამებული მისი მშვიდობიანობის გამომეტყველი სახე, რაღაც სულელური გულკეთილობა და ერთობ სასაცილო თავპირი. ვერ იტყოდით, თუ ამ ველურ, ტლანქ და, როგორც ეტყობოდა, განუვითარებელ კაცს შეეძლებოდა სიყვარული და სხეა აღმიანური ნაზი გრძნობანი გულში გაეტარებინა. დიალ, ასე გეგონებოდათ, მაგრამ თქვენი აზრი შემცდარი იქნებოდა. ბორიმეჩქას კეთილი და სხვისი შემბრალე გული ჰქონდა. ამის საბუთად მარტო ის კმარა, რომ რაზმს სწორედ იმ ღამეს შეუერთდა, როცა ჯვარი დაიწერა. „ამ ვაეკაცს შეუძლია,— ჰფიქრობდა ოგნიანოვი, ბორიმეჩქას რომ უყურებდა,— სხეისათვის თავი დასდოს“. და მისი სახე უფრო სიმპატიურად და, ჰკვიანურადაც კი, ეჩვენა.

— ბაი ივანე, ასეთი საშინელი სახელი ვინ დაგარქვა?

\*) ბორიმეჩქა ბულგარულად ნიშნავს ისეთს კაცს, რომელსაც დათვან უჭიდავნია და უბრძოლნია.

— ნუ თუ არ იცი, მასწავლებელო, ვინ დაარქვა? — გადამოიხა  
 მოეხმაურა ოსტენი; — დათვს ეჭიდავა.

— მართლა?

— საშინელი მონადირეა... მოჰკლა კიდეცა!..

— ბორიმეჩქა, მოდი, შენ თვითონ მოჰყევი, შენა და და-  
 თვი როგორ დაგორდით კლდიდან, — უთხრა ოსტენმა.

— როგორ? დათვს ეჭიდავე? — ჰქითხა გაოცებულმა ოგ-  
 ნიანოვმა.

ბორიმეჩქამ პასუხის მაგივრად, კისერი გაიტიტვლა. ბო-  
 იჩომ მისს კისერზე უშველებელის ჭრილობის კვალი დაი-  
 ნახა; მერე თავისი ბანჯველიანი ხელი დააქნია ივანემ და იდა-  
 ყვთან მეორე, იგრეთვე მორჩილი ჭრილობა აჩვენა. რომე-  
 ლიც თითქო რკინის კავისაგან არისო. ოგნიანოვი თავზარდა-  
 ცემული უყურებდა ამ ჭრილობების კვალს.

— აბა, ბორიმეჩქა, გვიამბე, დათვი როგორ შემოგხვდა...  
 გაქეპენ, შესანიშნავი მონადირე ხარო! — უთხრა ოგნიანოვმა.

ბორიმეჩქამ მედიდურად გადახედა ყველას; სულელურს  
 სახეზე წარსულის მოგონება გამოეხატა და შეუდგა ლაპარაკს:

— დედა მისისამ! — დაიწყო თავის საყვარელ სიტყვებით.  
 მაგრამ ამ დროს მოულოდნელად მიაყეფა ქოფაკმა და ქონ-  
 დან გარედ გამვარდა.

— მურჯო რადა ყეფს? ბორიმეჩქას არც კი დაუწყია, —  
 იხუმრა ოსტენმა.

— ძია კალჩო მოვიდა! — დაიძახა მწყემსმა.

კალჩოც შემოვიდა. ხელში ჯოხი ეჭირა და მხარზე ტო-  
 მარა ედო.

— შეხე, სტუმრები მწვევია! კეთილი იყოს თქვენი მობ-  
 რძანება! — უთხრა მეგობრულად სტუმრებს და ტვირთი მხრი-  
 დან ჩამოაგდო.

— აღგილი დაუცალეთ კოლჩოს, გათბეს.

— დედასა, რა ცივა, მგლები ყველანი ჩაილრძობიან! ქა-  
 რიშხალმა სად მოვისწროთ?

— აქვე, მახლობლად, — უპასუხა სპირიდონჩემ.



— აბა, ასეთს დარში რას მოდიოდით სანადიროზე? ბალ-კანში, პირველად ხომ არა ხართ, როგორ არ იცით, ქარ-ბუქი როდის იცის ხოლმე?

— კარგმა ნადირმა წამოგვიტყუა, ბაი კალჩო... არაყი ხომ მოგვვიტანე? — ჰკითხა ოსტენმა.

— არაყი? მოეიტანე. მაგრამ ერთი რამ არაყზე უკეთესი მოგიტანეთ.

— აბა, ახლა არაყზე უკეთესი რაღა გეჭმნება?

— ახალი ამბავი.

ყველამ ყურები სცევიტა.

— დღეს დილას ორი კლისურელი პოლიციელი შეუჭა-მიათ მგლებს!

— აბა რას ამბობ? — წამოილრიალა ეშმაკურად ბორიმეჩ-კამ. ძალლმა ისევ დაიყეფა.

— ისე შეუჭამიათ, რომ თმაც არ დარჩენილა მათი. სწო-რედ იმ გზაზე თურქებს გაუელიათ და სარდანოვის ბეჭობთან უნახავთ, მაგრამ თეითონ პოლიციელები კი არა, მათი ძვლე-ბი და ტანისამოსი. ჰაჯი-ომერ-ალა ამბობს, რომ პოლიციელე-ლებს ცხენები სალტად მიჰყადათ, როცა მგლები დაესხნენო; პოლიციელები ერთს მხარეს გაქცეულან, ხოლო ცხენები კი — მეორე მხარესო. ერთი ცხენი დაკარგულა კიდეც. მგლებს უგრ-ძვნიათ, რომ პოლიციელების ხორცი უფრო გემრიელიათ და ისინი შეუჭამიათ. ღმერთმა შეარგოთ, ძმებო, ამ წყეულებს; ნე-ტავ, ყველას ეს მოეღებოდეთ ბოლო. ძალლები — ძალლურის სიკვდილის ღირსნი არიან.

ესა სთქვა და კალჩომ ბოთლი აიღო. მხოლოდ მაშინ შე-ამჩნია ოგნიანოვი, რომელსაც არ იცნობდა.

— ეს მევობარი კაცი სადაურია? — იკითხა კალჩომ და ბო-თლი მიაწოდა.

— ყარა-სარიელია. მთაზე შევხვდით ერთმანერთს... ისიც იმავე ნადირს მისდევდა, — უპასუხა სპირიდონჩემ.

— ყოჩაღი ყმაწვილია! ღმერთმა ადლეგრძელოს მასწავ-ლებელი! — დაიქუჩა ბორიმეჩკამ. ძალლმა ისევ დაიღრინა.

კალჩო სიცილით მიუბრუნდა ბორიმეჩეას:

— გაჩუმდი, დათვო, ე რა ჰქენი?

— მე არავისთვის რა დამიშავებია... არა, კალჩო?

— შეხე, ქალი მოტაცა და ჯვარიც გადაუწერით... ღმერ-  
თმა გაგაბედნიეროთ! საქორწილო ნადირი რაღა უყავი?

— ბარად დაესტოვე, ბაი კალჩო,—დაიღრიალა ბორიმეჩეამ.  
ამ ხელად კი ძალი მურჯო მართლა გაჯავრდა.

— ბაი ივანე, მოდი, გვიამბე, დათვს როგორ ებრძოდი?

— ვინ ებრძოდა? ივანე? — გამოეხმაურა კალჩო და ეშმა-  
კურის სახით გადახედა ბორიმეჩეას; — არა, ის გვიამბოს, რო-  
გორ აჯობა სტაიკას?...

უველამგაიცინა. ივანე ოსტენს უნდოდა დარწმუნებულიყო,  
თურქების მოკვლა ხომ არავის დააბრალესო, და წამოიძახა:

— მაშ ასე? მგლებმა გაგლიჯეს? იმას ხომ არ ლაპარაკო-  
ბენ თურქები, ბულგარებმა მოჰკლეს პოლიციელებით?

— როგორ არა. მთელმა სოფელმა იცის! ღმერთმა აცხო-  
ნოს ჰაპა სტოკო! — სთქვა კალჩომ, რომელმაც კარგად ვერ  
გაიგო, რა ჰკითხა ოსტენმა.

— სტოკოს მოკვლის ამბავი ჩვენც გავიგონეთ; მე იმა-  
სა გვითხავ, თურქები ხომ არ ამბობენ, პოლიციელები ბულგა-  
რელების მოკლულები იქმნებიანო?

კალჩომ გაოცებულად შეხედა.

— ვინა სთქვა ესა? ჩვენი სოფლის ბულგარელი პოლი-  
ციელს აბა როდისა ჰკლავდა? ხომ გითხარით, მგლებმა გვიქ-  
ნეს ეს სიკეთე... ხვალ თურქებმა ტყე უნდა შეუკრან მგლებს,  
რომ ამოსწყვიტონ... ეს ჩემთვისაც კარგი იქმნება... ამ ზამთა-  
რში იმ ეერანების წყალობით ქოხიდან თავი ვერ გამოვიყვია  
გარედ... აბა, გაგიმარჯოთ, ყმაწვილებო! შობა ღმერთმა მშეი-  
დობით გაგითენოთ... ზაშინ თქვენც ჩვენს ბორიმეჩეასაეით მო-  
იტაცებოთ ვისმე... აბა, დალიე, მეგობარო! — და კოლჩომ ბო-  
თლი ოგნიანოეს მიაწოდა. სიკვდილს გადარჩენილი მასწავლე-  
ბელი არაუმა გაათბო და მოაღონიერა. ხელში ბოთლი აიღო  
და გულაჩვილებულის ხმით წარმოსითქვა:

— ეს ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს სტრიკონს, ზურაბის მტარვალობისა და მძვინვარების მსხვერპლს. შვება და ლხენა მისცეს მის მართალს სულს, ხოლო ჩეენ მოგვანიჭოს ვაშკაცური გული და ძლიერი მარჯვენა, რათა ვებრძოლოთ ქრისტეს მტერთა და ასწილ მივაგოთ ჩვენის ტანჯვისათვის... უფალშა განუსვენოს ჰაპა სტრიკოს!

— ღმერთმა განუსვენოს! — განიმეორეს სხვებმა.

— ღმერთო, განუსვენე მისს სულსა, — სოჭვა კალჩომ და ქუდი მოიხადა. მერე მეგობრულის სახით ოგნიანოვს მიუბრუნდა: — მეგობარო, მშენიერი სიტყვები გვითხარი, შენი ნათქვამი ღმერთსაც იამება და კაცსაც. ცოტა კიდევ მოვითმინოთ და სანატრელი წუთიც დადგება... სახელი რა გქვიან? ვიცნობდეთ ერთმანერთს: მე კალჩო ბუქჩე მქვიან, — ეს უთხრა და ბოთლი თვალიანოვს მიაწოდა.

ოგნიანოვმა რაღაც სახელი უთხრა და გაცნობის სადღეგრძელო დალია.

ყმაწვილები ცოტასა სჭამდნენ, კალჩო ენანებოდათ, — თავად ცოტა აქვს და ისიც რომ ჩვენ შეეუჭამოთ, რაღა დარჩება საწყალსაო. ცოტა ხნის უკან გამოიეთხოვნენ. კალჩომ ჭიშკარამდე გააცილა. ჭიშკართან ისევ მიუბრუნდა თვალიანოვს.

— მშეიდობით, მეგობარო, შენი სახელი კი დამავიწყდა; როცა აქეთკენ გამოიარო, უეპველად მნახე, ვიყმედებთ რას-მე... შენი ლაპარაკი მომწონს... მშვიდობის მგზავრობა მოგცეს ღმერთმა!

ოგნიანოების გასამხნევებელმა სიტყვებმა საცოდავს მწყემსს საშინლად აუჩვილა გული. მართალია, ეს სიტყვები მისთვის ახალი გავონება არ იყო, თურქების სიძულვილი პატარაობით-ვე ჭინდა გულში ჩანერგილი: მაგრამ „ამხანაგმა“ რამოდენი-სამე სიტყვა „ბრძოლის“ შესახებ ახსნა, და იმ სიტყვებმა კალჩოს გული აუტოკა, გააღვინდა.

მგზავრები მალე გაშორდნენ იქაურობას. პინდისას სოფ-ლის მახლობლად მდებარე მინდვრად დაეშვნენ.

ინსციცუცი სასამართლო დაცვისა და  
მისი ორგანიზაცია

III \*)

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ არის მოწყობილი აღვო-  
კატურა რუსეთში და, მაშასადამე, ჩვენშიაც. ამ კითხვაზე, რო-  
გორც უფრო საინტერესოზე, ჩვენ უფრო ხანგრძლივ შეეჩერ-  
დებით და, შეძლების-და გვარად, ვეცდებით აღვნიშნოთ ყოვე-  
ლი ღირს-საყურადღებო მხარე ამ საგნისა.

რუსეთში სასამართლო რეფორმის წინად ბატონობდა  
უმთავრესად სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაში ეგრედ-  
წოდებული ინკვიზიციური, გამოძიებითი პროცესი; ასეთ პრო-  
ცესში ორს ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეს, პირისპირ  
დაყენებულს, სრულიად ვერ ვხედავთ. ეს ფორმა პროცესისა,  
რომელიც დამყარებულია გამოძიების პრინციპზე, არ საჭი-  
როებს დაცვასაც, ფორმალურს მაინც; უკეთეს დამცველად ამ  
ტიპს პროცესისას მიაჩნია თვით მსაჯული, რომელიც აქ ერ-  
თად-ერთი აქტივური მონაწილეა: საქმის გარჩევის დროს გა-  
მომძიებელიც ის არის, ბრალმდებელიც და დამცველიც, იმ დროს  
თითქმის ყველაფერი საიდუმლოდ, საქმეში მონაწილე პირთა  
უცნობლად, სწარმოებდა. ბრალდებულმა ხშირად არც კი იცო-  
და, რა ბრალს სდებდნენ მას და, მაშასადამე, არც თავისი თა-  
ვის დაცვა შეეძლო. მაგრამ შემოვიდა თუ არა ახალი სამარ-  
თალი, ესე იგი 1864 წ. 20 ნოემბრიდან რუსეთში დამყარდა

\*) იხ. „მოაზე“ № VII, 1899 წ.



სხვა გვარი პროცესი — საცილობელი. ეს უკანასკნელი ფოლქა დაფუძნებულია დავაზე, ცილობაზე. აქ, პირიქით, ჩვენ ვხე-დავთ, რომ ორი მოპირდაპირე, თანასწორ უფლებით მოსილი მხარე ერთმანეთს ეცილებიან, უმკლავდებიან შსაჯულის წინა-შე და ასე, ამ ცილობის წყალობით ირკვევა საქმე; აქ ერთი-მეორეს ებრძეის, ერთმა კარგად იცის, რას უჩივის მეორე ან რა ბრალს სდებს იგი. ხოლო ცილობა სამართლიანი მაშინ არის, როდესაც თანასწორი ძალები ებრძვიან ერთმანეთს, წი-ნააღმდევ შემთხვევაში ცილობა ჰყარგავს თავის მნიშვნელო-ბას, ასწავებს ერთისაგან მეორეს დაჩაგვრას. მაგალითად, თუ ერთ მხარეს მინიჭებული აქვს უფლება წარმოადგინოს იმისთა-ნა საბუთები ანუ დამტკიცებანი, რომელთ დარღვევის ნებას მეორე მხარე მოკლებულია, ამას ჩვენ ცილობას ვერ ვუწო-დებთ და ამ პირობებში ჰეშმარიტებაც ვერ გამოირკვევა. ამ სახით, სწორ-უფლება მხარეთა, ეს ერთი იმ მთავარ საფუძველ-თაგანი, რომელიც ხელი ავებულია თანამედროვე პროცესი, პირ-დაპირი შედეგი ცილობის პრინციპის აღიარებისა. მებრძოლ მხარეთა თანასწორობისათვის კი, როგორც ზემოდაც ვთქვით, შეჟემნეს დაცვა. „სასამართლო წესდებას“ ალექსანდრე II-სას, რომელთაც შემოიღეს რუსეთში ახალი ტიპი პროცესისა — სა-ცილობელი და რომელთაც სხვა მთავარ პრინციპებთან ერთად აღიარეს აგრეთვე სწორუფლება მხარეთა, ცხადია, უნდა გაე-ჩინათ დაცვაც, როგორც ერთი აუცილებელი ელემენტი მართლ-მსაჯულებისა და იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს განათლე-ბულ ქვეყნებში არსებობს. ეს მართლაც ასე მოხდა: ისტორია ადვოკატურისა რუსეთში იწყება 1864 წლიდან. რეფორმის წინა დროს კი ადვოკატების წილება არ იყო და არც შეიძ-ლებოდა ყოფილიყო: იმ დროს, როდესაც პროცესი უმთავ-რესად ინკვიზიციური იყო და ფორმალური დაცვა კი სრუ-ლიადაც არ არსებობდა, ადვოკატები რისი მანისი-ლა იქნე-ბოდნენ? რასაკვირველია, წინადაც იყვნენ იმისთანა პირები, რომელნიც დამცველების როლს ასრულებდნენ, მაგრამ ისინი უფრო უბრალო მოსაქმენი, რჩევის მომცემნი შუამავალნი იყვ-



ნენ, ვიღრე დამცეცლნი; იმათ სასამართლოს გარეშე თუ შექმნადის  
ლოთ მოქმედება, თორებ სასამართლოში დასწრების უფლე-  
ბა არ ჰქონდათ; ამასთანავე არც თანაბარი გონიერივი ცენ-  
ზი — იურიდიული განათლება არ ჰქონდათ და საზოგადო  
განვითარებაც ძალზე აკლიათ იმდენად მაინც, რომ ჭეშმა-  
რიტი დაცვა შესძლებოდათ. ესეთი იყვნენ, მაგალითად, დეპუ-  
ტატები სხვა-და-სხვა წოდებიდან (ვაჭართაგან, სასულიერო  
წოდებიდან, გლეხეაცობისაგან და სხვ.), რომელთა თანა-  
დასწრებით წარმოებდა გამოძიება და ჩეკენებათა ჩამორთმევა,  
ჩინოვნიკები და პროკურორები სასამართლოში, ითასნაირი  
წვრილ-ფეხა შეუძლებოდა და სხვ.

იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდნენ ძველის ტიპის  
ეს ვითომ-და „ვექილები“, რა ზნეობისანი ან რა მომზადების  
პატრონნი იყვნენ, აი რას გვეზნება ერთი ავტორი\*) პროფე-  
სორ ლოხვიცების („О нашихъ ходатаихъ по дѣламъ“, «Рус. Сл.»,  
1860 წ., № 2, გვ. 44 და 45) სიტყვებით: „ერთი მათვანნი თითო  
აბაზისა და ერთ ჭიქა არაყს იღებენ თხოვნის დაწერაში, ხელ  
და ათ მანეთს — ყალბ პასპორტში; გარდა ამისა, იმათ დაწესებუ-  
ლი აქვთ ნიხრი ყალბ მოწმობის შედეგისათვის. ყალბის ხე-  
ლის-მოწერისათვის და სხვ.

არის კიდევ ერთი ნაწილი ვექილთა — არის ტოკრატიული,  
რომელნიც კარგ ტანისამოს იცვამენ, ზრდილობიანი მიხერა-  
მოხვრა აქვთ და უშეტეს ნაწილად უმაღლეს სწავლა მიღე-  
ბულნი არიან, აი ესენი ერთის ქაღალდის შედეგენაში ხშირად  
რამდენიმე ას მანეთს ახდევინებენ... ბესარაბიაში, მაგალითად,  
არიან პირნი, დიდად ცნობილნი და განთქმულნი, რომელთაც  
დიდი სიმდიდრე შეიძინეს და რომელთა გულუბრყილო ნაკ-  
ლულევანება მდგომარეობს მასში, რომ ისინი ერთსა და იმავე  
დროს ქაღალდებს უშერეს როგორც მომჩინენს, ისე მოპასუ-  
ხეს და, რა თქმა უნდა, ორსავე მხარეს ართმევენ სასყიდელს“. რუსულ  
სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიც არა ერთხელ დაუხა-

\*) იხ. ე. ვ. გასკოვსკის „Организация адвокат.“

სიათებიათ ეს ძველის დროის „ვექილები“. საკმარისისა გავიხსენ-ნოთ გოგოლის „იურისკონსულტი“, ოსტროვსკის ტიპები, შეედრინის ბალალიკინი და სხვ.

ორგანიზაცია აღვოყატურისა რუსეთში გადმოღებულია და-სავლეთ ევროპიდან, უმთავრესად საფრანგეთიდან იმ განსხვავე-ბით კი, რომ აქ სასამართლოს წარმომადგენლობა და ნამდვილი-დაცვა არეულია, ასე რომ, როგორც ნაფიცნი, ისე კერძო ვე-ქილი ორსავე ფუნქციას ასრულებენ. ახალმა კანონ-მდებლო-ბამ—სასამართლო წესდებებმა 1864 წ.—შეჯენა ცალკე წო-დება, რომლის ხელშიაც გადავიდა დაცვა ყოველგვარ საქმე-თა, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის საქმეები კანონით შეუძლია დაიცვას ყოველ სხვა პირს, რო-მელიც ამ წოდებას არ ეკუთვნის. აი რას ამბობს 565 მუხლი სისხლის სამართლის წარმოების წესდებისა: „სამართალში მიცე-მულთ უფლება აქვთ დამცველებად აირჩიონ როგორც ნაფიცი და კერძო ვექილნი, ისე სხვა პირნიც, რომელთაც კანონი არ უკრძალავს სხვის საქმეების შესახებ შუამდგომლობას“.

ამ წოდებას შეადგენენ ეგრედ წოდებულნი: ნაფიცნი ვე-ქილნი (ნაფიცნი მოსაქმენი—ყრისა, ცტრაპიე მხოლოდ კომ-მერციულ სასამართლოებში), მათი თანაშემწენი და ქერძო ვე-ქილნი.

ნაფიცნი ვექილნი, როგორც ვთქვით, ასრულებენ ორნაირ როლის: ნაფიცი ვექილი ერთსა და იმავე დროს წარმომადგენელიც არის და დამცველიც, ესე იგი მას აქვს კისრად ორ-გვარი მო-ვალეობანი, როგორც *avocat*-სი, ისე „avocat“-ისა. ნაფიც ვექილად შეუძლია გახდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც აქმა-ყოფილებს შემდეგ პირობებს: 1) უნდა იყოს არა ნაკლებ 25 წლისა და მამაკაცი, 2) რუსეთის ქვეშევრდომი; 3) ზნეობრივ ყოფა-ქცევით შეუბლალველი; 4) სახელმწიფო ან საზოგადოე-ბრივ ყოველგვარ სამსახურიდან თავისუფალი (უფასო, საპატიო საზოგადოებრივი სამსახური მხედველობაში არ მიიღება. ვე-ქილს შეუძლია ჰქონდეს ესეთი სამსახური); 5) განათლების ცენზი: იურიდიულ მეცნიერებათა კურსის განვლა და გარდა

ამისა, ხუთის წლის პრაქტიკა — სტაუი. ეს პრაქტიკული შომზადება მდგომარეობს მასში, რომ საჭიროა ან სასამართლოს უწყების მისთანა სამსახურში ყოფნა, რომლის აღსრულების დროს ახლად შესულს შეუძლია მოიხვეჭოს პრაქტიკული ცოდნა სასამართლო საქმეთა წარმოებაში, ან ეგრედ წოდებულს კანდიდატად სასამართლო თანამდებობაზე ან და ნაფიც ვექილის თანაშემწედ (354 მუხლი სასამართლოს დაწესებულ დებულებისა). პრაქტიკულ მეცადინეობის დამთავრების შემდეგ იმ პირმა, რომელსაც სურს მიიღოს წოდება ნაფიცი ვექილისა, უნდა შეიტანოს თხოვნა ამის შესახებ საბჭოში ან, სადაც ეს უკანასკნელი არ არის, თანაბარ სასამართლო დაწესებულებაში (ოლქის სასამართლოში) და ამასთანავე მოვალეა წარადგინოს ყველა საჭირო საბუთები. ამ საბუთების განხილვის და მთხოვნელის ზნეობრივ მხარის დაფასების შემდეგ დასახელებულნი დაწესებულებანი სწყვეტავენ კითხვას მიღება-მიუღებლობაზე. იმ პირს, რომელიც მიღებულ იქმნება, ეძლევა მოწმობა ნაფიც ვექილის წოდებისა, რომელიც, ე. ი. მოწმობა, მან უნდა წარადგინოს შესაფერ სასამართლო დაწესებულებაში სასამართლო განკარგულებას ახდენს მის დაფიცების შესახებ და მთოლოდ ფიცის მიღების შემდეგ დაფიცებული ითვლება ნაფიც ვექილად.

არაქრისტიანენი აქაც უფრო შევიწოდებულნი არიან, უიდრე ქრისტიანენი: 1889 წ. გამოცემულ კანონის ძალით ფიცისა ან კერძო ვექილის წოდების მისაღებად მათვეის, სხვა სავალდებულო პირობათა გარდა, საჭიროა იუსტიციის მინისტრის ნება-რთეა.

ნაფიცი ვექილნი შეადგენენ ცალკე კორპორაციას, რომელსაც განაგებს და „ზედამხედველობს ეგრედ წოდებულნი „ნაფიც გაქმდითა საბჭო“ იმათ წრიდანვე არჩეულ წევრთაგან. თანახმად „სასამართლო წესდებისა“, ყოველ სასამართლო ოლქში, ყოველ პალატასთან უნდა დაარსებული იყოს საბჭოები, თუ ნაფიც ვექილთა რიცხვი ოცზე ნაკლები არ იქმნება. იმ ქალაქებში კი, სადაც სცხოვრობენ ნაფიცნი ვექილნი არა ნაკლებ

ათისა, „წესდებები“ ნებას აძლევენ ამ უკანასკნელთ იშუაშდ-  
 გომლონ ოლქის სასამართლოს წინაშე საბჭოს განყოფილების  
 დაარსების შესახებ. სამწუხაროდ, „წესდებების“ შემადგენელთა-  
 ეს დადგენილებანი არ განხორციელდა საესებით: რუსეთში აქა-  
 მომდე მხოლოდ სამი (პეტერბურგისა, მოსკოვისა და ხარკოვის  
 ოლქებში) საბჭო ნაფიც ეკვილთა დაარსდა, სხვა სასამართლო  
 ოლქებში კი, სხვათა შორის ჩვენშიაც, ამ დაწესებულების შე-  
 მოღება შეაჩერეს. ამის შესახებ მოხდა განკარგულება 1875  
 წ. უფრო ცუდი ბედი ეწვია „განყოფილებებს“: ერთს მაგალი-  
 თსაც ვერ დაესახელებთ „განყოფილების“ გახსნისას. 1889  
 წელს კი, უმაღლესი ბრძანების ძალით, ამიერიდან პირდაპირ  
 ალიკრძალა საბჭოების განყოფილების დაარსება (იხ. სხოლიო  
 სასამართლოს დადგენილების დებულებისა 366 მუხლი). მიზე-  
 ზი ამ დაწესებულებათა ზრდის შეჩერებისა გახლავთ ის გარე-  
 მოება, რომ მთავრობამ ამ წრეშიაც სასარგებლოდ მიიჩნია  
 შეეზლუდა თვით-მმართველობითი გამგეობა ისე, როგორც მა-  
 ნვე საჭიროდ დაინახა თვით-მმართველობის ჩამორთმევა უნივე-  
 რსიტეტისათვის, ისე როგორც მან ჩასვა ერთნაირ ჩარჩოში  
 ერობისა და ქალაქის თვით-მმართველობა თუ მეტის იღმინისტ-  
 რატიულის კონტროლის დაწესებით, თუ სხვაფრივ. აქ მოქმე-  
 დებდა შიში, თუმცა, ჩვენის აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ,  
 ვითომც ადგილობრივი მართვა-გამგეობა საქმეებისა თვით-მარ-  
 თველობითი ორგანოების საშუალებით ეწინააღმდეგებოდეს სა-  
 ერთო სახელმწიფო ინტერესებს, არ ეთანაბრებოდეს სახელმ-  
 წიფო წეს-წყობილების ეხლანდელ საფუძველთ... ასეა თუ ისე,  
 ამ ჩინებულ დაწესებულებას—ნაფიც ვეკილთა საბჭოს მოკლე-  
 ბულია დღეს უმეტესი ნაწილი რუსეთის იმპერიისა და ამის  
 მაგიერობას სწევს ოლქის სასამართლო. „სადაც ნაფიც ვეკილ-  
 თა საბჭო ან განყოფილება არ არსებობს, იქ, ამბობს 378 მუ-  
 ხლი სასამართლოს დადგენილ დებულებისა, მისნი უფლებანი  
 და მოვალეობანი ეკუთვნის ადგილობრივ ოლქის სისამართ-  
 ლოს“.



საბჭო შესდგება შემდეგ პირებიდან, რომელთაც იღწევს  
ნაფიც ვექილთა საზოგადო კრება ყოველ წელს: თავჯდომა-  
რისა, მისი ამხანაგისა და შევრებისაგან, რიცხვით ხუთიდან  
თხუთმეტამდე (თავჯდომარისა და მისი ამხანაგის მითვლით)  
იმის კვალობაზე, თუ რაოდენია საბჭოს უწყების ქვეშ მყოფნი  
ნაფიცნი ვექილნი.

კომპეტენცია საბჭოსი საქმიოდ ვრცელია. გარდა დისკიპ-  
ლინალურ უფლებისა, საბჭოს უფლება-მოვალეობანი შემდე-  
გია: 1) თხოვნების განხილვა იმ პირთა, რომელთაც სურთ  
ნაფიც ვექილებში შეირიცხონ თავი, ან გამოვიდენ ამ წოდე-  
ბიდან და ცნობების გაგზავნა სასამართლო პალატაში მათ მი-  
ლება-მიულებლობაზე; 2) განხილვა საჩივართა ნაფიც ვექილთა  
მოქმედებაზე და თვალ-ყურის დევნა, რათა ისინი სისწორით  
ასრულებდნენ კანონებს, დადგენილ წესებს და თავიანთ მო-  
ვალეობას, როგორც ამას მოითხოვს მარწმუნებელთა სარგებ-  
ლობა; 3) საბჭო ნაფიც ვექილებს მოწმობას აძლევს, სადაც  
აღნიშნავს, რომ მათზე არავითარი სასჯელი არ დაუდვია; 4)  
რიგ-რიგობით ნიშნავს ვექილებს იმ პირთა უსასყიდლოდ  
დასაცველად, რომელთაც სასამართლო იცნობს დარიბად; 5) რიგ-  
რიგობით დანიშნავნა ვექილებისა იმ პირთათვის, რომელნიც  
მიშმართავენ საბჭოში თხოვნით იმათ დანიშნის შესახებ; 6) ვე-  
ქილის სასყიდლის რაოდენობის გარდაწყვეტა ნიხრის მიხედ-  
ვით იმ შემთხვევაში, როდესაც მოდავენი და მათნი ვექილნი  
ვერ შეთანხმებულან და როდესაც მათ არავითარი წერილო-  
ბითი პირობა არ შეუკრავთ ერთმანეთ შორის; 7) განაწილება  
ნაფიც ვექილთა შორის იმ შემოსავლისა, რომელიც დაწესე-  
ბულია სასამართლო დადგენილებათა დებულების შე-398 მუხ-  
ლის ძალით; 8) დაჯარიმება ვექილთა; როგორც საბჭოს სა-  
კუთარის განკარგულებით, აგრეთვე კერძო მომჩინანთა თხოვ-  
ნით (367 მუხ. სახ. დად. დებ.).

ეგრეთვე ვრცელია დისკიპლინალური უფლება საბჭოსი.  
თუ ვექილმა დაარღვია თვისნი მოვალეობანი, მაშინ საბჭოს  
უფლება აქვს დაადოს-მას ამგვარ დარღვევისათვის სხვა-და-სხვა



სასჯელი: გაფრთხილება, საყველურის გამოცხადება, პრეტრის უფლების ჩამორთმევა დროებით, არა უხანგრძლივეს ერთის წლისა, სრულიად გამოძველება ნაფიც ვექილთა რიცხვიდან და უფრო სერიოზულ შემთხვევაში სისხლის სამართალში მიცემა (368 მუხ. სას. დად. დებ.). ეს სისტემა სასჯელთა ერთიანად გადმოღებულია საფრანგეთიდან.

საბჭოს გარდა, ნაფიც ვექილთა კორპორაციის მეორე ორგანოს შეადგენს საზოგადო კრება ნაფაც გექილთა, რომელნიც ჩვეულებრივ ირჩევენ საბჭოს და ისმენენ საანგარიშო წლის ანგარიშს.

ვერ ვიტყვით, რომ ნაფიც ვექილთა წოდებრივი ორგანიზაცია სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს მაგისტრატურასაგან. ზოგიერთ კითხვების გარდაწყვეტაში საბჭო არ არის უკანასკნელი ინსტანცია, მისი კომპენტენცია შეზღუდულია პროკურორის უფლებით: ყოველი დისკიპლინალური განაჩენი საბჭოსი თანაბარ სასამართლოს პროკურორს უნდა ეცწყოს და თუ ამ უკანასკნელს ასე მოსწონს საბჭოს ასეთი თუ ისეთი განაჩენი, მას პროტესტის შეტანის ნება აქვს პალატაში (მუხ. 370 და 376 იმავე დებული).

ეხლა აღვნებსხავთ, თუ რა უფლება-მოვალეობანი აქვთ ნაფიც ვექილებს „სასამართლო წესდებებით“.

ტერიტორიულად ნაფიცი ვექილი თავისუფალია, ესე იგი შეუძლია, სადაც უნდა, იქ დაიცვას საქმე, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის. მართალია, არის ერთი მუხლი კანონისა (383 მუხ. სას. დად. დებ.), რომლითაც მისი ტერიტორიალური უფლება განსაზღვრულია იმ სასამართლო პალატის ოლქით, რომელსაც მიწერილია, მაგრამ ამ დადგენილებას თავისი მნიშვნელობა ეკარგება; თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მისი ძალა შესუსტებულია იმავე დებულების მეორე მუხლით: ნაფიც ვექილს, გვამცნევს მე-384 მუხ., უფლება აქვს განაგრძოს წარმოება თავისს ოლქის გარეშე მყოფ სასამართლოებში იმ საქმისა, რომელიც მას დაუწყვია თავისს რაიონში, ვიდრე საქმე მთლად დამთაერდება.



გარდა, ამისა არის სენატის ერთი კასასაციური გარდაწყვეტილება, რომელიც ამბობს: ნაფიც ვექილთ იმ დრომდე, ვიდრე, ეგრედ-წოდებული სიები \*) (თანხმ.) შედგებოდეს, უფლება აქვთ, თავისს ოლქის გარეშეც აწარმოვონ ახალი, ესე იგი, აქვე დაწყებული საქმეები.

თუ მრწმუნებელმა იჩივლა, რომ ჩემი ვექილი განხრას ჩემ საზარალოდ მოქმედებდათ და თუ ეს ბრალი ვექილს დაუმტკიცდა, ეს უკანასკნელი, ზარალის ზღვევის გარდა, შეიძლება მიცემულ იქმნეს სისხლის სამართალში (405 მუხ. სას. დად. დებ.).

ნაფიც ვექილს არა თუ შეუძლია, მოვალეა კიდეც არ გამოაქვდანოს საიდუმლო თავისს მრწმუნებელისა, როგორც საქმის წარმოების დროს, ისე დასრულების შემდეგ, აგრეოვე იმ შემთხვევაში, როდესაც მრწმუნებელი საქმეს სხვას გარდასცემს (403 მუხ. სას. დად. დებ.).

ნაფიც ვექილს უფლება იქვს თავისს შრომისათვის მიიღოს გასამრჯელო ან იმ რაოდენობით, რომელიც აღნიშნულია კლიენტისა და მის შორის შეკრულ წერილობითი პირობაში, ან-და კანონიერ ნიხრის კვალობაზე.

საზოგადო მოვალეობანი ნაფიც ვექილისა აღნიშნულია ფიცის სიტყვებში, სადაც, სხვათა შორის, იგი პირობას სდებს ჰატიასნად და ჭეთიდა-სგანიდასიერად აღასრულოს მოვალეობანი მის მიერ მიღებულ წოდებისა.

აქვე უნდა აღნიშნოთ ერთი განსაკუთრებული კლასი დამცველთა — ეგრედ-წოდებულნი ნაფიცნი მოსაქმენი (პრი-საჟ. ცტაპიე), რომელნიც აწარმოებენ კომმერციულ სასამართლოებში ყოველგვარ სავაჭრო და ვაჭრების შესახებ საქ-

\*) სიები, კანონის ძალით, უნდა შესდგეს ზაშინ, როდესაც რომელსამე ადგილის ცხოვრობს საკუთარ რიცხვი ნაფიც ვექილთა. მათ შემთხვევაში კერძო პირთ შეუძლიათ მიმშართონ ადგილობრივ სასამართლოებში საქმეების საჭარმოებლიდ შთლილ იქვე ცხოვრებ ნაფიც ვექილებს. მათ გვარი სიები ჯერ-ჯერობით არც ერთ ოლქში არ შეუდგენიათ, რაიცა მიტეიცებს ნაფიც ვექილთა რიცხვის სიციორეს. აქედან სჩანს, რომ სენატს დღვევანდელ ვითარების მიხედვით საფუძვლიანი გარ-დაწყვეტილება დაუდგენია.



მექანიზმებს. არის დაწესებული ერთნაირი სია, რომელშიაც შეტანილი უნდა იქმნეს პირი, თუ სურს უფლება ჰქონდეს საქმე-ების წარმოებისა კომერციულ სასამართლოში. უკანასკნელს, საჭირო საბუთების განხილვის შემდეგ, ან შეაქვს მთხოვნელის სახელი სიაში, ან უარს უცხადებს ისე, რომ ვალდებულიც კი არ არის განმარტოს უარის თქმის მიზეზი. როგორც შეტანა, გამორიცხვაც სიიდან ერთხელ უკვე შეტანილ პირისა, ადვი-ლად შეუძლია სასამართლოს. ნაფიც მოსაქმეთა რიცხვი კანო-ნით განსაზღვრული არ არის. ამ წოდების მიღების წინად შე-მოღებულია ჩვეულებრივი ფიცის მიღება. გარდა ნაფიც მოსა-ქმეთა, დასახელებულ კატეგორიის საქმეების წარმოება შეუძ-ლიათ ფიცის მიუღებლად და სიაში შეუტანელად აგრეთვე: 1) მოვაჭრეებს, 2) ბუხპალტერეებს, კასსირებს და საზოგადოდ იმ პირთ, რომელნიც მსახურებენ მომჩინენის ან მოპასუხის კა-ნტორაში (40 მუხლი საეაჭრო სამართლის წარმოების წესდე-ბისა).

წოდების მეორე ჯგუფს, როგორც ვთქვით, შეადგენენ ნაფიც გექილთა თანაშემწენი. ამ ინსტიტუტის ორგანიზაციას ჯერ ბევრი აკლია და, სამწუხაროდ, ჯერ არ არის ისე მოწყო-ბილი, როგორც ნაფიც ვექილთა კოლლეგია. თანაშემწეთა მდგომარეობა თითქმის იმგვარივეა, როგორც კურძო ვექილთა. იმათ უფლება აქვთ დაიცვან სამოქალაქო თუ სისხლის სამარ-თლის საქმეები ისე თავისუფლად, როგორც შეუძლიათ ნაფიც ვექილებს. აქ განსხვავება მათ შორის მხოლოდ ტერიტორიის მხრივ არის: მაშინ როდესაც ნაფიცი ვექილი მოქმედებს თა-ვისუფლად არამც თუ თავისს ოლქში, არამედ მის გარეშეც, თანაშემწეს უფლებანი, როგორც კურძო ვექილისაც განსაზ-ღვრულია ამ მხრივ იმ სასამართლოს რაიონით, რომელიც მას აძლევს მოწმობას.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე ერთსა და იმავე დროს, ორ-ნირ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: ერთის მხრივ ის, რა-საც თხოვულობს კანონი ნაფიცი ვექილისაგან, სავალდებულოა აგრეთვე თანაშემწესათვის იმ განსხვავებით, რომ თანაშემწე, შე-



იძლება, იყოს 25 წლისაზე უმცროსი და არც არავითარი სტრუქტურული უია მისთეის საჭირო; მეორე მხრით, თანაშემწე მოვალეა პქონ დეს კერძო ვექილის წოდება, რისთვისაც მან უნდა აიღოს მოწმობა. ეს ორმაგი ხსიათი მისის პროფესიისა აქვემდებარებს თანაშემწე როგორც ნაფიც ვექილთა საბჭოს, აგრეთვე სასამართლოს.

რაკი „სასამართლო წესდებების“ შემოღების დროს ერთობ მცირე იყო ნაფიც ვექილთა რიცხვი, ამიტომ 25 მაისს, 1874 წ. გამოიცა კანონი, რომელმაც გააჩინა ახალი კლასი დამცველთა—ქართველი გენერალი. ყოველ პირს, რომელსაც ჩამორთმეული არა აქვს სამოქალაქო უფლებანი, და, მაშასადამე, ნება აქვს სხვის ვექილად იყოს, შეუძლია მიიღოს წოდება კერძო ვექილისა, თუ დაიკერს კანონით დადებულ შესაფერ გამოცდას. გამოცდის შემდეგ სასამართლო, სადაც თხოვნა არის შეტანილი, მოწმობას იძლევს მთხოვნელს. ეს მოწმობა, რომელზედაც ცალკე გარდასახადი არის დაწესებული, ყოველ წელს განახლებულ უნდა იქნეს. რამ გამოიწვია ამ გამოცდის დანიშვნა? რატომ, თუ ნაფიც ვექილთა რიცხვი საკმარისი არ იყო, მთლად თავისუფალი არ გახდეს ადვოკატურა! წინადან, 1874 წლამდე ადვოკატურა მართლაც და თავისუფალი იყო— გარდა ნაფიც ვექილთა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები შეეძლო ეწარმოებინა ყოველ პირს, ამ წოდებაში არა მყოფს. ხოლო ასეთმა თავისუფლებამ მოიტანა ის შედეგი, რომ ბრალიანმა და უბრალომ, ვისაც არავითარი განათლება არა პქონდა მიღებული, ვინც არც მართალ საქმეს არჩევდა და არც რაიმე წესიერებას დაგიდევდა, იწყო ყოველგვარ საქმეების წარმოება. როგორც ასეთი უწესოება შეამჩნიეს, მაშინ გამოსცეს ის კანონი (1874 წ.), რომელმაც შეავიწროვა ასეთი მავნებელი თავისუფლება.

ზოგიერთი წესები კერძო ვექილის წოდების მიღებისათვის იგივეა, როგორიც ნაფიც ვექილისათვის. დედათა სქესის პირს კანონის ძალით, როგორც საზოგადოდ, არც კერძო ვექილობის ნება აქვს. არა ქრისტიანეთ, როგორც ზემოდაც

ვთქვით, შეუძლიათ მიიღონ მოწმობა კერძო ვექილისა იუსტიციის მინისტრის ნება-რთვით. გასამრჯელოს შესახებ კერძო ვექილი ექვემდებარებიან იმავე წესებს, რომელნიც დადგენილია ნაფიც ვექილთაოვის, იმ განსხვავებით, რომ კერძო ვექილს ერავინ ვერ დაავალებს უსასყიდლო დაცვას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კერძო ვექილისათვის არ არის უეჭველად საჭირო რუსის ქვეშევრდომობა, ამ მხრივ უცხოელსაც ისეთი უფლება აქვს, როგორც რუსეთის მკიდრს. საქმეების წარმოება კერძო ვექილს შეუძლია მხოლოდ იმ სასამართლოს ოლქში, რომელიც აძლევს მას მოწმობას, თუმცა მასვე უფლება აქვს თავისს ოლქში დაწყებულ საქმის განგრძობისა სენატის საკასაციო დეპარტამენტებში.

კერძო ვექილი იმ სასამართლოს კონტროლის და ზედამხედველობის ქვეში იმყოფებიან, რომელიც მათ აძლევს მოწმობას. თუ კერძო ვექილმა რაიმე უკანონო, ანუ უმართებულო საქციელი ჩაიდინა, მასზე მეთვალყურე სასამართლოს ნება აქვს დასდევას იგივე დისკიპლინალური სასჯელნი, რომელნიც შემოღებულ არიან ნაფიც ვექილებისათვის, ესე იგი: გაფრთხილება, შენიშვნა, სამდურავის გამოცხადება, ვექილობის აღკრძალვა მხოლოდ ერთ წლამდე და, დასასრულ, მთლიად და სამუდამოდ გაძევება კერძო ვექილთა რიცხვიდან. სასამართლოს გარდა პრაქტიკის ჩამორთმევის უფლება მინიჭებული აქვს აგრეთვე იუსტიციის მინისტრს. როდესაც სასამართლო სწყვეტს მოწმობის მიცემს, იგი არჩევს მთხოვნელის ზნეობრივ მხარესაც, ასე რომ, თუ რომელიმე პირი ვერ აქმაყოფილებს თავის ზნეობრივ თვისებებით კანონის მოთხოვნილების, სასამართლოს სრული უფლება აქვს უარი უთხრას მოწმობის მიცემაზე, თუნდაც რომ ფორმალურის მხრივ მთხოვნელი ყველაფრთხ აკმაყოფილებდეს კანონს.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ იმ დროიდან, როდესაც ახალი ორგანიზაცია მიეცა ადვოკატურას რუსეთში, დღემდებევრნაირი ნაკლულევანებანი აღმოაჩინა, საზოგადოებაში უფრო და უფრო ხშირად ისმის საჩივარი აღვოკატთა კორპორა-



ციის თანამედროვე მდგომარეობაზე. მართალია, პირვენ დაკავშირდებოდა 1874, 1875 და 1889 წლებში დამატებითი კანონები გამოიკა, მაგრამ ვერც ამ კანონებმა მოხდინეს ძირეული რეფორმა. ამიტომ თვით მთავრობამ ამ ბოლო დროს გარდასწყვიტა გადათვალიერება იმ კანონთა, რომელიც აღვოკატურის ორგანიზაციის ექვივიულენს. ამ მიზნით შედგენილ იქმნა რამდენჯერმე კომისიები. ბოლოს, იმ უმაღლესად დამტკიცებულ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს გადასინჯვა სასამართლო წესდებათა, დამთავრა, სხვათა შორის, შრომა აღვოკატურის ორგანიზაციის შესახებ. ეს ერთი ხანია, ამ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი გამოცხადებულია კიდეც და ახლო მომავალში ელის დამტკიცებას, რის შემდეგ იგი ძალაში შევა. პროექტი საზოგადოდ აშენებულია იმ პრინციპებზე, რომელნიც საფუძვლად უდევს 1864 წ. 14 ნოემბრის კანონმდებლობას. მთავარი ცვლილებანი, მოკლედ ვთქვათ, გამოისახებიან შემდეგში:

- 1) კორპორატიული გამგეობა ანუ ნაფიც ვექილთა საბჭოები შემოღებულ უნდა იქმნენ ყველგან, სადაც კი ნაფიც ვექილთა რიცხვი კანონიერ ნორმამდე ავა;
- 2) ახალი კანონი ვრცლად ეხება ნაფიც ვექილთა თანაშემწეობა ორგანიზაციის, ირკვევს დაწვრილებით მათ მოვალეობა-უფლებას. ამიერიდან მათ ეძლევათ საშუალება ყოველ მხრივ მოქმედობა და განიცალონ მომავალ პრაქტიკისათვის და, ამ გვარიდ, თავი დააღწიონ დღევანდელ უმწეო და გამოუჩკვეველ მდგომარეობას;
- 3) თუმცა ინსტიტუტი კერძო ვექილთა რჩება, მაგრამ პროექტში შეტანილია რამდენიმე იმისთანა მუხლები, რომელთაც ის აზრი აქვთ, რომ მათი სამსახური უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი იქმნეს მცხოვრებელთაგვის, ვიდრე ეს აქამდე იყო;
- 4) აღვოკატურის ემატება ახალი წევრები, სახელდობრ: პროფესიონალები იურიდიულ მეცნიერებთა, იურისკონსულტები სხვა-და-სხვა ადმინისტრატიულ უწყებათა და თანამდებობის მექანი რწმუნებულნი;
- 5) ებრაელთა უფლება თუმცა ისევ შეზღუდული რჩება (ათიდან ოც პროცენტამდე ქრისტიანეთა რაოდენობისა), მაგრამ ეხლა ნება-რთვის აღება უმაღლე-



სი მთავრობისაგან საჭირო არ არის; 6) იქ, სადაც საკმარ კანონიერი რიცხვია ნაფიც ვექილთა, უნდა დაწესდეს კომპლექტი ადვოკატურისა ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იქ მხოლოდ ნაფიც ვექილებს ეძლევათ უფლება აწარმოვონ ის სამოქალაქო საქმეები, რომელნიც კოლლეგიურ სასამართლო დაწესებულებათ ექვემდებარება.\*)

ერთი დიდი ნაკლულევანება თანამედროვე რუსულ პროცესიალურ სჯულისა, რომელს არც ახალი პროცესტი იცილებს თავიდან, ის არის, რომ ფორმალურ დაცვას პროცესისას არა ყოველ სტატიაში აქვს აღვილი. ჩვენ გვაქვს აქ სახეში მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესი და არა სამოქალაქო, რომელიც სტატიებად არ ნაწილდება. სისხლის სამართლის პროცესი შეიცავს რამდენსამე სტატიას \*\*). ვიდრე საქმე გაირჩევოდეს სასამართლოში, ვიდრე საქმე მიაღწევდეს ეგრედ-წოდებულ სასამართლო გამოძიებას (ეუდები. ცლებატები), მან უნდა განვლოს სტადია თავდაპირველის გამოძიებისა (предв. ცლებატები) და შემდეგ ის სტადია, რომელზედაც სწყდება კითხვა, მიცემს ბრალდებული სამართალს, თუ საქმე მთლად მოისპოს (преданіє суду).

„სასამართლო წესდებებმა“ შემოიღეს ფორმალური დაცვა მარტო ერთ სტადიაში — სასამართლო გამოძიების დროს, პირველ ორ სტადიაში კი დაცვა სრულიად განდევნილია, თუმცა კი, ჩვენის აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ. მართლაც-და, განა ისეთივე უმშეო, უნუგეშო და ხანდახან უფრო უარესიც, ვიდრე სასამართლოში, არაა მდგომარეობა ბრალდებულისა თავდაპირველის გამოძიების დროს, როდესაც იგი ამასთანავე ხშირად თავისუფლებასაც მოკლებულია? თუ დაცვას აღვილი აქვს იქ, სადაც რამდენიმე პირნი ბჭობენ როგორც მსაჯულნი (ეგრედ-წოდებული სახელმწიფო სამართალი) ან და იქ, სადაც ხალხისაგან სხვა-და-სხვა ყარმომადგენელნი აწარმოებენ სამართალს (ეგრედ

\*) იხ. გაზ. „Русск. Вѣд.“ 1897 წ. 16 სექტემბრისა.

\*\*) მცირე მნიშვნელოვან საქმეებისათვის, რომელნიც ექვემდებარებან მომრიგებელ სასამართლოს, ამ გვარი დანაწილება არ ირსებობს.

წოდებულ ნაფიც მსაჯულთა სამართლი), მაშ რაღა და დაუშენებული თავდაპირველ გამოძიებამ, ნუ თუ დაცვის გამამართლებელს პირობებს ვერ ეხედავთ აქ, სადაც ერთად-ერთი აქტივურად მომქმედი პირი მარტო გამომძიებელია? თუ იურიდიული კოდნა, საზოგადო განვითარებაა საჭირო სასამართლოში მსჯელობის დროს, რათა ტყუილ-უბრალოდ არავინ იქმნას დასჯილი, რათა მართლ-მსაჯულება იქმნას დაცული, რათა საჭირო თანამშორობა სუფერდეს, მებრძოლთა შორის, მაშ რატომ იგივე იარაღი თავდაპირველ გამოძიების დროს არ არის საჭირო მართლ-მსაჯულების ინტერესების დასაცელად?

მართალია, კანონი (265 მუხლი სისხლის სამართლის წარმოების წესდებისა) ავალებს გამომძიებელს პირუთვნელად და სრულის სიმართლით აღნუსხოს გარემოებანი და საბუთები, როგორც გამამტყუნებელნი, ისე გამამართლებელნი ბრალდებულისა, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა ხდება. საქმე ის არის რომ იმავე კანონების ძალით გამომძიებელი დამკიდებულია ბრალდებითი უფლების წარმომადგენელისაგან, ეს უკანასკნელი მისი მეუღვალ-ყურეა, ნება აქვს ჩაერიოს მისს საქმეში და სხვ. და სხვ.

ამ გარემოების წყალობით ბრალმდებელს ხშირად ისეთი ზედგაელენა აქვს გამოძიებასა და გამომძიებელზე, რომ უკანასკნელი ფაქტიკურად ბრალდებითი ორგანოდ არის გარდაქცეული ნაცვლად თვითმდგომარე მსაჯულის როლის ასრულებისა. რასაკვირველია, გამომძიებელს შეუძლია, თუ რაიმე უკანონობას ჰქედავს, არ დაემორჩილოს ბრალმდებელს, მაგრამ ესეთი ურჩობა მას ძვირად დაუჯდება: მისთვის, როგორც დამკიდებულ პირისათვის სამსახურის მხრივ ბრალდებითი უფლებისაგან, ძლიერ ძნელია წინააღმდეგობის გაწევა.

თუ ასეა მოწყობილი თავდაპირველი გამოძიება, რომელიც ამასთანავე დამყარებულია ძველ ინკვიზიციურ, გამოძიებითი დედა-აზრზე, მოკლებულია საჯარო წარმოებას; მაშ ყოველი ეს განა ნათლად არ ღალადებს დაცეის საჭიროებას თავდაპირველ გამოძიების დროსაც?



ამ სტადიაზე გრანტია დაცვის შემოღების სახით ბრალ-დებულისათვის მით უფრო საჭიროა, რომ თავდაპირველ გამოძიებას ხშირად გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე რუსეთში, როგორც ასეთი თუ ისეთი სასამართლოს განაჩენის დადგენაში, ისე პირადი თავისუფლებისა და შეხედულობის შერიც: გამომძიებელს უფლება აქვს მიმართოს დაპატიმრებას, სახლის გაჩხრევას და სხვა გვარ ზომებს. ამიტომაც არის, რომ მისი განსაკუთრებული კუმპეტენცია აქ, უოტა არ იყოს, სახიფათოა. ცხოვრებასაც რომ დავაკეირდეთ, თვით იგი გვეუბნება ამ საჭიროებაზე: ჩვენ ვხედავთ, რომ წინააღმდეგ კანონისა დაცვა მაინც არსებობს ფაქტიკურად პროცესისა ამ სტადიაზე, თუმცა კი არა სავსებით და ისიც ფარულად, რის გამო, რა თქმა უნდა, დამცველი შესაფერ შემწეობას ვერ უწევს ბრალ-დებულს.

იგივე გარემოება, ესე იგი, დაცვის განდევნა არის მიზეზი იმ გვარ მოვლენათა, რომ მრავალნი სრულიად უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, ხშირად მთელის წლობით მოკლებულნი თავისუფლებას, რომ არა ერთხელ სულ უბრალო დანაშაულებს აზვიადებენ, არდგენენ ამის შესახებ მთელ ტომებს და სხვ.

ჩვენგან ნათქვამს ცხადად ამტკიცებს სასამართლო სტატისტიკაც. მოვიყვანთ რამდენისამე წლის შესახებ ცნობას: 1895 წ. კავკასიის ყველა ოლქის სასამართლოში და სამოსამართლო პალატაში სისხლის სამართლის ქვეშ იმყოფებოდნენ 513 კაცი, ამათში სასჯელი დასდეს მხოლოდ 188 კაცს; 1896 წელს 521 კაცში სასჯელი დასდეს 273 კაცს; 1897 წელს 514 კაცში—300; 1898 წელს 518 კაცში—307 კაცს. თუ მივაღებთ მხედველობაში იმასაც, რომ მრავალ პირთა საჭმე სულაც არ აღწევს სასამართლო გამოძიებას და თავდაპირველ გამოძიებასათანავე ისპობა პატივსადებ საბუთების უქონლობის გამო ბრალდებულის წინააღმდეგ, მაშინ უბრალოთა და უდანაშაულოთა რიცხვი შესამჩნევად იმატებს. ამასვე გამჩნევთ რუსეთში.



აეიღოთ შემთხვევით რომელიმე წელი. 1873 წ. რუსეთის მარტი იმ ნაწილში, სადაც ახალი სასამართლოები იყო შემოღებული, თავდაპირველ გამოძიებაში მიცემულნი იყვნენ  $115\frac{1}{2}$  ათასი კაცი, ამათში ოცი ათასი დაპატიმრებული იყო, ოლქის სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იყვნენ ცნობილნი 18,602 კაცი. შაშასადამე, ექედან სჩანს, რომ თითქმის 100 ათასი კაცი გამოძიების ქვეშ იყვნენ, ან სრულიად უსაფუძვლოდ, ან იმ გვარ დანაშაულობათვის, რომელნიც ექვემდებარებიან შომრიგებელ მსაჯულებს და ადმინისტრაციას.

ა. რამდენი უსამართლობა შეიძლება მოხდეს, როდესაც გამომძიებელს პასუხის გამცემი არავინა ჰყავს. როდესაც ბრალდებულს თავის გარდა მოსარჩევე არ მოეძევება. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში ეს ნაკლულევანება პროცეს-სისა კაი ხანია თავიდან აუცილებიათ, ასე რომ, მაგალითად, ინგლისსა, გერმანიასა და ავსტრიაში დაცვას თავდაპირველ გამოძიების დროს ისეთივე ადგილი უკავია, როგორც შემდეგ სტუარტე.

## II

აღვნიშნავთ, დასასრულ, რამდენსამე საზოგადო აზრს აღვოყატურის შესახებ და ამით დავამთავრებთ ჩეენს წერილს. აქ მკითხველის ყურადღებას ჯერ იმ გარემოებას მივაქცევთ, რომ დამცველი მარტი თავის კლიერტების კერძო ინტერესებს კი არ იცავს, არა, იგი ემსახურება ავრეთვე საზოგადოებას, მართლ-მსაჯულების ინტერესებს. მაშასადამე, აღვოყატურა ერთის მხრივ საზოგადოებრივი სამსახურია.

სამოქალაქო საქმეების დაცვა წარმოადგენს განსაკუთრებით კერძო ინტერესებისადმი სამსახურს, რაღაც სამოქალაქო სჯული ეხება მხოლოდ კერძო პირთა დამოკიდებულებას ურთიერთ შორის, ამ სფერაში საზოგადოებრივ ინტერესს აღვილი არა აქვს, ამიტომაც სამოქალაქო საქმეები ირჩევა სასამართლოში, კერძო პირთა და არა სახელმწიფო უფლების წარ-

მომადგენელთა ინიციატივით. რაც შეეხება სისხლის წამართლის, აქ დამცველი იცავს არა მარტო კერძო ინტერესებს, იგი ამასთანავე საზოგადოების მართლ-მსაჯულების მსახურიც ირის, მისი პროფესია სასამართლო მოღვაწეობის ნაწილია. როგორც ბრალდებითი უფლების წარმომადგენელი ემსახურება საზოგადოებას მით, რომ სდევნის ყოველგვარ დანაშაულობას, ამხელს, ბრალსა სდებს ბოროტ-მოქმედს სასამართლოს წინაშე, ისე დამცველიც მოვალეა ემსახუროს საზოგადოებას, თუმცა კი სხვა გვარ, სხვა საშუალებია, — მოვალეა აღმოუჩინოს შემწეობა უდანაშაულო პირს, იხსნის იგი უსამართლოდ ბრალის დადებისაგან, ან-და უნდა ეცადოს, რათა დამნაშავეს დანაშაულის შესაფერი სასჯელი გარდახდეს. „აი ასეთი შემწეობა, რომლით დამცველი ემსახურება მართლ-მსმჯულებას, — ამბობს პროფ. ფოინიცი, — აქცევს თვით დაცვას კანონის წარმომადგენლობად, საზოგადო სამსახურად. ხოლო ეს შემწეობა ბრალდების თანასწორი უნდა იყოს, და თუ ამ უკანასკნელს აქვს მტკიცე და ძლიერი ორგანიზაცია, მაშასადამე დაცვის ინსტიტუტის განვითარებაც აქეთ უნდა იქმნეს მიმართული. შორის არ არის ის დრო, როდესაც დაცვა ყოველმხრივ გაუსწორდება ბრალდებას და მზგავსად იმისა, როგორც არსებობს ეხლა ბრალდებითი უფლება, გაჩნდება დაცვათი უფლება (защитительная власть), რომელსაც დაცვის საქმე ექმნება ჩაბარებული. მომავალი გვიჩვენებს, თუ რა გზით და როგორ შეიძლება უკედ განხორციელდეს ეს აზრი, რომელიც, ავერ კი ხანია, გავრცელებულია მეცნიერთა შორის. ცნობილი ბერრიე სამართლიანიც უწოდებს დამცველს. „საზოგადოების რწმუნებულს“ (уполном. общество). ფრიდმანი პერდავს მასში „საზოგადოების წარმომადგენელს“ (Gesellschafts—anwalt) წინააღმდეგ პროკურორისა, რომელსაც „სახელმწიფოს წარმომადგენელს“ (Staats—anwalt) ეძახის; კარრარა კი ამავე მიზნით ამტკიცებდა, რომ უნდა დაარსდეს ეგრედ-წოდებული „დაცვის ტრაბუნატი“. ეს ტრიბუნატი, მისის აზრით, მდგომარეობს მასში, რომ სახელმწიფოს მიერ ინიშნება დამცველი, რომელ-



საც ეძღვევა გარდაწყვეტილი ჯამაგირი; მისი მოვალეობას, — იზრუნოს ყველა ბრალდებულთა და სამართალში მიცემულ პირთა ინტერესებისათვის, აძლიოს რჩევა-დარიგებანი, ააკილოს უსაფუძვლო და მძლავრობითი შევიწროებანი და დაიცვას მათი ინტერესები სასამართლოს წინაშე. და მართლაც, მხოლოდ იმ წამიდან, როდესაც გაჩნდება ასეთი „დაცვითი უფლება“, ყველაფრით თანასწორი ბრალდებით უფლებასთან, დიდებული პროცესიალური პრინციპი მხარეთა სწორ-უფლებისა, დღეს უფლებათა სფერაში მყოფი, გარდიქცევა ნამდვილ საქმედ, რეალურად განხორციელდება, ასე რომ დაცვის განვითარება, ვითარება საზოგადოებრივ სამსახურისა, არის იმავე დროს მხარეთა სწორ-უფლების პრინციპისა და, მაშასადამე, სამართლის დამოუკიდებლობისა ერთ-ერთ ამ მხარეთა გავლენისაგან მართლ-მსაჯულების საზიანოდ“ \*).

ვიდრე ადვოკატურა არ იქმნება ისე მოწყობილი, როგორც ამას მეცნიერება გვეუბნება, ესე იგი ვიდრე ადვოკატურას საზოგადო ხასიათი არ მიეცემა, ვიდრე იგი ყველასათვის მისაწვდომი არ გახდება, მანამდე ჩვენ ვერ ჩაეთვლით მას კეთილ-განწყობილად, როგორც ვერ მივიჩნევთ საქმიო პროფესიას სასურველ ნიადაგზე დაყენებულად იმ დრომდე, სანამ ექიმთა შემწეობით მხოლოდ საზოგადოების მცირეოდენი ნაწილი სარგებლობს. თვით საზოგადოებაც ძლიერ კარგად ჰგრძნობს საჭიროებას ამ გვარის ორგანიზაციისას ადვოკატურისათვის. რუსეთში, მაგალითად, არა ერთხელ უთხოვიათ ერობებს მთავრობისათვის: ნება მოგვეცით ვიყოლით მცხოვრებელთათვის დამცველნი, რომელნიც უნდა ირიცხებოდნენ სამსახურში და იღებდნენ გარდაწყვეტილ ჯამაგირს ისე, როგორც ჩვენვე გვყავს საკუთარი ექიმებით. ერთხელ იმასაც ამბობდნენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შემოიღოს ინსტიტუტი სასოფლო ადვოკატურისათ. მაგრამ ჯერ-ჯერობით, ჩვენდა სამწუხა-

\* ) იხ. პროფ. ფოინიცის „Защита въ угол. произ., какъ служение общественное“ გვ. 19—20.



როდ, ერთსაც და მეორესაც მოკლებულნი ვართ და, შექმნებულია, რუსეთში მაღე არ განხორციელდება რაიმე „დაცვის ტრიბუნატის“ მზგავსი. მართალია, რუსულ კანონებით შემოღებულია დაცვა დანიშვნით. ნაფიც ვექილთა საბჭო ან თავმჯდომარე სასამართლო დაწესებულებისა თავისს უფლებით ნიშნავს სისხლის სამართლის საქმებში დამცველს, თუ თანაბარის თხოვნით მიმართავს მათ სამართალში მიცემული პირი, ხოლო ასეთ დადგენილებას კანონისას არაფერი დიდი სარგებლობა არ მოაქვს. ამის მიზეზი გახლავთ: 1) კანონი ეხება მარტო სიხლის სამართლის საქმებს; 2) დამცველთა შორის ერთობ სუსტად არის გავრცელებული ის შეხედულება, რომ ადვოკატურა პირველ ყოვლისა და უმთავრესად საზოგადოებრივი სამსახურია, რის გამო დანიშვნით დაცვას ზერე-ქვერედ უცქერიან; 3) თეთი დანიშვნით დაცვას რამოდენიმე იმისთვის ნაკლელევანებანი აქვს, რომელნიც ხელს უშლიან საქმეების ბეჯითად, გულ-მხურვალედ ხელის მოკიდებას.

რა მოვალეობა აწევს ადვოკატს საქმეთა არჩევის დროს, ყოველგვარი საქმე უნდა აიღოს მან დასაცველად, თუ ზოგს შემთხვევაში უარი სთვას? ამ კითხვაზე, ცხადია, ჩვენვე უნდა ვუპასუხოთ „არათი“. ერთი უცნაური შეხედულებაა შემდგარი ადვოკატებზე, მაგალითად, თუნდ ჩვენში ხშირად გაიგონებთ შემდეგს სიტყვებს: „მართალი საქმისათვის ვექილი რად მინდოა“; სიმართლე თუ მაქვს, მაშინ მე თვითონ უკეთესი დამცველი ვარ და სხვ., თითქო დამცველი მოწოდებულია იცავდეს არა მართალს, არამედ მრუდე საქმეებს. ესეთი აზრი სწორედ დიდი მიუტევებელი შეცდომაა და სრულიად არაფრით ეთანხმება ქეშმარიტებას. როგორც ყოველი სხვა საზოგადო მოღვაწე, აღვოკატიც უწინარეს ყოვლისა იღჭურვილი უნდა იყოს მაღალ-ზნეობით, პატიოსნებით და არას დროს არ უნდა უმტყუნოს თავის რწმენას. იგი, მაშასადამე, მოვალეა აიღოს მხოლოდ მართალი საქმე და იმასაც ისე უნდა იცავდეს, რომ არ დაარღვიოს რაიმე კანონიერი ან ზნეობრივი მოთხოვნილება, არ ავნოს მართლ-მსაჯულების ინტერესებს, ერთის სიტყვით, არ

მიმართოს საქმის მოსახვებად რაიმე უმართებულო, არა-მოსაჭრო საშუალებას ანუ ხერხებს. მართალია, იგი იცავს კერძო პირს და, მაშასადამე, არას დროს არ უნდა ავიწყდებოდეს მისი ინტერესები, მაგრამ ამასთანავე იგი ემსახურება მართლ-მსაჯულებას, ისე რომ, პირელმა მეორე არ უნდა დაფაროს, უკანასკნელის ინტერესები არას დროს და არც ერთს შემთხვევაში არ უნდა უმსხვერპლოს კერძო ინტერესებს. აქ უნდა სუფედეს ურთიერთ შორის კავშირი: ცალკე პირის ინტერესებს ისე უნდა იცავდეს ადვოკატი, რომ იმავე დროს მართლ-მსაჯულებაც არ იჩაგრებოდეს და ვისაც კარგად აქვს შეგნებული თავისი დანიშნულება, მისთვის აქ დაუძლეველი არა არის-რა: ასეთია შეხედულება ადვოკატურაზე უკეთეს მის წარმომადგენელთა.

საფრანგეთის ადვოკატურამ, რომელიც, როგორც ზემოდაც ვთქვით, შედარებით მაღალ საფეხურზე დგას თავის განვითარებით, შეიმუშავა ერთი ჩინებული, მეტად მოსაწონი პრინციპი, აღიარებული შეურყეველ და უცვლელ დებულებად: „ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულებასაო“; იმ ფიცში, რომელსაც სდებს ნაფიცი ვექილი, იგი, სხეათა შორის, ამბობს: „აღვთქვამ და ვფიცავ... პრატისტი და ქეთილ-სინდისიერბდ ავასრულო ჩემი მოვალეობანი“ და სხვ.

აი კიდევ რას ამბობს ერთი ცნობილი რუსის პუბლიკისტი ადვოკატის სიტყვაზე: \*) „ღირსება და, მაშასადამე, ზედმოქმედება ადვოკატის სიტყვისა უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, ლაპარაკობს ადვოკატი წრფელის რწმენით, თუ არა. რაც უნდა მარჯვედ ლაპარაკობდეს დამცველი, რაც უნდა დახელოვნებული იყოს იგი რწმენის წინააღმდეგ ლაპარაკში, მის სიტყვას მაინც ის ძალა არას დროს არ ექნება, რომელიც ეძლევა ადამიანს, როდესაც იგი მტკიცედ დარწმუნებულია იმის სიმართლეში, რასაც იცავს... არ გადასცილდეს თავის დანიშნულებას,—ეს არამც თუ მოვალეობაა, მისი პირდაპირი

\*) იხ. კ. კ. არსენიევის: „Замѣтки о русской адвокатурѣ“, გვ. დიდები 162—166.

ანგარიშია, თუ იგი თავის სახელს უფრო მეტად აფასებს, ვი-  
დრე იმ წუთიერ სარგებლობას, რომელიც შეუძლია მოუტა-  
ნოს მას რწმენის წინააღმდეგ დაცემ. რწმენის წინააღმდეგ  
არ იღებს რაკავა — ამ წესით ისაზღვრება საზოგადოდ სისხლის  
სამართლის საქმეთა არჩევა. აღვოყატი, რომელიც კისრულობს.  
დაცვას სამართლში მცემულ პირისას, თუ სახეში აქვს მისი  
სრულიად გამართლებაზე შუამდგომლობა, უნდა ან დარწმუნე-  
ბული იყოს მის უდანაშაულობაში, ან ძლიერ ეჭვობდეს მის  
დანაშაულში ან და სთვლიდეს მას ზნეობრივ მართალ პირად,  
თუმცა-ლა იურიდიულად მისი ბრალი ცხადი იყოს... რწმენის  
წინააღმდეგ სასყიდლით დაცვა საზოგადოების სკინიდისს აშენო-  
თებს“...

ხშირად ხდება ხოლმე, რომ კანონი ერთს ამბობს და  
ზნეობა კი სულ სხვას თხოულობს. ვთქვათ, მაგალითად, \*)  
აღვოყატმა იცის, რომ ვინმემ გასესხებული ფული მიიღო, მა-  
გრამ სესხის ბარათი კი არ დაუბრუნა მსესხებელს; ან-და,  
ვთქვათ, მდგმურმა მიატოვა ბინა, მხოლოდ სრული ქირა არ  
გარდიხადა. ამას იგი იღიარებს გულაბდილად აღვოყატის  
წინაშე და სთხოვს მას, დამეხმარე და განმათავისუფლე ქირის  
გარდახდისაგან, ვინაიდან მოპირდაპირეს წერილობითი საბუ-  
თები არ მოეპოვებაო. როგორ უნდა მოიქცეს ამა და ამ  
მსგავს შემთხვევებში ვექილი? უნდა აიღოს თუ არა ამისთანა  
საქმეები? ამ კითხვას ერთი გადაჭრილი პასუხი აქვს: საქმე ის  
არის, რომ თუმცა ორსავე შემთხვევაში, გამსესხებელს და მო-  
ქირავნეს იურიდიული უფლება ხელთ აქვთ, მაგრამ ამ უფ-  
ლების წყარო, მისი დასაბამი უზნეობაა, მატყუკრობაა. აი,  
ამაზე ითქმის: non omne, quod licet, honestum est. აქ დამცე-  
ლი, რომელმაც იცის ეს გარემოება, მოვალეა მხარი არ მის-  
ცეს უზნეო საქციელს. თუ არ იცის და, მაშინ არავის არა  
აქვს საფუძველი დასძრახოს იგი ამისთანა საქმის აღებისათვის.

\*) იხ. გრ. ჯანშიერის: „Ведение неправыхъ дѣль“.

გამოცდილებაც იმასვე ამტკიცებს: სადაც ადვოკატურა სასტიკად იცავდა თავისს პროფესიის ზეობრივ იდეალებს, იქ მან დიდი სახელი და პატივი მოიხვევა საზოგადოებისა, იქ მას საზოგადოებრივი აზრი ჯეროვანად აფასებს. ძველად, რომში, პირველ ყოვლისა ადვოკატისაგან იმას თხოულობდნენ, რომ იგი ყოფილიყო „vir bonus“, ესე იგი პატიოსანი ადამიანი და შემდეგ ამისა, სხვა ლირსებას აქცევენ ყურადღებას: უნდა ყოფილიყო „dicendi peritus“ — ლაპარაკში დახელოვნებული. ისე არაფერს არ წაუწევია წინ საფრანგეთის ადვოკატურა, როგორც იმ გარემოებას, რომ ეს კორპორაცია მუდამ უანგარობის და პატიოსნების დევიზით ხელმძღვანელობდა. ამ ქვეყნის ერთს შესანიშნავს ორატორს ეულ ფავრს ერთ-ერთ თვისს სიტყვაში \*) ის აზრი გაჰყავს, რომ ადვოკატურას, როგორც კორპორაციას, როგორც წოდებას სახელმწიფოში, მხოლოდ მაშინ აქვს უფლება არსებობისა, თუ იგი, ერთ მჭიდრო და ძლიერ ლიგად შეერთებული, ცხოვრებაში მხოლოდ იმას გაატარებს, რაც სამართლიანია, დაიცავს მხოლოდ იმას, რაც კანონიერია.

თუ ასე მოიქცა ადვოკატი, იტყვიან ზოგიერთები, თუ მან ზემოდ დასახელებულ პრინციპით იხელმძღვანელა საქმეების აღების დროს, უმეტეს ნაწილს საქმეებისას დამცველი არ ეყოლებაო... არა, ბატონებო, ასეთი დასკვნა შემცდარია. ტყუილია ის აზრი, რომ პატიოსნად დაცვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საქმე არავითარ ეჭვებს არ ჰიბდებს. საეჭვო საქმეებიც ისეთის საფუძვლით შეუძლია აიღოს ადვოკატმა, როგორც უეჭვო, ყოვლად მართალი საქმეები, და იმავე დროს სეინიდისი არ შებლალოს, თავისს პატიოსნებას არავითარი ჩირქი არ მოსცხოს. ხოლო ამისათვის საჭიროა ერთი პირობა: ამისთანა საქმეები უნდა შეიცავდეს რამდენსამე, ან ერთ ნათელ მხარეს მაინც, რაც ადვოკატს ნებას აძლევს და არ თუ ნებას, იგი მოვალეა კიდეც თავი გამოიდეას და

\*) იხ. ულ ფავრის: „Адвокатские идеалы“.



მფარველობა გაუწიოს თავის მარტმუნებელს, ესე იგი ჭრდებია  
ჰკიდოს ხელი ამ ნათელ მხარეს და სოხოვოს მსაჯულთ რაიმე  
შეღავათი. ამ ნაირად, ამისთანა შემთხვევაში ადვოკატი იცავს  
არა მთელ საქმეს, არამედ მხოლოდ რამდენსამე ნაწილს იმი-  
სას.

გარდა ამისა არის ბევრი მისთანა საქმეებიც, რომელთაც  
არავითარი კანონიერი საფუძველი არა აქვთ. ადვოკატს აქაც  
შეუძლია თავისი სახელისა და პატიოსნების შეუმწიკვლავად  
იყისროს საქმე. როგორც ვთქვით, ზნეობა ხშირად ერთს თხო-  
ულობს, იურიდიული კანონები კი, სჯულ-დება სრულიად  
წინააღმდეგს. ეს გარემოება ჰქმნის სხვა-და-სხვა ინტერესების  
კოლლიზიას, რომელსაც კარგი მსაჯული, არმიმდევარი აფო-  
რიზმისა — fiat ius titia, pereat mundus'-სა, სწყვეტს ისე, რომ  
უპირატესობას აღლეს ზნეობრივ მხარეს.

აი სწორედ იგივე გარემოება აღლეს ადვოკატებს სრულ  
ზნეობრივ საფუძველს გამოექმადოს კლიენტს. ამის შესახებ  
ერთის წერილის ავტორი, \*) იძლევა კითხვას: რას უნდა მისცეს  
უპირატესობა ადვოკატმა, კანონს, თუ ზნეობას, და თეოთონვე  
ასე სწყვეტს ამ კითხვას: „ადვოკატი საზოგადოების წარმომა-  
დგენელია სასამართლოში. იგი მოქმედებს საზოგადოებრივ ინ-  
ტერესების სასარგებლოდ საზოგადოებრივ სიკეთისათვის კი  
ზნეობის მოთხოვნილებანი უფრო მაღლა სდგანან, ვიდრე კანო-  
ნის ბრძანება. მართლაც და, რა არის კანონი? იგი არის ფორ-  
მა ზნეობისა. მისი დანიშნულებაა — ძალდატანებით აასრულე-  
ბიოს ცალკე წევრთ ნორმები მორალისა („არა კაც ჰკლა“,  
„არა იპარო“, „არ მოატყუო“, „ყოველს თავისი მიუზღევ“  
და სხვ.) აქედან ის უნდა დავასკნათ, რომ კანონი უნდა იყოს  
ზნეობრივი, რომ უზნეო კანონი არის საშუალება, რომელიც  
მიზანს ვერ აღწევს. ეს უკანასკნელი შევიძლია შევადაროთ  
წამალს, რომელსაც ავადმყოფისათვის სარგებლობა კი არა, მა-

\*) ი. სტატია ბ. ვასკოვსკის იურიდიულ საზოგადოების ურნალ-  
ში, 1894 წ., ივლისის ნომერში ამ სათაურით: „О разборчивости при  
принятии дела къ защите (вопросъ адвокат. этики)“.



ვნებლობა მოაქვს. მსგავსად იმისა, როგორც ავადმყოფისათვეს უკეთესია სულაც არ მიიღოს ამგვარი წამალი, ვიდრე მიიღოს თავის თავის სავნებლიდ, აგრეთვე საზოგადოებისათვის ის უკეთესია, რომ კანონი უმოქმედოდ დარჩეს, ვიდრე განხორციელდეს იგი ზნეობის წინააღმდეგ. თუ ადვოკატი საზოგადოებრივი ინტერესების დამცველია სასამართლოში, იგი შემწეობას არ უნდა უწევდეს იმ მოდავეებს, რომელნიც ეძებენ კანონის მფარველობას ზნეობრივი პრინციპების მიუხედავად“.

ზემოდ ჩენ მიერ მოხსენებულ შემცდარი აზრის დასარ-ლვევად ერთ მოსაზრებასაც მოვიყვანთ. საქმე ის არის, რომ მსაჯულიც და დამცველიც, ორივენი უნდა ცდილობდნენ კა-ნონების ნაკლულევანებანი შეასუსტონ შეძლებისამებრ, ისინი, სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა იყვნენ კანონმდებლობის კო-რეკტიფიკაცია. ვთქვათ, რომელსამე სახელმწიფოში სისხლის სამარ-თლის კანონები ერთობ მყაცრია, ვთქვათ, ზოგიერთი სასჯელი არ ეთანაბრება საზოგადოების შეხედულებას დანაშაულის შესახებ. ნუ თუ აქ დამცველს არა აქვს ზნეობრივი უფლება იხმაროს უ-ველი კანონიერი ღონისძიება, რათა დამნაშავეს სასჯელი შე-უმციროს, იხსნას იგი იმ სასჯელისაგან, რომელიც კაც-მოყ-ვარეობის გრძნობას ეწინააღმდეგება და მის დანაშაულს არ ეთანაბრება? რა თქმა უნდა, ამისათვის დამცველმა არ უნდა უარ ჰყოს თვით დანაშაული, თუ ეს უკანასკნელი ცხადად მტკიცდება.

რასაკვიუველია, არა იშვიათად სულ სხვაგვარ საქმეებ-საც ვხვდებით ჩვენ ცხოვრებაში, რომელნიც, სიიდანაც არ მოუაროთ, ყოველმხრივ ბნელი, კუჭყიანი, ყოველ ნათელ მხარეს მოკლებულია. ამისთანა საქმეებს, ცხადია, დამცველი უნდა ერიდოს, თუ მას სწადია მართლ-მსაჯულებას ემსახუროს და არა უზნეობა-უსამართლობას, თუ მას ჰსურს წმინდად შე-ასრულოს თავისი დანიშნულება, არ უმტკუნოს თავისს რწმე-ნა-მოწოდებას, თუ უნდა, რომ მუდამ მაღლა ეჭიროს დროშა თავისს წილდებისა. ამგვარ საქმეებზე უარის თქმის უფლებას აძლევს თვით კანონიც: რუსეთში, როდესაც ნაფიც ვექილთა



საბჭო, ან სასამართლო დაწესებულების თავმჯდომარე ზოგებული დამცველს რომელისამე საქმის დასაცველად, უკანასკნელს ნება აქვს დაცვაზე უარი განაცხადოს, თუ საკმაო საპატიო საბუთებს წარმოადგენს (394 მუხ. სას. დაღვ. დებ.).

მართალია, მწერლობაში ზოგიერთი ზემოდ გამოთქმულ აზრის წინააღმდეგ ამტკიცებენ, რომ ადვოკატს შეუძლია დაიცვას ყოველნაირი საქმე, მიუხედავად იმისა, როგორია მისი ზნეობრივი მხარე, ნათელი თუ ბნელი, ოღონდაც კი საქმე მოსაგები იყოს სასამართლოში. ამ თეორიას მისდევენ ისეთნი ცნობილნი მეცნიერნიც კი, როგორც: ბენტამი, ფორსიტი, პიკარი, რომანიოზი და სხვ. იმავე აზრს მომხრეობენ, მხოლოდ არა საესებით კი (სისხლის სამართლის საქმეებში): მიტერმაიერი, ფოინიცკი და სხვ. ის მოსაზრებანი, რომელნიც მოჰყავთ ამ კატეგორიის მწერლებს ესეთი შეხედულების დასამტკიცებლად, ვერ არიან საკმაოდ დასაბუთებულნი და საზოგადოდ ერთობ სუსტ საფუძველზე არიან აგებულნი. ჩვენ დროში იურიდიულ ლიტერატურაში ბატონობს ის სწავლა, რომელიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენოთ. ამ სწავლას მრავლად მრავალი მომხრე ჰყავს, ძველ კლასიკურ მწერლებში ამათ ეკუთხის უმთავრესად კვინტილიანი; ევროპიელ მწერალთაგან დავასახელებთ: პიერ-ლე-ფონტენს, ლიურანს, ბომანუარს, ბუტილიეს, ლაროშ-ფლავენს, გუსსონს, მოლლოს, მუვილენს, დიუშენს, კანარდელს; რუსის მწერლებში: არსენიევს, ჯანშიევს და სხვ.

მაგრამ მარტო ის, რაც ვთქვით, არა კმარა სააღვოკატო მოღვაწეობისათვის; ადვოკატი გარდა იმისა, რომ ბრუნდ-მართალის გარჩევაში უნდა შედიოდეს, თავის სვინიდისს, პატიოსნებას არას დროს არ უნდა უღალატოს, მრავალ სხვა თვისებებითაც უნდა იყოს აღჭურვილი, რათა თვისნი მოვალეობანი სავსებით და უნაკლულოდ შეასრულოს. „კარრარა, დამსახურებული პროფესორი, რომელიც თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში თვით მოღვაწეობდა ადვოკატების კორპორაციაში, ყოველ დამცველისაგან თხოულობს: ცოდნას, ესე იგი ყოველ



საქმის საფუძვლიანად შესწავლის, გუდქოდგინებას, რომელიც კი მდგომარეობს მასში, რომ აღვოკატმა ყოველი კანონიერი საშუალება უნდა იხმაროს ბრალდებულის დასაცელად, სიმამართებას, ერთგულებას, უანგრინებას და კეთილშემძიებას.\*)

ხოლო იმ ფაქტებიდან, რომ აღვოკატი არის წარმომადგენელი საზოგადოებრივ ინტერესებისა სასამართლოში, არის ერთ-ერთი ორგანო საზოგადოებრივ სამსახურისა, გამომდინარებს ის საჭიროება, რომ აღვოკატურას უნდა ჰქონდეს კონკორდაციული ხასიათი, თვითშეართველობის პრინციპზე უნდა იყოს მოწყობილი. „კორპორიციას, — ამბობს არსენიევი, — შეკავშირებულს ჩეეულება - ტრადიციებით, თვით-მმართველობით და ზნეობრივი ერთობით იმისთანა შინაგანი ძალა აქვს, რომელიც მიუწდომელია კერძო მოსაქმეთათვის, რომელთაც, გარდა საქმის ერთგვარობისა, არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ტყუილად კი არ არსებობს კორპორაციული მოწყობილება აღვოკატურისა. რაც უნდა დიდის ყურადღებით და გულს-მოდგინებით თვალს ადევნებდნენ სასამართლო დაწესებულებანი აღვოკატებს, ეს ზედამხედველობა მაინც ვერას დროს ვერ გასწევს იმ დაწესებულების მოღვაწეობის მაგიერობას, რომელსაც ირჩევს ადგიურებატურაცია“. აღვოკატურა უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, რათა იგი სწორ-მოქმედებდეს, რიგინად ასრულებდეს თავის მოვალეობას. „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფლება აუცილებლად საჭიროა სისხლის სამართლის დაცვისათვის: უიმისოდ უკანასკნელი ბავშვის სათამაშოს ემსგავსება და სერიოზულ საზოგადოებრივ ინსტიტუტის სახელის ღირსი არ არის. იგივე გამოცდილება ჰმოწმობს, რომ მხოლოდ თავისუფლების საშუალებით დამცველებს შეუძლიათ შეიმუშავონ ტრადიციები, საჭირონი დაცვისათვის, როგორც საზოგადოებრივ სამსახურისათვის. მონობა, — ამბობს ამის შესახებვე კარრარა, — ზნეობრივ ხრწნის ადამიანს; რაც უფ-

\*) იხ. პროფესორის ფოინიცის: „Западта въ угля. проз., какъ служ. общество.“ გვ. 26.



რო შეტად დამოკიდებული იქნება ადვოკატების წოდებაზე ადამიანის მინისტრაციიდან ან პროკურატურადან, მით უფრო შეტად განვითარდება მასში ანტიპატია და რეაქცია აღმასრულებელ უფლების წინააღმდეგ; ადვოკატების დამცირება, რა თქმა უნდა, აღუძრავს მათ სურვილს რითომე გარდაუხადოს პროკურატურას პირადი შევიწროებისათვის, შეცდომაში შეიყვანონ და რაიმე დასცინცლონ მას ბრალდებულის სასარგებლოდ. <sup>(\*)</sup>)

აქვე, ვვონებ, მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვით ჩვენი ადვოკატურაც მოვიხსენით. მოგეხსენებათ, იმიერ-კავკასიაშიაც ახალ სამართალთან ერთად გაჩნდა ადვოკატურა იმ სახით, როგორც ეს რუსეთშია. ერთნაირმა პირობებმა ჩვენსა და რუსეთში იქონიეს ერთნაირი შედეგები. ძველის პროცესის წყალობით, როდესაც ყოველგვარი უსამართლობა, დაქრთამება და შრავალი სხვა ბოროტება ბატონობდა, როდესაც დაცვა გადაყენებულ ჭ სამსახურიდან გამოვდებულ მოხელეების, უვიც მოსაქმეების, „ქუჩის“ ხელში იყო, დღესაც ცუდის თვალით უცქერის ჩვენი საზოგადოება ადვოკატთა წოდებას. ალბად, ძველი შთაბეჭდილება მეტად ძლიერი ყოფილა, რომ მან აქამდე გასტანა. რუსეთში ადვოკატურას მეტად დიდი ბრძოლა დასჭირდა, მეტადრე პირველ ხანებში, რომ საზოგადოებას მცირეოდნად მაინც შეეცვალა ძველი შეხედულება ადვოკატებზე. სვინიდი-სიერმა შრომამ, თავის საქმის ცოდნამ შესამჩნევად წასწია წინ ეს წოდება! საადვოკატო ასპარეზზე გამოჩნდნენ აგრეთვე რამდენიმე დიდად მაღალ ნიჭიერნი და ვანვითარებულნი მოღვაწენი, როგორც, მაგალითად, სპასოვიჩი, ანდრეევსკი, კორაბჩევსკი, პლევაკო, ურუსოვი და სხვ. ამათ და ნაფიც ვექილთა საბჭოების მეოხებით ამ ბოლო დროს რუსის ადვოკატურამ, ცოტა არ იყოს, პატივი მოიხვეჭია, საზოგადოებაში თან და თან ვრცელდება ის აზრი, რომ ადვოკატურა საზოგადოებრივი სამსახურიაო.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სასამართლო წესდებათა“ გამოცემამ ძირეულად გარდაქმნა იურიდიული

<sup>(\*)</sup> იხ. იქვე გვერდები 25—26.

წყობა რუსეთისა და ცხოვრებაში შეიტანა ის პრინციპები სა-  
მართლის მოწყობა-წარმოებისა, რომელიც შეიმუშავა ევრო-  
პიულმა მეცნიერებამ, ძველნი ნაკლულევანებანი კი მართლ-  
მსაჯულებისა ზოგი მთლად მოსპო და ზოგიც ძალზე შეასუს-  
ტა. „მოელი ჩვენი სასამართლო პრაქტიკა,—ამბობს ბ. სლი-  
ოზბერგი, —წარმოადგენს შედეგს არა მარტო მოსამართლეთა  
მუშაობისას, არამედ ადვოკატებისაც, ამ თანაშემწეოთა მართლ-  
მსაჯულების. ესენი შეძლებისამებრ ცდილობდნენ ემსახურნათ  
საზოგადოებისათვის ისეთის პატიოსნებით და უანგარობით,  
როგორც ამას თხოულობდნენ ახალი კანონები. ამათ და მხო-  
ლოდ ამათ ამცნეს და შეაგნებინეს ხალხს შესანიშნავი სიტყვი-  
ბი იმპერიატორის ალექსანდრე მეორისა: „სიმართლე და შებ-  
რალება უნდა მეფობდნენ სასამართლოში“. წინად თუ მართა-  
ლი და გამარჯვებული ის იყო, ვისაც მეტი ძალა და სიმდი-  
დრე შესწევდა, დღეს, ადვოკატების ენერგიულ ბრძოლის და  
მეცადინეობის წყალობით, ესეთი მოვლენა იშვიათ ნაკლს შე-  
ადგენს\*). აი რაოდენი ღვაწლი მიუძღვის რუსის ადვოკატუ-  
რას თავის სამშობლოს წინაშე!


ჩვენში კი ეს წოდება, მართალი მოგახსენოთ, უფრო და-  
ქვეითებულია. საზოგადოდ, იურიდიულ ცხოვრების პირობები აქ  
ისეთია, რომ არ შეეძლო ცუდად არ ემოქმედნა ადვოკატურის  
გავინთარებაზე. ნაფიც მსაჯულთა სამართლის და საბჭოების  
უქონლობამ, რომელთაც მრავალნაირი სამსახური გაუწიეს ად-  
ვოკატურას ყველგან, სადაც კი ისინი აღმოცენდნენ, დიდი ზია-  
ნი მისცა და დღესაც ძლიერ აფერებს ამ წოდების წარმატე-  
ბას. ან რა სკოლას წარმოადგენს საზოგადოდ ჩვენი ცხოვრე-  
ბა, რომ ეს ნაწილი მართლ-მსაჯულებისა, — დაუცა გაფურქვ-  
ნილ-აღყვავებულიყო? ამიტომაც არის, რომ ჩვენ არ გვყვანან  
ამ სფერაში იმისთვის პირნი, რომელთაც ადგილობრივის ადვო-  
კატურის მდგომარეობის განკარგებაზე რაიმე შესამჩნევი გავ-  
ლენა ჰქონოდათ. არ არსებობს ჩვენში სპეციალური ლიტერა-

\*) იხ. ბ. ვასკოვსკის: „Организ. адвок.“.



ტურა, რომელსაც შეეძლო შეექმნა საზოგადოებრივი აქტოების  
წრეში, გაეწეს-რიგებია მისი საქმეები, არ გვყვანან მეცნიერნი  
იურისტები, რომელთაც შეეძლოთ ეკვლიათ ადგილობრივი იუ-  
რიდიულ ცხოვრების კითხები. ამიტომაც არის, რომ ჩვენში  
საადვოკატო ეთიკა, თუ კი ასეთი რამ აქ არსებობს, ერთობ  
სუსტობს, მას ერთიანობა აკლია; პროფესიონალური ტრადი-  
ციები, ჩვეულებანი, განსაკუთრებული წესები, რომელთაც და-  
სავლეთ ევროპაში ისეთი სავალდებულო ხასიათი აქვთ, რო-  
გორც კანონებს, სახელმწიფოს მიერ დადგენილებს, ჩვენში ჯერ  
უბრალო, ფუჭი სიტყვებია. ვინ იცის, რამდენი დრო უნდა,  
რომ ჩვენი ადვოკატურა ავიდეს იმ ხარისხამდე, რომელზედაც  
სდგას იგი დღეს ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, მეტადრე  
ინგლისში. შეგვიძლია მხოლოდ ერთი ვთქვათ, რომ ვიდრე ის  
პირობები, რომელთა შორის ჩაყენებულია დამცეკვლთა წოდება,  
დღევანდელი მისი უფერული მდგომარეობა მეტად გახანგრძ-  
ლივება და წარმატებაც საეჭვო საქმედ შეიქმნება.

გრ. ბგეღესიანი



## თავადი აკაკი წერეთელი

და

ძუთა აისის ბანები

თ. აკაკი წერეთელი სულ იმასა სჩივის წერითა, თუ სიტყვით, ჩემს „კრებულს“ არავინ ყურადღებას არ აქცევს და კარგს კი არა, ავსაც არავინ სწერს მის შესახებაო, სრული ჭეშმარიტებაა და უნდა მოგახსენოთ, თ. აკაკი წერეთელს უნდა ესმოდეს, მგონი, ამ მოვლენის მიზეზი. მისს „კრებულს“ ახალი ისეთი არა მოუცია-რა, რომ აღტაცებითი ქების მეტი არა დაუწეროს-რა კაცმა და თუ, ცოტათი არის, თავდაჭერილი და ზომიერი ქება სთქვი, ცუდიც რომ არა სთქვა, ჯვარს გაცვავს. ამიტომაც, თუ ჩვენი ლიტერატურა „კრებულის“ შესახებ სდომს,—ეს თ. აკაკი წერეთლის პატივისცემით მოსდის, არ უნდათ გააბრაზოს და გააჯავროს და ისევ სიჩუმე არჩიეს.

ხოლო, რასაკვირელია, მოთმინებასაც საზღვარი აქვს და უნდა გითხრათ მართალი, ამ ჩვენის მოთმინების საზღვარი დაარღვია ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა თავი. აკაკი წერეთელმა თუ თავისი მოქმედებითა და თუ წერით ქუთაისის ბანკის საქმეების გამო. მართალი უნდა ეთქვათ, უფრო „ხრიკიანი“ და ხერხიანი წერილები მე თავის დღეში არ წამიკითხავს ქართულს ენაზე, როგორც თ. აკაკი წერეთლის სამაისო „დიპლომატიური“ წერილები იყო\*) ამ ბანკის შესახებ და მერე თვით მისი სიტ-

\*) უცხო რამ იყო „კულაბზიქეთი“,—არაკი ბანკის არჩევნების გამო, სადაც ორ პარტიათ დახასიათება პარაზიტების სახელით ინება თ. აკ. წერეთელმა: თავისს არა სასიამოვნო პარტიის წევრებს ტილაძეები უწოდა

ყველა თვით ბანკის კრებაზე წარმოთქმული. მხოლოდ მე-VII ნო-  
მერის წერილმა, მადლობა ღმერთს, ძლიერ გაგვაგებინა საითკე-  
ნა აქვს თავი თ. აკაკი წერეთლის.

თ. აკაკი წერეთლის სიმპატია საითკენ იყო ქუთაისის ბან-  
კის ბრძოლაში, ყველამ დიდი ხანია კარგად იცოდა, ხოლო,  
მართალი გითხრათ, ქუთაისის ინტელიგენციას ვერ გაემეტები-  
ნა, ვერ გარდაეწყვიტა, რომ დიადის ნიჭით აღმეჭდილი პოე-  
ტი იქამდის დაეცემოდა, იქამდის დაბეხავდებოდა, რომ „კა-  
ლისტრატეს დემოკრატიულ პარტიას“ ამოუდგებოდა გვერდით.  
ვერ გაემეტებინათ-მეთქი თ. აკაკი წერეთლი ასეთის როლის  
აღსასრულებლად, მაგრამ თვითვე მოისურვა და იკისრა ეგრე-  
თი როლი, ამის დამატებიცებელი საბუთიც ხელში მოგვცა, და  
აბა ჩვენ აა ნება გვაქვს ეგრით, ძალით დაჩემებული, როლი წავარ-  
თვათ ენა-ტკბილს პოეტს.

თავ. აკაკი წერეთლი „ქუთაისის“ ბანკის გამო იმნაირს  
აზრს გამოსთქეამდა ხოლმე ბეჭდვითაცა და კერძოდ, რომ „ბან-  
კი ერთ წვრილმანს მოვლინებათაგანია და ზედაც ის დაა-  
კვდეს, ვინც წვრილმანობას ვერ გასცილებიაო“. პოეტური  
აზრია და ასეთის აზრის თქმის ნება აქვს თავ. აკაკი წერეთლის,  
როგორც პოეტურის ნიჭით აღმეჭდილს ბუნებას. ნიჭითა და  
ტალანტით აღმეტებული წარმომადგენელი ერისა, პოეტი, გინდ  
ფილოსოფოსი მეტად ლრმად უყურებს ცხოვრებას, მისს თვალ-  
თა ხედვებს უფრო დიდი ჰორიზონტი აქვს. იგი ვერ ურიგ-  
დება წვრილმანს საქმეს, რომელსაც თავზე იკვდება უბედური  
და დაჩაგრული მომაკვდავი, მას ვერ გადაალევს თავის სიცოხ-  
ლეს. უფრო სხვა მომავალისაკენ აქვს თვალი, უფრო შორს  
იცქირება, უფრო სხვა იდეალებისაკენ ისწრაფვის და ღიღილსა  
ჰვერის კაცთა — ამ დიდ ჭიანჭველათა გაფაციცებული სიჩბი-  
ლი და დავიდარაბა პატარა, წვრილმანის საქმისათვის. ასეთი  
ოლიმპიური შეხედულება სჩვევიათ პოეტებს ძველიდან დაწყე-

და თავისს საცარელს „უნერგითა და სიცოცხლით ალსავს“ ცოცხალ პარ-  
ტიის წევრებს — რწყილაძენი; ერთი დაავიწყდა მხოლოდ — ერთი ღამის  
პარაზიტი. მაგრამ....

ბული ახლებამდის და ვერც ვერავინ გაუბედავს მათ უთხოსტა, რატომ ჩენენსავით უბრალო და ბეჩავ მომაკვდავსავით არ მოქმედობთო.

თავ. აკაკი წერეთელმაც მოისურვა ოლიმპზე ასვლა და განაცხადა, ბანკის საქმე წერილმანია, მაგრამ მხოლოდ განაცხადა და თეოთ კი მეტად მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ საქმეებში. ჯერ გაეიხსენოთ ტფილისის ბანკის საქმეები. იქაც კი თავ. აკაკი წერეთელმა ქუთათური დიპლომატია გადაიტანა ბანკის ორჩევანებში და საქვეყნოდ განაცხადა საქვეყნო (ბანკის) საქმისათვის „პატარა ბილეთით“ ხელის გამარტვის ქრთამი როდი ჰქვიანო! (იხ. „კვალი“ № 20—1894წ.) და ამგვარად იქ, სადაც ქრთამი თითქმის არც კი ესმოდათ, ქრთამის თეორიულად გამარტლება და ქადაგება დაიწყო. ლიალ, წარმოიდგინეთ, რომ თ. აკაკი წერეთელს არ მისჩევია ბანკის საქმე საწვრილმანოდ, თუ კი იგი საქვეყნო საქმედ მიაჩნდა ათას რვაას ოთხმოც და ოთხხმეტში და თუ კი ამ საქვეყნო საქმისათვის ქრთამის... უკაცრავად, „პატარა ბილეთის“ გაცემა და აღება სიმარცხვინოდ კი არა, სასიქადულოდ მიაჩნდა.... ეს ყველა მართალია, მაგრამ შესაძლებელია კაცს, მით უმეტესს თავ. აკაკი წერეთელს, „ტფილისის“ ბანკის საქმე საქვეყნოდ მიაჩნდეს და ქუთასისა კი არა. მართალი არის, ტფილისის ბანკის საქმეში რომ ბანკის საქმე არად ეპრიანებოდა თ. აკაკი წერეთელს და მასს „ორთავა“ მეგობარს ამ საქმეში. აქ მათ დიადი აზრი ჰქონდათ საგნად: სამშობლოს დახსნა იმ მოღვაწის კლანჭიდან, რომლის დაფნის გვირგვინები ძილს არ აძლევს ამ ორ ვაებატონს. საზოგადო საქმეში მათი მოქმედების მთავარი მიზეზი მოლად ერთიანად მოთავსებულია იმ შურში, რომლითაც იგინი აღსავსენი არიან იმ მოღვაწისა და მისი დაფნის გვირგვინების მიმართ. რალა გაეწყობა, შურიც ხომ დიდებულ კაცთა თვისებაა და მაგასაც გვერდი ავუხვიოთ.

ვნახოთ თუ ქუთასის ბანკის საქმეებში მაინც დაიცვა თ. აკაკი წერეთელმა თავისი ოლიმპიური შეხედულება ბანკის საქმეზე, რომელიც „წვრილმან და უმნიშვნელო მოვლინებად“



აღიარა და „ზედ დაკლოშაც“ მარტო იმათ მიუსაჯონა უძინუა  
„წვრილმანობას ვერ გასცილებია და სხვა უფრო საჭირო ველარა  
დაუნახავს-რა“.

თ. აქაკი წერეთელმა სწორედ დაგვლალა ლაპარაკით ქუ-  
თაისის ბანკის წრევანდელ კრებაზე, ლაპარაკით თავის ივალ-  
მყოფობისა და პენსიის შესახებ\*); პენსიის შესახებ ვაჭრობაც კი  
დაიწყო: ეხლავ მომეცით წარსულის წლების პენსია, რადგან  
საექიმოდ უნდა წავიდეო, და სხვ. ხოლო რა საექიმოდ წა-  
ბრძანდა თ. აქაკი წერეთელი, ეს ყცელამ იცის.

თავისი სიჩუმე კრებებზე ავადმყოფობით ავიხსნა, თავის  
„ვითომ და“ გულ-გრილობას გულის ფრიალი დაუდვა მიზე-  
ზად და სხვ.

რა აძალებდა, ერთი ბრძანეთ, ავადმყოფს პოეტს, პოეტს,  
რომელსაც შეგნებული ჰქონდა სიწვრილმანე ამ საქმისა, რომ  
ბანკის კრებაში წარმომადგენლად წამოიჭიმა და ჯერ თებერ-  
ეალში ჩამოიჭრა ქუთაისში და გაცივებას თავი არ დაარიდა  
და შერე იმ საოცარ სიცხეში „ავადმყოფი“ ერთის კვირის გან-  
მავლობაში მუდამ კრებაზე იღლებოდა?

თ. აკაკი წერეთელმა ექიმის ხუნდაძის სიტყვები საოხუნ-  
ჯო მასალად იხმარა და ბევრიც გვაცინა: ბ-ნმა ხუნდაძემაო,—  
ბრძანა აქაკა წერეთელმა,—წრფელის გულით მირჩია, ნუ ხარ  
ამ კრებაზე, ხმაურობაა და შეიძლება აგადელვოს რაიმე და  
ცუდად იმოქმედოს შენზეო და ერთის საათის შემდეგ მითხ-  
რაო: „რატომ არას ეტყვი ამ კრებასაო, ხმა ამოიღე, ჩუმად  
ნუ ხარო!“ შე კი მგონია, რომ ბ-ნი ხუნდაძის სიტყვებში შე-  
ტად მწარე ირონია სჩანს და განკიცხვა პოეტის მთელის მო-  
ქმედებისა ამ საქმეში, მაგრამ თ. აკაკი წერეთელმა ყური მო-  
იყრუა და ვითომ ვერ გაიგო. თუ გითხრათ, რატომ არ წაბრ-

\* ) არა თუ ამ კრებაში, ეს ათი წელიწადია თ. აკაკი წერეთლის  
პუბლიცისტური წერილების უმეტესი ნაწილი ამ აზრის მქადაგებელნი  
არიან და სულ პენციაზე საჩიტრითა და საყვედურით არიან აღსავსნი, სულ  
იმას სტირის. თ. აკაკი წერეთელი, სიკვდილს მერე პარაკლისი და გვირ-  
გვინები რაღად მინდა, სიცოცხლეში დამეხმარეთო.

ძანდებითო, იმიტომ რომ, თუ ავად ხართ, წაბრძანდით და რაკი თქვენმა ცნობის-მოყვარეობამ იმსხვერპლა თქვენივე ზრუნვა თქვენის სიმრთელის შესახებ, მოგახსენათ: თუ დარჩით, რატომ არას იტყვითო, მით უმეტეს, რომ ამ დროს წაიკითხეს თქვენივე წერილი შარშანდელ „კრებულის“ მე-XII №-ში დასტამბული, ქუთაისის ბანკის გამგეთა შესახებ, საცა მათ საზიზდარ მოქმედებას ასწერდით. ამ ამბის დამწერი, ვინც უნდა იყოს, თუ ცოტათი არის სიწრფელე შერჩენია და პოეტური აღტაცება აქვს, მართლაც იყალმყოფი მოეიდოდა, რომ პირადად დაედვა მსჯავრი ამ გვარის გამგეობისათვის განკითხვის დღეს. ხოლო ჩენი სახელოვანი პოეტი თ. აკაკი წერეთელი კი სდუძდა, იმ წერილის შესახებ გაკვრით, რაღაც კილოკავადა სთქვით და მერე დასტამბულს წერილშიაც სხოლიოში მოაქციეთ რაღაც უმნიშვნელო შენიშვნა.

თ. აკაკი წერეთელი ჩუმად ყოველ ნაირად ეწეოდა „კალისტრატეს“, ხოლო ცხადად კი ხელს აფარებდა და აფარებს. მთელი მისი სიტყვიერება გათდა პენსიისა და ივალმყოფობისა საქმეს მხოლოდ იმით შეეხო, რომ „ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძის სიცოცხლით საესე მოძრაობასა და ენერგიას“ თაყვანი სცა და სახარბიელოდ მიიჩნია და გარდა ამისა ისა სთქვა, რომ ბანკი არასდროს არ მომწონებია, ყოველთვის წუნსა ვდებდი, როგორც დღეს, ისე ოცის წლის წინადაცაო. თავ. აკაკი წერეთელი ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი კაცია, რომ არ იცოდეს, თუ ამ სიტყვებს რა მნიშვნელობა ჰქონდა იქ შეკრებილის „ხალხისათვის“. ბ-ნ ჩიკვაიძის „სიცოცხლით აღსავსეობა“ საქმარისი იყო იმად მიეღო, თავ. აკაკი წერეთელს ჩიკვაიძე მოსწონსო. ის სიტყვები კი, რომ ბანკი ამ ოცი წლის წინადაც არ მომწონდაო, იმას ნიშანედა: „მაშ, ჩიკვაიძეს რაღას ვერჩითო“. კუდი კი მაინც დამალული დარჩა, გარკვეული ვერა გვითხრა-რა ჩენმა სახელოვანმა პოეტმა და მშრალი სენტენციებით დაგვმოძღვრა, სენტენციებით, რომელთაც, ვისაც საითქმ უნდა, იქითქმ გაიწევს: „მართლ-მსაჯულების კვერთი აიღეთ ხელში“, — ესე იგი ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძეს რას ერ-



ჩით, როცა ეგ ბანკი ყოველთვის მაგ მდგრმარეობაში მიუწოდეს „ავ-კარგი გაარჩიეთ და თვითეულს მათვანს საკადრისი მია-ზღვეთო“, — შეიძლება ბ-ნ ჩიკვაიძეს ზოგი ავი ჰქონდეს, მაგრამ კარგი თვისებები ბევრი აქვს, ხალხის მოყვარულია, გულ-შემა-ტკივარი, „ჭირსა და ლხინში მოზიარე“, „გაჭირვებაში ხელის გამმართველი“, ხალხის „პურ-ლვინით მიმღები“, „გულ-გაშლი-ლი და თავმდაბალი“ — და ამიტომაც საკადრისი მიუზღვეთო, ესე იგი გაათეთრეთო.

ასე გაიგეს ენა-მახვილის პოეტის სენტენცია და ასეც თურმე უნდა გაეგოთ, როგორც თვით იმ წერილიდან ვცნობთ, რომელიც ზედ მიაკერა თ. აკაკი წერეთელმა თავისს სიტყვას „კრებულის“ მე-VI ნომერში დასტამბულს.

ამ წერილში თავ. აკაკი წერეთელი იმ პროგრესიულ-ორგანოს ნალექს იმეორებს, რომელსაც ერთხელ თავისის „ჭრე-ლის ფიქრებით“ აჭრელებდა და მოჰყვება ბ-ნი ჩიკვაიძის ქე-ბასა და დიდებას და ოპოზიციის ლანდვასა და თრევას. ოპო-ზიციის შემდეგი დანაშაულებანი, შემდეგი უტაქტობა ჩაუდე-ნია ამ ბრძოლაში:

„ქუთაისის ბანკი თუმცა კოლლეგიურია, მაგრამ მაინც ჩიკვაიძის სახელით არის მონათლული, თითქო მის მეტი იმ ბანკში იღარავინ იყოს, გაკეთდება რამე თუ წახდება“.

თ. აკაკი წერეთელმა, პოეტმა, რომელსაც მიაჩნია „ბან-კი ერთ წვრილმან მოვლინებად“, რომელზედაც ზედ დაკდომა მარტო იმისთვის მიუტოვებია, ვინც წვრილმანობას ვერ გას-ცილებია, რადგან თვით „უფრო საჭირო“ საქმეებით გართუ-ლია — იმდენივე დრო მოანდომა ამ ბანკის საქმეებს, რამდენიც სხვა უბრალო მომაკვდავმა: შვიდი დღე კრებაზე იყო და სა-უბედუროდ თურმე ამ კრებებში წინდაწინე გაწერთნილის მსმენელობითა და მხედველობით დაბრუნდებოდა, როგორც სხვა მისი პარტიის ვაჟბატონები. ასე სჩანს მისი სიტყვები-დან.

აბა გაიხსენეთ, სახელოვანო პოეტო, და, თუ შეხსიერებამ გილალატათ, გადაფურცლეთ წრეუნდელის კრებების ანგარიშე-

ზი და იქ ნახავთ, თუ ოპოზიციის ყოველი წევრი გამგეობის მოქმედებას არა სდებდა ბრალს და კერძოდ ჩიკვაიძეზე თუ ან კრინტი ვისმე დაეძრას, სანამ თვით ბ-ნმა ჩიკვაიძემ არ გა-მოიწვია ამგვარი ლაპარაკი. გაღაათვალიერეთ ბ-ნ ა. ნანეიშვილის, თავ. ნ. თავდგირიძისა და ბ-ნ ხელთუფლიშვილის სატ-ყვები (ამთ დაიწყეს ლაპარაკი), თუ ან ერთი სიტყვაა ბ-ნ ჩი-კვაიძეზე და მარტო გამგეობაზე არ არის ლაპარაკი? ეინ ის-როლა პირველად პირადობისაკენ ბინძურის ჭორებით აღსავს ისარი, იმ გრძელსა და დუქნურს სიტყვაში, რომლის გა-გონებაზედაც თქვენ სიამოვნების ნერწყებსა ჰყლაპავდით, მგოსანო, „ჩანგის“ უფალო!?

ბ-ნი კ. ჩიკვაიძე არ იყო, რომ თავ. დ. წულუკიძე და ბ-ნი ა. ნანეიშვილი გამოარჩია დამფისებელ კომისიისაგან და ისიც კი არ დავიწყნია, თუ რო-დის, სად და რა მდგომარეობაში უნახაეს ა. ნანეიშვილი, თუ რა უთქვამს მისთვის კაბინეტში დ. წულუკიძეს და სხვ.?

თუმცა ეს მართლა-და ლაყბობა იყო და ენა-მახვილობაში ვარჯი-შობა, როვორც კიდევაც შენიშნა ერთმა ოპოზიციის წევრმა (ბ. ჯაფარიძემ), ეს კიდევ არ იქმარა და რაღაც ქალალი არხივი-დან გამოსძებნა, თავისებურად გადასთარებნა და ბ. ლ. ასათიანს ისეთი აზრები მოახვია თავზე, რაიცა სიზმრადაც არ მოსიზმრებია, მით უფრო, საზიზღარია ეგეთი მოქმედება, რომ ბ. ასათიანს თავის გამართლებაც არ შეეძლო, რადგან კრებაში კი არა, ქუთაის-შიაც არ იყო... ყოველივე ეს „დემოკრატიული“ მგოსნის გუ-ლის აღმაფრთოვანებელი სიტყვა, მევე კიტრებზე და ორსულ დედაკაცებზე ლათაიებით შეაზავა და ისე უძღვნა იქ შეკრე-ბილს „ხალხს“.

მაშ პირველი ბრალი ოპოზიციისა არის მგოსანის დიდე-ბულის ფანტაზიის შეთხეული და, რასაკვირველია, ყოველივე ფაქტიურს ნიადაგს მოკლებული. ეგეც რომ არ იყვეს და მარ-თლაც ოპოზიციის ბ-ნ ჩიკვაიძეზე ელაპარაკა, განა აქ იქ-შნებოდა რამე სასაყველურო? ზედამხედველი კომიტეტის შე-სახებ არა გვესმოდა-რა, რადგან ფორმალურის მხრით კო-მიტეტს ათასნაირი საფუძვლიანი შენიშვნა მიეცა გამგეობისა-



თვის, მაგრამ ბ-ნ ჩიკვაიძეს ყურადღებაც არ მიექცია დამატებული  
თი პასუხი გვიგო: სენატი გარდასწყვეტს ამ საქმეს ასე, მე კი  
მაინც ჩემსას არ ვიშლი, მინისტრი მიბრძანებს, მე არ აღვას-  
რულებ, კომიტეტი მუშტითა და კრივით ხომ ვერ დამაბალებს  
და ისე არ დავემორჩილებიო. აბა მითხარით, ასეთ რიხიანსა  
და თავ-გასულ კაცს, გაუშევდა რამე წინააღმდეგობას დანარ-  
ჩენი ორი წევრი გამგეობისა, რომელთაგან ერთის მოქმედება  
იმაში იხატებოდა, რომ უბიშო ქალიშვილივით წამოდგებოდა  
და მეორე „ვანკა-სტანკასავით“ წამოვარდებოდა ყოველ წეთ-  
ში და უთავ-ბოლოდ ლაქლაქებდა?

დამფასებელ კომისიის წევრებს (ზოგიერთს) ჩვენ კი არა,  
ბ-ნი ჩიკვაიძე და ლოლუა სდებდა ბრალს, მაშ, მათ უნდა  
დაემტკიცებინათ ბრალდება, მაგრამ იმდენზე უნიადაგო და  
უსაფუძვლო იყო მათი ბრალდება, რომ თეთი ერთი წევრი,  
გამგეობის ერთგული მონა და მორჩილიც კი იღმუოთდა იმ  
ცილის წამების გამო, რომელიც მათ ამხანაგებს მოახვიეს თავ-  
ზე. ხოლო დამფესებელის კომისიის თავმჯდომარებ თ. ნიუა-  
რაძემ კი ასე ვანაცხადა: ხელ-წერილს დიავსდებ პასუხი ვაგო  
ჩემის ჯიბილან, თუ ბანკს, რაიმე ზარალი მოუვა ჩვენის და-  
ფასებულის მამულებისაგან, ჩვენის დაფასების მიზეზით, თუ  
თვით გამგეობა არ დაავალიანებს ამ მამულებსაო. აბა, ასეთი  
რაინდული რამ თუ წამოსცდენია არა თუ სხვას, თვით მგო-  
სანს „კალისტრატეს“ პარტიისას.

სამი ორგანოსაგან, რომელიც განაგებს ბანკის საქმეებს,  
ჩვენ დავინახეთ, რომ მარტო გამგეობა არის ყოველივეში დამ-  
ნაშავე და სამ კაცში, რომელიც გამგეობას შეადგენს,—ბრა-  
ლი ვის უნდა ედებოდეს, თუ არ იმას, რომელიც არავის არ  
ემორჩილება, თუ არ მუშტია და კრივს? მეორე დანაშაული  
ოპოზიციისა ისა ყოფილა, რომ მისი წევრები თურმე ამბობ-  
დნენ: „ბრბო მიმხრო და დაბალი, გაუნათლებელი ხალხის  
გული მითი მოიგო, რომ მის სამარტვინო ინსტინქტებს ხელს  
უწყობსო! „ესეც გადაჭარბებულია“—ო, დასძენს ენა-მჭევრი  
მგოსანი. „ხალხს განა მარტო ცუდი ინსტინქტები აქვს?! ჩიკ-

ვაიძის კუთხი ის არის, რომ ალლო აიღო და ხალხის გული მოიგო, რადგან ხალხში, კირში და ლხინში მათ თანამოზია-რედ და ძველებურ ანდაზას „ამყოლს აპყევი და დამყოლს დაპ-ყევიო“! — ამართლებს, ზოგის ტირილში სამძიმრითა და თავში ტყაპუნით შედის და ლხინში მოლხენით არის, გაჭირვებულს ეხმარება და ამგვარად ჰებბლაც“. შემდეგ კი ისეთი სურათი მოჰყავს ბ-ნ ჩიკვაიძის ცხოვრებიდან თ. აკაკი წერეთელს, სხვა არა ვთქვათ-რა, მარტო პოეტის ესტეტიური გემო უნდა შეი-გინებია ამგვარ სურათს მისი დევ-გმირის ცხოვრებიდან. მას კი მის საღილებლადა და საქებრად მოჰყავს და თანაც, რასაკ-ვირველია, იმ ინტელიგენციის უმეტესობასა ჰკიცხავს.

„ხალხს მარტო ცუდი ინსტინქტები არა“ აქვსო, ვინ არის მაგის წინააღმდევები. ქუთაისის ოპოზიციაც იმასა სჩივის, რომ ბ-ნ ჩიკვაიძე სწორედ ამ ცუდ ინსტინქტებს მიჰმართავს ხოლმე და ქუთაისის ბანკის გამგეობის მგოსნისაგან „დემოკ-რატიულ ქცევად“ მონათლულ საშუალებით იგებს ხალხის გულს. ამის მაგალითები თვით თ. აკაკი წერეთელს მოჰყავს.

მე მკონია, რომ განათლება, რაც უნდა ცუდს ნიადაგზე იყოს იგი დაყენებული, მანც ჰმატებს რასმე კაცს, ავარჯი-შებს მისს გონებას და ის განათლება, რომელიც დღეს არსებობს ეეროპაში, თუმცა ზნეობას ვერაფერს დიდს შესძენს, ყო-ველს შემთხვევაში უფრო გაშალაშინებულია და გახვეწილი გა-ნათლებული კაცი. განათლებულის კაცის მოვალეობაა, კულ-ტურის ახალი ელემენტები შეიტანოს ცხოვრებაში. ცხოვრე-ბის მიმდინარეობა, განვითარება საუკუნოების შრომას თხოუ-ლობს და ყველგან განათლებული კაცი ყოფილი ამ მიმდინა-რეობის ინიციატორი, დამწყები.

წარმოიდგინეთ ეხლა, რომ კაცს, რომელსაც მიუღია უმა-ლლები განათლება, ჩამოვა თავის ქვეყანაში და ყოველ დამპა-ლსა და ხან-გადასულს ჩვეულებებს თავის ხალხისას მოიწონებს, ქვერს დაჭირავს და კიდევ მეტი — თვით გახდება მისი ყურ-მო-კრილი მონა. ამ შემთხვევაში თავის დღეში საზოგადოება და



ცხოვრება წინ ვერ წავიდოდა, ერთ დონეზე იქმნებოდა ფაქტურა რებული და გაყინული.

ისეთი განათლებული კაცი, რომელსაც საზოგადოებისა და ხალხის წინააღმდევობისა ეშინია, არა თუ უხლოებება ხალხს ყოველსავე მისს ცუდ და დასაძრახისს ზნე-ჩვეულებაში, არამედ იმაზე უფრო დაბლაც მიდის. ხალხს, რასაკეირველია, ის მოსწონს, თავისად მიაჩნია, თავის ძმადა და მეგობრად და ის კი არ იცის, რომ ეგეთი მტერი მას არა ჰყავს, იმიტომ, რომ ყოველივე ხალხის გასაკიცხ ზნე-ჩვეულების განათლების ავტორიტეტით მოსახს და კიდევ უფრო ღრმად ადგმევინებს ფესვებს ხალხში ამ ჩვეულებათ.

ხალხს, ბრძოს, ინსტიქტი აქვს, გონებაცა აქვს, მაგრამ დამჯდარი მსჯელობა, შორს მხედველობა და საგნის სიღრმით აწონ-დაწონვა უჭირდება ხოლმე და მხოლოდ ბოლოს გაიგებს თავის შეცდომებს და ვაი იმათი ბრალი, ვისაც ხალხი შეცდომაში შეჰყავს. ხალხი, ბრძო თუ ვათოთრდა, იმას საზღვარი აღარ აქვს, იმის ერთად-ერთი შურისძიების იარაღი -- ცეცხლი და მახვილია, მას მხოლოდ მისი მაცდურების სისხლი სწყურია და ხანდისხან ბრძოს ასეთი გააფთრება იმსხვერპლებს ხოლმე უდიდებულეს კაცთ, მაგრამ ამაშიც ბრძო და ამ ბრძოს მემკვიდრე შემდეგი ისტორიული ხანის ბრძო, იგონებს რა ძველ ცოდვებს, და-უსრულებელ სინაცილს ეძლევა.

თ. იკაკი წერეთელი იმერეთის ინტელიგენციას სწორედ იმას უწესებს, რატომ ხალხის ხან-გადასულ ზნე-ჩვეულებას არ ასრულებ და ამით ხალხის გულს არ იგებო? ეს სწორედ აზი-ური შეხედულებაა ინტელიგენციაზედაც და თვით საზოგადო ცხოვრებაზედაც! აბა შეხედეთ ჩვენ მოძმე ამერეთის ინტელი-გენციას, კარგად დაუკვირდით და ნახავთ, რომ მას მართლაც ბევრად უფრო შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა და ხალხსაც უფრო დიდი ნდობა აქვს მისი. აბა ნახეთ, თუ იქაურის ინტე-ლიგენციის მეთაურები ან თავში ტყაპუნით მიდიოდნენ ვისიმე სატირლად ან ქოშებითა, „მიმინოებით და მაკრინე, მაკრინეს“ ძახილით ხვდებოდნენ ეისმე. მაგრამ მათი ავტორიტეტი ხალხში

დიდად საფუძვლიანია და მტკიცე. ამერეთის ინტელიგენციაში თავისის ცხოვრებით, ზე-ჩვეულებით დიდი განსხვავება აქვს მთელს საზოგადოებასთან, მაგრამ საზოგადოება მას მაინც პატივისცემითა და ყურადღებით ეჭვევა. იქაც კი იყო დევნა „რუსეთუმებისა“ და „თერგ-დალეულებისა“, მაგრამ ეხლა ამ დევნულებს პატივითა და თაყვანის ცემით გჲყრობიან. იქ არსებობს საზოგადოება ინტელიგენციისა, რომელსაც აქვს თავისი კოდექსი პრინციპებისა და ზე-ჩვეულებისა.

მე ძალიან მაკვირვევდა ყოველთვის ერთი გარემოება: უნივერსიტეტში იმერეთის ახალგაზღობა უფრო მეტია რიცხვით და, უნდა სიმართლე სთქვას კაცმა, უკეთესიც არის თვისებით; ქართლ-კახეთის ახალგაზღობა რიცხვითაც მცირეა ხოლმე და თვისებითაც ნაკლები. ესეა უნივერსიტეტში, მაგრამ დაინახეთ ეხლა ცხოვრებაში ორივე ახალგაზღდა—იმერელი უმჯობესი და ქართლელი უარესი. ეს მეორე ყოველთვის მაღლა სდგას საზოგადოებაში და ცხოვრებაში თავისის კულტურულის ზე-ჩვეულებით, თავისის ინტელიგენტობით. იმერელი ახალგაზღობა მაღლე იცილებს უნივერსიტეტში შეძენილს ქერქს, სულძირს იწევს და ბოლოს, ზემოდაც მოგახსენეთ, ხალხს თავში კი არ უდგას, უკან მისდევს და მისი კაპრიზების მონა ხდება. ამის მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ იმერეთში არიან ინტელიგენტები, მაგრამ არ არის ინტელიგენტთა საზოგადოება. ეს ორიოდე ინტელიგენტი, რაც ძალი და ღონე აქვს, იმას ალევს, რომ, ცოტათ არის მაინც, შეირჩინოს კულტურული თვისებანი, განათლებულს საზოგადოებას კი ვერა ჰქმნის. ტფილისში კი ახალგაზღდა ყოველთვის ჰპოებს ეგეთ საზოგადოებას, იგი არასოდეს არ ჩჩება ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა და რაკი წვრილმანს არ უნდება, უფრო ახერხებს სხვა მოქალაქობრივი მოვალეობა აღასრულოს. თუ გინდ იმ მოვლენასაც დააკირდით, რომ იმერელი ინტელიგენტი თუ ტფილისში განათლებულთა წრეში ჩავარდა, ბევრად უფრო მაღლა სდგას თავისსაც მოძმე იმერეთში დარჩენილზე, მას ამ საზოგადოების წყალობით კულტურული ჩვეულებანი, უნივერსიტეტში შეძე-



ნილი, შერჩდება ხოლმე და კიდევაც უმტკიცდება ცხოვრისების. ჩვენი დიდებული და სახელოვინი პოეტი თავ. აკაკი წერეთელი კი კიდევ იმ ხანას შესტრფის, როცა ლუარსაბი და დარეჯანი ჰერზე ბუზებს ითელიდა და იმ ინტელიგენტს უკმევს საკმეველს, რომელიც ლუარსაბ თათქარიძის ტახტზე გადაგორგადმოგორებას ბიძავს, რათა მისი გული მოიგოს. ამისთანა საზოგადოებაში ისიც სადიდებელია, ვინც კი ლუარსაბს ზურგს შეაქცევს.

სრულიად გაუგებრობაა, ან-და თვალთ-მაქუბა, ხალხისა და მისი ისტორიის შეურაცხყოფა იმისი თქმა, ხალხის გული უნდა მოიგო მით, რომ მისი უნიადაგო და ხანს გადასული ჩვეულებანი აღასრულო. ხოლო ჯამბაზობაა აზრისა იმისი თქმა, რომ კაცს, რომელსაც არაეითარი სახსარი ცხოვრებისა არა გაქვს, შეგეძლოს ყველასათვის ფული და უფრო შრომა დახარჯო და მაინც ისე იცხოვო, როგორც ჩვენის სახელოვანის პოეტისაგან ცათამდის აყვანილი „ადვოკატი“, რომლის სურა-თიც სიამოენებით აღავენდებს მგოსანს:

„გამარჯობა შენი“, — ეუბნება თავ. აკაკი წერეთლის იდეალი ადვოკატი მასთან საქმეზე მოსულ სოფლელს, — გამარჯობა შენი! ახლა შენი თავი არა მაქვს: ხომ ხედავ, მიმინო ვეღარ მიმიყენია სასალილოზე?.. მომიცადე... მერე მოდი!... მაკინე, მაკინე!.. უბრძანე, სამზარეულოში შეიყვანონ ეს კაცი \*), ცოტა ღვინის დასალევი მიაწოდეთ და მანამდის მეც მოვიც-ლი“.

თუ ასეთი სურათები ხიბლავს თავ. აკაკი წერეთელს, ჰგავს, არა მარტო საზოგადოებრივი ინსტიქტი დაჭკარგვია, ესტეტიური გემოვნებაც დაუღუპავს.

ეხლა გადათვალიერეთ მეორე სურათი ადვოკატისა, რომელიც სახელოვანმა მგოსანმა პირველს დაუპირდიპრა, რასაკვირველია, მეორეს დასაგმობად და პირველის სადიდებლად.

\*) დახეთ გულ-მოწყალე ამქარს პოეტისას, კლიენტები, თურმე სამზარეულოში შეჰყავს... ესეც „დემოკრატიული“ ქევაა უთუოდ...

„სოფლელი დაქებს ადვოკატს“, — ბრძანებს სიტყვა წულიანი ანი პოეტი — „და მიდის პატიოსან ადვოკატთან, ის თავის სამ-წერლო ოთახში მედიდურად (?)! მიჯდომია სტოლსა და სწერს, საკლიენტოს აათვალიერ-ჩაათვალიერებს და შექმუხვნით ეუბნება: ჰო, კარგი, ახლა არა მაქვს დრო, მიბრძანდით გარედ, მოითმინეთ და რამოდენიმე საათის შემდეგ მიგიღებთ. კლიენტი უცდის, სადღაც გარედ. ბოლოს, როგორც იქმნება, მიიღებენ, გამოჰკითხავენ რა უჭირს? და საქმეს მისის დიდის სიამოვნებით ჰყიდებენ ხელს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ როგორც რიგი და წესია, ამდენი და ამდენი სასყიდელი უნდა ვადაიხადოს და ნაწილიც ამ თავითვე უნდა წარმოადგინოს (იხ. „კრებული“ № VI გვერდი 16) — ეს სურათი სწორედ ლუარსაბ-დარეჯანის თაყვანის მცემელის დახატულია, მას ბრაზსა ჰევრის სტოლი, გახამებული ჰერანგი, დროზე ზრდილობით და თავაზიანობით კლიენტის მიღება და არა ბრიყვ-მეგობრულად, რომლის სურათიც ზემოდ დაგვიხატა. ეს მეორე სურათი, სურათი „პატიოსანის ადვოკატისა“, ცოტა მოძველებულია და იმ დროინდელია, როცა ქუთაისში ადვოკატობის მონოპოლია ერთსა, თუ ორსა ჰქონდა და როცა ის ბობოლა ბატონობდა, რომელსაც ეხლა თ. აკაკი წერეთელი თვალ-ცრემლიანი გულში იკრავს. თ. აკაკი წერეთელს ცხოვრებაზე დაკვირვების საზღვარი მეტად შემოუფარგლავს და ასე წარმოუდგენია, კიდევ იმავე დროში ვცხოვრობთ, როცა ქუთაისში ადვოკატობას მარტო ბ-ნი ლოლუა ჩემულობდა, — ეს იმ აზრით მოუსურებდა თ. აკაკი წერეთელს, რომ ერთი მეტი ქვა კიდევ ესროლა ოპოზიციისაკენ... ჩენც გვინახავს ადვოკატები და ვიცით, რომ სრულიად ეგრე არა სხედან, როგორც თავ. აკაკი წერეთელი აღგვიწერს. ჩვენ ეიცით ადვოკატები, რომელნიც ბევრის საქმეს მუქთად იცავენ და ამათ არავითარ სასყიდელს არა სთხოვენ, არც „პატარა ბილეთს“ და არც პატა-რას ავე კენჭს, ხოლო თუ ყველა „მოკენჭს“ ისე ვერ ექცევიან, როგორც მგოსნის კალთის ქვეშ შეხიზული, იმიტომ, რომ ბანკი არა აქვთ და არც მიაჩნიათ „ხელის გასამართავად“.



დაუნიშნეთ მათ ექვსასი, გინდ ხუთასი თუმანი წელიწლში და  
პირობას შეგიკრაეთ, ყოველი საქმე უსასყიდლოდ დაიცვას. \*)  
ეს ძლიერ კარგად იცის სახელოვანმა პოეტმა, რომელსაც მიაჩ-  
ნია „ბანკი ერთ წვრილმან მოვლინებად“ და „ზედ დაკდომაც“  
მას მიუსაჯა, ეინც წვრილმანობას ვერ გასცილებია!... კარ-  
გად იცის მეთქი ყოველივე ეს, მაგრამ განა მგონის ბამბაც  
კი არა ჩხრიალებს მაშინ, როდესაც სხვასი კაკალიც ვერ  
ჩხრიალებს.

რაიცა შეეხება ო. აკაკი წერეთლის მოწონებულ „ადვო-  
კატის“ გულ-მოწყალობას, ეგ ჩვენ, რასაკვირველია, არ ვი-  
ცით, ხოლო ის კი ძალიან კარგად ვიცით, რომ იმერეთში არ  
გვინახავს ადვოკატი, რომელსაც იმდენი საცხოვრებელი შეე-  
ძინოს და ქართველ ადვოკატს კი არა, ქართველ კაპიტალისტს  
არ შესძლებია იმდენი ხარჯი, ზოგი სადილებზე და ზოგიც  
„პატარა ბილეთების“ გაცემაზე... მაგრამ დამავიწყდა, რომ ო.  
აკაკი წერეთლს მიაჩინია „ბანკი წვრილმან საქმედ და ზედაც  
ის უნდა დაკვიდეს, ვინც წვრილმანობას ვერ გასცილებია“ და  
აბა, სად ეცალა მაგისტანა დაკვირვებისათვის, მას უფრო დი-  
დი საქმე ჰქონდა, „პატარა ბილეთების“ ოეორიის შეთხვა და  
იეზუიტების „ინდულგენციის“ გამართლება სხვა-და-სხვა უმაღ-  
ლესის მოსაზრებით.

თ. აკაკი წერეთელი, რომელსაც „სურს მხოლოდ, რომ  
ოპოზიციამ შემდეგში სიფრთხილე იქნიოს, უკეთ დაიჭიროს  
თავი და სხვ.“, \*) — უსაყველურებს ოპოზიციას, რატომ თქვენ  
კი არ ცდილობთ, რომ ხალხის გული თქვენც ჩიკაიძე-  
სავით მოიგოთ, — მაგრამ უფრო კეთილად მოიხმაროთ, თუ  
ის პირათი სარეკლობისათვის ხმარობს ხალხის გულს, თქვენ

\* ) ხოლო ბანკი უთუოდ ამაზე ნაკლებ სუბსიდიას არ იძლევა, თუ მის მმართველთ უფასოდ საქმის დაცვაც შეუძლიათ და „სოფლელთა“ სამზარეულოში გამოკვებაც.

\*.) უკეთესი კი იქმნებოდა, ეგრეთი გულ-მტკიცნეულება, „კვალის“ პუბლიკისტთაგან შესწავლილი, „კვალისავე“ მეთაურებისათვის შეენახა თავი. აკა კი წერეთელს.

საზოგადო საქმისთვის ისარგებლეთო და თანაც მოჰყავს სპეციალური და-სხვა მაგალითი იქნებოდებოდა პოლიტიკისა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, თუ „პატარა ბილეთის“ გაცემა და აღება საგმი-რო საქმედ იყო მიჩნეული 1894 წელში, ესლა რაღად უნდა გავვიკვირდეს, თუ იმას გვირჩევს ჩვენი სახელოვანი პოეტი და სახელ-გატეხილი პუბლიცისტი, რომ ხალხის უმსგავსო ჩვეულე-ბათ და ცუდ ინსტინქტებს თაყვანი ვცეთ, ამით ხალხის გული მოეიკოთ და ამნაირად საქმე გავაკეთოთ. ეს ასეა, მაგრამ ეგე-თი პოლიტიკა დაგმობილია ისტორიისაგან და შეჩვენებული. თუ რომელსამე პირს, ან-და ჯვუფს უსარგებლია უზნეო საშუ-ალებებით და ამ საშუალებათა შემწეობით დიდი სარგებლობა მოუტანია ერისა და ქაყანისათვის, მას ისტორია აპატივებს ხოლმე ზოგიერთს ცუდს მოქმედებას და ეს მხოლოდ მაშინ, თუ დიდი საქმე სისრულეშია მოყენილი, აგრე რომ ვთქვათ post factum, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, გონიერებასა და შორს მხედველობას მოკლებული, ზნეობაც რომ არ მივიღოთ სახეში, წინდაწინვე მისცე კაცს ნება ყოველივე სიბინძურე ჩა-იდინოს, იმ აზრით, რომ საზოგადო სასარგებლო საქმე დას-რულოს. მაგას რომ მივჰყეთ, ყოველივე საზიზღრობის მოქ-მედი უნდა გავამართოთ, თუ კი პირში მოგვაჩრის საზოგადო აზრისა და საქმეს.

თავ. აკაკი წერეთელს მაგალითი მოჰყავს თავისი დიდე-ბულის აზრის გასამშვენიერებლად ვიღაც „პატრი ფილიპეს“ ამბავი და ამის წინააღმდევები არა ვართ, მაგრამ ის კი არ შე-ენდობა პოეტს, რომელსაც „ბანკი მიაჩნია წვრილმან საქმედ და ზედაც ის უნდა დაკვდეს, ვინ წვრილმანობას ვერ გასცი-ლებია“, არ შეენდობა მეთქი ასეთის სიამაყით გადმომცემალს პოეტს, რომ ბანკის მართლა-და წვრილმანს ჭორებში, ჩაურია სახელი კაცისა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას წმინდანად მი-აჩნია. არ შეენდობა იმიტომ, რომ ის ამბავი, რომელიც მას მოჰყავს თავის წერილში, ჩვენ საეჭვოდაც რომ არ მივიჩნიოთ და ბანკის წვრილმანით გატაცებულის პოეტის ფანტაზიის ნაყო-ფად ჩაეთვალოთ, ყოველს შემთხვევაში არ არის დამასურათებელი



იმ კაცის დიადის სიწრფელითა და თავ-განწირულებით აღსავსის ხასიათისა. ეგეთი რამ კიდეც რომ ეთქვა ღვთივ-განსვენებულს იმერეთის მღვდელთ-მთავარს, მაინც რაღაც დაუკვირვებელი ნათქვამია, უცაბედად წამოსცდომია, თორემ ყოვლად შეუძლებელია მისი ზომაზედ მეტი წრფელის სულისაგან ეგრეთი იეზუიტურის პოლიტიკის კანონიერად განცხადება, მაგრამ ჩვენა გვეონია, თ. აკაკი წერეთელს კარგად ესმოდა, რა უსაფუძვლო ნიადაგზე იდგა და ავტორიტეტების ხელის ჩაჭიდება მოინდომა, და ამ ავტორიტეტებს ის წარმოათქმევინა, რაიცა მათ ავტორიტეტობას სამარეს უთხრის.

„ქვეყნის გულის მოგება უჭიუობა არ არისო“! ამ სენტენციით ათავებს თ. აკაკი წერეთელი იმ იეზუიტურის ხერხების გამართლებას, რომელიც ვიღაც პატრი უხმარია. ჭეშმარიტია და „ქვეყნის გულის მოგებისთვის“ იბრძვის ყოველი საზოგადო მოღვაწე, მაგრამ გულის მოგებაც არის და გულის მოგებაც. გულის მოგება იდამიანისა და ერისა ამ ერის თვალების დაპრამავებაზე როდი უნდა იყოს დაუუძნებული, არამედ ერის ჭეშმარიტ ინტერესების შეგნებაზე.

ხალხი იდვილი მოსახისლველია და მოსაჯადოვებელი. „ხალხის გულის მოგებით“ ისარგებლეს რომის ტირანებმა და ნაპოლეონ III. მაგრამ ეს გულის მოგება კი არა, გულის მოტაცება იყო და გონებისათ.

ჩვენც მაგასა ვტირით, რომ ხალხს თვალებს უხვევენ და მისი წუთიერის გატაცებით სარგებლობენ, მისი მომავალისათვის კი საზიანო საქმეს სჩადიან. „პურ-ლვინით მიღება, გულგაშლილობა, თავდაბლობა“ (სამზარეულოში კლიენტის მოწვევაც თაემდაბლობაა თურმე) საძრახისი როდიაო. დიალაც მართალია, თუ რომ ამით არ გინდა ხალხი მოჰქიბლო და მისითვის საჭირბოროტო რამე მოიმოქმედო იმისავე შემწეობით. მერე ხალხი რაღაც საუკუნოდ უძრავი რამ ხომ არ არის, ხალხი კრებულია ინდივიდუუმთა, ეს კრებული დღეს სულ სხვა პირთაგან შესდგება, ხვალ სულ სხვისგან იქნება შემდგარი; დღეს ხალხს მამები შეადგენენ, ხვალ შეილები. ვინც ცდილობს

იხელმძღვანელოს ხალხის სიბრძავით და მისი წინდაუხედავის-  
ბით, შეიძლება დღეინდელის ხალხის გული მოიგოს, თორემ  
ხვალინდელის წყვევას შეიძენს. მოწინავე კაცსა და განათლე-  
ბულს კი ის მოეთხოვება, ხალხის საფუძვლიან საქმეს ემსახუ-  
როს და მომავალის გულის მოგებას ეცადოს. დღეინდელი  
ბრბო, ხალხი თავის წინასწარმეტყველს ჯვარს აცმევს, ხვალინ-  
დელი კი ღმერთად დასახავს, დღეინდელი ბრბო პირჯვარს  
დაიწერს, ხვალინდელი კი წყვევლით მოიხსენიებს და აბა ბრბა-  
ნოს თ. აკაკი წერეთელმა თუ მთელი ისტორია კაცობრიობისა  
იმისი უტყუარი მაჩვენებელი საბუთი არ არის, რომ ყოველ-  
თვის ისა ყოფილა კაცობრიობის სამაგალითოდ დასასახავი,  
რომელიც დღეს გვემული და დევნული ყოფილა და ხვალ კი  
განდიდებული.

ესეც კია, ნუ თუ ბ-ნი ჩიკვაიძის აღმომრჩეველნი მართ-  
ლა-და ხალხს შეადგენენ და ან რაიმე ნაწილს ხალხისას? ვის-  
გან შესდგებოდა ეს ვითომ და ხალხი?

1) პოეტისაგან, რომელსაც „ბანკი მიაჩნია წვრილმან მო-  
ვლინებად“ და „ორთავა“ პუბლიცისტისაგან, რომელსაც უფ-  
რო სხვა „მაღალი მოსაზრებანი“ ამოქმედებდა... განცხადება-  
თა ჯავრი აწუხებდა.

2) სხვა-და-სხვა ბობოლასაგან, რომლის ბედი და იღბალი  
დამოკიდებულია ბ-ნ ჩიკვაიძეზე, მით არავითარი ზნეობრივი და  
გონებრივი დამსახურება არ მიუძღვით, არავითარი ინტერესი  
და არავითარი გავება არ აქვთ საზოგადო საქმისა, ერთად-ერ-  
თი ძალ-ლონე მათი ბ-ნი ჩიკვაიძეა. ერთმა გულ-წრფელმა „ნე-  
იტრალმა“ მითხრა, ესა და ეს ინტელიგენტები იმიტომ აძლე-  
ვენ მხარს ჩიკვაიძეს, იციან რაკი ოპოზიცია გაიმარჯვებს, ვე-  
რავითარ საზოგადო საქმეში ვეღარ გაერევიან, ოპოზიციაში  
იგინი არად გამოჩედებიან; კარგად იციან, მარტო ჩიკვაიძის  
მფარველობის ქვეშ შეუძლიათ იშოვონ, თუ გინდ ისეთი მცი-  
რე ადგილი ხაზოგადო საქმეში, როგორც ბანკში წარმომად-  
გენელობა არისო“ და ეს საზოგადო საქმეში წამოჩეირება ერთ



გვარი უგნური თავმოყვარეობისა და განლიდების სურვილის  
შედეგია.

3) გამგეობის წევრების რამდენიმე კრედიტორთაგან, რომელთაც იმდენზე ეინტერესებათ ბანკის საქმე, რამდენადაც მათი ვალი გარდახდილ იქმნება.

4) მსესხებელთაგან, რომელთა მამული ბანკზე არის დარჩენილი, ამ მამულების გამო ბანკი წელიწადში 20 ათას მანეთს ზარალობს, ეს ზარალი ნამდვილად ხალხს აწვება კისერში და ჩვენი ბანკი ხდება სათარეშოდ 50, გინდ 60 დაუდევარის მსესხებელისა, რომლის დაუდევრობა ბანკს და ხალხს რამდენ-სამე ათას მანეთად უზის წელიწადში.

5) 60 თუ 70 „დამფასებლად გამზადებულთაგან“, რომელთაც ფიც ქვეშ ჰქონდათ დაპირებული, დამფასებლად აგირჩევთო. ამ ორის უკანასკნელის კატეგორიის ამომრჩევლები ჩიკვაიძის მთელ ამომრჩეველთა  $\frac{1}{3}$  ნაწილს შეაღენდნენ.

ეს გახლავთ, ბატონებო, ის ხალხი\*), ის ბრბო „ბან-კის ამომრჩეველია“, რომელმაც გაამარჯვებინა ბ-ნ ჩიკვაძიძეს ჩვენ კუდრაჭა სუტ-დემოკრატთა სასიხარულოდ და საბენიი-როდ და სწორედ მათის დემოკრატობის სავნად მხოლოდ ეგრეთი სახის ხალხი შეიძლება იყოს და არა სხვა.

\*) ჩვენი ჭორიკანა პუბლიცისტები, რასაკვირეელია, იმას მოგვახ-  
ლიან პირში,—ეგვიპტი იყვნენ იმ ხალხის წარმომადგენელნი, რომელნიც ბ-ნ  
ჩივაიძეს ირჩევდა ამ ცხრა წლის განმავლობაშით, ჭორი ჭორია,—საქმე  
კი სხვაა. ბ-ნ ჩივაიძის ამომრჩეველი ხალხი, ყოველთვის ჩიჩიკოვის ჩყვდა-  
რი სულები“ იყო. ბ-ნ ჩივაიძეს ხალხი კი არ ირჩევდა, „ვექილობები“  
ირჩევდნენ, (ამ ვექილობებს ათასობით წარადგენდა ხოლმე კრების დროს).  
და ეს „ვექილობები“ სწორედ იმავე „მკვდარ სულთაგან“ იყო შედგენი-  
ლი, ხოლო ახალის წესის შემდეგ მსესხებელთა შორის იშვა უმეტესობა,  
სწორედ იქ, საცა, ისევ ჩიჩიკოვის პოლიტიკას მიჰყო ხელი, ესე იგი, მსეს-  
ხებელთა სიები ჩატმალა და ისევ „მკვდარ სულებს“ მიმდინარეობდა ხოლმე.  
განა ეს არ იყის სახელოვანმა მგოლანა.... მაგრამ, არა,—მას „ბანკი მიჩ-  
ნია წვრილმან მოვლინებად და ზედაც ის უნდა დაკვდეს, ვინც წვრილ-  
მანობას ვერ გასცილებია“.

ოპოზიციამ, თურმე, ნამდვილ საბუთებს საეჭვოებიც  
 მიუმატა: არ გვიბრძანა კი მდიდარის ფანტაზით დაჯილდო-  
 ვებულმა პოეტმა, რომელი საეჭვო საბუთი წარუდგინა ოპო-  
 ზიციამ საზოგადოებას. საეჭვო და ყალბი საბუთები, რო-  
 მელმა მხარე წარმოუდგინა — ეგ საზოგადოებამ იცის და დამს-  
 წრეთაც კარგად იციან, მაგრამ თ. აკაკი წერეთელი აბა სად  
 შეამჩნევდა ამგვარ წვრილმანს, მას ხომ „ბანკი მააჩნია წვრილ-  
 მან რამედ და ზედაც ის უნდა დააკედეს, ვინც წვრილმანობას  
 ვერ გასცილებია“. დიდებულ პოეტს უფრო საჭიროდ დაუ-  
 ნახავს ჩიკვაიძის ბაშბის დაჩხარუნება და ოპოზიციის კაკლისაც  
 კი არა. ერთი, მხოლოდ ერთი დაეიწყნია ბრწყინვალე პოეტს,  
 ის, რომ ზღაპრებს ეხლა გასავალი როდილა აქვს და მართლ-  
 მორწმუნეთა გუნდი ერთობ შემცირებულია, ერთი მაინც ეჩვე-  
 ნებინა გამგეობის მგოსანს მაგალითი, რომელი „საეჭვო საბუ-  
 თი“ წარუდგინა ოპოზიციამ კრებას, თორემ ის ბრძანებს წა-  
 რუდგინაო, მეორე იტყვის არაო და თუ იმის იმედი აქვს, მას  
 უფრო დაუჯერებენ, ასეც რომ იყოს, მით უმეტეს არ უნდა  
 სთქვას არავითარი უსაბუთო. კანონი როგორ არ იცის და-  
 ლოცვილმა პოეტმა სამართლისა და სიმართლისა: როცა ბრალ-  
 სა სდებ ვისმე, უნდა დაამტკიცო ფაქტი, რომლის ჩამდენადაც  
 მიგაძნია ბრალდებული...

ზემო მოყვანილის სიტყვების შემდეგ სახელოვანი მგოსა-  
 ნი ასე იწყებს: „მაგ. ზედამხედველ-კომიტეტის თავმჯდომარე ემ  
 გამოაცხადა, რომ ბანკს ამდენი და ამდენი მამული დარჩა და  
 იმათვან სრულიად არაფერი არ შემოდისო. ეს საბუთი ძალიან  
 ხელ-ჩასაკიდებელი იყო!... მეგრამ ოპოზიცია მარტო ჩიკვაიძის  
 პიროვნობას იკვლევდა. ამ საბუთის განხილვა მომავალ კომი-  
 სის მიანდეს და თვითონ კი დაუწყეს ძებნა უმნიშვნელო მი-  
 კიბულ-მოკიბულ ფაქტებსა“. მე არა მგონია იმისთანა მართლ-  
 მორწმუნე ჰყავდეს. თავ. აკაკი წერეთელს, რომელიც ამ ტი-  
 რადის წაკითხვაზე არ ჩატიქრდეს და არა-მორწმუნენი კი ბევრს  
 იცინებდნენ. აქ ან სტამბური შეცდომაა, ან რაღაც, თორემ



რა დამოკიდებულებაა „საეჭვო და სადაო ფაქტებში და ას მოყლენას შორის, რომ ოპოზიციას ვერ უხმარია „ის-საბუთი, რომელიც ძალიან ხელ-ჩასავიდებელი იყო!“ აქ სიყალბე და სადაო ფაქტი რა შეაშია? ესეც რომ არ იყოს, ვანა საკადრი-სია ფაქტის ეგრე მიჩქმალვა? ბანკზე დარჩენილის მამულების შესახებ ყოველ დღე საბუთი იყო, რამდენჯერმე წაიკითხეს რევიზორის შენიშვნები. ხოლო, როცა განსაკუთრებულად მავ სავანს უნდა შეხებოდნენ, ნახეს, რომ გამგეობას ერთი სია წარ-მოუდევნია დარჩენილის მამულებისა, ზე დამხევველ კომიტეტს — მეორე. აქ მონასტერი აირია, ლაპარაკი რაღაზე ეს უნდა დაეწყო, ძალით პატრონს ვერა სცნობდა; ზედამხედველი კო-მიტეტი ერთს ამბობდა, გამგეობა — მეორეს; ძალა-უნებურად ოპოზიციამ სთქვა, კომისიისათვის გადაეცა ეგეთი ბოროტი დაუდევრობა. არის ერთი უდიდესი საბუთთაგანი, გამგეობის გამამტყუნებელი... მაგრამ ხომ მოგახსენეთ, თ. აკაკი წერეთე-ლი დიდი პოეტია, მას სხვა საქმეები აქვს, „ბანკი წვრილმან რამედ მიაჩნია და ზედაც ის დაკვდეს, ვინც წვრილმანობას ვერ გასცილებია“. აბა დიდებულ პოეტს სად ეცალა ამისთან-ებისათვის ყურადღება მიექცია, ხოლო დაწერით, რაც ესია-მოვნებოდა, ის დასწერა და აბა ეხლა ედავეთ, ასე იყო, არ იყო. მთელმა ქვეყანამ რომ განაცხადო, ასე იყოთ, თავ. აკაკი წერეთელი მაინც „არ იყოს“ იტყვის, მაგრამ საქმე ხომ მაგა-ში არ არის, საქმე იმაშია, თვით თუ იგრძნობს რომ ეს „არ იყო“ მართლა „არ იყო“ არის?

დიდი დანაშაული ოპოზიციისა კიდევ ისა ყოფილა, რომ დღევანდელი ოპოზიცია მეტად არეულ-დარეული ყოფილა, იმის-თანები გამოდიოდნენ ინტელიგენტის სახელით და ოპოზიციაში ქულმაცობდნენ, რომელთაც თავის საკუთარ პირადობის მეტი არა აგონდებოდათ-რა... საკვირველია, ლმერთმანი, აბა თუ შესაძლოა, რომ რაიმე პარტიაში, არ დაქუცმაცებდნენ ეგეთი პირები, მაგ-რამ საქმე ის არის, რომ მეთაურნი ბევრი არიან და ან უმეტე-სობა. მადლობა ლმერთს, ეგეთი სამი კაცი მაინც დაუნიშნეს

ოპოზიციაში თ. აკაკი წერეთელს: თ. პ. თუმანიშვილი, დ. ხელოუ-ფლიშვილი და ექ. თაყაიშვილი, მაგრამ, მგონი, არაფერი პირადი ინტერესი ჰქონია, არც თ. კ. ლორთქიფანიძეს, არც თ. ინდრია ერისთავს, არც თ. ნ. თავდგირიძეს, არც ს. ჯაფარიძეს, არც იმ ბ.ნ ნანეიშვილს, რომლის ზნეობის შესახებაც ზნეობის დამ-ცველმა ბ-ნ ლოლუამ ეჭვი შეიტანა, ამიტომ რომ ეს უკანასკნელი მაინც არა რჩებოდა ბანკში, თუ გინდ დირექტორობა მიგეცათ, ეს ჩეენ გიცით, ჩეენთვის ეს სასიამოვნოა. თ. აკაკი წერეთელმაც იცის, მაგრამ სიტყვით არ ეიცი და არა მჯერამ იტყვის, ჯარიმას ხომ არავინ გადახდევინებს. ხოლო თუ სხვა ჯურის ხალხი იყო, მათთვის არავის გუნდრუკი არ უკმე-ვია და არც ანგელოზად მიუჩნევია, ეგეც მგოსნის ოცნების ნაყოფია. \*)

ერთის სიტყვით, თ. აკაკი წერეთელმა დაამტკიცა, რომ იგი „ბანქს წვრილმან საქმედ“ სთვლის და „ზედაც უნდა დააკვ-დეს ის, ვინც წვრილმანობას ვერ გასცილებია“, დაამტკიცა მით, რომ ყოველივე, რაიცა სთქვა ოპოზიციის შესახებ, არის ოც-ნება, მეტად ცუდის სახისა, და სწორედ, როგორც ჰგავს, მარ-ტო ოპოზიციის მოქმედებისა და სიტყვისათვის არ მიუქ-ცევია, რასაკვირველია, არივითარი ყურადღება, არც „პოზიციი-სათვის“ უდევნებია თვალ-ყური.... მაგრამ არა, რა საჭიროა აქ კრიმანჭულები, თვალ-ყურიც ადევნა და ყურადღებაც მიაქ-ცია, მაგრამ თავისის მომხიბვლელის კალმით სრულიად შეუც-ვალა ფერი ამ თარ პარტიათა ბრძოლას.

მადლობა ღმერთს, თუ ოპოზიცია ხალხის გულს ვერ იგებს და მედიდურად დასცეკერის ხალხს, ბ-ნი ჩიკვაიძე ხომ იგებს ხალხის გულს და სიმდაბლით „სამზარეულოში“ ჰგავნის და ამიტომაც პოეტი ხალხის შემბრალე და მფარველი მიემხრო ბ-ნ ჩიკვაიძეს.

\*) რატომ არას გვიბრძანებს პოეტი, მისს სასიქადულო პარტიას რა კაცები შეადგენენ?



თუ ოპოზიციას უნდოდა „მიკიბულ-მოკიბულ საეჭვო და სადაო ფაქტებით, ყიფინით გასულიყო ფონს“, სამაგიროდ ბ-ნმა ჩიკვაიძემ ხელში მუავე კიტრებით და სიმართლით აღსავს ფაქტებით გაიმარჯვა და პოეტმაც, სიმართლისა და კეშმარიტების მოყვარემ მისცა მას ხელი.

თუ ოპოზიციას ერია ბევრი ისეთი, „რომელნიც ინტელიგენტის სახელით ქუცმაცობდნენ და საკუთარ პირადობის მეტი არა აგონდებოდათ-რა“, ბ-ნ ჩიკვაიძის „პოზიცია“ ხომ შესდგებოდა მარტო და მხოლოდ ნამდვილისა და კეშმარიტის ინტელიგენტებისაგან, რომელთაც პირადობა განწირული ჰქონდათ და მარტო-ლა ოდენ საზოგადო საქმე აგონდებოდათ და პოეტიც, ხალხის რჩეული, რომელსაც პირადი მწუხარება დიუი ხანია დათმობილი აქვს, მათ მიუდგა და მათ რაზმში ჩასდეს.

თუ ოპოზიცია „წერილმანობას“ ვერ გასცილებია და იმიტომ დააკედა ბანკის საქმეს, პოეტი, მაღალის ნიჭით დაჯილდოვებული, უფრო სხვა დიდ საქმეს შეუდგა და ამომრჩეველთა შორის დაძრებოდა, ზოგს მაზრის მარტლობას ჰპირდებოდა და ქრითამად ძვირფასს დუმილს სთხოვდა ბანკის კენჭის ყრაში და ზოგს მოხელეს კარიერით აშინებდა, ნუ გაერევი ამ საქმეში, თორემ კარიერა წაგიხდებაო. მაგრამ ეს გვაკვირებს: ყოველივე ამის შემგნები პოეტი, რატომ პირადად, გულახდილად არ მიემხრო „ხალხის მოყვარე“ გმირს, და რად დასჭირდა იმ ლამაზისა, მაგრამ პრანჭვა-გრეხით აღსავს მინიონის გათამაშება ორთავ პარტიათა შორის, რომლის მერმე გულდამშვიდებული განისვენა ბანკის გამგეთა კალთის ქვეშ. ღმერთმანი, ყოველ სიღამბლესთან, მისმა „ორთავა“ მეგობარმა, ეს მაინც კარგი გაბედა, რომ ისეთის რიხინიხინით შეხრიალდა ბანკის საუკუნო განსასვენებელში, როგორც ცარიელი ზოტეა, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ

ჩვენი სახელოვანი პოეტი ცარიელი როდია, დიდის ნიჭით არის დაჯილდოვებული.

ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო, რაღაც „წვრილმანობაზე“ ლაპარაკი. ეითომ ჩვენმა პოეტმა მოისურვა ბაირონის რაინდულის მედიდურობის მანტია წამოესხა, მაგრამ რა საჭირო იყო ისეთის ტანთსაცმელის ხელის წატანება, რომელიც სრულიად არ ეხერხება და სასაცილოდა ხდის კიდეცა.

„წვრილმანობა“ აქ არაფერს შუაშია, თვით ბედმა აღარ გვაღირსა ჩვენ „სხვილმანი“ საქმეები, მაგრამ იქაც კი, სადაც ეს „სხვილმანი“ საქმეები ტრიალობს, თ. აკაკი წერეთელი ისეთის ბუნებისა და თვისების არის, ინგლისში რომ ბაირონის დროს ყოფილიყო, ბაირონის მდევნელებთა რიცხვში ჩაეწერებოდა, საფრანგეთში რომ იყვეს ეხლა, დრეიფუსის საქმის გამო ატებილის აყალ-მაყალის დროს, ზოლას წინააღმდეგთა ჯგუფში ჩაეწერებოდა და „პატრიოტთა ლიგის“ სულის ჩამდგმელი იქმნებოდა.

დიალ, რამდენადაც თავ. აკაკი წერეთელი დიდებული პოეტია, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა საუკუნო ძეგლს აღუგებს, იმდენად დაბლადა სდგას, როგორც პუბლიცისტი და მოქალაქე; რამდენად დიდის პოეტურის ნიჭით არის დაჯილდოვებული, იმდენად მცირე მოქალაქობრივი გრძნობითა და ნიჭით დაუსაჩუქრებია იგი განვებას.—ეს ყველამ იცის და ყოველი პოეტის თაყვანის-მცემელი ურჩევს მას, პუბლიცისტურ კალამს წვერი მოსტეხოს და მიაგდოს, მოქალაქობრივ მოღვაწეობას თავი დაანებოს და დაე, განმარტოებულად და მშვიდად დაიმკვიდროს იმ დიად სამეფოში, რომელსაც პოეზია ეწოდება. ცხოვრება თავისის პროზით მეტად სვრის, მეტად ამახინჯებს თავ. აკაკი წერეთლის პოეტურ სულს.

რაიცა შეეხება იმერეთის ინტელიგენციას, მისი წრეუნდელი დამარცხება ფაქტივური და ზნეობრივი ყოველს ეჭვს გარეშეა. ზნეობრივი დამარცხება ინტელიგენციისა მი-

სი სახელის გატეხაა და იმერეთის ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა (თავ. აკაკი წერეთელმა, გ. წერეთელმა დ. ბაქრაძემ, ს. თოფურიამ) თავისის მოქმედებით სწორედ სახელი გაუტეხეს ამ ინტელიგენციას მთელს საქართველოში.

გიორგი აბაშიძე

—•—•—

# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების  
 და კ. თავართქმილამის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

გლეხი - ქაცის ისტორია, ერგმან - შატრიანისა:

ნაწილი I	საერთო ქრება . . . . .	60 კ.
	იგივე კარგ ქაღალდზე. . . . .	75 "
ნაწილი II	სამშობლოს განსაცდელი. . . . .	60 "
	იგივე კარგ ქაღალდზე . . . . .	75 "
ნაწილი III	წელიწადი პირგელი რესპუბლიკისა {	1 გ. 20 "
და ნაწილი IV	მამულიშვილი ბონაპარტია	
	იგივე კარგ ქაღალდზე . . . . .	1 გ. 50 "
ბრჭევალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . .	30 "	
იფლითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . .	30 "	

შირგელი ნაწილი წალტი აღარ იყიდება